ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის თანხმობითობით ფასი: 1 ლარი
№9
27.11-5.III
2013

სარკე

გვ.7
ვახო სანაია: „სანდრო ფიზიკურად გიორგის ასლია“

გიორგი სანაიას ოჯახს სიმართლის გარკვევის იმედი გაუჩნდა

ნინო გაჩეჩილაძე: „კაჭოს როლში სხვას ვერ ვხედავ, რადგან ის ჩემი შექმნილია“

გვ.23
გიორგი ვარდოსანიძე: „დავშორდით, მაგრამ გრძნობა კიდევ არსებობს“

ლელა მეგურიშვილი: „ჩემი კაჭო სულ სხვანაირი იქნება“

გვ.24
სკანდალი „ჩემი ცოლის დაქალებში“
ნინო გაჩეჩილაძე დასაჯეს და სერიალიდან გაუშვეს

გვ.6
ირინა ონაშვილი: „მთელი ცხოვრება გამყვება ეს ტრავმა და ის დღე“

გვ.14
ოლეგ იაძე: „სუსტი ჭკუის ქალები სხვაგან მიყვარს, პოლიტიკაში ჩემ გვერდით ვერ იქნებიან“

სტიქიაროსნობიდან ბრალდებულის სკამამდე — გიგი უგულავას გზა გვ.9

ISSN 1987-9369

მარტოხელა „ზრაგედია რომ არ განმეორებულიყო, საყვარელ კაცსაც დავშორდი და მეგობარსაც“ გვ.46

გვ.26

მაიკო კაჭკაჭიშვილმა რატი დურგლიშვილის რომანები ჩაშალა

გვ.10

ინგა ბიწაძე: „ჩემი ქმარი ქალიშვილზე ოცნებობს“

კობა დავითაშვილის ბიჭს ნათლია პრეზიდენტზე გული სწყდება

გვ.36

გვანცა დარასელია: „ქმარი მზრდის, მასზე ყველანაირად ვარ დამოკიდებული“

გვ.34

ოთო ნემსაძემ „უკრაინულ ხმაში“ ყველა მწვრთნელი მოხიბლა

გვ.22

ნინო ბურდული: „თეატრში ბრეჭნევის დროს აბრუნებენ!“

გვ.33

ზურა მანჯავიძე: „კულტურაში თუ ისევ მახინჯი გზით წავლენ, აუცილებლად გავაპროტესტებ!“

გვ.43

ია სუხიტაშვილი: „კიევში სტრიპტიზკლუბიდან გამომაქციეს“

ნომერში

უბედური შემთხვევა

ირინა ონაშვილი: „მთელი ცხოვრება გამყყება ეს ტრაგმა და ის დღე“ 6

ღია ჭრილობა

ვახო სანაია: „ჩემი ძმის მკვლელობის გამოძიებას წლები შეეწირე და არ მინდა, სანდრომაც ივიეე გზა გაიაროს“ 7

შუქ-ჩრდილები

სტიქიოსნობიდან ბრალდებულის სკამამდე — ვიგი უგულავას გზა 9

ოჯახური გარემოცვა

კობა დავითაშვილის ბიჭს ნათლია პრეზიდენტზე გული სწყდება 10

გულახდილი საუბრები 12-13

მთავრობის სახე

ოლეგ იაძე: „სუსტი ჭკუის ქალები სხვაგან მიყვარს, პოლიტიკაში ჩემ გვერდით ვერ იქნებიან“ 14

პოლიტიკა

- უგულავამ „მოთმინებისთვის, სიყვარულისა და თავისუფლებისთვის“ ბრძოლა გამოაცხადა 16
- ვახტანგ ძაბირაძე: „ნაციონალები შეტევაზე გადადიან, ხელისუფლება კი მათ პინგვინებს ეთამაშება“ 17
- კახა კუკავა: „შეიძლება ივანაშვილი ანაკონდას მეთოდს იყენებს — უცებ ყველას ერთად დააპატიმრებს“ 18

გახმაურებული საქმე

ზურაბ ვაზაგაშვილის მამა გამოძიების ახალ დეტალებზე საუბრობს 20

ნაცნობი სახე

ნინო ბურდული: „თეატრში ბრეზენევის დროს აბრუნებენ!“ 22

სიყვარულის ამბები

გიორგი ვარდოსანიძე: „დავშორდით, მაგრამ გრძნობა კიდევ არსებობს“ 23

მოულოდნელი სვლა

ნინო გაჩეჩილაძე დასავლეთ და სერიალიდან გაუშვეს 24

სამეგობრო

მაიკო კაჭკაჭიშვილმა რატი დურგლიშვილის რომანები ჩაშალა 26

მოზარდები 28-29

გზა ტაძრისაკენ

მამა კონსტანტინე: „როცა ეკლესია ხვდება, რომ პაციენტს ველარ შველის, მღვდელს უნდა დაუთმოს“ 32

ეტაპი

ზურა მანჯავიძე კოლეგების არასოლიდარობის გამო გულნატკენია 33

კონკურსანტი

ოთო ნემსაძემ „უკრაინულ ხმაში“ ყველა მწვრთნელი მოხიბლა 34

მათი მშობლები

კოტე თოლორდავამ ქართული ენა თეატრალურ ინსტიტუტში ისწავლა 35

ცოლ-ქმრის კლუბი

გვანცა დარასელია: „ქმარი მზრდის, მასზე ყველანაირად ვარ დამოკიდებული“ 36

ავტომოყვარული

ჯანეტ ქერდიყოშვილი: „მანქანა ჩემთვის დაქალივითაა“ 48

ცხოვრება ჩემოდნებზე

ია სუხიტაშვილი: „კიევში სტრიპტიზკლუბიდან გამომაქცეს“ 43

მეგზური

სენტ ჯონსი — ადგილი, სადაც არც ცხელა, არც ცივა 44

მხოლოდ ქალებისთვის 48

დედიკოების სკოლა 49

შეშლილი. შეშლილი. შეშლილი მსოფლიო 50-51

ჩემი მშვენიერი ლედი

ამირან შალიკაშვილი: „ჩემი ცოლი ცდილობს, მომთოკოს, მაგრამ ეს შეუძლებელია“ 52

სპორტის მილვა 53

სახალისო 54-55

იყავით ჯანმრთელი 56-57

გიგა ლორთქიფანიძე: „მსახიობები ერთი თვით საკანში გამოვკეტე“

„თეთრი ბაირაღების“ ცხემლიან-ღიმილიანი ისტორია

■ გიგა ლორთქიფანიძე

„ყველაზე დიდი გამოგონება ქვეყანაზე ანბანი, ჰიმნი და დროშაა, რადგან სამთავე თავისუფლების სათავეა. დასაბამიდან დროშა იყო თეთრი... თეთრი... სპეტაკი... იგი თავიდან მშვიდობას, სიყვარულს, ძმობასა და სათნოებას გამოხატავდა. ოცი საუკუნე იქით და ოცი საუკუნე აქეთ, თეთრი დროშები თავისას მოითხოვენ და მოელიან. ერთი დიდი თეთრი ბაირაღი უნდა ფრიალებდეს ჯომოლუნგმაზე ამაყად, ნიშნად უსაზღვრო სათნოებისა, სიკეთისა და სიყვარულისა... ერთი დიდი, ვეებერთელა, თეთრი ბაირაღი...“ — ამ შესანიშნავ სიტყვებს რომანში ძია ისიდორე ამბობს და თითქოს ყველა ჩვენგანის სათქმელს და სურვილს ამხელს. ეს ნოდარ დუმბაძის სტილი იყო, დაეწერა ისეთი რეალობის შესახებ, რომელიც დროსა და სივრცეში ყოველთვის აქტუალური იქნებოდა. ამ წიგნმა განსაკუთრებით პატიმრები აღაფრთოვანა და არცაა გასაკვირი. როგორც ამბობენ, „თეთრი ბაირაღები“ საკნიდან საკანში გადადიოდა. ამ ნაწარმოების მიხედვით დადგმულ სპექტაკლსა და ფილმსაც ასეთივე დიდი წარმატება ხვდა წილად.

„თეთრი ბაირაღების“ გადაღების ისტორიას რეჟისორი და მსახიობები იხსენებენ.

გვ.30

ქალური მოთხრობები

- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-8) 64
- ლელა ცუცქირიძე — „დიეტა“ 68

წმინდანები

საკუთარი ვნებების შეცნობა — ეს არის გზა სრულყოფილებისკენ 72

კითხვები მოძღვარს

„ხიბლმა ადამიანი შეიძლება თვითმკვლელობამდე მიიყვანოს“ 72

საბავშვო გვერდი 76

კულინარიული შედევრები 77

ხელსაქმე 78

№9(775) 27 თებერვალი — 5 მარტი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 24.02.2013, 21.00 სთ-ზე.

ბიძინა ივანიშვილი

ივანიშვილს მერაბიშვილის აქციაზე ეღიმება

საქართველოს პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებას ურჩევს, ნაციონალური მოძრაობის გენმდივნის, ვანო მერაბიშვილის მიერ დაანონსებულ 19 აპრილის აქციას იუმორით მიუდგნენ. ვანო მერაბიშვილის განმარტებით, აქცია საქართველოს მიერ პროდასავლური კურსის მხარდაჭერას მიეძღვნება.

— სად გინახავთ, 50 დღით ადრე ცხადდებოდეს ასეთი აქციები! მივმართავ საზოგადოებას, ყურადღება აღარ მიაქციონ ამგვარ განცხადებებს. ჩვენ მათთან თანაცხოვრება უნდა ვისწავლოთ, ვიდრე სიცრუის ნაცვლად კონსტრუქციულ პოზიციაზე გადავლენ. ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ ეჭვი არავის გამოუთქვამს. შესაბამისად, რატომ ამტვრევენ ღია კარს, გაუგებარია, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

არა ოკუპაციას!

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გასაბჭოება მოხდა. ქვეყანაში ბოლშევიკური წითელი არმია ბაქოდან შემოვიდა. დამოუკიდებელი ქვეყნის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს ტერიტორიაზე მე-11, მე-9, მე-3, მე-13 არმიები, ბუდიონის და ჟლობის კავალერიები გადმოისროლეს. თბილისთან ახლოს, კოჯორში, შეტაკების დროს 30 ქართველი იუნკერი მოკლეს. მათთან ერთად დაიღუპა 19 წლის მოწყალების და, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, კოტე მაყაშვილის ქალიშვილი, მარო მაყაშვილი. რუსეთის არმიამ დაიკავა თბილისი და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა.... მას შემდეგ 92 წელი გავიდა.

ოკუპაციის დღე საქართველოში 2010 წლიდან აღინიშნება. ქართველ იუნკერთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია დაესწრო. მან ქართველ იუნკერთა მემორიალი ყვავილებით შეამკო. მისი თქმით, ქართველი ახალგაზრდებისთვის იუნკრების თავდადება სამაგალითო უნდა იყოს.

— დღეს ჩვენ ვიხსენებთ იმ იუნკრებს, რომლებმაც გასაბჭოების პერიოდში პირველი შემოტევა თავიდან ააცილეს დედაქალაქს და გმირულად შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები. ეს არის სამაგალითო ყველა სამხედროსთვის. როდესაც ვფიქრობთ, თუ როგორი ჯარი გვინდა მომავალში, პირველ რიგში, უნდა აღვზარდოთ მებრძოლი სული, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

პარლამენტის ეზოში მდებარე ხარების სამლოცველოში 1921 წელს დაღუპულ იუნკერთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს, რომელსაც უმრავლესობის წევრებთან ერთად პრემიერმინისტრიც ესწრებოდა. მსახურების დასრულების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა 25 თებერვალს დაღუპული იუნკრების მემორიალი გვირგვინით შეამკო.

შონზო ნაციონალებს გაემიჯნა

შონზო

ყოფილი შოუმენი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი ზურაბ გაჩეჩილაძე, იგივე შონზო, ნაციონალებს გაემიჯნა — ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ „თავისუფლებაში“ ისკუპა, მიზეზად კი ხალხის დაკვეთა დაასახელა.

— ჩემი გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო ხალხის დაკვეთიდან. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, 2012 წლის არჩევნების შემდეგ ხალხის დაკვეთაა, რომ საკრებულოს გადაწყვეტილებებში მონაწილება მიიღოს არა მხოლოდ ფრაქციამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც მყარი უმრავლესობით არის წარმოდგენილი, არამედ თბილისის პრობლემების მოგვარებაში საკრებულოს ყველა წევრი ჩაერთოს. შესაბამისად, პირადად ჩემთვის დღის წესრიგში დადგა ძალთა ბალანსი, რათა გადაწყვეტილებების მიღებაში პასუხისმგებლობა აიღოს არა რომელიმე ერთმა ფრაქციამ, არამედ უკლებლივ ყველა დეპუტატმა, — აღნიშნა ზურაბ გაჩეჩილაძემ.

ბიძინა გუჯაბიძე და გოგა ხაჩიძე ჩოხის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ბიძინა გუჯაბიძემ საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც პარლამენტის წევრის ჩაცმულობა ან ნაციონალური უნდა იყოს, ან პროტოკოლური, ჩოხაში გამოწყობილმა გამოიტანა. უმრავლესობა გუჯაბიძის ინიციატივას იწონებს, უმცირესობა კი ჯერჯერობით მხოლოდ ირონიული რეპლიკებით შემოიფარგლება.

ბიძინა გუჯაბიძე და გოგა ხაჩიძე

დეპუტატის ინიციატივა მისი და გოგა ხაჩიძის დაპირისპირების მიზეზიც გახდა. გუჯაბიძე ხაჩიძის იმ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც მან ოპონენტს ბრალი ჰომოფობიური განცხადების გაკეთებაში დასდო.

— მე ჟურნალისტებმა მითხრეს, რომ თქვენ მათთან საუბრისას აღნიშნეთ, მაგარი სექსი იქნებიან სხვები და სხვები ჩოხაშიო, რაზეც ჩემი პასუხი იყო, რომ თუკი ხაჩიძეს სექსთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია გააჩნია, მას შეუძლია ის ჩაიცვას, რაც სურს. პასუხი ჟურნალისტს მოსთხოვეთ, — მიმართა გუჯაბიძემ ხაჩიძეს და მოუწოდა, რომ ეროვნულ სამოსთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივას სერიოზულობით მოეკიდოს.

მიხეილ მაჭავარიანი სასამართლო პროცესებზე მედიის დასწრებით კმაყოფილია

ნაციონალი დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, რითაც უარი ეთქვა პროკურატურას გირაოს თანხის გადახდაზე, მიანიშნებს, რომ სასამართლოებში ახალი ეტაპი დაიწყო.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მედია ამ პროცესს ესწრებოდა. თქვენ თვითონ მოისმინეთ ის აბსურდული, უსუსური ბრალდება, რომელიც პროკურატურას ჰქონდა — პოლიტიკურად მოტივირებული. არ დამალეს, რომ თავდების წინააღმდეგიც იმიტომ იყვნენ, რომ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები დგებოდნენ თავდებში. ვფიქრობ, ამით საჯარო სასამართლოების ძალიან მნიშვნელოვანი, ახალი ეტაპი დაიწყო. ვფიქრობ, რომ პროცესი, რომელიც დაიწყება, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან საზოგადოება კიდევ ერთხელ ნახავს ბრალდებების აბსურდულობას, — განაცხადა მაჭავარიანმა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო, რომელზეც ჟურნალისტების დასწრება თვითონ ბრალდებულმა გიგი უგულავამ მოითხოვა, ახალი ხელისუფლების პირობებში გახდა მედიისთვის ღია. წინა ხელისუფლებამ პროცესებზე პრესა-ტელევიზიის დაშვება და ფოტოების გადაღებაც კი აკრძალა.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედია სანაია
ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან ალვაძე, ლანა კანანაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თამთა ბოჭორიძე. მედიცინა – ია გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფიზიო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჟღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარედაქციო სამსახური – მაჩუა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი – ია ბარბაქაძე.

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

Cyan Magenta Yellow Black

სააკაშვილი თავის გუნდში მდიდრებს ვერ ხედავს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თბილისის მერ გიგი უგულავას მიმართ ბრალის წაყენებას, ხოლო პროკურატურის მხრიდან მილიონერარის მოთხოვნას საგანგაშოს უწოდებს.

— ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, რადგან პრეზიდენტის შემდეგ თბილისის მერი ხმების დიდი რაოდენობით მეორე არჩეული თანამდებობის პირია საქართველოში და ამგვარად ეს ჩვეულებრივ მოვლენად ვერ ჩაითვლება. ეს არის მართლაც ძალიან საყურადღებო და პირადად ჩემთვის საგანგაშო რამ. პროკურატურა მოითხოვს სამ რაღაცას, ეს არის არაადეკვატური გირაო და ქვეყნის დატოვების აკრძალვა. ჩვენ ორ დღეში ოფიციალური ვიზიტით მივდივართ აზერბაიჯანში, ამ დელეგაციის წევრია თბილისის მერი, მათ კი უნდათ, რომ აუკრძალონ გადაადგილება და მესამე, ეს არის უფლებამოსილების შეჩერება. ანუ ვიღაცას სურს, ხალხის მიერ არჩეულ თბილისის მერს პროკურატურის შუამდგომლობის ძალით ჩამოართვან უფლებამოსილება, — განაცხადა სააკაშვილმა.

■ მიხეილ სააკაშვილი

— მილიონიანი გირაო არის იმ ხალხის უცნაური ფანტაზიის ნაყოფი, რომელმაც ვერაფრით დაიჯერა, რომ ჩვენს მთავრობაში მილიონებს არავინ აკეთებდა და ვერც გააკეთებდა, არ გავაკეთებინებდით. ვერ დაიჯერა ამ ხალხმა, რომ შეიძლება მართლა გულწრფელად გინდოდეს შენი შვილების კეთილი მომავალი და პირადი ჯიბის გასქელება არ იყოს შენი მოტივაცია. რა მილიონებზე და მილიარდებზე გველაპარაკება ის ხალხი, ვინც ამას აკეთებდა 90-იან წლებში. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ თუ მილიონებს არ ვაკეთებდით, ესე იგი სულელები ვიყავით. ეს არის პრობლემა დღეს საქართველოსთვის. ახლა ხელისუფლებაში მოვიდა ის ხალხი, ვისაც ვერ წარმოუდგენია, მთავრობაში ფულის კეთების გარეშე იყო. „აბა, როგორ, ძმაო? თანამდებობაზე ხარ და ფული არ უნდა აკეთო?“ — ამბობენ. თბილისის მერები იყვნენ ძალიან მდიდრები. მერე მოვიდა ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომლის დროსაც დაიწყო აღმშენებლობა და მერე მოვიდა უგულავა, რომლის დროსაც ყველანი ერთად ვაშენებდით. შეუძლებელია ერთდროულად აშენო და ფულიც აკეთო. თუ უგულავას შეუძლია, რომ შუშის ხიდი ჩადოს გირაოში, კი, ბატონო, ჩაიდონ გირაოში, ჩაადებინონ ესტაკადები და იუსტიციის სახლი გირაოში, — დასძინა პრეზიდენტმა.

ქალაქის მერს კი პრეზიდენტის რჩევის გათვალისწინება არ დასჭირდა, რადგან კუბლაშვილის სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და უგულავა გირაოს გადახდის გარეშე გაუშვა სასამართლო დარბაზიდან.

ევროკომისარი ევროპაში უვიზო მიმოსვლას გვპირდება

საგარეო საქმეთა მინისტრმა ევროკომისარი სესილია მალმსტრომი მიიღო. ევროკომისარმა საქართველოს სავიზო დიალოგის ფარგლებში ქართული მხარის მიერ შესასრულებელი სამოქმედო გეგმა გადასცა, რაც საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის წარმართვის საფუძველს წარმოადგენს. ამ გეგმის წარმატებით აღსრულების შემთხვევაში, შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე, ევროკავშირის სივრცეში — შენგენის ქვეყნებში, უვიზო მიმოსვლის რეჟიმი იქნება შემოღებული. სამოქმედო გეგმა ორი ფაზისგან შედგება და გულისხმობს როგორც საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე, ცალკეული მიმართულებებით რეფორმების განხორციელებას.

ვიზიტის ფარგლებში შედგა სესილია მალმსტრომის შეხვედრები პრეზიდენტთან, პრემიერმინისტრთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან.

— ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო შეხვედრა ქალბატონ სესილია მალმსტრომთან, რომელიც ევროკომისარია საშინაო საკითხებში. მან ჩამოგვიტანა ვიზის ლიბერალიზაციის გეგმა, რომლითაც ჩვენ აუცილებლად ვისარგებლებთ, რათა ევროპასთან უვიზო რეჟიმს მივაღწიოთ. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის განვითარებას და მის დაახლოებას ევროპასთან, — განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.


■ ჰილარი კლინტონი

ჰილარი კლინტონმა საქართველოს პრემიერს წერილი გამოუგზავნა

ამერიკელ კონგრესმენებთან ოფიციალურ ვახშამზე საქართველოში ამერიკის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს ჰილარი კლინტონის წერილი გადასცა, სადაც ის წერს, რომ მისთვის სასიხარულო იყო საქართველოსთან თანამშრომლობა.

„ჩემთვის საპატიო და სასიხარულო იყო, ვყოფილიყავი მოწმე თქვენი და თქვენი კოლეგების ხელმძღვანელობით საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობის — ხელისუფლების გადაცემისა და კოჰაბიტაციის უპრეცედენტო პერიოდის. ძალიან ვამაყობ იმ პროგრესით, რომელსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ მიაღწიეს ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირის განმტკიცებისა და საზიარო ინტერესების სრული სპექტრის გატარების კუთხით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს კავშირი კვლავინდებურად მტკიცე იქნება... ვიმედოვნებ, რომ თქვენ წარმართავთ კონსტრუქციულ ურთიერთობებს ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან და საერთო მიზნის განსახორციელებლად ითანამშრომლებთ, უზრუნველყოფთ რა საქართველოს დემოკრატიულ და ეკონომიკურ წინსვლას“, — ნათქვამია წერილში.

თეატრალურის სტუდენტებს „კოტე მარჯანიშვილი“ გააცნეს



გამომცემლობა „გუმბათის“ უპრეცედენტო პროექტი — მრავალტომეული „ქართული კულტურის ოქროს ფონდი“ — საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. უნიკალურ სერიაში დაიბეჭდება წიგნები ყველა იმ ქართველ მოღვაწეზე, ვინც ქართული კულტურა დღემდე მოიტანა.

15 თებერვალს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ უნივერსიტეტში გაიმართა პროექტ „ქართული კულტურის ოქროს ფონდის“ პირველი ტომის — „კოტე მარჯანიშვილი“ — განხილვა, რომელსაც სტუდენტები ესწრებოდნენ. ამ დიდ რეჟისორზე გამოქვეყნებულმა საარქივო მასალებმა თეატრალები განსაკუთრებით დაინტერესა. სტუდენტებს მიმართა პროექტის სარედაქციო ჯგუფის წევრმა ნინო სადღობელაშვილმა:

— შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის თვითმმართველობასთან ერთად გაგვიჩნდა სურვილი, პროექტ „ქართული კულტურის ოქროს ფონდის“ პირველი ტომი „კოტე მარჯანიშვილი“ თეატრალურის სტუდენტებისთვის წარგვედგინა. ეს პროექტი თავისთავად გულისხმობს თეატრის, კინოს და საერთოდ, ქართველ ხელოვანთა შესახებ გამოცემულ წიგნებს. შეხვედრა შედგა. მადლობა მათ, ვინც მოვიდა და ამ წიგნის მიმართ ინტერესი გამოხატა. როცა მკითხველი კოტე მარჯანიშვილის მემუარებს, წერილებს, მასზე მოგონებებს გაეცნობა, ამ დიდ რეჟისორს აბსოლუტურად სხვა თვალით დაინახავს. ამ წიგნში კარგად ჩანს, რამდენი სირთულის გადალახვა მოუხდა იმისთვის, რომ დიდ რეჟისორად ქცეულიყო, თეატრი ამ სიმაღლეზე აეყვანა და მისთვის მომავალი მიეცა. ასეთი წიგნების წაკითხვის შემდეგ შენც გიჩნდება სურვილი, კარგი საქმეები გააკეთო, თუნდაც წინააღმდეგობების გადალახვის ფასად ბევრი რამ შესძინო სამყაროს. ამ პროექტის ფარგლებში კიდევ ბევრი ქართველი მოღვაწის ცხოვრებას და შემოქმედებას გაეცნობით და მათზე ბევრ სიახლეს გაიგებთ. ვაპირებთ, პრეზენტაციები უფრო მასშტაბური გავხადოთ და არა მარტო თბილისში, სხვა ქალაქებშიც ჩავატაროთ.

საარქივო მასალები გამომცემლობას მიაწოდა თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა.

პირველი ტომი „კოტე მარჯანიშვილი“ ჟურნალ „სარკესთან“ ერთად იყიდება.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

ირინა ონაშვილი: „მთელი ცხოვრება გამყვება ეს ტრავმა და ის დღე“

ლულაში ჩარჩენილმა ტყვიამ ლადო ვარძელაშვილის ოჯახში ტრაგედია დაატრიალა

ლადო და ირინა

„ჯობდა, ის ტყვია მე მომხვედროდა, უსაყვარლესი მეგობარი დავკარგე, — თქვა გლდანის საპყრობილიდან გამოსულმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, ლადო ვარძელაშვილმა, — ღმერთს ვთხოვ, მსგავს სიტუაციაში არავინ მოხვდეს“, — დასძინა მან. ყოფილი ჩინოსანი იქ იმ უბედური შემთხვევის გამო აღმოჩნდა, რომელიც მის ოჯახში მოხდა.

ტრაგედიას, რომელიც 22 თებერვალს, ღამის 2-ის ნახევარზე დატრიალდა, ლადოს მეგობარი, 45 წლის დევი სირაძე შეეწირა. იმ საღამოს ვარძელაშვილის სახლში მეგობრები იყვნენ შეკრებილი ცოლებთან ერთად. მასპინძელმა მათ იარაღის კოლექცია დაათვალიერებინა. ამ დროს ზვიად ქავთარაძეს „TT“-ს სისტემის იარაღიდან ტყვია გაუვარდა და დევი სირაძეს მოხვდა. ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. დევი სირაძე 2009 წლიდან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში სპორტის სამმართველოს უფროს სპეციალისტად მუშაობდა. მას ცოლი და ერთი ქალიშვილი დარჩა.

ირინა ონაშვილი: „ლადომ მეგობრები თავისი ჯოლექციის დასათვალიერებლად გაიყვანა. ერთი ეუბნებოდა, ჩემი დაბადების დღე მოდის და მაჩუქეო და... უბედური შემთხვევა მოხდა“.

ბრმა ტყვიას შეწირული დევი სირაძე 24 თებერვალს ვერის სასაფლაოზე დაკრძალეს. მისი მეგობრები, რომლებიც საბედისწერო ღამეს მასთან ერთად იყვნენ, დაკრძალვას ვერ დაესწრნენ, რადგან მაშინ საპყრობილიდან გათავისუფლებული ჯერ არ იყვნენ.

იარაღი, საიდანაც უნებლიე გასროლა მოხდა, ლადო ვარძელაშვილს ქვისლმა, ვახტანგ ბიჭაშვილმა, რამდენიმე წლის წინ დაბადების დღეზე აჩუქა და მის მფლობელობაში უკანონოდ იყო.

ვარძელაშვილი და მისი მეგობრები შემთხვევის ღამესვე დააკავეს. სასამართლო ზვიად ქავთარაძეს გაუფრთხილებლობით მკვლელობას ედავებოდა, ლადო ვარძელაშვილს — იარაღის უკანონო შენახვას, ვახტანგ ბიჭაშვილს კი იარაღის უკანონო გასხვისებას. 24 თებერვალს სასამართლომ ისინი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. ლადო ვარძელაშვილს 3 000 ლარის გადახდა მოუწია, ზვიად ქავთარაძეს — 15 000-ის, ხოლო ვახტანგ ბიჭაშვილს — 6 000-ის.

მომხდარის გახსენება უჭირს ლადოს მეუღლეს, ყოფილ მოდელს, „მის საქართველო 2003“ ირინა ონაშვილს. ის ამბობს, რომ ეს ტრაგედია მათ ცხოვრებაში სამუდამო კვალს დატოვებს. ირინამ თავად გვიამბო, რაც იმ ღამეს მათ სახლში მოხდა. გასაგები მიზეზების გამო ის ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო და გვთხოვა, დეტალებს არ ჩავძიებოდით.

ირინა ონაშვილი, ლადო ვარძელაშვილის მეუღლე:

— იმ დღეს ყველანი სახლში ვიყავით. ჩვენთან სტუმრად ლადოს მეგობრები იყვნენ ცოლებთან ერთად. ვისაც იარაღი გაუვარდა, ანუ ზვიადი, გარდაცვლილის ბავშვობის მეგობარი იყო, ლადომ ის ახლახან გაიცნო დევისგან. ერთი სიტყვით, ყველა ერთად ვიყავით, მეგობრულ გარემოში. საბა, ჩვენი შვილი, გვერდით ოთახში ძიძას ჰ ყავდა, აძინებდა. როგორც იცით, იარაღი მამაკაცების გატაცებაა. იმ საღამოს ლადომ მეგობრები თავისი კოლექციის დასათვალიერებლად გაიყვანა. ერთი ეუბნებოდა, ჩემი დაბადების დღე მოდის და მაჩუქეო და ასე შემდეგ. მოკლედ, უბედური შემთხვევა მოხდა. მთელი ცხოვრება გამყვება ეს ტრავმა და ის დღე. ძალიან კარგი ადამიანი დავკარგეთ. ამ ეტაპზე მეტი სადარდებელი და საფიქრალი აღარაფერი მაქვს. სხვა დანარჩენი ჩვენთვის მეორეხარისხოვანია.

დევი სირაძე

— იმ დროს მათთან ერთად ოთახში თქვენც იყავით?

— არა. ჩვენ, ცოლები, მისაღებში ვისხედით. ლადომ მეგობრები თავის კაბინეტში შეიყვანა და გასროლის ხმაც გავიგონეთ. გავიგეთ, რომ ზვიადს გაუვარდა. დროზე სასწრაფო დახმარებაო, ყვიროდნენ.

— ითქვა, რომ დაჭრილი სირაძე ლიფტში თავისი ფეხით შეეყიდა.

— როგორც კი ხმა გავიგონეთ, კაბინეტში შევცვივდით. ის უკვე ძირს იყო. ლიფტში ყველამ ერთად შეიყვანა.

— სასწრაფო დახმარებას სახლში არ დაელოდეთ?

— მისი ცოლი ხმამაღლა ყვიროდა, დროზე გამაყვანინეთ აქედანო. თან ვიფიქრეთ, რომ დროში მოვიგებდით. იმ მომენტში ვინ რას ფიქრობდა, ვერ გეტყვით. ყველა დავრბოდით, ვრეკავდით.

— საავადმყოფოში გარდაიცვალა?

— ეს უკვე აღარ ვიცი, რადგან სასწრაფო დახმარების მანქანას უკან გავყევით. რესპუბლიკური საავადმყოფოს მისაღებში დავრბოდით და ყველას ვეკითხებოდით, დევი როგორ იყო, სუნთქავდა თუ

ირინა ონაშვილი: „ეს უბედურება ჩემს სახლში, იმ ოთახის გვერდით მოხდა, სადაც ჩემს შვილს, საბას ეძინა. ყველაზე საოცრება ის არის, რომ ეს ყველაფერი, ეს უბედურება ბავშვობის მეგობრებს, ოთხ ოჯახს დაგვემართა“.

არა. დამშვიდდით, ცოცხალიაო, დაგვაწყნარეს. მერე როგორც აღმოჩნდა, არ იყო ცოცხალი. დაგვიმალეს, პანიკას მოერიდნენ თუ რა მოხდა, არ ვიცი...

ძალიან გთხოვთ, დეტალები აღარ მომაყოლოთ. ჩემთვის ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ადამიანი გარდაიცვალა. ეს უბედურება ჩემს სახლში, იმ ოთახის გვერდით მოხდა, სადაც ჩემს შვილს, საბას ეძინა. ყველაზე საოცრება ის არის, რომ ეს ყველაფერი, ეს უბედურება ბავშვობის მეგობრებს, ოთხ ოჯახს დაგვემართა.

— როგორც ინფორმაცია გავრცელდა, ლადოს იარაღი თქვენმა სიძემ, დის ქმარმა აჩუქა. გახსოვთ, რა ვითარებაში მოხდა ეს ჩუქება?

— კი, იარაღი ჩემმა სიძემ აჩუქა. იცოდა, რომ ლადოს იარაღები მოსწონდა, მისი გატაცება იყო. ზუსტად არ მახსოვს,

ჯახა შონია: „ლულაში ერთი ცალი ტყვია ყოფილა ჩაჩჩენილი, ისც ისაზლს ვიზუალურად ეს ეტყობოდა და ეგრევე გავიხდა, ანუ ტყვია თავისით გავიხდა. ეს ძალიან ძველი სისტემის ჯონსტრუქციის პისტოლეტია და ეგრეთ წოდებული დამცავი ეს აქვს. პიდაპირ, პატარა ბიძგზე შეიძლება გავიხდეს და ასეც მოხდა“.

წინა დაბადების დღეზე აჩუქა თუ უფრო ადრე. იმის მერე სულ მაგის გაფორმებაზე იყო ლაპარაკი. ლადო დღე და ღამე სამსახურში იყო, მას მეც კი ვერ ვხედავდი სახლში და იარაღის გაფორმებისთვის ვერ მოიცალა. მით უმეტეს, მაშინ მინისტრი

Cyan Magenta Yellow Black

ვახო სანაია: „ჩემი ძმის მკვლელობის გამოძიებას წლები შევწირე და არ მინდა, სანდრომაც იგივე გზა გაიაროს“

გიორგი სანაიას ოჯახს სიმართლის გარკვევის იმედი გაუჩნდა

■ სანდრო და ვახო

ბელს, 24 თებერვალს, 11 წლის წინ მოკლული ტელეჟურნალისტის, გიორგი სანაიას დაბადების დღეზე, მისმა ძმამ, ასევე ტელეჟურნალისტმა ვახო სანაიამ ძმის საფლავთან შეკრებილ კოლეგებს განუცხადა:

— ჩემი ძმა პოლიტიკური მოტივით მოკლეს და ეს საქმე დღემდე გამოუძიებელია!

ეს განცხადება უკვე მერამდენედ კეთდება სანაიების ოჯახის მხრიდან, თუმცა ობიექტურად გამოძიების იმედი ცოტა ხნის წინ საქართველოში ხელისუფლების შეცვლამ გაუჩინათ.

ჟურნალისტი 2001 წლის 26 ივლისს საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს. მალე მკვლელიც დააკავეს — გრიგოლ ხურცილავა, იგივე გრიცკო, დღემდე იხდის სასჯელს, მაგრამ ოჯახის წევრები ოფიციალურ ვერსიას არ იზიარებენ.

ვახო: „მხოლოდ ჩვენს ოჯახს ჯი ახა, აღბათ ახავის ეპახება ეჭვი, რომ ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა. ის მაღალჩინოსნები უნდა დაიბახონ და დაკითხონ, რომელებსაც ამ საქმესთან შეხება ჰქონდათ“.

გიორგი ახლა 38 წლის იქნებოდა. მისი ერთადერთი შვილი, სანდრო სანაია, ამასობაში 16 წლის გახდა. როცა მამა მოუკლეს, 5 წლის იყო და არ იცოდა, რომ გიორგი იმ დროს საქართველოში ყველაზე პოპულარული და ხალხისთვის ყველაზე საყვარელი ჟურნალისტი იყო. მამა თითქმის არ ახსოვს, მისი გადაცემების ვიდეოჩანაწერების ნახვისას კი სიამაყის გრძნობა უჩნდება. ბიძამისი, ტელეჟურნალისტი ვახო სანაია, სწორედ მის ასაკში იყო, როცა გიორგი მოკლეს. ახლა ვახო წამოზრდილ ძმისშვილს შორიახლოდან ადევნებს თვალყურს, კარგად ახსოვს, თავად როგორი იყო მის ასაკში, რა მისწრაფებები ჰქონდა და არ სურს, მასზე რაიმე ზეგავლენა მოახდინოს, ურჩევნია, სანდრო დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბდეს, თუმცა საჭირო დროს რჩევები მზად აქვს.

რამდენიმე თვის წინ ვახოსაც შეექმნა სამსახურებრივი პრობლემა პოლიტიკური წნეხის გავლენით. „პირველ არხზე“ გადაცემა უცერემონიოდ დაუხურეს. ჟურნალისტმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა ტელეკომპანიის მაშინდელი ხელმძღვანელის წინააღმდეგ. პროცესი მიმდინარეობს, ვახო სანაია კი „იმედში“ დაბრუნდა და ძველი ტოქ შოუ აღადგინა.

ვახო სანაია: მკვლელობის დღიდან მოყოლებული, ერთი თვე არ გასულა ისე, რომ გამოძიება არ მოგვეთხოვა. ჩვენი მოთხოვნა დღემდე არ შეცვლილა. არასოდეს ვენდობოდით იმ გამოძიებას, რაც ჩატარდა და რა განაჩენიც გამოიტანეს. ისევ ვითხოვთ, რომ მოხდეს პოლიტიკური მკვლელობის გამოძიება. რა გამოძიებაც ჩატარდა შევარდნაძის დროს და მერე, ვარდების ხელისუფლების დროს, 2004 წელს სასამართლომ რა გადაწყვეტილებაც მიიღო, ვამბობთ, რომ ვერ დაადგინეს სიმართლე. მთავარმა პროკურორმა თქვა, რომ ჩვენ უნდა მივუთითოთ საქმის მასალებში არსებული დარღვევების შესახებ და გამოვაცხადოთ უნდობლობა. ჩვენ ისედაც ვამბობდით, რომ საფუძვლიანი დარღვევები იყო და გეგმაზომიერად ნადგურდებოდა ის ნივთმტკიცებები და ყველა სხვა საშუალებები, რასაც შეეძლო, ამ საქმის გამოძიება წარმატებით დაემთავრებინა. პროკურატურას ნებისმიერ შემთხვევაში ევალება და ხელს არ უშლის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ საქმეზე ძიება და სხვა მონაწილეების თუ გარემოებების დადგენა გააგრძელოს. იმის საფუძველზე, რომ ჩვენ არც ერთ ეტაპზე ვენდო-

→ 8

გახლდათ და ძალიან დაკავებული იყო. სულ ვიცოდით, რომ ნაჩუქარი იარაღი უნდა გაგვეფორმებინა, რომ სახლში სეიფში კანონიერად ყოფილიყო შენახული. თავისი სამსახურის და მოუცლელობის გამო ვერ მოახერხა და ეს უბედურებაც დატრიალდა, მაგრამ ეს საკითხი ჩემთვის მეასეხარისხოვანია. საშინელება ისაა, რომ ადამიანი გარდაიცვალა.

— თქვენი სიძე პოლიციელია?

— კი, ის მოქმედი პოლიციელია.

მომხდარის შესახებ „სარკესთან“ ზვიად ქავთარაძის ადვოკატმა, კახა შონიამაც ისაუბრა.

კახა შონია, ზვიად ქავთარაძის ადვოკატი:

— პროკურატურამ სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა და ქავთარაძისთვის პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა. ამ მოთხოვნას მხარი არ დავუჭირეთ და სასამართლოს გირაო შევთავაზეთ სათანადო არგუმენტებით. მიმალვის და მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელისშეშლის საშიშროება არ იყო, ამიტომ სასამართლომ ჩვენი შუამდგომლობა დაკმაყოფილა და ზვიადს გირაო შეუფარდა 15 000 ლარის ოდენობით.

— რა და როგორ მოხდა იმ დღეს, შეგიძლიათ გვითხრათ?

— იმ დღეს ლადო ვარძელაშვილის სახლში იყვნენ შეკრებილი. ისინი ყველანი მეგობრები არიან. მათ შორის, გარდაცვლილიც. ლადოსთან იარაღის კოლექციას ათვალიერებდნენ. ამ დროს ქავთარაძემ ერთ-ერთი, „TT“-ს სისტემის იარაღი აიღო და იქიდან უნებლიე გასროლა მოხდა, რასაც მისი ბავშვობის მეგობარი, დევი სირაძე ემსხვერპლა.

ირინა ონაშვილი: „სულ ვიცოდით, რომ ნაჩუქარი იარაღი უნდა გაგვეფორმებინა, რომ სახლში სეიფში კანონიერად ყოფილიყო შენახული. თავისი სამსახურის და მოუცლელობის გამო ვერ მოახერხა“.

— ის ლადოს ბავშვობის მეგობარიც იყო?

— ეს არ ვიცი, მაგრამ ქავთარაძე და გარდაცვლილი ერთმანეთისთვის უახლოესი მეგობრები იყვნენ. ისინი დუბაიშიც ერთად იყვნენ წასული, ახლახან ჩამოვიდნენ იქიდან.

— რამდენად მაღალი იყო ალბათობა, რომ იარაღიდან შეიძლებოდა ტყვია გავარდნილიყო?

— იარაღზე ჩამოვარდა ლაპარაკი და ლადომ მათ კოლექცია დაათვალიერებინა. ლადომ მჭიდი ამოაცალა იარაღს და ისე მისცა ქავთარაძეს. ლულაში ერთი ცალი ტყვია ყოფილა ჩარჩენილი, რაც იარაღს ვიზუალურად არ ეტყობოდა და ეგრევე გავარდა, ანუ ტყვია თავისით გავარდა. ეს ძალიან ძველი სისტემის კონსტრუქციის პისტოლეტია და ეგრეთ წოდებული დამცავი არ აქვს. პირდაპირ, პატარა ბიძგზე შეიძლება გავარდეს და ასეც მოხდა. ეს ყველაფერი ზვიადისთვის საშინლად მძიმე იყო, მის მდგომარეობას სიტყვებით ვერ გადმოგცემთ და ვერც ლადოს მდგომარეობას. მან კომენტარიც კი გააკეთა, მერჩია, ის ტყვია მე მომხვედროდაო. მის ოჯახში უდიდესი ტრაგედია დატრიალდა!

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

ბოდით გამოძიებას და ყველაფერი გაყალბებული იყო, მივმართავთ მთავარ პროკურატურას, ახალ ხელისუფლებას, რომ დაინტერესდეს ამ საქმით და ობიექტურად გამოიძიოს. მხოლოდ ჩვენს ოჯახს კი არა, ალბათ არავის ეპარება ეჭვი, რომ ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა. ის მაღალჩინოსნები უნდა დაიბარონ და დაკითხონ, რომლებსაც ამ საქმესთან შეხება ჰქონდათ.

— გიორგი მოკლეს შეკარდნაძის ხელისუფლების დროს. ჯერ კიდევ მაშინ არსებობდა ეჭვი, რომ ეს დანაშაული სწორედ იმ ადამიანებმა ჩაიდინეს, ვინც მერე ვარდების რევოლუციით ხელისუფლებაში მოვიდნენ. ამ ეჭვს ალბათ ისიც აძლიერებს, რომ მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც ჯერ წავიდა გამოძიება სწორი გზით.

ვახო: ისევე, როგორც თქვენ, პასუხი არც მე მაქვს. შეიძლება რაღაც ვარაუდები არის, მაგრამ ახლა დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. ეს კითხვა არსებობს და, რა თქმა უნდა, მეც მაქვს. მუდმივად ვსვამდი კითხვას, რატომ იყო ეს საქმე აქამდე გამოუძიებელი. იმედი მაქვს, ეს პროკურატურა ამ ყველაფერზე პასუხს გაგვცემს — ვინ იყო ჩარეული, როგორ... ჩვენ კი პროკურატურას ყველაფერში დავეხმარებით. კონკრეტულ სახელებსა და გვარებზე ლაპარაკი რომ დავიწყო, შეიძლება სწორედ ამ გამოძიებას შევუშალო ხელი. შეიძლება ვიღაცამ იმოქმედოს, თუ კონკრეტულ დეტალებს დავასახელებ, ამიტომ ჩემს ვარაუდებზე, მოსაზრებებზე, რა როგორ კეთდებოდა, ვინ რა ფუნქციის მატარებელი იყო ამ მკვლელობის დროს და მკვლელობის შემდეგ, ყველაფერს გავაცნობ პროკურატურას. ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოება ყველა ეტაპზე იყოს ინფორმირებული, თუ როგორ მიმდინარეობს გამოძიება, რადგან ხალხის ინტერესს და მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდით.

ძალიან საფუძვლიანი ვარაუდები, მოსაზრებები და ინფორმაცია მაქვს ამ საკითხზე. რა თქმა უნდა, მე და ჩემმა ოჯახმა უფრო მეტი ვიცით ამ საქმესთან დაკავშირებით და დიდი იმედი მაქვს, რომ მალე ყველა გაიგებს.

— ანუ ადასტურებთ, რომ ამ საქმის ობიექტურად გამოძიებისთვის აუცილებელი იყო ხელისუფლების ცვლილება?

ვახო: თუ ეს საქმე აქამდე არ გაიხსნა და ახლა გაიხსნება, საზოგადოებამ დასკვნა თვითონ უნდა გააკეთოს.

— გიორგის შვილი, სანდრო, როგორი ბიჭია? ალბათ სწავლობს.

ვახო: კარგი ბიჭია, სწავლობს. ცოტა რაღაცეები ეზარება, მაგრამ ეს მის ასაკში ნორმალურია. მეც ასე ვიყავი. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, ყველა საგანი მესწავლა. რაც აინტერესებს, ის უნდა ისწავლოს. დანარჩენი მის სურვილზეა დამოკიდებული.

სანდრო: ამჟამად მხოლოდ სწავლით ვარ დაკავებული და თავისუფალი დრო ნაკლებად მაქვს.

— რომელი საგნები უფრო გიყვარს?

სანდრო: ჰუმანიტარული საგნებისკენ უფრო ვიხრები. ისტორია, გეოგრაფია მიყვარს. ტექნიკური საგნებისგან განსხვავებით, ჰუმანიტარულები უფრო საინტერესოდ მეჩვენება. მე-11 კლასში ვარ და ძირითადად ერთფეროვანი ცხოვრება მაქვს — სკოლა და სახლი.

— პროფესიის არჩევაზე უკვე იფიქრე?

სანდრო: პროფესიას რაც შეეხება, ხშირად მეცვლება აზრი. შარშან ჟურნალისტობა მინდოდა, შარშანწინ — სხვა რამ. ახლა ჟურნალისტობას აღარ ვაპირებ. საერთაშორისო ურთიერთობებზე სწავლა, დიპლომატობა მირჩევნია. დღეს ჟურნალისტობა ნაკლებად მიზიდავს, რადგან რთულად მეჩვენება.

ვახო: არც არის აუცილებელი, ჩვენთვის ჟურნალისტობა დინასტიური პროფესია იყოს. სანდროს გადაწყვეტილებას მივესალმები. თუ მისი სურვილი იქნება, ხელს შევუწყობ და დავეხმარები, რითაც შემეძლება, მაგრამ პროფესიაში ძირითადი საქმე მაინც მისი გასაკეთებელი იქნება. მომხრე ვარ, რომ ადამიანმა დამოუკიდებლად გააკეთოს რაღაც. სულ არ არის აუცილებელი, სანდრო ჟურნალისტი იყოს.

— რთულია, ამბობს.

ვახო: რთულია, მაგრამ არ მგონია, მან ეს ვერ შეძლოს. კაცია და გუნება. ვიღაცას ჟურნალისტიკა მოსწონს, ვიღაცას კოსმონავტობა და ა.შ. მის ასაკში მე მხოლოდ ფეხბურთი მიყვარდა და სხვა არაფერი. მერე მეც შემეცვალა შეხედულებები და ეს ნორმალურია. ისიც ნორმალურია, 17-18 წლის ასაკში ადამიანი რომ პროფესიას აირჩევს და 25 წლისას მოუნდება, სხვა სფეროში სცადოს თავისი ძალები. ცოტა ვინმე თუ მინახავს, 17 წლის ასაკში პროფესიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ბოლომდე გაჰყოლოდა. ასე რომ, სანდროს ჯერ კიდევ ძალიან ბევრი დრო აქვს, რომ ისევ მოუბრუნდეს თავის ჟურნალისტურ ფიქრებს ან საერთოდ აღარ იფიქროს.

ვახო: „სანდროს უნდა, გაიგოს, რა როგორ იყო და მე ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ახ გვინდა, იუხიდიული საკითხებით დავტვირთოთ. ამაზე უნდა იფიქროს, მაგრამ ეს მას ახ უნდა ამძიმებდეს. ჰქონდა და უნდა ჰქონდეს ისეთი ბავშვობა და ახალგაზრდობა, როგორიც საჭიროა".

სანდროს ენების შესწავლა მოსწონს. ბევრი ენა იცის და კიდევ სწავლობს — რუსული, ინგლისური, იტალიური და გერმანული. რა მიმართულებითაც უნდა წავიდეს, ენების ცოდნა ყოველთვის გამოადგება. ჩვენ არაფერში ვაჩქარებთ. ბევრი დრო აქვს და თავად გადაწყვეტს. არჩევანის სრული თავისუფლება აქვს. მეც ისე გავიზარდე, რომ თავად ვიღებდი გადაწყვეტილებას და ვერ ვიტანდი, ჭკუას რომ მასწავლიდნენ. თვითონ უნდა გააკეთოს არჩევანი.

სანდრო: „ხშირად მეცვლება აზრი. შარშან ჟურნალისტობა მინდოდა, შარშანწინ — სხვა რამ. ახლა ჟურნალისტობას აღარ ვაპირებ. საერთაშორისო ურთიერთობებზე სწავლა, დიპლომატობა მირჩევნია".

შეცდომას დაუშვებს, მისი შეცდომა იქნება, წარმატებას მიაღწევს, მისი წარმატება იქნება.

სანდრო: მეც უფრო რჩევას ვემხრობი, ვიდრე ჭკუის სწავლებას.

ვახო: ჩემი რჩევები კი ძირითადად იმას ეხება, რომ ნუ მოიკლავს თავს ყველა საგნის სწავლით. გაერთოს და ისეთი რამეები იკითხოს, რაც სასკოლო არ არის. მამაჩემი სულ ეუბნება, მათემატიკა ისწავლეო. მეც სულ ამას მაძალებდა მთელი ბავშვობა. გიორგის ყველაფერში ხუთიანები ჰყავდა და მართლა კარგად სწავლობდა, მაგრამ ჰუმანიტარული საგნები აინტერესებდა. მამაჩემის გავლენით კი ფიზიკას და მათემატიკასაც სწავლობდა. მე არაფერს ვსწავლობდი, რაც მინდოდა, იმას ვკითხულობდი და იმავეს ვურჩევ სანდროსაც.

— ვახო, როცა თქვენი ძმა გარდაიცვალა, რამდენი წლის იყავით?

ვახო: 16-ის. ამიტომ მალევე ჩავერთე ამ ყველაფერში და 17 წლიდან უკვე ჩემი პროფესიით ვმუშაობ, ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. იურიდიული განათლებაც მაქვს — თვითნასწავლი იურისტი ვარ. გიორგის ამბავმა მასწავლა. თავიდანვე დიდ ინტერესს ვიჩენდი სასამართლო პროცესების გაშუქებაზე. პოლიტიკურ-სამართლებრივი მიმართულება ჩემთვის ძირითადია. აქედან მივიღე გამოცდილება. კარგი იქნება, სანდრო სკოლას რომ დაამთავრებს, სადმე დასაქმდეს, მაგრამ უფრო მეტი დრო უნდა ჰქონდეს იმისთვის, რომ ცხოვრებით და ახალგაზრდობით დატკბეს.

— სანდრო გარეგნობით საოცრად ჰგავს მამას. პიროვნულად მისგან რა თვისებები გამოჰყვა?

ვახო: ფიზიკურად გიორგის ასლია. გიორგი ჩემზე 10 წლით უფროსი იყო და მისი ბავშვობა არ მახსოვს, მაგრამ ჩემი მშობლები ამბობენ, რომ სანდრო ხასიათით ცოტათი ჰგავს. ოჯახში ფიზიკურად ყველა ერთმანეთს ვგავართ, მაგრამ ხასიათით განსხვავებულები ვართ. მე და გიორგი ამ მხრივ საერთოდ არ ვგავდით ერთმანეთს, აბსოლუტურად სხვადასხვა ტიპაჟები ვიყავით. ჩვენი შუათანა ძმაც, გელა, სხვა ტიპია, მამაჩემიც და სანდროც. მე ჯიუტი უფრო ვარ, სანდრო — პრინციპული.

— სანდრო, მამა როგორი გახსოვს?

სანდრო: ფაქტობრივად არ მახსოვს, რადგან პატარა ვიყავი.

ვახო: მაშინ 5 წლის იყო და რა დაამახსოვრდებოდა?! სანდროს დედამისი, ჩვენ ყველა, მუდამ ვუყვებოდით მამამისზე და თითქმის ყველაფერი იცის. მთავარია ბავშვს მამაზე მუდმივად ელაპარაკებოდნენ. ჩანაწერებიც ნანახი აქვს, გაზეთებიც წაკითხული აქვს.

სანდრო: ვამაყობ, როცა მამაჩემის გადაცემების ვიდეოჩანაწერებს ვუყურებ.

ვახო: საამაყოდ აქვს საქმე, რადგან ძალიან კარგი მამა ჰყავდა. ჩემი აზრით, სანდროც თავისი მამის →71

Cyan Magenta Yellow Black

სტიქაროსნობიდან ბრალდებულის სკამამდე — გიგი უგულავას გზა

■ გიგი უგულავა კარიერის დასაწყისში

საქართველოს დედაქალაქის მერი, გიგი უგულავა, ბრალდებულის სკამზე ზის. დანაშაული, რომელიც მას ბრალად ედება, საბიუჯეტო თანხების უკანონო განკარგვა-მითვისებაა ტელეკომპანია „იმედის“ დაპატრონებისა და „თბილსერვის ჯგუფში“ აქტივისტების დასაქმებისთვის. საუბარია მილიონებზე. თავისუფლების სანაცვლოდ კი პროკურატურამ უგულავას გირაოს სახით 1 მილიონი ლარის გადახდა დაუკისრა. სასამართლო პროცესიდან ის, ამ თანხის გადაუხდელობის მიუხედავად, მაინც გაუშვეს, თუმცა ქვეყნიდან გასვლა აეკრძალა.

— გაქცევას აქამდეც არსად ვაპირებდი და ამ სიამოვნებას ივანიშვილს (საუბარია პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილზე. ავტ.) არ მივანიჭებ, — განაცხადა თბილისის ჯერ კიდევ მოქმედმა მერმა, რომელმაც საგამოძიებო ორგანოებში მის ყოველკვირა გამოცხადების ვალდებულებას ივანიშვილის მიერ პოლიტიკურ იარაღად ქცეული პროკურატურის „გაბანდება“ უწოდა. ცოტა ხნის წინ, დღევანდელ ხელისუფლებაზე საუბრისას, მან საზოგადოებას კიდევ ერთი, ამჯერად ძველი ქართული, საეკლესიო ენაში შემორჩენილი სიტყვით — „ჩუკენობით“ (ანანიზმი, მასტურბაცია) დაამახსოვრა თავი, რომელიც თავისი სტიქაროსნული წარსულიდან თუ ამოუტივტივდა მეხსიერებაში.

■ მიტინგზე გასული საუკუნის 80-იან წლებში

„მახსოვს, გიგი რა ლამაზი და წესიერი ბავშვი იყო. ასეთი კარგი შეხედულება წლების განმავლობაში გამყვა და მასზე ცუდი რომ ვინმეს ეთქვა, არ მესიამოვნებოდა. ახლა რაც გავიგე, პირდაპირ შოკში ვარ. თუ მართლა ასეა, ნამდვილად მადლობელი ვიქნები, რომ ბოლომდე ყველაფერი გაირკვეს და ყველამ საკადრისი მიიღოს“, — თქვა ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში ბადრი პატარკაციშვილის დედამ, ქალბატონმა ნათელა პატარკაციშვილმა, როცა გაიგო, რომ „იმედში“ დატრიალებული მაქინაციების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გიგი უგულავა ყოფილა.

გიგი უგულავა 1975 წლის 15 აგვისტოს თბილისში, მთაწმინდაზე დაიბადა და გაიზარდა. თბილისის პირველი საშუალო სკოლა დაამთავრა. ძირძველი თბილისელია. სამსართულიანი სახლი, რომელიც მთაწმინდაზე უგულავების საკუთრებაა, მის წინაპრებს ოქტომბრის რევოლუციამდე შეუძენიათ.

— ჩვენი ბაბუა მე-19 საუკუნეში ჩვენ გვერდით მდებარე სახლში დასახლდა. ეს სახლი კი ოქტომბრის რევოლუციამდე იყიდა. აი, რა დონის თბილისელები ვართ. ოქროს ფულითაა ნაყიდი, ნასყიდობის მოწმობაც გვაქვს, — იხსენებდა გიგი უგულავას მამა, ბატონი არჩილი, 2005 წლის ზაფხულში „სარკესთან“, როცა მისი შვილი დედაქალაქის მერად აირჩიეს.

მაშინ მშობლებს უამრავი ნაცნობ-უცნობი ულოცავდა. „ისეთმა ადამიანებმა დაგვირეკეს, 10 წელი რომ არ გავხსენებივართ. მეტიჩრული გამოხდომებიც იყო — ისეთია, თბილისს რომ უნდა ჰყავდესო. თან ძირძველი თბილისური ოჯახი გვაქვს და ამას უსვამენ ხაზს“, — ამბობდა მაშინ გიგი უგულავას დედა, ქალბატონი მანანა ქართველიშვილი.

დაახლოებით 38 წლის წინ ექიმებმა კენჭი ყარეს და 7 ხმით 6-ის წინააღმდეგ გადაწყდა, რომ მანანა ქართველიშვილისთვის აბორტი არ გაეკეთებინათ — ბავშვი დაბადებულიყო. ეს ბავშვი, რომლის დაბადებაც ბეწვზე ეკიდა, გიგი უგულავა გახლავთ. ეს ამბავიც მისმა მშობლებმა „სარკეს“ წლების წინ უამბეს. მოგვიანებით მამა თურმე ჩვილს დასჩერებოდა და გაოცებული იმეორებდა, ნუთუ შეიძლებოდა ასეთი ლამაზი ბავშვი არ დაბადებულიყოო.

არჩილ უგულავა პროფესიით ფიზიკოსია. ქალბატონი მანანა ინგლისური ენის სპეციალისტი გახლავთ. ისინი თანაკლასელები იყვნენ. ხუმრობდნენ, ერთმანეთი პირველი კლასიდან გვიყვარდაო. 24 წლის ასაკში შეუღლდნენ. გიგი ოჯახში მეორე ვაჟია. მისი ბაბუა, ირაკლი უგულავა, ჯერ მსახიობი იყო, მერე ცნობილი ჟურნალისტი. გიგი უგულავამ თსუ-ის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ თავიდან ბაბუას კვალს გაჰყვა, ჟურნალისტობამ მოხიბლა. ზუსტად იმ დროიდან გამოჩნდა საზოგადოებაში. სასულიერო სემინარიის სტუდენტიც გახლდათ და სტიქაროსანიც. სასულიერო ცხოვრება 9 აპრილის მოვლენებამდე დაიწყო. სულ პატარა იყო, როცა დილაობით 6 საათზე დგებოდა და ლოცვას კითხულობდა. სემინარიაში ორი წელი ისწავლა და მერე გერმანიაში გაემგზავრა. იქ მაღაზიებში, მშენებლობებზე, ქარხნებში შავ მუშად მუშაობდა. მდიდარი

→74

GELENK NAHRUNG

გელენკ ნარუნგი
სახსრების საკვები
სახსრების და ხერხემლის პრობლემები
● ახდენს ძლიერ აღდგენით მოქმედებას სახსრებსა და ხრტილოვან ქსოვილზე
● აააქტიურებს სახსარშიდა სითხის გამომუშავებას
ერთი შეფუთვა გათვლილია სრულ კურსზე — 85 დღეზე
ფრანგული გერმანული ხარისხი!
ანთებითი პროცესების შემთხვევაში რეკომენდებულია ანთების საწინააღმდეგო ტკივილგამაყუჩებელი
გელენკ ემ-ეს-ემ-ის
მიღება გელენკ ნარუნგთან ერთად

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ☎ 236 81 82
მოხმარებამდე გაეცანით ინსტრუქციას
მწარმოებელი ProVista AG. პანოვერი, გერმანია.
საქართველოში რეგისტრირებულია ნსრ/ა -000419

LEZITHIN-SUPER ლეციტინი-სუპერი
● არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში.
● აუმჯობესებს ღვიძლის ფუნქციონირებას. იცავს მას ალკოჰოლური, მედიკამენტოზური და სხვა მავნე ზემოქმედებისგან.
☎ 214-34-36

Cyan Magenta Yellow Black

კობა დავითაშვილის ბიჭს ნათლია პრეზიდენტზე გული სწყდება

ინგა ბიწაძე: „ჩემი ქმარი ქალიშვილზე ოცნებობს“

■ ინგა ბიწაძე

პარლამენტის დეპუტატი, უმრავლესობის წევრი კობა დავითაშვილი ოჯახის წევრებს ხშირად ანერვიულებს. მაყურებელს ტელევიზიით არაერთხელ უნახავს მისი მუშტიკრივი. ნაციონალების ხელისუფლებასაც, თავის მხრივ, არ დაუკლია მისთვის. რამდენჯერმე ისე სასტიკად გაუსწორდნენ მაშინდელ ოპოზიციონერს, რომ ცოცხალი ძლივს გადარჩა, თუმცა ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყა.

ფიცხი პოლიტიკოსის იმიჯი კი აქვს, მაგრამ სახლში თურმე მშვიდია. ამაში ოჯახის წევრებიც უწყობენ ხელს, ცდილობენ, ზედმეტად არ შეაწუხონ, არ ანერვიულონ.

ბატონი კობა 41 წლის არის. ის ეკონომისტ ნელი ჯანიაშვილისა და რკინიგზელ რომან დავითაშვილის ოჯახში, მშობლების ქორწინებიდან 7 წლის შემდეგ დაიბადა. დავითაშვილების ოჯახის ნანატრი და ერთადერთი შვილია.

— კობას იმდენად მკაცრად ვზრდიდით, მას მხოლოდ ძილში ვეფერებოდი. გვეშინოდა, ზედმეტად არ გათამამებულიყო. უმაღლეს სასწავლებელში პირველივე წელს ერთი გამოცდით ჩაირიცხა, ძალიან კარგი სტუდენტი იყო. ბავშვობიდან ჭადრაკი და ჭიდაობა იტაცებდა. ჭადრაკს გარეთ გაიტანდა და სანამ მეგობრები შეიკრიბებოდნენ, საკუთარ თავს ეთამაშებოდა, — იხსენებს „სარკეთან“ ქალბატონი ნელი.

დედას ძალიან მძიმედ ახსენდება კობას გაპარვა აფხაზეთის ომში და უფალს მადლობას სწირავს, რომ შვილი ცოცხალი დაუბრუნდა.

დეპუტატის მეორე ნახევარმა, ინგა ბიწაძემ, ცოლქმრული ცხოვრებიდან საინტერესო პერიოდები გვიამბო.

— ქალბატონო ინგა, ძალიან აქტიური, ასე ვთქვათ, ბობოქარი ქმარი გყავთ. ასეთი ადამიანის ცოლობა რთული არ არის?

— აქტიური პოლიტიკაშია და არა — ოჯახში. თუ ძალიან არ გაგვიჭირდა, კობას არ ვაწუხებთ, ოჯახის პრობლემებში არ ერევა. მთლიანად პოლიტიკაშია გადართული, ამიტომ სახლში რომ მოდის, ისვენებს და ჩვენც ზედმეტად არ ვაწუხებთ. გვეუბნება, დაღლილი ვარ და ნუ მალაპარაკებთო. როცა პოლიტიკაზე რამე მაინტერესებს, მოკლე საუბრები გვაქვს. როცა კობა სახლშია, ვცდილობთ, არ ვიხმაუროთ. ამდენი შვილი გვყავს და ყველამ ჩუმადაც რომ იაროს, მაინც ხმაური იქნება. კობას ცოლობა, რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ ამას უკვე მივეჩვიე, იმუნიტეტი გამომიმუშავდა. ის თავიდანვე ძალიან აქტიური იყო, თუ რამის გაკეთება უნდოდა, ცდილობდა, ბოლომდე თავისი გაეტანა და ანგარიშს არავის უწევდა. ამის გამო უსიამოვნებებიც ხშირად ხვდებოდა. გახსოვთ, „მოქალაქეთა კავშირიდანაც“ წამოვიდა, მერე ნაციონალებიდანაც.

— ახლა კინადამ „ოცნებაც“ დატოვა. რატომ არის მის გარშემო მუდმივად ხმაური?

— ჯერ ქვეყანა იმ დონემდე არ არის მისული, რომ ის ბოლომდე კმაყოფილი იყოს. ქვეყანაში კანონის უზენაესობა არ არის. სანამ ეს არ მოხდება, კობა არ მოისვენებს. არასტაბილური ნამდვილად არ არის, უბრალოდ ის ადგილი ვერ იპოვა, სადაც იმას გააკეთებენ, რაც თვითონ უნდა. მას ჩემი მხრიდან სულ ჰქონდა მხარდაჭერა. მეც იურისტი ვარ და მუდმივად მის გვერდით ვარ. პირველად, როცა ნაციონალებიდან წამოვიდა, ჩემ გარდა დედამიწის ზურგზე ერთი ადამიანიც არ იყო, ვინც მას გაამართლებდა. ყველა ამბობდა, რომ მათთან უნდა დარჩენილიყო. ხალხმა მისი წამოსვლა ცუდად აღიქვა. ამბობდნენ, თანამდებობა არ მისცეს და ასე იმიტომ მოიქცაო. მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა და მისი ეს საქციელი მაინც განსჯის საგანია.

„ჯობას ჩხუბი სულ კამერების წინ ხდება. სხვა შემთხვევაში მოჩხუბარი არ მახსოვს, ჭიანჭველასაც კი არ დაადგამს ფეხს“.

■ კობა და მისი ბიჭები

— ბატონი კობა ხშირად ხვდება ცხელი მოვლენების ეპიცენტრში, ერთხელ გაიტაცეს კიდეც. ოჯახი ალბათ გამუდმებით ნერვიულობის „რეჟიმში“ ხართ.

— კობას ჩხუბი სულ კამერების წინ ხდება. სხვა შემთხვევაში მოჩხუბარი არ მახსოვს, ჭიანჭველასაც კი არ დაადგამს ფეხს.

პირველი სერიოზული ჩხუბი ბათუმში იყო, როცა ნაციონალებმა აქცია გამართეს და ასლან აბაშიძის ხალხმა მიტინგის მონაწილეები დაარბია. მაშინ კობა სერიოზულად დაშავდა, მიხეილ სააკაშვილმა და ვანო მერაბიშვილმა კი ბათუმში მიატოვეს. კობას და გივი თარგამაძეს სპეცრაზმი ურტყამდა. კობას მათთვის ასეთი სიტყვები უთქვამს: „ბიჭებო, არ გრცხვენიათ? აფხაზეთში არ მოვკვდი და ბათუმში მკლავთ აქციის გამო?“. კობა იქიდან საშინლად ნაცემი ჩამოვიდა, ერთ ხელს ვერ იყენებდა. როგორც ჩანს, თავშიც ურტყეს, მაგრამ ისეთი ჯიუტია, ექიმთან ვერ წავიყვანეთ. ვარდების რევოლუციის დროს ამიტომაც არ ჩანდა, სახლში იწვა. კონკრეტულად რა დაუზიანდა და რა — არა, არავინ ვიცით.

— რა რეაქცია გქონდათ ბოლო შემთხვევაზე, როცა თქვენმა მეუღლემ პირდაპირ ეთერში სერგო რატიანთან აჩხუბა?

— ჩხუბის მომენტში ტელევიზორი პაუზაზე მქონდა დაყენებული, ბავშვები აქეთ-იქით დარბოდნენ, ვიფიქრე, მერე დავჯდები და ვუყურებმეთქი. საყურებლად რომ დავჯექი, უკვე ტელეფონზე დამირეკეს, ჩხუბობენო. როცა ამ ყველაფერს ვუყურე, ძალიან ვინერვიულე. დიდიხანია წყობიდან ასე გამოსული აღარ მინახავს. ვისაც ასეთი რაღაც არ გამოუცდია, ის იტყვის, რომ კობას უნდა მოეთმინა. ეს იმან უნდა თქვას, ვინც რამდენჯერმეა ნაცემი. თუმცა ამაზე უარესები გადამიტანია და მასთან დაკავშირებით ბევრად მძიმე ემოციები მქონია.

2007 წლის 7 ნოემბერი ჩვენს ცხოვრებაში უმძიმესი დღე იყო. ამ დღის შემდეგ კობა ძალიან ცუდად გახლდათ. სანამ ახალი პოლიტიკური ძალა არ გამოჩნდა, ის ძალიან მძიმე დეპრესიაში იყო. ოჯახის წევრებთანაც მინიმალური კონტაქტი ჰქონდა, თავისთვის იყო ჩაკეტილი. როცა იმედი აქვს, რომ რაღაც უკეთესობისკენ შეიცვლება, მას ვერ იცნობთ, როგორც ჩქარი მდინარე, ისეა ხოლმე აზვირთებული. სხვა შემთხვევაში კი საერთოდ უმოქმედოა. დეპრესიაში ქვეყნის მდგომარეობის გამო ვარდება ხოლმე. 7 ნოემბრის შემდეგ კობას თავზე ნაკერებიც ჰქონდა, იქნებ ტვინის შერყევაც ჰქონდა, მაგრამ ექიმთან ისევ მისი სიჯიუტის გამო ვერ წავიყვანეთ. ახლა იქ ვარ საჭიროო, ამბობდა და აქციაზე მირბოდა. ექიმი სახლში მოვიყვანეთ, კობა კარში ოთხმა კაცმა დავიჭირეთ და შრატი ისე გავუკეთეთ.

მაშინდელი გატაცების შემდეგ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს. რკინის ხელკეტებს ურტყამდნენ. აღმოჩნდა, რომ კისრის მალები ამოვარდნილი აქვს და ხერხემალზე სერიოზული პრობლემები შეექმნა. ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ბოლო დროს უფრო და უფრო გაურთულდა. ხერხემალში გამაყუჩებელი აქვს გაკეთებული და ასე დადის, სიარულიც არ შეეძლო.

„სხვათა შორის, ვიგჰძენი, ჰომ ჰატიანი ჭიქას ისჰოდა, ისე ნეჰვეულად ათამაშებდა და ჯობას ესემესიც გავუგზავნე, ნყობიდან ჰა გამოხვიდეთეთქი, მაგჰამ ნაჯითხვა ვეჰ მოასნჰო“.

— როცა ტელევიზიიდან სახლში დაბრუნდა, რა უთხარით?

— ვამშვიდებდი. სხვათა შორის, ვიგრძენი, რომ რატიანი ჭიქას ისროდა, ისე ნერვულად ათამაშებდა და კობას ესემესიც გავუგზავნე, წყობიდან არ გამოხვიდე-მეთქი, მაგრამ წაკითხვა ვერ მოასწრო.

— თქვენი აზრით, კობას პოლიტიკოსისთვის საჭირო რა თვისებები აქვს და რა აკლია?

— ძალიან გამჭრიახია, ყოველთვის იცის, რა დროს რა გააკეთოს. მიზანდასახულია, მაგრამ ვერ ითმენს ხოლმე. ეს შეიძლება პოლიტიკოსისთვის სისუსტედ ჩაითვალოს, მაგრამ ამას ადამიანურად მინუსად არ ვთვლი. კობას, როგორც პოლიტიკოსს, იცით, რა აკლია? კომპრომისზე არ მიდის. თუ გაბრაზდა, ფეთქებადიც არის, მაგრამ ეს იშვიათად ხდება.

— ოჯახშიც ფეთქებადი და უკომპრომისოა?

— კი. მე ვიცი, რომ მასთან არაფერი უნდა შემეშალოს. თუ რაღაც შეგნებულად შემეშალა, მორჩა! როგორიც გარეთ არის, ისეთია სახლშიც, დიდი სხვაობა არ არის.

თუ სუფრასთან ისეთ ადამიანებთან ზის, ვისაც უგებს, ძალიან გულგახსნილი და მხიარულია, მოლხენაც უყვარს.

— რაზე შეიძლება გაგიბრაზდეთ?

— მაგალითად, იმაზე, რაღაცას რომ იტყვის და ზუსტად ისე არ გავაკეთებ. არ შეიძლება მის ნათქვამს პატარა ინტერპრეტაციაც კი გაუკეთო. მაქსიმალურ ყურადღებას ითხოვს, თუმცა არ ჩხუბობს. შეიძლება გაბრაზდეს, თუ თავისი ნივთი უცებ ვერ იპოვა. სადაც დადებს, ყველაფერი იქ უნდა დახვდეს. ადრე, როცა ადვოკატი იყო, პროცესის დაწყებას წუთები რომ აკლდა, მაშინ მთხოვდა კოდექსის მოძებნას და მეც მაშინვე უნდა მიმეტანა. ამას ვახერხებდი. მოკლედ, რაც უნდა, ძალიან ოპერატიულად უნდა მიაწოდო.

— ხუთი შვილი გყავთ და ხუთივე ბიჭი. მათ აღზრდაში რა მეთოდებს იყენებთ?

— ლუკა 15 წლისაა, თორნიკე — 13-ის, მათე — 12-ის, ბართლომე — 10-ის და პატარა ანდრია — 4-ის. კობა ბავშვებს ძალიან ანებივრებს, ყველაფრის უფლებას აძლევს, არაფერში ზღუდავს. უფროსმა ბიჭმა მეგობრებში სიარული დაიწყო, მე სულ მეშინია, ვურეკავ, მალე მოდი-მეთქი. კობა კი მეუბნება, შეეშვი, ბიჭიაო. არ სთხოვს, რომ გაკვეთილები კარგად ისწავლონ. ამბობს, ძალას ვერ დავატან, თუ უნდათ, ისწავლონ, თუ არ უნდათ, ნუ ისწავლიანო. ამაში არ ვეთანხმები. ბავშვს სწავლა ზოგჯერ უნდა აიძულო კიდეც. შვილებს უარს არაფერზე ეუბნება. პატარა ანდრია განსაკუთრებულად განებივრებული ჰყავს, სულ ეფერება. სხვათა შორის, ანდრია კობას ჰგავს, მასავით ჯიუტია, რაც უნდა, იმას ვერ გადაათქმევინებ, აზრს ვერ შეაცვლევინებ. რაც არ უნდა, იმას ვერ ჩააცმევ, ვერ აჭმევ. კობა ჭამაში პრეტენზიული არ არის, მაგრამ ჩაცმაში — კი.

— ტანსაცმელს თქვენ ურჩევთ?

— კი. თვითონ ეს საკითხი არც აინტერესებს და არც აწუხებს. თუ ახალ რამეს ვუყიდი, ვინ დაგავალაო, მეუბნება. თუ მოხერხებულად არ გრძნობს თავს, არ ჩაიცვამს. თუ ერთხელ რამე დაიწუნა და „დაბლოკა“, დამთავრდა, იმას არ გაეკარება. კობას ტანსაცმლის კოლექცია მაქვს, ბევრი ისეთი რამ აქვს, ხელიც რომ არ გაუყრია და ისე დაიწუნა. ძველი ტანსაცმლის ამოჩემება იცის, სანამ ტანზე არ შემოადნება, ვერაფერით გახდი. ერთი ქურთუკი ჰქონდა ამოჩემებული. ბოლოს საყელო დაეხა და მეხვეწებოდა, ერთხელაც ჩავიცვამ, ზუგდიდში მივდივარ, იქ შეიძლება კვერცხები დაგვიშინონ და ძველი მეცვასო.

— ოჯახური ფუნქციები როგორ გაქვთ გადანაწილებული?

— ძირითადად ყველაფრის ორგანიზებას მე ვაკეთებ, კობას ეს ნაკლებად ეხება. ის ფინანსურად გვეხმარება, დანარჩენს თვითონ ვახერხებ. მისი საყიდლებზე წაყვანა არც შეიძლება, არჩევა არ იცის, რაც ხელში მოყვება, იმას იყიდის.

— ქალიშვილი არ გინდათ?

— კობას ძალიან უნდოდა, მაგრამ არ გამოვიდა. ბიჭები ხშირად დედის მხარეს არიან. ამბობს, მეც მინდა, ერთი ჩემს მხარეს იყოსო, მაგრამ გოგო არაფრით გამოგვივიდა. პირველი სამი კარგად სწავლობს, მეოთხე, ანუ ბართლომე, ცოტა ზარმაცია. ძალიან გონიერი ბავშვია, მაგრამ წიგნის გადაშლა ეზარება. უფროსი შვილები მორცხვობენ, სკოლაში რომ ცნობენ. ლუკას მასწავლებლები ხშირად კობათი მიმართავენ.

— ბატონი კობა თუ დადის მშობელთა კრებებზე?

— კი, ბართლომეს მშობელთან კრებაზე გავუშვით, რადგან ძალიან ცელქი და ზარმაცია. მისმა წასვლამ შედეგიც გამოიღო. სხვათა შორის, ბართლომეს როცა ვუბრაზდები, საჩივლელად მამასთან მიდის. როცა ვეკითხები, მამაშენთან რატომ მიდიხარ-მეთქი, იცით, რას მპასუხობს? ის სამართლიანია და სწორად განსჯის, ჩვენს შორის მტყუანი ვინ არისო. ამ პატარასაც თუ დავსჯი, კობათი მემუქრება, მოიცადე, მამა მოვიდესო. კობა ყოველთვის ბავშვების მხარეს იჭერს.

— ცოლ-ქმარი იურისტები ხართ და, როგორც ვიცი, ერთმანეთიც საერთო პროფესიამ გაგაცნოთ.

— მე სტუდენტი ვიყავი და კობას ადვოკატობა ახალი დაწყებული ჰქონდა. ერთმანეთს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ შევხვდით. ორწელიწადნახევარი ერთმანეთს ვაკვირდებოდით და ოჯახი შემდეგ შევქმენით.

— თქვენს ურთიერთობაში, ცოლქმრულ ცხოვრებაში იყო სირთულეები?

— რა თქმა უნდა. თავიდან ძალიან გამიჭირდა. ვერ ვიტყვი, რომ ადვილად შევეგუეთ. განსხვავებული ტემპერამენტი გვაქვს, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერს შევეჩვიეთ. ახლა ვინ როგორ ვთმობთ, არ გამიზომია, მაგრამ ვიცი, მას რა უხარია, რას ფიქრობს, როგორ სუნთქავს. ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. კობა უთქმელად ხვდება, ხასიათზე ვარ თუ არა. ვთვლი, რომ საინტერესო ცხოვრება გვაქვს. 2003 წლის შემდეგ სულ საფრთხის ქვეშ ვიყავით. სამჯერ ტერაქტის მოწყობის მცდელობაც იყო. ახლა კი სტაბილური პერიოდი გვაქვს.

— არასდროს გითხოვიათ ქმრისთვის, რომ პოლიტიკას შეშვებოდა?

— რომ მეთქვა, წამოვიდოდა?! ან ეგრე ადვილია წამოსვლა?! თუმცა არც მითქვამს. სხვათა შორის, არც მეგონა, პოლიტიკოსის მეუღლე თუ გავხდებოდი. მე ცოლად იურისტს გავყევი და ბოლოს თავი აქ ამოვყავი.

— ხომ არ ნანობთ?

— არა, არასოდეს მინანია. როცა იურისტი იყო, მშვიდი ცხოვრება გვქონდა, ახალშექმნილი ოჯახით ვტკბებოდით. მას შემდეგ, რაც ის პოლიტიკაში წავიდა, მასზე ვართ მორგებული, ყოველთვის მისი გრაფიკის მიხედვით ვაწყობთ გეგმებს. დიდიხანია, თითქმის 10 წელია, რაც ოჯახს ერთად არ დაგვისვენია. მანამდე სულ ბავშვებთან ერთად მივდიოდით დასასვენებლად.

— მისეულ საკაკუშვილი თქვენი შვილის ნათლიაა. ნათლულთან აქვს ურთიერთობა?

— არა. თორნიკემ რამდენჯერმე სცადა ურთიერთობის აწყობა, ფეისბუქზეც მისწერა, მაგრამ პასუხი არ მოუწერია. ყველაფრის მიუხედავად, მაინც აქვს გრძნობა, რომ მისი ნათლიაა.

— სანამ თქვენი მეუღლის და მისეულ საკაკუშვილის გზები გაიყრებოდა, მანამდე როგორი ურთიერთობა ჰქონდა ნათლულთან?

— მანამდე ჩვეულებრივად მოდიოდა, თორნიკეც ძალიან ბედნიერი იყო. ბოლოს 2004 თუ 2005 წელს ნახა, კალთაში ჩაისვა, მოეფერა. რაც კობას და მისი გზები გაიყარა, კონტაქტი აღარ გვაქვს. თორნიკე ძალიან განიცდიდა, ამბობდა, ნათლიები ყველასთან მიდიან, ჩემთან კი არაო. მეორე ნათლიაც სტრასბურგშია. ახლა ცოტა გაიზარდა და ხვდება, ისე აღარ განიცდის.

— თქვენ მუშაობთ?

— არა, პარლამენტში ვმუშაობდი, ჯანდაცვის კომიტეტში წამყვანი სპეციალისტი ვიყავი. სამსახურიდან ნოემბერში წამოვედი, რადგან ქუთაისში სიარულს ვეღარ შევძლებდი.

✓ ეკა ლემონჯავა

„7 ნოემბრის შემდეგ კობას თავზე ნაჯახებიც ჰქონდა, იქნებ ტვინის შეხყევაც ჰქონდა, მაგრამ ექიმთან ისევ მისი სიჯიუტის გამო ვეჩ ნავიყვანეთ. ახლა იქ ვარ საჭიროო, ამბობდა და აქციაზე მიიბოდა. ექიმი სახლში მოვიყვანეთ, კობა ჯარში ოთხმა ჯაცმა დავიჭიჩეთ და შიატი ისე გავუჯეთეთ“.

■ ინგა შვილებთან ერთად

„ბიჭები ხშირად დედის მხარეს არიან. კობა ამბობს, მეც მინდა, ერთი ჩემს მხარეს იყოსო, მაგრამ გოგო არაფრით გამოგვივიდა“.

„ყოფილი ქმრის დაქალის შვილი საკუთარივით გავზარდე“

ახლობლები დიდიხანია მეუბნებიან, რომ ჩემი ამბავი დავწერო, მაგრამ ამისთვის ვერ მოვიცალე, თანაც, თითქოს არც ვთვლიდი საჭიროდ, მთელი ქვეყნისთვის მომეყოლა, თქვენს ჟურნალს ხომ მთელი საქართველო კითხულობს. ახლახან კი ჩემი ყოფილი ქმარი შემხვდა, რომელმაც მომაძახა, ნეტა, რა გაგიკეთებია, რა თავი წამჭამეო. როგორც ჩანს, უნდა დავწერო, რაც გავაკეთე. იქნებ ის და ვიღაც-ვიღაცეები კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ თავიანთ საქციელზე.

ჩემს ქმარს ერთი დაქალი ჰყავდა, რომელიც ძალიან უყვარდა. თითქმის ერთად გაიზარდნენ, განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ. ის ქალი რძალს მეძახდა, მე მულად ვთვლიდი. მის ცხოვრებაში ძალიან ცუდი რამ მოხდა. ბიჭმა, რომელიც ძალიან უყვარდა, ორსული მიატოვა. ის პერიოდი მე გადავატანინე, ყველანაირად ვუთანაგრძნობდი. მშობლებმა ორსული სახლში არ შეუშვეს, ამიტომ მე წამოვიყვანე. შვილს ლუკმას ვუყოფდი და მას არაფერს ვაკლებდი. რომ იმშობიარა, ჩვილსაც პირველივე დღიდან მე ვუვლიდი. ბავშვი 3 თვის იყო, როცა გამოაცხადა, უცხოეთში უნდა წავიდე სამუშაოდო. შვილზე მითხრა, დროებით ბავშვთა სახლში მივაბარებ, წელში რომ გავიმართები, მერე წამოვიყვანო. გაოგნებული ვუყურებდი. მართალია, ბავშვის მიმართ ყურადღებით არ გამოირჩეოდა, უფრო მეტიც, ერთხელაც კი არ უკოცნია მისთვის, მაგრამ ბავშვთა სახლში ჩასაბარებლად თუ გაიმეტებდა, ვერ წარმომედგინა. მის გულცივობას იმით ვხსნიდი, რომ ბავშვის მამამ ტრავმა მიაყენა. ვფიქრობდი, რომ ამ იარას მოიშუშებდა და კარგი დედა გახდებოდა, მაგრამ შევცდი. თურმე შეიძლება, რომ დედას შვილი არ უყვარდეს, თურმე ყველა დედა დედა არ არის.

თავი შემაცოდა, ტირილი დაიწყო, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. შევეცადე, გამეგო მისთვის. ვუთხარი, ბავშვი ჩემთან დატოვე, მოვუვლი, შენ კი იქნებ მართლა აიწყო ცხოვრება და შვილს სათანადოდ მიხედო-მეთქი. ჩემს გოგოს (ასე ვეძახი მას და საკუთარი შვილისგან არ ვასხვავებ) არაფერს ვაკლებდი. დედა რომ გვერდით არ ჰყავდა, გაათმაგებულად ვეფერებოდი. ჩემებიც გადაფარებული იყვნენ მასზე, ჩემი მშობლები ჯერ მისთვის ყიდულობდნენ ყველაფერს და მერე საკუთარი შვილიშვილებისთვის. ბავშვის დედა ორ-სამ თვეში ერთხელ რეკავდა და შვილს ცივად მოიკითხავდა ხოლმე. თავიდან ძალიან ცოტა ფულს აგზავნიდა, მაგრამ მერე ისიც შეწყვიტა. ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან მე უფრო დიდი პრობლემის წინაშე ვიყავი. ჩემმა ქმარმა საყვარელი გაიჩინა და სახლში დიდი უთანხმოება გვქონდა. მერე კი მიმატოვა და ორი ბავშვით ხელში მარტო აღმოვჩნდი.

გასაჭირში უფალი არასოდეს გვტოვებს, მაშინაც არ დამტოვა. დედობრივმა ინსტინქტმა სიძნელეები დამაძლევინა. ახლობლები, მეგობრები გვერდით დამიდგნენ და ორი შვილი გამაზრდევინეს. ვერ წარმოიდგინეთ, რა კარგი გოგონები მყავს, ანგელოზებივით არიან. თქვენ წარმოიდგინეთ, ნამდვილ დებს ჰგვანან. ვერც კი ვხვდები, გარეგნულად ასე როგორ დაემსგავსნენ ერთმანეთს. ახლა სამსახურიც მაქვს, ზრდილობიანი, ნიჭიერი შვილები მყავს და ბედს არ ვუჩივი.

ალბათ მკითხველს დაინტერესებს, ჩემი გოგონას დედა სად არის ან თუ გვეხმიანება. მასთან კავშირი არ მაქვს და არც მინდა, მქონდეს. როგორც ვიცი, თურქეთში გათხოვდა და სამი შვილი ჰყავს. უკვე მერამდენე წელია, ერთხელაც არ მოუკითხავს ბავშვი, არ ვიცი, გული როგორ უძლებს, არადა ასეთი გულქვა არ ჩანდა. არც მის ახლობლებს აინტერესებთ ბავშვის ბედი. ეს სულ არ მანაღვლებს, უბრალოდ ზოგჯერ შიში მიპყრობს, რომ ისეთ დროს არ გამოჩნდნენ, როცა ყველაზე ნაკლებად ველი და შვილი არ წამართვან. მე ხომ არანაირი საბუთი არ მაქვს, რითიც ჩემი შვილის დაცვას შევძლებ.

ჩემს გოგონას ძალიან ვუყვარვარ. როცა ის მეხუტება, წყენა სულ მავიწყდება, აღარც დედამისზე ვბრაზობ და არც ჩემს ყოფილ ქმარზე. პირიქით, მათი მადლობელიც ვარ, რომ ასეთი ოქრო მაჩუქეს. ისინი უბრალოდ მეცოდებიან, არც ერთმა იცის, რამხელა ბედნიერებაზე თქვეს უარი. ჩემს გოგონებს ჩემი სითბოც ეყოფათ იმისთვის, რომ კარგ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ.

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

„ვერ ვხვდები, მეგობრებმა რაღომ გამრიყეს“

ხანგრძლივი ძიების შემდეგ, როგორც იქნა, სამსახური ვიშოვე. აღფრთოვანებული ვიყავი, რომ სხვების დაუხმარებლად გავიკვლიე გზა. თანამშრომლებშიც გამიმართლა. ორი თანამშრომელი, გოგო და ბიჭი, პირველივე დღიდან ძალიან მომეწონა. ჩემ მიმართ გულისხმიერებას იჩენდნენ. ნელ-ნელა უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს. ყოველ ხელფასზე სადღაც მივდიოდით, ვცდილობდით, ცხოვრება გაგვეხალისებინა და ნახევარი წლის მერე უკვე საუკეთესო მეგობრები ვიყავით. ყველა „ტკბილ სამეულად“ გვთვლიდა. არ ვაყვედრი, მაგრამ მათთვის ბევრი კარგი რამ გამიკეთებია. შემდეგ ისე მოხდა, რომ უფროსებმა სხვა ფილიალში გადამიყვანეს. ძალიან განვიცადეთ, სულ მირეკავდნენ, მეუბნებოდნენ, რომ მათ ძალიან დავაკლდი. ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა. ერთმანეთს კვირაში ერთხელ მაინც ვხვდებოდით. არ ვიცი, როდის და როგორ მოხდა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა გაფუჭდა. აღარ მეხმიანებოდნენ. როცა ვურეკავდი, ცივად მელაპარაკებოდნენ. ერთხელაც ვერ მოვითმინე და ვუსაყვედურე, არ შეიძლება ერთხელ დამირეკოთ და მომიკითხოთ-მეთქი. მეგობარმა გოგომ კი მიპასუხა, ისინი ურეკავენ ერთმანეთს, ვისაც მეგობრების ამბები აინტერესებთო. ანუ მას არ აინტერესებდა, მე როგორ ვიყავი. ამის შემდეგ ორივე დამეკარგა, აღარ მელაპარაკებიან. ასეთ გაურკვევლობაში არასდროს ვყოფილვარ. ამას ჯობდა, სათქმელი პირში ეთქვათ. ხან ვფიქრობ, ნეტა, გვეჩხუბა ან რამე შემშლოდა, ახლა ხომ ამდენი კითხვა აღარ მექნებოდა-მეთქი. არ ვიცი, რა ბრალი მიმიძღვის მათ წინაშე. მივწერე, მაგრამ პასუხი არ გამცეს. ამიტომ აქედან მინდა მივმართო, ასე რატომ გამრიყეთ, მეგობრებო? თქვენთვის ხომ უამრავჯერ დამიმტკიცებია, როგორი მნიშვნელოვანი ადამიანები იყავით ჩემთვის.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

Cyan Magenta Yellow Black

„ნუთუ მილიონერი უნდა ვყოფილიყავი, რომ დედამთილის გული მომეგო?!"

სიყვარულით გავთხოვდი. ჩემმა შეყვარებულმა ცოლობა რომ შემომთავაზა, უყოყმანოდ დავთანხმდი. მაშინ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ასეთი წყალწაღებული ოჯახი ექნებოდა. არ იფიქროთ, რომ ამას მატერიალური თვალსაზრისით ვამბობდე. ჩემმა დედამთილმა შვილის დაოჯახების ამბავი რომ გაიგო, ისტერიკა დაემართა. იცოდა, რომ მდიდარი ოჯახიდან არ ვიყავი და ეს მისთვის უკვე ტრაგედია იყო. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, სახლში არ შეგვიშვა.

21 წლისები ვიყავით. რას ვიზამდით? ჩემი ქმარი, მიუხედავად თავისი ასაკისა, მუშაობდა, მეც მქონდა შემოსავალი და ბინა ვიქირავეთ. დედამთილი თავის შვილსაც არ კითხულობდა, მულმა, რომელიც ჩემი ასაკისაა, ისე მოიკვეთა ძმა გულიდან, რომ გაოგნებული ვიყავი. ვფიქრობდი, დედის მალულად მაინც გვესტუმროს და გამიცნოს-მეთქი. ჩემთვის უცხო იყო ასეთი ცივი ურთიერთობები, რადგან ძალიან თბილ ოჯახში გავიზარდე.

ამასობაში დავორსულდი. მშობლები მედგნენ გვერდით, მეუღლეც ცივ ნიავს არ მაკარებდა. დაზამთრდა და ჩვენი ნაქირავები სახლიც გაიყინა, ვერც ვთბებოდით, სველი წერტილები ეზოში იყო და ორსული ქალისთვის ყოვლად შეუფერებელი პირობები გვქონდა. ავად გავხდი. ჩემი ქმარი სასწრაფო დახმარებას რომ იძახებდა, ექიმები ეუბნებოდნენ, შვილო, ამას სცივა და იმიტომაა ასე, სხვა არაფერი სჭირსო. ამას კი ველარ გაუძლო, მშობლებთან მივიდა და სკანდალი მოუწყო. მათ ჩემი იქ მიყვანის ნება დართეს. ალბათ ძნელი მისახვედრი არ იქნება, როგორ დამხვდებოდნენ. მული ქმარს იყო გაშორებული და ჩემი მდგომარეობა არავის აინტერესებდა. ათასნაირი შეურაცხყოფა მოვითმინე, რა სიტყვებით არ მამკობდნენ, ჩამოთრეულს, შემოვარდნილს მეძახდნენ. ამ ყველაფერს ჩუმად ვითმენდი, სიტყვას არ ვუბრუნებდი.

ამასობაში ჩვენი შვილიც დაიბადა. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ბავშვსაც გადაეკიდებოდნენ. მული ტიროდა და გოდებდა, რომ შვილი უნდოდა და რატომ მას არ ჰყავდა. ათას ტყუილს თხზავდა, რომ მას ბავშვს ხელში არ ვაჭერინებდი და მშობლებს თავს აცოდებდა. ერთ დღესაც დედაშვილი ექიმთან წავიდნენ. იქიდან რომ დაბრუნდნენ, მულმა ნიშნისმოგებით მითხრა, ორსულად ვარო. იცით, როგორ გამიხარდა? ვუთანაგრძნე, როგორც ქალმა ქალს. მიუხედავად იმისა, რომ ცოლიანი კაცისგან იყო ფეხმძიმედ და ეს არ იყო კარგი საქციელი, გავუგე, თანაც ვფიქრობდი, რომ მე და ჩემს შვილს თავს დაგვანებებდნენ. მათი სიბოროტე დავივიწყე და დავყვებოდი ექიმებთან. ჩვილისთვის ტანსაცმელი გადავურჩიე, ყველანაირად მხარში ვედექი, ვარიგებდი, ვამხნევებდი. მას თურმე სხვა გეგმები ჰქონდა. ჩვენთან ერთად ცხოვრება არ აწყობდა, არ უნდოდა, მის შვილს ერთი თეთრი მაინც მოჰკლებოდა.

მულმა დაიწყო ყველანაირი მოქმედება, რომ სახლიდან გავეყარეთ. დედამისს ჩემზე უამრავ ტყუილს ეუბნებოდა, თურმე როგორ დავცინოდი, რომ უქმროდ აჩენდა შვილს და ქმარს დის წინააღმდეგ ვამხედრებდი. ერთ დღესაც დედამთილი აფთარივით შემომივარდა ოთახში და ხუთი თვის ჩვილით ხელში ქუჩაში გამომაგდო. მეგობარმა გვათხოვა თავისი ახლობლის ბინა, სადაც 6 წელი გავატარეთ. ღმერთმა უშველოს იმ ადამიანს! მერე სახლის პატრონს ბინა დასჭირდა და ისევ ქმრის ოჯახში დაბრუნება მოგვიხდა. არაფერი შეცვლილა, ისინი ისეთებად დარჩნენ. მულიშვილი ჩემს შვილს ეჩხუბება, ეს ჩემი სახლია, აქედან წადიო. რაც უფროსებისგან ესმის, იმას იმეორებს. ერთხელ ძალიან გავმწარდი და დედამთილს ყველაფერი პირში მივახალე, ვუთხარი, ისევ ის პატარა, მორცხვი გოგო აღარ ვარ, ველარ დამიბრიყვებთ და ვერც აქედან გამაგდებთ-მეთქი. მისი სახე უნდა გენახათ, მართლა ვერ წარმოედგინა, რომ ენის შებრუნება შემეძლო. მითხრა კიდეც, უყურე ამას, რამხელა ენა ჰქონიაო...

ძალიან დავიღალე, მშვიდი ცხოვრება მენატრება. ჩემს შვილს ჯანმრთელი დედა სჭირდება, მაგრამ, თუ ყველაფერი ასე გაგრძელდება, ნერვები აღარ შემრჩება. არ ვიცი, როგორ დავუძვრე ამათ კლანჭებს. ნეტა, იმის საშუალება მაინც მქონდეს, რომ ბინა ვიქირავო. ნუთუ მილიონერი უნდა ვყოფილიყავი, რომ დედამთილის გული მომეგო?!

თქვენი ერთგული მკითხველი

„19 წლის გოგო დედას შეეყურე, როდის ჩამაცმევს, დამბანს, მაჭმევს"

19 წლის გოგო ვარ. გადავწყვიტე, ჩემი გულისტკივილი „სარკის" მკითხველებისთვის გამეზიარებინა. იქნებ ამით მაინც ვიგრძნო ნუგეში. ცერებრალური დამბლით ვარ დაავადებული, ხელების მოძრაობა მიჭირს, საკუთარი თავის მოვლაც არ შემიძლია. დედაჩემს შევყურებ, როდის ჩამაცმევს, დამბანს, მაჭმევს და ა.შ. დღითიდღე ვრწმუნდები, რომ ჩემს ცხოვრებას აზრი არ აქვს. მინდა, რამე გავაკეთო, მაგრამ ხელები



არ მემორჩილება. ერთი პერიოდი თავის მოკვლაზე ვფიქრობდი, არ მინდოდა, ჩემი მოვლით ვინმე გამეწვალებინა...

ხელმოკლე ოჯახიდან ვარ, ჩემები მზრუნველობასა და სითბოს არ მაკლებენ, მაგრამ ფული არ აქვთ, რომ ოპერაცია გამიკეთონ. ყველანაირი მკურნალობა ჩამიტარეს, მაგრამ ოპერაცია მჭირდება, რომ გამოვჯანმრთელდე. ეს კი დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. რამდენიმე თვეა იმედი ჩამესახა. ერთ-ერთ კლინიკაში აკეთებენ იმ ოპერაციას, რის შედეგადაც სრულიად ჯანმრთელი ვიქნები, 100%-იან გარანტიას მაძლევენ. უფულობის გამო კი სანატრელ ოპერაციას ვერ ვიკეთებ. ყოველღამე ჩუმად ვტირი, ჯერ იმედი არ ჩანს.

თქვენი ერთგული მკითხველი

„ბებიაჩემი დღესაც ცივი თვალებით მიყურებს"

გამოხმაურება

ჟურნალ „სარკის" მე-8 ნომერში დაიბეჭდა წერილი — „რძალმა შვილიშვილებს ჩემი თავი შეაძულა". მინდა, ჩემი წერილიც გამოაქვეყნოთ, ოღონდ ისე არ ჩათვალოთ, რომ ამ ქალს ვეპასუხები. მისი საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს. უბრალოდ ჩემს ამბავს მოვყვები.

მამის დედა ძალიან მიყვარდა. ის რომ გარდაიცვალა, ჩემთვის თითქოს ცხოვრება დასრულდა, საშინლად განვიცადე. მეორე ბებიის — დედაჩემის დედის მიმართ კი აბსოლუტურად არანაირი გრძნობა არ გამაჩნია. მისთვის ცუდი კაცის შვილი ვიყავი და ბოლომდე ასეთად დავრჩი. რომ მივიდოდი, ვცდილობდი, მოვფერებოდი, რადგან მამაჩემის დედისგან ამას ვიყავი მიჩვეული, ის კი ხელს მკრავდა, მომშორდი, შენ და მამაშენმა თავი ნუ მომაბეზრეთო. დიდი სითბოთი არც სხვა შვილიშვილების მიმართ გამოირჩეოდა, მაგრამ ჩემ მიმართ განსაკუთრებით ცივი და მკაცრი იყო.

ის ახლა ძალიან მოხუცია, ხშირად ავადმყოფობს. ბიძაჩემი რამდენჯერაც შემხვდება, სულ მსაყვედურობს, ბებიას არ ნახულობო. მივდივარ ხოლმე, მაგრამ მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით. ახლაც ისეთი ცივი თვალებით მიყურებს... ჩემი არაფერი აინტერესებს, არც ის, სად ვმუშაობ, არც ის, ქმარ-შვილი როგორ მყავს. ღმერთმა კარგად ამყოფოს და დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, თუ ასეთი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. ამიტომ ყველას ვეტყვი, შვილიშვილებს ცივად თუ არ მოექცევით, ისინი აუცილებლად შეგიყვარებენ. პატარა ანგელოზების გულის მოგებას რა უნდა, მოეფერეთ, გულში ჩაიკარით და სიყვარულით დაგაჯილდოვებენ.

„სარკის" მკითხველი

✓ **რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ**

Cyan Magenta Yellow Black

ოლეგ იაძე: „სუსტი ჭკუის ქალები სხვაგან მიყვარს, პოლიტიკაში ჩემ გვერდით ვერ იქნებიან“

კასპის გამგებლის ცხოვრება, მუშაობა და ოცნებები

„მე ვარ პატარა ბიძინა კასპის რაიონში“ — ამ სიტყვებით გაითქვა სახელი კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ოლეგ იაძემ. ახლა ნაციონალები შანსს არ უშვებენ, „პატარა ბიძინა“ არ წამოაძახონ ახალ ხელისუფლებას. ბოლოს ვანო მერაბიშვილმა გიგი უგულავას სოლიდარობისადმი მიძღვნილ აქციაზეც ახსენა — არ დავუთმოთ თბილისს ოლეგ იაძეებსო.

ოლეგ იაძე ცოლ-შვილთან ერთად

ოლეგ იაძეს თანარაიონელმა მარეხ ყამბეგაშვილმაც გაუთქვა სახელი. „კასპი იყო ჩალით დახურული, ოლეგ იაძემ ისეთი ქარაშოტი დაატრიალა, ის ჩალაც აყარა. ხომ ხედავთ, უკვე წვიმს და ირეცხება კედლებიც კასპში. ქარბორბალა ტრიალებს ოლეგ იაძის სახით. ამერიკაში იცის ხოლმე დიდი ქარიშხლები — კატრინა და სხვა. აქ გვყავს ქარიშხალი ოლეგა. ანგრევს ყველაფერს, რაც გზაზე ხვდება“, — თქვა ერთხელ მარეხ ყამბეგაშვილმა, რის შემდეგაც „ვანოს შოუსა“ და „ნანუკას შოუს“ სასურველ სტურად იქცა.

ოლეგ იაძე 1961 წლის 29 მარტს კასპის რაიონის სოფელ მეტეხში, როგორც თავად ამბობს, მუშა-გლეხის ოჯახში დაიბადა. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1971 წლიდან დაიწყო ვარჯიში სამბოში ცნობილი სპეციალისტის, ლავრენტი კაციაშვილის ხელმძღვანელობით. 1978 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და 3 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი გახლდათ. დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი. 1986 წელს საქართველოს ნაკრების გუნდში მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. 1991 წელს არჩევნების გზით უფროსების ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე 2011 წლამდე მუშაობდა. ამბობს, რომ მაშინდელმა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა, ლადო ვარძელაშვილმა უსამართლოდ გაათავისუფლა.

2012 წლის არჩევნების შემდეგ ოლეგ იაძე კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლად დაინიშნა. სწორედ ამის შემდეგ ხდება ის „პოპულარული პერსონაჟი“.

ბატონ ოლეგს კასპში, საკუთარ კაბინეტში ვესტუმრეთ. გვითხრა, პირველი, რაც კაბინეტში შემოსვლისას გავაკეთე, სააკაშვილის სურათი ჩამოვხსენიო. ახლა იმ ადგილას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის ფოტოები კიდია.

კასპის გამგებლობამ ოლეგ იაძე ცოლ-შვილს დააშორა. ახლა ის ბავშვობის სოფელში, მეტეხში მშობლებთან ერთად ცხოვრობს. მეუღლე, ნანა ბაზალი და ორი შვილი, 24 წლის გიორგი და 20 წლის დავითი, თბილისში, თემქაზე დარჩნენ.

ოლეგ იაძე: კასპის რაიონის სოფელ მეტეხში დავიბადე და გავიზარდე. მოუსვენარი ვიყავი. მთელ მუთაქას არ ვტოვებდი, ვეჭიდავებოდი და ამით აღმომაჩინა ბიძაჩემმა, როგორც მოჭიდავე. ის ცნობილი მოჭიდავე, საქართველოს ორგზის ჩემპიონი, შოთა გულიაშვილი გახლდათ. მან მითხრა, ჭიდაობაზე უნდა გატარო და სპორტსმენი გაგხადოო. ბავშვობაში საქონელიც მიმწყემსია, ბარიც მჭერია, თოხიც და ცელიც. ხილიც მიკრეფია...

— მეტეხში ისევ გაქვთ მშობლების სახლი?

— კი, იქ ჩემი მშობლები ცხოვრობენ. ეს რამდენიმე თვეა მეც მეტეხში გადმოვსახლდი. ცოლ-შვილი თბილისში მყავს. 1978 წლიდან თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ სოფელი ძალიან მიყვარს. ჭიდაობაც სოფელში დავიწყე. ამ სპორტმა დიდი სიყვარული, ტოლერანტობა, შემწყნარებლობა მასწავლა. მოგეხსენებათ, კასპის რაიონში მე მიმყავდა საარჩევნო კამპანია, ერთ-ერთი ლიდერი ვიყავი „ქართული ოცნებიდან“ და უამრავი პრობლემა იდგა. პოლიციის უფროსი იყო თუ სხვა ვინმე, ყველას პასუხს ვცემდი. მეგობრებსა და ნათესავებსაც კი ვემუქრებოდი — რომ დავბრუნდები, არ გაგახარებთ-მეთქი!

— რატომ ემუქრებოდით?

— დანაშაულს ჩადიოდნენ და იმიტომ! ჩვენს აქტივისტებს სცემდნენ, მაისურებს უხევდნენ. ხელისუფლებაში რომ მოვედით, ბევრს მივუტევე, შევუნდე. ეს სწორედ სპორტმა მასწავლა.

— არიან ისეთებიც, ვისაც არ მიუტევეთ?

— ვერ მივუტევებ უზრდელ და უდისციპლინო ადამიანებს. ასეთები მძულს, გინდ კაცი იყოს და გინდ — ქალი. მიყვარს პატიოსანი, ქართული ტრადიციებით დამშვენებული ქალბატონი. პატივს ვცემ ქართული ტრადიციებით დამშვენებულ მამაკაცს. ვერ მივუტევებ მოღალატე მეგობარს. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ასეთებიც შემხვდნენ. მათთვის თითქოს შემინდვია, შევრიგებულვართ, მაგრამ გულში ბოლომდე მაინც ვერ მიმიტევებია. ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, შესაბამის სტრუქტურებსაც ვთხოვ, ზომები მიიღონ და პასუხი აგებინონ. ვისაც იძულებით ჩაადენინეს რამე, მივუტევებთ.

— პოლიტიკაში როდიდან ჩაებით სპორტსმენი კაცი?

— 1989 წლის 9 აპრილს ჩემი 5 თვის ვაჟიშვილი, გიორგი იაძე, რუსების ტანკს დავუსვი — მიდი, გადაუარეთ-მეთქი. მზად ვიყავი, შვილი გამეწირა. ახლა ჩემი ბიჭი მსოფლიოს ჩემპიონია სამბოში. 24 წლის არის. მაშინ რუსთაველზე ქირით ვცხოვრობდით. მე და ჩემმა მეუღლემ ჩავიარეთ ამ მკვდარ გამზირზე და რომ დავინახე რუსების ტანკი, მივედი და ბავშვი მუხლუხოზე დავსვი. ჩემი მეუღლე გაგიჟებული მოვარდა, რას შვრები. თავის გასაწირადაც მზად ვიყავი. ასეთი ბუნების ადამიანი ვარ. ერთხელ სკოლაში თავისუფალ თემაში დავწერე, მინდა, ომი იყოს-მეთქი. მასწავლებელმა მკითხა, ოლეგ, შვილო, რად გინდა ომიო და ვუპასუხე, მინდა, თავი გავწირო, რომ გმირი გავხდე-მეთქი.

> **„9 აპრილს ჩემი 5 თვის ვაჟიშვილი ხუსების ტანკს დავუსვი — მიდი, გადაუარეთ-მეთქი. მზად ვიყავი, შვილი გამეწირა. ახლა ჩემი ბიჭი მსოფლიოს ჩემპიონია სამბოში“.**

— ისევ გინდათ გმირობა?

— შარშან ვიყავი თავის გასაწირად მზად! ორივე შვილი გვერდით მედგა და თავი მართლა გადადებული მქონდა. ჩემი ერთი ვაჟი ქალბატონ თეა წულუკიანის შტაბში მუშაობდა თემქაზე, მეორე კი კასპში მყავდა ჩემთან. შარშან ნამდვილად იდგა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი და ის ხელისუფლება უნდა ჩამოშორებოდა ქვეყანას, რომელიც 9 წელი ხალხის გაუბედურებით იყო დაკავებული. 1991 წელს სოფლის საკრებულოს დეპუტატი ვიყავი. სხვა არჩევნებშიც აქტიურად ვმონაწილეობდი. 1998 წელს ცნობილი მოჭიდავე, ჩემი მეგობარი ამირან ოგბაიძე, საპარლამენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს ლეიბორისტული პარტიიდან და მის გვერდით დავდექი. 2003 წლამდე ლეიბორისტი ვიყავი. მერე შევეშვი და მხოლოდ ჩემი სპორტით ვიყავი დაკავებული. 2011 წელს, როცა სამბოს ნაკრების მთავარი მწვრთნელობიდან გამათავისუფლეს, ისევ აქტიურად ჩავერთე პოლიტიკაში. მანამდეც ვმონაწილეობდი იმ მიტინგებში, რომლებიც ნაციონალური ხელისუფლების წინააღმდეგ იმართებოდა.

— თქვენი გათავისუფლების კონკრეტულ მიზეზად რა დასახელდა?

— მოსკოვში ჩატარდა წლის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრი რუსეთის პრეზიდენტის პრიზზე. მსოფლიოს 8 საუკეთესო გუნდი იყო მიწვეული და მათ შორის ჩვენც ვიყავით. იქიდან რომ ჩამოვედი, მიზეზად ეს მომიდეს — მოსკოვში რატომ იყავიო. ჩემი გათავისუფლების უფლება არ ჰქონდათ, რადგან ფედერაციის პრეზიდენტს ბრძანება არ დაუწერია. ლადო ვარძელაშვილმა გამათავისუფლა ყოველგვარი იურიდიული ნორმის დაცვის გარეშე. აქტიურად ჩავები პოლიტიკაში და ბატონი ბიძინაც გამოჩნდა. მისი გულისთვის მაშინაც და ახლაც, არამარტო ოლეგ იაძე, ყველა ღირსეული სპორტსმენი თავს გაწირავდა და გაწირავს. ეს არის ქვეყნის გადამრჩენელი პიროვნება!

— თქვენც გაფინანსებდათ ივანიშვილი?

— მან სპორტის ბევრი სახეობა გადაარჩინა. ჩვენ 7-8 წლის განმავლობაში გვაფინანსებდა. როცა სახელმწიფო წელიწადში 20-30 ათასს გვაძლევდა, ბატონი ბიძინა — 200 ათასს გვირიცხავდა. მე კი, როგორც მსოფლიო ჩემპიონების გამზრდელს, მეხმარებოდა. ვისაც მსოფლიო ჩემპიონი ჰყავდა გაზრდილი, „ქართუდან“ 1000 ლარს აძლევდა, თავად ჩემპიონს — 1500 ლარს, ოლიმპიურ ჩემპიონს — 3000 ლარს და ა.შ.

— ვარძელაშვილზე გაბრაზებულმა თქვით, ხალათიანი ქეთინოაო. ეს შედარება საიდან მოიტანეთ?

— ყველა მსგავს პიროვნებას ასე მოვიხსენიებ. კაცს, რომელსაც არაფრის თავი აქვს არც ფიზიკურად და არც შიგნით თუ გარეთ და ძალაუფლებამ მისცა რაღაცის გაკეთების საშუალება... თავს გვაჩვენებენ, თითქოს ლომები არიან! ამ არსებას ქეთინო ჰქვია, აბა, რა არის?! ქეთინოებს ბოდიშს მოვუხდი, ყველა ქეთინო მიყვარს. უბრალოდ, მამაკაცის სინაზეა ჩემთვის მიუღებელი. ამ ყველაფრის მიუხედავად, რაც დღეს ვარძელაშვილს შეემთხვა, გულწრფელად მეწყინა (ინტერვიუ ჩაწერილია 22 თებერვალს, იმ დღეს,

Cyan Magenta Yellow Black

როცა ლადო ვარძელაშვილის სახლში შემთხვევითი მკვლელობა მოხდა. ავტ. შენ.). ვინც გამაგებინა, მითხრა, გაგიხარდება, ისეთი ამბავი მაქვსო. გულწრფელად გეუბნებით, ძალიან მეწყინა. ის გამიხარდებოდა, რომ სადმე შევხვედროდი და ქართულად გავსწორებოდი. კარგ ალიყურს იმსახურებდა ოლეგ იაძისგან, რადგან თავის კაბინეტში შეურაცხყოფა მომაყენა. უამრავი მსოფლიოს

„სკოლაშიც ჯი ცელ გოგოებს ხუთოსნები მეჩჩივნა. თუ ახსებობს მოჯე ჯაბა, ხომ შეიძლება იგივენაირი გჩძელიც ჩაიცვა?! ყველა პატიოსან ქალს დასავით და შვილივით ვუყურებ. სუსტი ჭკუის ქალები სხვაგან მიყვახს, მაგჩამ პოლიტიკაში ჩემ გვერდით მათი ადგილი ახასოდეს იქნება".

ჩემპიონი მყავს გაზრდილი და რაც გააკეთა, იმას ვიმსახურებდი?! იარაღები დამიწყო მაგიდაზე.

— ეგ რას ნიშნავს?

— მოსკოვიდან რომ ჩამოვედი, მისმა მოადგილემ დამირეკა, გიბარებსო. რომ მივედი, იქ სხვებიც იყვნენ. ერთი ცნობილი ყაჩაღი, მკვლელიც იყო, რომელიც ახლა გაქცეულია. გია უდესიანს ვგულისხმობ... ტელევიზიით გამოვიდა და თქვა, კაბინეტში არანაირი იარაღი არ ყოფილაო. რომ შევედი, ვხედავ, მაგიდაზე ორი იარაღი დევს. მკითხა, რატომ წახვედი მოსკოვშიო...

— პრაზი ჩამოიტანეთ მოსკოვიდან?

— მესამე ადგილი ავიღეთ. ვუთხარი, პუტინის თავი რომ ჩამომეტანა საქართველოში, ამას ხომ ეროვნული ზეიმი მოჰყვებოდა და იმიტომ წავედი-მეთქი. იქ საომრად და საბრძოლველად წავედი, თორემ რუსები ჩემზე მეტად თქვენ არ გეჯავრებათ-მეთქი და ის მაგალითიც მოვუყევი, ჩემი შვილი რუსის ტანკს რომ დავუსვი. ერთადერთი სპორტის სახეობა, რომელიც აპოლიტიკური გახლდათ, სამბო იყო. ყვითელ ავტობუსებში ვერ გვსხამდნენ, საკაშვილთან ვერ მივყავდით და ეს გახდა მათი გაბრაზების საბაბი. ამის შემდეგ ამ ნაძირალამ მითხრა, შე რუსეთის აგენტო, შე მოღალატეო. თავი შევიკავე. ალბათ ეგონა, დავარტყამდი და მომკლავდნენ. ის იარაღი აშკარად შანტაჟისა და პროვოკაციის გამო ჰქონდათ მიტანილი. რომ მიხვდა, მოვითმინე, იარაღი აიღო და ცხვირწინ დამიტრიალა, მითხრა, ღირსი ხარ, ცხვირ-პირი მიგინგრიოო. არ ავყევი იმიტომ, რომ ჩემს ასაკოვან შშობლებს გავუფრთხილდი. მათ ვერ ვაკადრებდი იმ წუხილს, რაც ჩემ გამო შეიძლებოდა დამართნოდათ.

სამბოს 42 წელი ვემსახურე. 1991 წლიდან დღემდე საქართველოს სპორტულ ყულაბაში 31 მაღალი სინჯის მედალია. იმ 31 მედლიდან 16 ჩემს კისერზეა. ყველა სახეობას ვჯობნიდი შედეგით. სამწუხაროდ, ეს არაოლიმპიური სახეობაა და ხელისუფლებისგან არ იყო დაფასებული. ასეთივე წარმატებით უნდა ვიმუშაო ჩემი რაიონის აღმშენებლობაზე. სამი თვეა ერთი დღე არ დამისვენია. ოპოზიცია არ მაძლევს დასვენების საშუალებას. 20-30 კაციანი ჯგუფია და ყოველდღე მიტინგებს მიმართავენ — გადადექი, გადმოდექიო.

— სიტყვები „მე ვარ პატარა ბიძინა" თქვენს საკუთრებად ბარათად იქცა და თან სალაპარაკოც მისცა ოპოზიციას.

— არ გეწყინოთ და, სამწუხაროდ, როგორც სპორტსა თუ სხვა სახეობაში, ჟურნალისტიკაშიც ბევრი უღირსია. ერთი ინტერნეტსაიტის ჟურნალისტი იყო მოსული. ინტერვიუს ჩაწერა რომ დაამთავრა, ვუთხარი, ვალდებული ვარ, ისე მოვექცე ჩემს ხალხს, როგორც იმსახურებს, ბატონ ბიძინას კურსს მივდევ და ამიტომ რაიონში პატარა პრემიერი, პატარა ბიძინა ვარ-მეთქი. ეს იმ ჟურნალისტმა პროვოკაციულად გამოიყენა. ისე, თუ ყველა თავის საქმეში პატარა ბიძინა იქნება, ყველაფერს ააყვავებს. ყველამ იცის, ვინ გადაარჩინა საქართველო 1 ოქტომბერს. ხომ ნახეთ, როგორი განადგურებულია კასპის რაიონი?! სამწუხაროდ, ჩვენი ბიუჯეტი კასპის აშენების საშუალებას არ მაძლევს. ტრანსფერებს მოვითხოვთ, არ მოვასვენებთ სახელმწიფოს, რომ ჩემი რაიონი ავაშენოთ.

— თქვენმა ერთმა რაიონელმა, მარეხ ყამბეგაშვილმა, კასპის ქარიშხალი დაგარქვათ და ამით სახელიც კი გაითქვა. ოუმორისტულ შოუებში იწვევენ, სადაც მხოლოდ თქვენზე საუბრობს. რა დაუშავეთ ასეთი, რას გერჩით?

— ბავშვობიდან მოყოლებული, სკოლაშიც კი ცელქ გოგოებს ხუთოსნები მერჩივნა. სტუდენტობის დროსაც ასე იყო. თანამედროვედ ჩაცმულს მამაპაპურად ჩაცმულს ვამჯობინებდი. თუ არსებობს მოკლე კაბა, ხომ შეიძლება იგივენაირი გრძელიც ჩაიცვა?! ყველა პატიოსან ქალს დასავით და შვილივით ვუყურებ. სუსტი ჭკუის ქალები სხვაგან მიყვარს, მაგრამ პოლიტიკაში ჩემ გვერდით მათი ადგილი არასოდეს იქნება.

— მარეხი თქვენზე ამბობს, ეს არის ქარიშხალი ოლეგა, რომელიც ანგრევს ყველაფერს, რაც გზაზე ხვდებაო.

— ახლოს არც კი მიცნობს და არ ვიცი, რა უნდა. არჩევნებში შტაბის ერთ-ერთი ლიდერი ვიყავი. ის კი თავის სოფელში ჩვენი აქტივისტი იყო. კავშირი კი გვქონდა, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ მისთვის თანამდებობა მიმეცა?! მას უნდოდა, სოფელ ქვემო ჭალაში გამგებლად გამეშვა და, როგორც გითხარით, ასეთი ქალბატონები ვერ იქნებიან ჩემ გვერდით, სულ რომ 20 ან 30 წელი ვიმუშაო.

— როგორი ქალბატონია თქვენ გვერდით?

— ჩემი მეუღლე ჩემი თანატოლია. მოხვევა წარმოშობით. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული ფარმაცევტის სპეციალობით. ერთ-ერთ კერძო სამედიცინო სასწავლებელში ასწავლის.

— თქვენი სიყვარულის ისტორია როგორია?

— ნანა მეგობარმა გამაცნო და 4-5 თვეში შევვუღლდით. ერთ-ერთი პირველი, რითაც ერთმანეთი მოგვეწონა, ალბათ ხასიათები იყო.

— ალბათ მისი ჩაცმულობაც აკმაყოფილებდა თქვენს მოთხოვნებს.

— რა თქმა უნდა!

— ალბათ თქვენ გამო მოკლე კაბა არასოდეს ჩაუცვამს.

— მხოლოდ ჩემს ცოლს კი არა, ბიძაშვილებს, მამიდაშვილებს, დეიდაშვილებს თუ ცოტა ზედმეტი მოუვიდოდათ, ვეჩხუბებოდი. რას არ მაბრალებდნენ, ისიც თქვეს, ჩაცმულობით არჩევს თანამშრომლებსო, ქალებთან პრობლემები აქვსო. როგორ გეკადრებათ! ჩემი მოადგილე ქალია — შესანიშნავი პიროვნება. ადმინისტრაციის უფროსიც ქალია. შენობაში 70% ქალბატონია. ყველა ღირსეულ ქალს ჩემ გვერდით ადგილი ექნება, მაგრამ ცოტა ცუდი წარსული ვისაც აქვს, მათი ადგილი ჩემ გვერდით არ არის!

— რას გულისხმობთ ცუდ წარსულში?

— შეცდომით ვის არ გვიცხოვრია, მამაკაცებიც ვცოდავთ ხოლმე თინეიჯერობის ასაკში, მაგრამ, როცა ეს წლების განმავლობაში გრძელდება, უკვე შეცდომა აღარ არის. აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი, რა...

— მოკლე კაბის ჩაცმის გარდა, ალბათ ვერც იმას აიტანდით, ცოლს სიგარეტი რომ მოეწია.

— რა თქმა უნდა, ვერ ავიტანდი, მაგრამ მონსტრი კი არ ვარ! ამბობენ, მეუღლე რესტორანში არ დაჰყავსო. სადილსა და ვახშამზე კაცი მეუღლეს როგორ წაიყვან რესტორანში და როცა წვეულებებია, ყოველთვისაც მიმყავს. ქორწილში თუ ქელეხშიც დამყავს. ჩემს ოჯახში ყველა გადაწყვეტილებას მამაკაცი იღებს! ქართული ტრადიციების მიმდევარი ვარ. ქართული ღვინო მიყვარს. ერთი ეგ არის, რაც გამგებელი ვარ, აღარ დავმთვრალვარ. ისე გავიზარდე, რომ პალტო არ ჩამიცვამს და არც შარვალ-კოსტიუმი. ახლა კი სულ ფორმაში ვარ. წვერგაუპარსავი ხომ არ მოვალ სამსახურში?!

— ჰალსტუხს შეეჩვიეთ?

— არა, დღემდე არ ვიკეთებ. თუ ოდესმე ბატონ ბიძინასთან მომიწია შეხვედრა, თეთრ პერანგსაც ჩავიცვამ და ჰალსტუხსაც გავიკეთებ. ჯერ კი არ მკეთებია. გაკეთებასაც ვისწავლი.

— პრემიერმა თუ იცის თქვენი „პატარა ბიძინობის" ამბავი?

— ჟურნალისტებმა დაუსვეს ჩემზე შეკითხვა და ხუმრობით აირიდა. რა მოხდა, კაცმა თუ ეს თქვაო, დაახლოებით ასეთი რამ უპასუხა.

— სამი ბინა გქონიათ თბილისში და ამაზეც ბევრს ჭორაობენ.

— ოთხი ბინა მაქვს! ერთი სახელმწიფომ მომცა, როგორც მსოფლიო ჩემპიონების გამზრდელს. 150 კვადრატული მეტრია აგლაძის ქუჩაზე და ჯერ ისევ გასარემონტებელი მაქვს. ერთი ერთოთახიანი ბინა 1 200 დოლარად ვიყიდე 1993 წელს. მერე იმავე სადარბაზოში ორი ოროთახიანი ბინა ვიყიდე 4 500-4 500 დოლარად და ისინი გავაერთიანე. ახლა ჩემი ოჯახი იქ ცხოვრობს.

— ნაკვეთიც აქვსო.

— დიახ, ზღვის ტერიტორიაზე შევისყიდე 1 500 კვადრატული მეტრი ნაკვეთი. ახლა ჩემი შემოსავალი ბევრად გაუარესდა. ჩემი მოწაფეები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები რომ ხდებოდნენ, სახელმწიფო 50-60 ათასს მიხდიდა. ახლა კი ჩემი ხელფასი 2 100 ლარია.

— სპორტულ ცხოვრებას სულ ჩამოშორდით?

— არა. ახლახან სამბოს ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად ამირჩიეს და ამავე დროს ევროპის სამბოს ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი ვარ. საქართველოდან ასეთ თანამდებობაზე მხოლოდ მე ვარ.

— ოჯახში ალბათ რძლების მოსაყვანად ემზადებით. ვის და როგორი ოჯახის შვილს მოიყვანენ თქვენი ვაჟები, ჩაერევით?

— ჩემი შვილები ალბათ ისეთს მოიყვანენ, როგორიც მათ მამას მოეწონება. არ არის ლამაზი, რძალმა ტანგა ან მუცელი დაგანახოს. ქალი ქართულ ტრადიციებზე უნდა იყოს აღზრდილი და... ხომ არ გეტყვით, ქალწული-მეთქი?!

— მაშინ სიტყვა ქალწული პატიოსნით შეეცვალოთ.

— კი, ბატონო, პატიოსანი უნდა იყოს!

— როცა ამ პირველად კაბინეტში შემოხვედით, სააკაშვილის სურათი ეკიდა. ეს ფოტოებშია დაფიქსირებული. იმასაც ამბობენ, ადრე პატარა მიშა იყოო. ახლა ბიძინა ივანიშვილის და პატრიარქის სურათები დაგიკიდიათ.

— როგორც კი აქ შემოვედი, მაშინვე სააკაშვილის სურათი ჩამოვხსენი. ის ფოტო გადაღებულია საკრებულოში, სადაც გამგებლად ამირჩიეს. ერთმა ჟურნალისტმა მოარგო ჩემს თავზე სააკაშვილის სურათი. პატარა მიშა კი არასოდეს ვყოფილვარ!

✓ **რუსუდან ადვაძე**

Cyan Magenta Yellow Black

უგულავამ „მოთმინებისთვის, სიყვარულისა და თავისუფლებისთვის“ ბრძოლა გამოაცხადა

თბილისის მერი გიორგი (გიგი) უგულავა ოფიციალურად ბრალდებულია. მას სისხლის სამართლის საქმე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ოფიციალურად გააცნეს. შესაბამისი დოკუმენტებიც გადასცეს, მაგრამ მერისგან ახალი ვერაფერი შეიტყვეს — „საკმაოდ კარგმა რესპონდენტმა“ ამჯერად კანონით მინიჭებული დუმილის უფლება გამოიყენა. პროკურატურამ აღმკვეთ ღონისძიებად მილიონი ლარის გირაოდ გადახდა მოითხოვა.

მერის მიმართ ბრალდების წაყენება საპროტესტო აქციის, ლოზუნგით „არ დავუთმოთ თბილისი ბიძინა ივანიშვილს“, ფონზე მიმდინარეობდა, რომელიც წინა დღეს ფეისბუქზე დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა დააანონსა. ეს ლოზუნგი სხვა ინტერპრეტაციით იმ და მომდევნო დღეებში ნაცლიდერებმაც არაერთხელ დააქუხეს: „ივანიშვილს თბილისის ხელში ჩაგდება უნდა!“, „ხელისუფლებას მერიის დათრევა უნდა!“ და ა.შ. დაგვირგვინდა იმით, რომ საქართველოს პრეზიდენტმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი დაწყებულად გამოაცხადა: „დღეს ბრძოლის ხაზი თბილისის მერიაზე გადის!“.

საგამოძიებო სამსახურში დაკითხვაზე მერის შესვლას წინ უძღოდა მისი მებრძოლი რომანტიზმით გამსჭვალული, გულანთებული სიტყვა, რომლითაც მან მხარდამჭერთა და მეგობართა დაახლოებით 200 კაციან ჯგუფს მიმართა და ერთგულებისთვის მადლობა გადაუხადა: „ყველანი ძალიან მიყვარხართ. მე დღეს, როგორც არასდროს, ისე ბედნიერი ვარ, რომ გხედავთ მხნედ, ვხედავ თქვენს იმედიან თვალებს. მინდა, ყველანი გაგამხნევოთ, ყველაფერი კარგად იქნება... ჭირსაც წაუღია ნებისმიერ სკამი და თანამდებობა... დღეს ქვეყანა განსაცდელშია...“ და ა.შ.

მერი საგამოძიებო სამსახურში დაახლოებით საათნახევარი დარჩა, იქიდან გამოსული კი იმას ამტკიცებდა, რომ ვერ გაიგო, რას ედავება გამოძიება. მისი გამოსვლა ისევ მგზნებარე მოწოდებებით დასრულდა: „რაში მდგომარეობს ბრალდება, მეც ვერ გავიგე. ერთი ვიცი, რომ წამოვიღე ერთი მანქანა ფურცლები, რომელსაც გავეცნობი, გაგაცნობთ და ვნახავთ, რაში გვედავებიან. მე მხოლოდ ერთ რამეს გეტყვით — ძალიან მიყვარხართ. დიდი მადლობა ამ თანადგომისთვის. უფრო მნიშვნელოვანია თქვენი თანადგომა, მეგობრებო, ვიდრე ის ბრალდებები, რომლებიც გაქარწყლდება და გაქრება... ყველანი ერთად ვიყოთ მხნედ, ვიბრძოლოთ ჩვენი უფლებებისთვის, არ შედრკეთ...რაც შეეხება იმ შოუს, რომელსაც მთავრობა გვთავაზობს, მე კიდევ ერთხელ ვიტყვი — მზად ვარ, მივიღო ეს გამოწვევა საჯაროდ, სასამართლოზე, ყველას დასანახად. ჩვენი პასუხი ამაზე იქნება მხოლოდ და მხოლოდ მოთმინება, სიყვარული და ბრძოლა თავისუფლებისთვის...“ და ა.შ. ამ დროისთვის მას, შესაძლო დაპატიმრების შემთხვევაში, უკვე დასახელებული ჰყავდა თავისი მოვალეობის შემსრულებლები — ვიცემერად სევდია უგრეხელიძე, მოადგილედ კი ვანო მერაბიშვილი.

რომანტიკა რომანტიკად, მაგრამ როგორია საქმის რეალური ვითარება?

უგულავას მიმართ წაყენებული ბრალდება, რომელიც 9-იდან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, ორ დამოუკიდებელ ეპიზოდს მოიცავს. გამოძიების პროცესში მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, გახსნილია წინა ხელისუფლების მიერ ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდების დანაშაულებრივი სქემა და უტყუარად დადასტურებულია, რომ მისი განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე სწორედ გიორგი უგულავა იყო. კერძოდ, 2008 წლის მდგომარეობით შპს „ტელეიმედის“ საკონტროლო წილის მფლობელი იყო ჯოზეფ კეი, რომელსაც იმ დროისათვის ტელეკომპანიის ფუნქციონირებისათვის დახარჯული ჰქონდა 10 მლნ აშშ დოლარი. ხელისუფლების სახელით ჯოზეფ კეის თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი შეხვდა და პირდაპირი მუქარით დაიყოლია „ტელეიმედის“ დათმობაზე, ერთადერთი პირობით, რომ მას გიორგი უგულავა აუნაზღაურებდა მის მიერ გაწეული 10 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ხარჯებს.

გიორგი უგულავას მითითებით ჯოზეფ კეიმ თავისი წილი გადასცა დავით კეზერაშვილის კონტროლს დაქვემდებარებულ პანამაში რეგისტრირებულ კომპანია „ბორდეხ ლიმიტედს“, ხოლო თანხის გადახდა განხორციელდა შემდეგი

გეგმით: გიორგი უგულავა მოელაპარაკა შპს „ახალი რიყის“ მესაკუთრეებს, რომ მათ მიერ 2006 წელს 7 000 000 აშშ დოლარად შეძენილ რიყის ტერიტორიას მერია ვითომდა 17 000 000 აშშ დოლარად უკან გამოისყიდდა, საიდანაც 10 000 000 აშშ დოლარი გათვალისწინებული იყო ჯოზეფ კეისათვის გადასაცემად.

ქალაქის მერიამ 2008 წლის 29 დეკემბერს, ქ.თბილისის მთავრობის სახელით გამოსცა დადგენილება, რომლის საფუძველზეც თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული „ძველი ქალაქის რეაბილიტაციის და განვითარების ფონდიდან“ რიყის ტერიტორიის უკან გამოსყიდვის მიზნით შპს „ახალ რიყეს“ გადაერიცხა 17 000 000 აშშ დოლარი. ამის შემდეგ „ახალ რიყეს“ ხელმძღვანელობასა და ჯოზეფ კეის კომპანიას „ლაკებრო ლიმიტედს“ შორის გაფორმდა ფიქტიური ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც „ახალი რიყეს“ საბანკო ანგარიშიდან ჯოზეფ კეის კომპანიას ჩაერიცხა 8 811 189 აშშ დოლარი, ანუ ტელეკომპანია „იმედი“ მისაკუთრებული იქნა ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მითვისებისა და შემდგომი გათეთრების გზით.

მეორე ეპიზოდი ეხება საბიუჯეტო თანხების გამოყენებით პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობის თვალთმაქცურ დაფინანსებას, რომლის ორგანიზატორი ასევე გიორგი უგულავა იყო. კერძოდ, მისი დავალებით 2009 წლის 31 დეკემბერს, შპს „თბილსერვის ჯგუფში“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებისათვის ფულის დარიგების მიზნით, სპეციალურად შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, სადაც ფიქტიურად გაფორმდა 764 აქტივისტი — ე.წ. პარტიული კოორდინატორი. მათ უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე უმუშავია და ეწეოდა პარტიულ საქმიანობას, თუმცა დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ ხელფასის სახით 4 130 728 ლარი დაერიცხათ.

არის თუ არა გიგი უგულავას მიმართ ამ ეტაპზე ბრალის წაყენება პოლიტიკური დევნა, ცალსახა პასუხი არ აქვს ექსპერტ კახი კახიშვილს, მაგრამ უკვირს, რომ უგულავა თან აღიარებს დანაშაულს და თან თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

კახი კახიშვილი:

— არის თუ არა მერის მიმართ ბრალის წაყენება პოლიტიკური დევნა, როგორც ამას ამტკიცებენ ნაცმოძრაობის წარმომადგენლები, ყველაფერი გამოჩნდება სასამართლოს არსებითი განხილვის დროს, როცა გახდება ცნობილი, რამდენად უტყუარი მტკიცებულებები აქვს ბრალის დასადასტურებლად პროკურატურას. მაგრამ კომენტარები ნაცმოძრაობის მხრიდან, რომ მას ფული სახლში არ წაუღია და ვიღაცეები დაასაქმეს, არასწორია.

როცა იმაზე საუბრობენ, რომ ივანიშვილს წინასაარჩევნო პერიოდში შპს-ებში ხალხი ჰყავდა დასაქმებული და ამას ადარებენ ქალაქის მერის ქმედებას, ცოტა უცნაურია. რომც დაესაქმებინა ივანიშვილს, თუ ასეთი რამე იყო, მან დაარღვია კანონი მოქალაქეთა პოლიტგაერთიანების შესახებ, მაგრამ ის თავისი ჯიბიდან უხდიდა ხელფასს, გიგი უგულავა კი ფიქტიურად ქმნიდა სამსახურებს და ფულს არა — თვითონ, არა — ნაცმოძრაობა, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტი უხდიდა. ეს კი დანაშაულია.

— როგორ აფასებთ უგულავას ნაბიჯს — თავის შემცველად ანუ ვიცემერად სევდია უგრეხელიძის და მოადგილედ ანუ მაკონტროლებლად ვანო მერაბიშვილის დანიშვნას?

— სევდია იმიტომ დანიშნა, რომ კანონი ავალდებულებდა. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, ცხადია, რომ ის იქნება პირველიც და მეხუთეც. ამ ჟესტით მოახდინეს იმის დემონსტრირება, რომ ნაცმოძრაობის ხელში რჩება თვითმმართველობა. მერაბიშვილს საკმაო ავტორიტეტი აქვს ნაცმოძრაობის მხარდამჭერებში, პარალელურად ასევე მოხდა მისი ფიგურის წამოწევაც. ამით ორი კურდღელი დაიჭირეს. პირველი — მესიჯი გაუგზავნეს მხარდამჭერებს, რომ ჯერ კიდევ ძლიერები არიან და მეორე — შედარებით ნეიტრალურ ადამიანს ამით გიგიმ მოუსპო შესაძლებლობა, რომ მერიის საქმეებში ჩაიხედოს. ანუ იქ ისეთი კაცი შევიდა, რომელსაც ენდობიან და რომელიც წარმართავს ნაცმოძრაობის სამომავლო პოლიტიკას.

— როგორ ფიქრობთ, გიგი უგულავას ცხენში ჩაჯდომა მოუწევს?

— რაც შეეხება გიგის, ამ ბრალდების გამო არ დაუპატიმრებენ. ნახეთ სააკაშვილის ინტერვიუც, სადაც თქვა, რომ მას „დამოუკიდებელი“ სასამართლოს იმედი აქვს, ანუ თუ პროკურატურა პატიმრობას მოითხოვს აღმკვეთ ღონისძიებად, ის გამოუშვებს. მაგრამ ასე ვერ გაგრძელდება და ვურჩევ პარლამენტს, გაატარონ რეფორმები სასამართლოს კუთხით, თორემ თუ ვერ უზრუნველყოფენ სამართლიანობის აღდგენას, ეს „ოცნებისთვის“ ცუდად დამთავრდება.

— „იმედის“ საქმეში ნახსენები იყო სააკაშვილიც. ჯოზეფ კეის ჩვენებაში ნათქვამია, რომ მან პირდაპირ მისცა კეის მითითება წილის დათმობაზე. დაკითხავენ პრეზიდენტს?

— ეს ყველაფერი არის იმის დემონსტრირება, რომ ხალხმა ორთქლი გამოუშვას. მგონია, რომ საქართველოს პროკურატურა ასეთი დაანონსებით საკუთარი უსუსურობის გადაფარვას ცდილობს. ანონსები არ არის პროკურატურის საქმე. ჯობია, საქმე ბრალდებით გაამყარონ, რომ სასამართლომ ვერ გამოუშვას ბრალდებულები გარეთ. რაც შეეხება პრეზიდენტის დაკითხვას, პრეზიდენტს ამ კანონმდებლობით ვერაფერს უზამს პროკურატურა, დაკითხვა დარჩება დაკითხვად. ეს შეიძლება გახდეს აქტუალური ოქტომბრის არჩევნების შემდეგ.

Cyan Magenta Yellow Black

ვახტანგ ძაბირაძე:
„ნაციონალები შეტევაზე გადადიან, ხელისუფლება კი მათ პინგპონგს ეთამაშება“

ვახტანგ ძაბირაძე

უმცირესობა-უმრავლესობას შორის შეთანხმება საკონსტიტუციო ცვლილებებზე ვერ შედგა. როგორც აღმოჩნდა და როგორც შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა დაადასტურა კიდეც, უმცირესობას კონსტიტუციაში პოლიტიკურ კურსზე ჩანაწერი კი არა, სრული ამნისტია სჭირდებოდა საკუთარი ტყავის გადასარჩენად. სწორედ ამის გამო ვაჭრობდა საკონსტიტუციო ცვლილებებზე, პროდასავლურობისა და პატრიოტიზმის ლოზუნგებს ამოფარებული.

— მზად ვიყავით, საშუალო და ქვედა რგოლის ყველა საჯარო მოხელისთვის ამნისტია გამოგვეცხადებინა, ოღონდ 1 ოქტომბრამდე ჩადენილი დანაშაულისთვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობის წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა. ასევე თანახმა ვიყავით ნაწილობრივ ამნისტიაზე ყველა დანარჩენი მაღალი თანამდებობის პირებისათვის და ასეთი მაღალი რანგის 1500-მდე საჯარო მოხელისათვის: კერძოდ, თუკი ისინი იქნებოდნენ ბრალდებულები რაიმე დანაშაულში და აღიარებდნენ ამას, სისხლის სამართლის სასჯელისგან გათავისუფლდებოდნენ და საჯარო სამსახურში 5 წლის ვადით აეკრძალებოდათ საქმიანობა — ეს იყო ჩვენი წინადადება, — აცხადებს უსუფაშვილი.

ამ წინადადებაზე უარი ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა და 18 თებერვალს მოითხოვეს სრული და უპირობო ამნისტია ყველა საჯარო მოხელისა და თანამდებობის პირისთვის, გარდა პრეზიდენტისა, მინისტრებისა და პარლამენტის წევრებისა, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობის წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა.

ერთი სიტყვით, ნანატრი კოჰაბიტაცია ვერ შედგა. კონსტიტუციონალისტი და პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე სწორედ ასეთ შედეგს ელოდა. მას ის ხმაური უფრო გაუკვირდა, რომელიც არშემდგარი მოლაპარაკებების გამო ატყდა. მან „სარკესთან“ სხვა ბევრ საინტერესო და დასაფიქრებელ ვერსიაზეც ილაპარაკა.

ვახტანგ ძაბირაძე:

— იმის მიხვედრა, რომ ეს შეთანხმება ვერ მივიდოდა ბოლომდე, ძალიან მარტივი იყო. ჩვენ ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ყველამ ვიცით, რომ ყოფილ ხელისუფლებას აქვს ჩადენილი უამრავი უსამართლობა იმ მკვლელობებთან ერთად, რაც მოხდა 7 ნოემბერს, 26 მაისს... პირადად მე არამარტო ახლა, მანამდეც, 2007 წლიდან ვამბობდი, რომ ამათ დასჭირდებათ ამნისტია და თუ ამ გარანტიას ვერ მიიღებენ, პრობლემა მაშინ იქნება-მეთქი. რომ არ ყოფილიყო დასავლეთის ზეწოლა, ეს არჩევნებიც ისე ჩატარდებოდა, როგორც მანამდე ხდებოდა ან იქნებოდა დიდი დაპირისპირება. ვის რა გარანტიები მისცეს იქითა მხრიდან და მონაწილეობდა თუ არა ამაში აქეთა მხარე, არ ვიცი, მაგრამ გარანტიები რომ სჭირდებოდათ, დარწმუნებული ვარ. ამიტომ ეს ყველაფერი ჩემთვის არ იყო მოულოდნელი და ის დანარჩენი — ევროატლანტიკური ორიენტაცია და ა.შ. — ყველაფერი იყო და არის ზღაპრები.

— **ანუ კონსტიტუცია სავაჭროდ მსუყე თემა იყო?**

— რა თქმა უნდა. ამ ჩაშლილი მოლაპარაკების ერთადერთი პოზიტივი არის ის, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ დადო განცხადება, სადაც ქრონოლოგიურად არის მოცემული, ვინ რას ითხოვდა და ვინ რას პასუხობდა. ტერმინოლოგიას რომ დავანებოთ თავი, ესენი ამნისტიას ეძახიან, ისინი პოლიტიკური დევნის შეწყვეტას, მაგრამ შინაარსი ამისიც და იმისიც ერთი და იგივეა. გამოდის დათო დარჩიაშვილი და ამბობს, აწი რომ ხელისუფლება მოვა, ახლა იმან უნდა დაიწყოს, ამ ხელისუფლებამ რა ქნაო. თუ ამ გზით მივდივართ, უნდა დაიწყოს. ან არ უნდა გაგექქა, რისი გაქექვაც არ შეიძლებოდა, ან თუ სიბინძურეში ჩაყავი ხელი, კეთილი ინებე და, გამოიძიე. ამ მოლაპარაკების სიკეთე ის არის, ყველამ გაიგო, რომ ესენი ის ხალხია, რომელსაც საგარეო, საშინაო ორიენტაცია კი არ აინტერესებს, არამედ თავიანთი გარანტიები.

ახლა რომ საუბარია ამნისტიის საშუალო და დაბალ რგოლზე, ეს სწორია და მთლიანად ვეთანხმები. ადამიანისთვის ძნელია, არ მიიღოს მისთვის არაკომფორტული გადაწყვეტილება და დარჩეს მშიერი. გმირობას ყველას ვერ მოვთხოვთ, რადგან გმირების ქვეყანა არ არსებობს.

— **ითქვა, გამოძიებამ 16 ათასი ადამიანი დაკითხაო. დიდი ციფრი არ არის?**

— ამ ციფრით მეც დავინტერესდი და ისიც საგულისხმოა, რატომ გაიწელა. სპეციალისტებმა მითხრეს, რომ აუცილებელია, ყველა დაიკითხოს და თანაც თანხის რაოდენობა სასჯელის ზომას განსაზღვრავს. ახლა ეს პროცესი მარტივად წავა.

> **„როცა „რუსთავი 2“ რაღაცას იწყებს, უნდა იცოდე, რომ ეს შემთხვევით არ ხდება. ბუტა რობაქიძის მკვლელობის კადრები ამ ტელეკომპანიამ იმიტომ კი არ აჩვენა, რომ ახალი მტკიცებულება გაჩნდა, არამედ იმიტომ, რომ ხალხში გამოიწვიოს უკმაყოფილება. ამ შემთხვევაში ხდება ხალხის პროვოცირება ნაციონალების წინააღმდეგ, მერე ამ აგრესიას გადაამისამართებენ და იტყვიან, რომ ხელისუფლებიდან წამოვიდა“.**

— **მერე ბაქრაძე კარგა ხანს ამტკიცებდა, ამნისტიას ჩვენთვის არ ვითხოვთ, ქვედა ფენებისთვის გვჭირდებაო. მერე კი სადაცო 1500 კაცი აღმოჩნდა — საშუალო ფენა. არც 5 წლით საჯარო სამსახურიდან ჩამოცილება მოეწონათ.**

— სიმართლე გითხრათ, ბაქრაძეს რა უნდა, ვერ გავიგე. იმას კი მივხვდი, რომ უფრო მაღლა იმიტომ უნდოდათ, რომ ის „ცოტა ზემოთ“, ანუ სამმართველოს ხელმძღვანელი, უკვე ბაქრაძეს უკავშირდება და სურთ, ეს კავშირი ჩვენებებში გაწყდეს, თორემ ქვედა რგოლები სულ არ აწუხებთ.

— **გიგი უგულავას ბრალი უკვე ოფიციალურად წაუყენეს.**

— ამას წინათ არჩილ კბილაშვილმა ელჩები დაიბარა და საქმეები გადასცა. ეს მისი მხრიდან სწორი გათვლა იყო. შეიძლება სამართლებრივად კი მოიგო საქმე, მაგრამ გამარჯვება პოლიტიკურადაც საჭიროა. თეა წულუკიანი შეერთებულ შტატებში გაემგზავრა და ვფიქრობ, ეს პრობლემა თანდათან გვარდება. ფაქტობრივად უგულავა და ნაცმოძრაობა შეგუებულები არიან, რომ აღმოჩნდებიან ციხეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საკადრო ცვლილებები არ იქნებოდა მიღებული.

— **ვანო მერაბიშვილმა 19 აპრილის აქცია დაგვიანონსა. ეს რაში სჭირდებათ?**

— რთული სიტუაციაა. ნაციონალები აშკარა პროვოკაციაზე მიდიან. რობაქიძის ფილმის ჩვენება მათი თამაშის ნაწილია. შეიძლება ვიღაცას მართლაც გულით უნდა, რომ პრეზიდენტი პარლამენტში არ შეუშვას, მაგრამ თუ მას აქვს კონსტიტუციით ამის უფლება, შენ უნდა უზრუნველყო, იქ მივიდეს. ნაციონალებს ძალიან მარტივი ტაქტიკა აქვთ და ვერ გავიგე, ხელისუფლება ამ ამოცანას რატომ ვერ ხსნის. ნაციონალები ცდილობენ, შექმნან ილუზია ქვეყნის გარეთ, რომ ხელისუფლება ცუდად მუშაობს, ქვეყანაში არის არასტაბილური მდგომარეობა და პოლიტიკური დევნა. აი, ეს უნდათ, ამისთვის არანაირ პროვოკაციას არ ერიდებიან. ჩიორა თაქთაქიშვილს ერთხელ მოხვდა და ახლა შეიძლება თვითონ დაეჯახოს კედელს, რომ ისევ მოხვდეს ცხვირში.

— **რატომ ფიქრობთ, რომ ბუტა რობაქიძის სიკვდილის კადრები მათ სცენარში ჯდება?**

— როცა „რუსთავი 2“ რაღაცას იწყებს, უნდა იცოდე, რომ ეს შემთხვევით არ ხდება. ბუტა რობაქიძის მკვლელობის კადრები ამ ტელეკომპანიამ იმიტომ კი არ აჩვენა, რომ ახალი მტკიცებულება გაჩნდა, არამედ იმიტომ, რომ ხალხში გამოიწვიოს უკმაყოფილება — ესენი კიდევ რეებს ლაპარაკობენო. ამ შემთხვევაში ხდება ხალხის პროვოცირება ნაციონალების წინააღმდეგ, მერე ამ აგრესიას გადაამისამართებენ და იტყვიან, რომ ხელისუფლებიდან წამოვიდა.

მარტივი თამაშია ისიც, რაც უგულავამ გააკეთა. აქამდე ვიცოდი, რომ შუბლის ძარღვგაწყვეტილი ადამიანები იყვნენ, ესენი კი, მგონი, საერთოდ მის გარეშე დაიბადნენ. 8 თებერვალს თენგიზ გუნავა ბიბლიოთეკასთან მარტო მივიდა, იმ უკმაყოფილო ხალხში შევიდა, ეს იყო პროვოკაცია, მაგრამ მოხდა ისე, რომ არ სცემეს, თავი შეიკავეს, თუმცა ცოცხები კი მიაყოლეს. უგულავამ კი პირდაპირ გამოიწვია, მაგრამ ეს ყველაფერი პოლიტიკურად რომ ვთარგმნოთ, ხელისუფლებაა დამნაშავე, რადგან პროვოკაცია ვერ აღკვეთა. მთავრობას გაცილებით რთული პრობლემა აქვს გადასაწყვეტი, ვიდრე ორსვლიანი კომბინაციებია და თუ ამას ვერ გათვლის, იქნება ცუდი.

— **რატომ მაინცდამაინც 19 აპრილი აირჩიეს ნაციონალებმა აქციისთვის, თქვენ რა ვერსია გაქვთ?**

— დიდხანს იყო ლაპარაკი აპრილზე და მიკვირს, 9 აპრილს რატომ არ დაამთხვიეს. როგორც ჩანს, გადათვალეს. ეს თარიღი ემთხვევა არჩევნებიდან 6 თვეს და მიდის თამაში პარლამენტის დათხოვნაზე, მაგრამ რეალურად აქ გათვლა ამაზე არ არის. მიშას პარლამენტის დათხოვნა არ აწყობს. ამიტომ აპრილში არაფერი იქნება, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება პრობლემა დადგეს არჩევნებამდე 3 თვით ადრე.

— **რას ფიქრობთ, რას მოიმოქმედებს სააკაშვილი?**

— შეიძლება გაუშვას მთავრობა, პარლამენტს ახალი კაბინეტი წარუდგინოს, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო არ დაამტკიცებს. ამ შემთხვევაში უნდა დანიშნოს მთავრობა და დაითხოვოს პარლამენტი, მაგრამ, რადგან ამის უფლება არ აქვს, კონსტიტუციას ხომ არ დაარღვევს? და იქნება პარლამენტი ქუთაისში, მთავრობა აქ ეყოლება, ანუ ეცდება, აღადგინოს ვერტიკალი, მაგრამ ამისთვის დასავლეთიდან სიჩუმე მაინც დასჭირდება. ამ შემთხვევაში პარლამენტი იძულებული იქნება, თვითონ თქვას უარი მანდატებზე და თვითლიკვიდაცია გამოაცხადოს. მიშა კი არჩევნებს დანიშნავს.

— **რას მოიგებს ამით სააკაშვილი?** →18

Cyan Magenta Yellow Black

— თუ მიშა ციხეში მიდის? ეს არის მისი ბოლო „კარტი“. რა გამოვა, სხვა საკითხია. ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ ორ ძალაზე, ხელისუფლებასა და ოპოზიციაზე, მაგრამ საქართველოს პოლიტიკაში ისტორიულად ორი ძალა არასოდეს ყოფილა, იყო მესამე და მეოთხე — დასავლეთი და რუსეთი. აი, ისინი რას მოიმოქმედებენ, არავინ იცის. ამიტომ ვამბობდი, ჯობდა, ეს პროცესი არ დაგვეწყო. არ ვიცით, რას იზამს მესამე ძალა, დასავლეთის პოზიცია კი მეტნაკლებად ვიცით.

კიდევ არის ერთი დეტალი, ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი საკადრო გადაადგილება, სადაც რუსეთი არ ჩანდა. 1 ოქტომბრიდან მოყოლებული კი მას ვერსად ვხედავ. ეს მაწუხებს ყველაზე მეტად. მე არ ვარ ისეთი გულუბრყვილო, რომ მისი სიტყვები დავიჯერო — საქართველო არ მაინტერესებსო. ეს უკვე მაშინებს.

— ფიქრობთ, შესაფერის მომენტს ელოდება?

— ჰოდა, რა მომენტს — ეს მაფიქრებს.

— რადგან სიტყვამ მოიტანა, გიჟი თარგამაძის რუსეთთან პრობლემებზე რას ფიქრობთ?

— რუსებმა ერთი რამ იციან, ვისაც ისინი აქებენ, საქართველოში მასზე ამბობენ, რომ პრორუსულია, ვისაც აგინებენ — ანტირუსული ორიენტაციის. თარგამაძე უნდათ, რომ გამოჩნდეს ანტირუსული ორიენტაციის, მაგრამ აქ ხომ მარტო მასზე არ არის საუბარი, არამედ ნაციონალურ მოძრაობაზე და რუსეთს ეს რაში სჭირდება? იმისთვის ხომ არა, რომ აქ ვიღაცამ რაღაც თქვას? 20 წელია ამას გვეთამაშებიან.

— ანუ შეიძლება თარგამაძის ხელოვნური შეფუთვა ხდება?

— არ არის გამორიცხული, ვიღაც ათამაშებდეს თარგამაძეს ისე, რომ თვითონაც არ იცოდეს. ადრე ვიცოდით, რომ საქართველოში იყო მეხუთე კოლონა, მაგრამ იმასაც ვხვდებოდით, რომ ეს იყო რუსული. ახლა არ ვიცით, რამდენი მეხუთე კოლონაა. ამიტომაც ხელისუფლებას დიდი სიფრთხილე სჭირდება.

— იანუკაშვილის მართვის სტილს ხშირად ფრთხილს უწოდებენ. ასე არ არის?

— მე იმას ვატყობ, რომ ზიგზაგზე მიდის. ერთ დღეს ამბობს, პინგპონგის თამაშს თავს ვანებებო და მეორე დღეს ამბობს, მოდი, დავილაპარაკოთო. ასე არ გამოდის. ხელისუფლებაში კიდევ ერთი პრობლემაა, ჩემდა სამწუხაროდ. მეგონა, როცა პრეზიდენტს უარი უთხრეს პარლამენტში გამოსვლაზე, რაღაც პოზიციაზე იყვნენ ჩამოყალიბებული. მერე გამოჩნდა, რომ ასე არ იყო. ბოლოს მათი გადაწყვეტილება 8 თებერვლის ამბებმა „ჩაძირა“ და საბოლოოდ „ოცნების“ საწინააღმდეგოდ იმუშავა. ჯერჯერობით ერთიანი ხედვა არ ჩანს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და, იცით, რა მაშინებს? ჩვენ ნაცმოძრაობას ვზომავთ მხოლოდ იმით, რასაც საქართველოში წარმოადგენს და ეს შეცდომაა.

ნაციონალები 9 წელი მართავდნენ ქვეყანას და სულ მესმოდა, რა სულელები არიანო. კკითხულობდი, როგორ არიან სულელები იქ, სადაც საქვეყნო საქმეა და ჭკვიანები იქ, სადაც სათავისოა-მეთქი. ნახეთ, როგორ იკვრება წრე, აფხაზეთი და ოსეთი ვერ გამოვა, ამიტომ ეცადნენ, გაეაქტიურებინათ აზერბაიჯანული სოფლები, ქართულ-სომხური ეკლესიის ამბები, არც ეს გამოვიდა, მერე გააქტიურდა ჩახალიანის თემა. ყველა ეს საკითხი ცოცხალია, დახურული არც ერთია. ამას ემატება სოციალური ფონი... ანუ ყველა თემას ამუშავებენ. დავიჯერო, ეს ყველაფერი სპონტანურად ხდება? ან დავიჯერო, რომ ყველაფერს ერთი თავი აკეთებს და ეს თავი გიგა ბოკერიაა? თუ კიდევ ვიღაც ჯგუფია, ვისაც არ ვიცნობთ?

შეხედეთ — რომ გაჩნდა თემა, ესენი კონსტიტუციისთვის კი არა, თავის გადასარჩენად იბრძვიანო, იმდენად წალეკა ამ ამბავმა საეთერო სივრცე, თემის გადაფარვა გახდა საჭირო და მერაბიშვილი გამოვარდა, 19-ში მიტინგიაო. მერე მიშამ თქვა, მომისმინეთ, რა იქნებაო. ანუ იმავე წუთში გადაფარეს ის თემა, რაც ამ ხელისუფლებას უნდა ეტრიალებინა.

„შეიძლება ივანიშვილი ანაკონდას მეთოდს იყენებს — უცებ ყველას ერთად დააპატიმრებს“

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ კახა კუკავა და მისი პარტია „თავისუფალი საქართველო“ ხელისუფლების მიღმა დარჩა და „გარედან“ დამკვირვებლის ნიშა დაიკავა. ახლო წარსულის აქტიური პოლიტიკური ცხოვრების არცთუ პატარა გამოცდილება კუკავას ზურგს უმაგრებს საიმისოდ, რომ შეაფასოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, მკვეთრი კრიტიკაც არ დაიშუროს და პროგნოზებიც გააკეთოს. „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი საქართველოს პრემიერს კურსის არქონასა და კორუფციულ მმართველობაში ადანაშაულებს. არც მმართველობის 100 დღის ანგარიშს უწონებს, არც საკადრო პოლიტიკას, თუმცა აღიარებს, რომ წინა, ნაციონალების მთავრობას მაინც სჯობია.

— ბატონო კახა, როგორ აფასებთ ივანიშვილის მთავრობის მუშაობას?

— ამ მთავრობაში არიან კვალიფიციური მინისტრები, უფრო მეტი კი — არაკვალიფიციურები, მაგრამ კრიმინალები — არც ერთი. ეს უკვე კარგია, მაგრამ თუ იმ კუთხით შევხედავთ, რა მოლოდინები იყო საზოგადოების მხრიდან, მაშინ უარყოფითი ბევრი რამ გამოვა. ამ 100 დღეში არც იყო მოსალოდნელი, რომ ყველაფერი გაკეთდებოდა და გამოსწორდებოდა, მაგრამ მთავარი, რის გამოც საზოგადოება უკმაყოფილებას გამოხატავს, ისაა, რომ არც ჩანს ორიენტირი. წინა ხელისუფლების პერიოდში უამრავ ადამიანს მიაყენეს ზიანი და ყველას აინტერესებს, მოხდება თუ არა სამართლიანობის აღდგენა. ახალი ხელისუფლება პასუხს ვერ იძლევა. მისი პრაქტიკული საქმეებიდან გამომდინარე კი, უნდა დავასკვნათ, რომ ეს არ მოხდება. რაც შეეხება სოციალური ვალდებულების შესრულებას, აქ კიდევ უფრო რთულადაა საქმე.

— ექსპერტების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ნაციონალები დღემდე ახერხებენ პოლიტიკური სიტუაციების მართვას.

— არცაა გასაკვირი, რადგან მათ აქვთ მკაფიო გეგმა — „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია. როცა ამოცანა გაქვს, უფრო მარტივია მიზნის მიღწევა, „ქართულ ოცნებას“ კი, მე ვერ ვხედავ, რაიმე ამოცანა ჰქონდეს. ნებისმიერ სფეროში ისინი არიან საჭედაკარგული გემივით. კონსტიტუციაში ცვლილებები შეაქვთ თუ პროკურატურა რას აკეთებს, ეს არის აბსოლუტურად უთავბოლო პროცესი და ამიტომაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნაციონალები უფრო ორგანიზებული და მოტივირებული არიან. თუმცა, თუ ობიექტურად შევაფასებთ, არ მგონია, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ შეძლოს კონკურენცია გაუწიოს „ქართულ ოცნებას“, თუნდაც იმიტომ, რომ ნაცების მიმართ არსებობს ზიზღი საზოგადოებაში. შეგვიძლია, რომელიმე მინისტრის მიმართ ვთქვათ, რომ რაიმე გეგმა აქვს? ეს ხელისუფლების არაკვალიფიციურობის ბრალია.

— რატომ იუსტიციის სამინისტროს აქვს — სასამართლო რეფორმა.

— ეს არანაირი რეფორმა არ არის, მხოლოდ კოსმეტიკური ხასიათისაა. უბრალოდ მას უნდა, რომ მოხსნას იუსტიციის საბჭოს წევრები თანამდებობიდან. ასეთი რამეები საზოგადოებისთვის საინტერესო არ არის. საზოგადოებას აინტერესებს, დაისჯებიან თუ არა ნაცმოძრაობის დამნაშავე ჩინოსნები, როდის და როგორ.

— მეტი რაღა გააკეთოს, დედაქალაქის მერს, გიგი უგულავას ხომ წაუყენეს ბრალდება?

— ამ საქმეში რომ ის დამნაშავეა, მთელმა საქართველომ იცის, თავის დროზე ჩვენც ვამტკიცებდით, რომ კრიმინალია, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას. ახლა მოუწევს პასუხისგება, მაგრამ რაც წაუყენეს, არის ყველაზე მსუბუქი, რაც კი ჩადენილი აქვს. იმედია, მალე სასამართლოს წინაშე წარდგებიან მისი კოლეგებიც და საკმაოდ დიდი ტომები შეიკერება. თუ ასე არ მოხდა, მაშინ პოლიტიკური სუნი აუვა. ისედაც ასდის, გახსოვთ, რომ ივანიშვილი დაემუქრა. თუ მხოლოდ ის იქნა დაკავებული, ბევრი ჩათვლის, რომ ეს იყო პოლიტიკური დაკავება. ამიტომაც არის აუცილებელი, ყველა დამნაშავე დაიკავონ. თორემ გამოვა, რომ ბოკერია იმიტომ არ დაიჭირეს, რომ ივანიშვილს შეხვდა და პირისპირ ელაპარაკა.

— იუსტიციის მინისტრი წულუკიანი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კუბლაშვილს ხდებს ბრალს, ჩვენ კი ვიჭერთ, მაგრამ მოსამართლეები უშვებენო.

— სინამდვილეში ასე არ არის. კუბლაშვილის სასამართლოს რომელიმე ჩინოსანი რეალურად არ გაუთავისუფლებია, პრობლემა არის ბრალდებაში.

— ანუ მთავარი პროკურორი კბილაშვილი ვერ ართმევს თავს საქმეს, ამის თქმა გინდათ?

— მე არ ვფიქრობ, რომ ეს მარტო კბილაშვილის ბრალია ან წულუკიანის, თუმცა მიმაჩნია, რომ არც ერთია შესაფერისი დაკავებული თანამდებობისთვის. აქ პრობლემა მთავრობის კურსშია. ივანიშვილი მართლა კარგი მენეჯერია და მას რომ არ მოსწონდეს თავისი მინისტრები ან პროკურორი, მიიღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას. აქ ჩანს, რომ ივანიშვილს კურსი არ აქვს. ზოგი ამბობს, რომ ის ვერ გაერკვა შექმნილ ვითარებაში, ზოგი კი ირწმუნება, რომ ეს მისი მართვის სტილია. როცა რუსეთში საქმიანობდა, ივანიშვილზე ამბობდნენ, რომ ანაკონდას მეთოდით ხელმძღვანელობდა, ვითომ არავის აპატიმრებს, მაგრამ ყველაზე ამზადებს მასალებს და რაღაც წერტილში უცებ ყველას ერთად დაუპატიმრებს. ვერ ვიმსჯელებ, რა ხდება ივანიშვილის თავში, ამიტომ მე შეფასება შემიძლია გავაკეთო, დღეს რაც ხდება — დამნაშავეები არ ისჯებიან და უდანაშაულოთა მიმართ სამართლიანობის აღდგენა არ ხდება.

> **„ხელისუფლებას არ აქვს დამნაშავის დასჯის ამოცანა, პოლიტიკური დევნაა მათი მიზანი. ისინი დევნიან ნაციონალებს, მაგრამ, ოგოროც ჯიმინალებს, არ სჯიან. დაჯითხვაზე ჰყავთ ხალხი, ვეჰიელაშვილის ქმარი იქნება თუ ხაჩიხაშვილი და ეუბნებიან: „გადმოხვალ თუ გავაგზავნეო დაჯითხვა?“. არ უნდათ დამნაშავეების დასჯა“.**

— რატომ უწუნებთ იანუკაშვილს კადრებს?

— საკადრო პოლიტიკა არის კორუფციული და არაკვალიფიციური. პირდაპირ ამბობს პრემიერი, რა მოხდა, თუ ნათესავი დავნიშნეო.

— მერე ხომ განმარტა, ჩემი ნათესავის პირველი ნაწილი არ გაიგეს, უბრალოებას კონკურსს ვანიჭებო.

— ეს სააკაშვილსაც ახასიათებდა, ამბობდა ერთს, აკეთებდა მეორეს. ჩვენ კი მათი პრაქტიკაში საქმიანობა უნდა შევაფასოთ. ვხედავთ, რომ მეორე ნაწილში როგორც ილაპარაკა, ისე იქცევა. არასამთავრობოებთან შეხვედრაზე ის-

Cyan Magenta Yellow Black

■ კახა კუკავა

იც იკითხა, რა პრობლემაა, სამსახურიდან თუ თავისი განცხადებით წავა ვინმეო. საკუთარი განცხადებით არავინ ტოვებს სამსახურს დღეს, იმ ერთი პროცენტის გარდა, რომელიც უფრო კარგ სამსახურში მიდის. სამაგიეროდ ვიცით, რომ სამსახურიდან მიდიან, როცა ადგილი აქვს მუქარას. ჩვენ ეს პრობლემები გვქონდა წინა ხელისუფლებასთან დაკავშირებით და ძალიან სამწუხაროა, რომ ივანიშვილმა გაგვცა ის პასუხი, რასაც იძლეოდა ნაცმოძრაობა. ვინმემ ჰკითხა ხალხს, რატომ დაწერეს განცხადებები? ივანიშვილს თუ უნდა, ბიძაშვილ-მამიდაშვილები „ქართუში“ დაასაქმოს, მაგრამ საჯარო სამსახურში დასაქმებას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი პრინციპი, როგორც არის ევროპულ ქვეყნებში.

— თქვენ ამბობთ, ივანიშვილს კურსი არ აქვსო. ამ დროს „ოცნება“ ამტკიცებს, რომ იციან, რასაც აკეთებენ.

— არ აქვს! წინა ხელისუფლების დროს ჩამოერთვა ხალხს ქონება, რომლის ღირებულება დაახლოებით არის 15 მილიარდი. ახლა კითხულობენ, როდის დაუბრუნდებათ. შეიძლება ხელისუფლებას არ ჰქონდეს პროცესი დამთავრებული, მაგრამ გამოვიდნენ და თქვან — კანონი იქნება მიღებული მარტში, კომისია შეიქმნება მაისში... ან თქვან, რომ დაბრუნება არარეალურია. კურსი ესაა. შეხედეთ ივანიშვილის ოჯახს, „ქართუ ბანკს“. ვხედავთ, რომ სწრაფად და ეფექტურად ხდება იქ ყველაფერი, ხოლო, რაც უბრალო ხალხს შეეხება, იქ გადაწყვეტილებები არ მიიღება და არც ის ჩანს, როდის მიიღებენ. ამას ჰქვია, რომ კურსი არ აქვს. როცა ექნება, მერე შეიძლება ვიმსჯელოთ, კარგია თუ ცუდი.

მაგალითად, მეჩეთის აშენება არ მომწონს, ანუ გასაგებია, რომ ივანიშვილი მხარს უჭერს თურქულ ექსპანსიას, მაგრამ არის საკითხები, სადაც ჩვენი ხელისუფლება არის დაკომპლექსებული. ისინი ხვდებიან, რომ წინა ხელისუფლების კურსი იყო უვარგისი და მთლად იმის გაგრძელება არ შეიძლება, მაგრამ არიან დაკომპლექსებული, კურსი რომ შეცვალოს, დასავლეთში ცუდად იქნება აღქმული და ცდილობენ, არც მწვადი დაწვან და არც — შამფური. ისტორია კი გვასწავლის, რომ ყველაზე ცუდი ეს კურსია. ჯობია, ცუდი გადაწყვეტილება მიიღო და მერე შეცვალო, ვიდრე საერთოდ არ მიიღო.

— კურსი არ გამოჩნდა თუნდაც ჩაშლილი საკონსტიტუციო რეფორმის შეთანხმების უკან?

— ნაცმოძრაობა ამტკიცებდა მთელ ევროპაში, „ოცნება“ დაჭერით გვემუქრება, თუ კონსტიტუციას ხმას არ მივცემთო. დადასტურდა, რომ მართლაც ასე იყო. კარგია, რომ ჩაიშალა. ის კონსტიტუცია, რომლის მიღებასაც უსუფაშვილი და ივანიშვილი აპირებდნენ,იქნებოდა უფრო არალეგიტიმური, ვიდრე ის, რაც 2004 წელს თავს მოახვია ქვეყანას სააკაშვილმა. არ შეიძლება პროკურატურაში დაბარებული დეპუტატების ხმებით მიიღო კონსტიტუცია, რომელიც არის ქვეყნის მთავარი დოკუმენტი, რომელიც ასახავს, როგორ უნდა იყოს ქვეყანა პოლიტიკურად მოწყობილი.

— ამნისტიაზე რატომ არ წავიდა ხელისუფლება, რას ფიქრობთ?

— იმიტომ, რომ ბევრი მოუვიდათ. მე პოლიტიური ამნისტიის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ამნისტია უნდა იყოს მხოლოდ მუხლობრივი. ჩვენ გვაბრალებენ, პრორუსულები ხართო და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებებს კომუნისტურად. ევროპაში საერთოდ გაგიგიათ პოლიტიკური ამნისტია, ამ პარტიის წევრს ვაპატიოთ, ამას — არაო? კომუნისტურ სიმახინჯეებს ახალი ხელისუფლება უნდა გაემიჯნოს. რატომ უნდა ვაპატიო ის სხვა პარტიელს, რაც ჩემსას არ ეპატიება? მაშინ გავაუქმოთ კონსტიტუცია და ვთქვათ, რომ ჩვენ შავკანიანები ვართ, ყველა დანაშაულზე ვაგებთ პასუხს და ისინი — არაფერზე. სინამდვილეში ასეც ხდება, „მოქალაქეთა კავშირს“ ნაცმოძრაობამ აპატია, ახლა ესენი აპატიებენ, მერე ამათ გამოეყოფა ალასანია და თუ რესპუბლიკელები და მერე ესენიც აპატიებენ და ასე დაინგრევა ქვეყანა. ამას არ ვამბობ ემოციებიდან გამომდინარე, კარგად ვიცნობ მსოფლიოს უახლეს ისტორიას და ვერ ნახავთ პოლიტამნისტიით

„ივანიშვილი ალბათ ელოდა, რომ ვიტყოდი, რომ ველოდი ასე მოკლე დროში ქვეყნის აყვავებას-მეთქი. მერე მის დაბადების დღეზე ფეისბუქზე უნდა დამეწერა პოსტები, მასთან დაახლოებული პირებისთვის უნდა მეფეურნა ყურში... ხედავთ, ნახევარი თბილისი ამითაა დაკავებული. ეს არც მე მჭირდება და არც — მას. მე მინდა ევროპული დემოკრატია.

აშენებულ ქვეყანას. მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს. ნუ ვიქნებით მკაცრები, ვიყოთ ლმობიერები, გამოვაცხადოთ ამნისტიები, მაგრამ არა — პოლიტიკური. ასე ქვეყანას ვერ ავაშენებთ.

ბოლო 20 წელი იმის გამო, რომ მართლმსაჯულება არ აღსრულდა, სამართლებრივი ცნობიერება ქვეყანაში დანგრეულია. არავის სჯერა, რომ სიმართლით მართლმსაჯულების განხორციელება შესაძლებელია. იმედი მქონდა, ჰალსტუხიანი „მხედრიონის“ მართვა შეიცვლებოდა, ხელისუფლება კურსს შეცვლიდა, ამ დროს კი პირიქით, უფრო მოდერნიზაცია ხდება.

ახალი ხელისუფლება არის კორუმპირებული თავისი აზრით, პრინციპები არა აქვს. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ გამსახურდიას მერე პოლიტიკაში მოდიან კარიერისთვის, ფულისთვის. ესენი არ არიან იდეალისტები. ვინ არიან „ქართულ ოცნებაში“, შეხედეთ. 90 პროცენტი ნამყოფია მოქკავშირსა და ნაცმოძრაობაში. შეხედეთ, ყოველი მეორე დეპუტატი კენტ წლებში ნატო-ს მომხრე იყო და ლუწში — მოწინააღმდეგ. მათ არანაირი პრინციპები არ აქვთ. კოჰაბიტაცია შესაძლებელია 2 პრინციპის დაცვით — დაისაჯოს ყველა დამნაშავე, როგორი საბურველიც არ უნდა ჰქონდეს საქმეს და ვისაც არ უმტკიცდება დანაშაული, მის მიმართ არანაირი რეპრესია არ უნდა იყოს გატარებული.

სერგო რატიანის მიმართ გამოხატული აგრესია არასწორია. რატიანი არ არის კრიმინალი, სულელია, რომელსაც აქვს ასეთი მოსაზრებები. ამის გამო, თუ დემოკრატიული ქვეყანა გვინდა, ადამიანები მას ფიზიკურ შეურაცხყოფას არ უნდა აყენებდნენ. მეორე მხრივ, გივი თარგამაძე, განგსტერი, კრიმინალი, რომელიც აწარმოებდა კანონიერ ქურდებთან მოლაპარაკებას, უნდა იჯდეს ციხეში, მიუხედავად იმისა, რომ არის ნაციონალი. აიღეთ ხაჩირაშვილი. თბილისის საკრებულოს ნაცფრაქციის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც ორჯერ დაიბარეს დაკითხვაზე. გუშინ იყო ნაციონალი, დღეს გახდა „ოცნება“. მაინტერესებს, რა უნდა ქნას პროკურატურამ, უნდა შეწყდეს დაკითხვები?

ხელისუფლებას არ აქვს დამნაშავის დასჯის ამოცანა, პოლიტიკური დევნაა მათი მიზანი. ისინი დევნიან ნაციონალებს, მაგრამ, როგორც კრიმინალებს, არ სჯიან. დაკითხვაზე ჰყავთ ხალხი, ვერულაშვილის ქმარი იქნება თუ ხაჩირაშვილი და ეუბნებიან: „გადმოხვალ თუ გავაგრძელო დაკითხვა?“. არ უნდათ დამნაშავეების დასჯა. მე ნაციონალებს კი არ ვიცავ, ჩემი ამოცანაა, დაკითხო და დაიჭირო. მოწმეს არ ვგულისხმობ. და თუ დამნაშავე არ არის, არც უნდა დაკითხო.

— არჩევნებმა ყველაზე მეტად თქვენნაირი პარტიები დააზარალა, რას აპირებთ? პროცესები ისე მიდის, რომ პარლამენტის გარეთ მყოფები უფუნქციოდ დარჩით.

— ძალიან ცუდი სიტუაცია შეიქმნა, დღეს პოლიტიკაში არის ორი მილიარდერი — მიშა სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი. ისინი უხდიან ხელფასს ათასობით მხარდამჭერს, თითოეულს აქვს 3-4 ტელევიზია და ყიდულობენ მილიონობით რეკლამას. გავუწიოთ მათ კონკურენცია, როცა ჩვენი სამი თვის ბიუჯეტი არის 1500 ლარი, სასაცილოა. ეს ჩვენი პასიურობის ბრალი არ არის, უბრალოდ ჩვენი პოლიტიკა გახდა უფრო ოლიგარქიული, ვიდრე წინა წლებში იყო. ზვიადის დროს ფული პოლიტიკაში იყო 1 პროცენტი, შევარდნაძის დროს — 10, ახლა კი, ივანიშვილისა და სააკაშვილის კოჰაბიტაციის პირობებში — 90 პროცენტი. ყველგან იზღუდება ფულის შედინება პოლიტიკაში, ჩვენთან კი პირიქითაა.

— ისევ ორიოვს — თქვენ და ივანიშვილს, პრორუსულის იარლიყი გაქვთ და რატომ ვერ დაზავდით?

— ივანიშვილი ალბათ ელოდა, რომ ვიტყოდი, არ ველოდი ასე მოკლე დროში ქვეყნის აყვავებას-მეთქი. მერე მის დაბადების დღეზე „ფეისბუქზე“ უნდა დამეწერა პოსტები, მასთან დაახლოებული პირებისთვის უნდა მეფეურნა ყურში... ხედავთ, ნახევარი თბილისი ამითაა დაკავებული. ეს არც მე მჭირდება და არც — მას. მე მინდა ევროპული დემოკრატია.

— მასაც.

— მაგრამ მისი კონსტიტუცია, საარჩევნო კოდექსი, ეკონომიკური კანონმდებლობა და სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც შემოგვთავაზა, არის ევროპული? ბუკიკომ გულწრფელად თქვა — 2004 წელს ისინიც გავაკრიტიკე და არ დამიჯერეს, ახლა ამათ ვაკრიტიკებ და არც ამათ სჯერათო.

— რა პროგნოზები გაქვთ, რა გველოდება შემოდგომამდე?

— ძნელია, რამის თქმა. 2013 წელი ისეთი იქნება, რომ შეიძლება ყველაფერი მოხდეს. ნაცმოძრაობა 19 აპრილს აქციას მართავს, თუმცა რთულად წარმომიდგენია, რომ ამ სცენარით წავიდეს საქმე. ნაცებს სხვადასხვა ინსტრუმენტი აქვთ, რასაც პერიოდულად გამოიყენებენ. პარლამენტის დათხოვნა ნაკლებ სავარაუდოა. ახლა ამერიკა გააქტიურდა. ხედავთ, ხან ერთ მინისტრს იბარებენ, ხან — მეორეს. ნაცმოძრაობა კი შეეცდება კოჰაბიტაციიდან გამოვიდეთ და დესტაბილიზაცია მოხდეს. ბევრი რამ დამოკიდებულია ივანიშვილის რეიტინგზე, 40 პროცენტმს ქვემოთ თუ დაიწევს, რამდენად კრიტიკული იქნება მის მიმართ დასავლეთი და ა.შ.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა**
მოამზადა მანანა გეგეშიძ

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

გახმაურებული საქმე

„ჩემი შვილი მაღალჩინოსნის დანაშაულის დაფარვის მიზნით მოკლეს“

ზურაბ ვაზაგაშვილის მამა გამოძიების ახალ დეტალებზე საუბრობს

■ იური ვაზაგაშვილი

2006 წლის 2 მაისს თბილისის ცენტრში, დილის 10 საათზე, პოლიციელებმა შუა ქუჩაში, შუქნიშანთან გაჩერებულ ავტომანქანას, სადაც სამი ახალგაზრდა იჯდა, ცეცხლი გაუხსნეს. სამართალდამცავებმა, რომლებიც სამოქალაქო ფორმაში იყვნენ გამოწყობილი, ავტომობილში მსხდომნი ჩაცხრილეს — ორი მოკლეს, ერთი კი მძიმედ დაჭრეს. გარდაცვლილები 22 წლის ზურაბ ვაზაგაშვილი და 26 წლის ალექსანდრე ხუბულოვი იყვნენ, დაჭრილი კი — ბონდო ფუთურიძე.

მაშინდელი პროკურატურის ინფორმაციით, 2006 წლის 2 მაისს „მაკაროვის“, „ჩეზეს“ და „ვალტერის“ სისტემის ოთხი პისტოლეტით შეიარაღებული ახალგაზრდები შავი ფერის „ბეემვე“-ს მარკის ავტომანქანით ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით მოძრაობდნენ. სპეცოპერაცია დაახლოებით 9 საათსა და 45 წუთზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა. პროკურატურის მტკიცებით, ხუბულოვმა და ვაზაგაშვილმა პოლიციელებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს...

სახალხო დახვრეტა — ასე შეაფასა მომხდარი მაშინდელმა ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა.

ამ საქმის გამოძიება 2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ თავიდან დაიწყო. მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის მამა, იური ვაზაგაშვილი ამბობს, რომ დღემდე არ იცის ჭეშმარიტი მიზეზი, შვილი რატომ მოუკლეს. „სარკესთან“ ის დეტალურად იხსენებს იმ ტრაგიკულ დღეს და შემდეგ განვითარებულ მოვლენებს.

იური ვაზაგაშვილი:დილის 12 საათი იქნებოდა, ჩემმა მეუღლემ ტირილით რომ დამირეკა, ტელევიზორში კადრები აჩვენეს, ვიღაცეები ჩაუცხრილავთ და ზურას მანქანა ვიცანიო. საავადმყოფოში გავიქეცით. გვითხრეს, ზურა მოკლესო. შსს-ს კრიმინალური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირაკლი ქადაგიძემ ბრიფინგი ჩაატარა, სადაც თქვა, ყაჩაღურ ჯგუფთან მოგვიწია შეტაკებაო. მერე მისი მოადგილე ირაკლი ფირცხალავა გამოვიდა და თქვა, ფუთურიძე გადარჩა, რადგან იმას დამიზნებით არ ვესროდით თავის და გულმკერდის არეში, რადგან ნაკლები დამნაშავე იყოო. თქვეს, რომ ამ ბიჭებმა ორი დღით ადრე, 30 აპრილს, ყაზბეგის ქუჩაზე ლომბარდი დააყაჩაღეს. ჩვენ მაშინვე წარვადგინეთ კადრები, სადაც დაფიქსირებული იყო, რომ 30 აპრილს ზურა მთელი დღე ქორწილში იყო მეჯვარედ. დილით გოგომ გადაიხადა ქორწილი, საღამოს — ბიჭმა, სუფრებს შორის კი ჯვარისწერა და ხელისმოწერა ჰქონდათ. კადრებში ჩანდა, ზურამ მთელი დღე რაც გააკეთა. ეს ვერსია ჩაეშალათ და მერე საერთოდ აღარ უხსენებიათ.

მერე სხვა სიბინძურეების შეთხზვა დაიწყეს. იმ დღეს ინგა გრიგოლიას ჰქონდა პირდაპირი ჩართვა ამ საქმესთან დაკავშირებით და იკითხა, კი, მაგრამ თუ ეს ბიჭები საყაჩაღოდ მიდიოდნენ, მიგეშვათ და ადგილზე ჩაგეტარებინათ სპეცოპერაციაო. უპასუხეს, იმ ოჯახთან ახლოს იყვნენ, როცა ცეცხლი გავხსენითო.

აცხადებდნენ, დასაყაჩაღებლად მიდიოდნენ, მაგრამ იმ ოჯახს უსაფრთხოების მიზნით არ დავასახელებთო. ამის შემდეგ იწყება გამოძიება, რომელსაც აწარმოებს შსს-ს კრიმინალური დეპარტამენტი. გაგონილა, ვინც სპეცოპერაციაში მონაწილეობდა, თავისი საქმე იმან გამოიძიოს?! თუ პოლიციელებს ეხება, პროკურატურამ უნდა გამოიძიოს!

ჩემთან ერთი პიროვნება, შსს-ს თანამშრომელი მოვიდა და 10.000 დოლარი მთხოვა იმის სანაცვლოდ, რომ მომიტანდა მთელ იმ დოკუმენტებს და მტკიცებულებებს, რაც სამართალდამცავებს ჰქონდათ. კამერები დავამონტაჟე და გადავიღე, რასაც მთხოვდა. მითხრა, მომკლავენ, რომ გაიგონო. მთელი საქმე გადავიღე ქსეროქსზე და ყველაფერი უკან გავატანე. ასე ჩამივარდა მთელი დოკუმენტაცია ხელში. იქ იყო წერილები, რომლებშიც ერთმანეთს სთხოვდნენ, გთხოვთ, დაადგინოთ ის ოჯახი, რომელიც უნდა დაეყაჩაღებინათო. ასევე გვქონდა ინფორმაცია, რომ ფირცხალავამ მოძებნა ერთი ოჯახი, მაგრამ ადეიშვილმა დაუხია ეს ე.წ. მტკიცებულება და თვალებში შეაყარა. ერთი თვის მერე იპოვეს ვინმე ახმედ მამედოვი. ეს კაცი ჩვენებაში წერს, თქვენგან მესმის, რომ ეს ბიჭები ჩემ დასაყაჩაღებლად მოდიოდნენ, ოჯახს მხოლოდ 700 ლარი გვაქვს შემოსავალი და რა მქონდა დასაყაჩაღებელიო.

— თქვენ თუ იცოდით, სად წავიდა თქვენი ვაჟი დილის 10 საათისთვის?

— ზურა უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში სწავლობდა. მე-4 კურსის სტუდენტი იყო. ორი გამოცდა ჰქონდა დარჩენილი და, როგორც კი ჩააბარებდა, ანტალიაში უნდა წავსულიყავით. საცოლე ჰყავდა, ის გოგო აქვე, ჩვენს უბანში ცხოვრობდა. იმ დღეს ზურას თავისი საცოლისთვის უნდა გაევლო და უნივერსიტეტში ერთად წასულიყვნენ. რაც მე მოვისმინე, ის იყო, რომ იმ დილით ხუბულოვს უთხრა, მე ვერ წამოგყვები, საქმე მაქვსო. მერე მაინც გაჰყვა. საცოლეს დაურეკა, ერთ საათში მოვალ და წავიდეთო. ხუბულოვმა ზურას წინა დღეს, დაახლოებით ღამის პირველის 14 წუთზე დაურეკა. ეს საუბარი 127 წამი გაგრძელდა. არ ვიცი, რა უთხრა, რადგან ის ჩანაწერი საერთოდ გააქრეს. არადა სწორედ ამ ზარის შემდეგ მოხდა სპეცრაზმის მობილიზება.

— საიდან იცნობდა თქვენი ვაჟი საშკა (ალექსანდრე) ხუბულოვს და როგორ ცხოვრობდა ეს ადამიანი, იცოდით?

— ხუბულოვი აქვე, ჩვენ მეზობლად ცხოვრობდა. როგორც ვიცი, ნაშვილები იყო. მერე ჩვენი უბნელი გოგო მოიყვანა ცოლად და მასთან დასახლდა. ერთ უბანში ცხოვრობდნენ ბიჭები და, რა თქმა უნდა, ერთმანეთს იცნობდნენ. სამი თვის განმავლობაში ჩემს შვილსა და ხუბულოვს შორის მხოლოდ ორჯერ მოხდა სატელეფონო კავშირი, რომელიც მხოლოდ 7 და 9 წამი გაგრძელდა. მესამედ კი ის საბედისწერო კავშირი შედგა. როგორც ჩანს, მაშინ ზურას სადღაც წაყვანა სთხოვა. სად და რისთვის, სწორედ ის ჩანაწერი, სადაც ეს გამოჩნდებოდა, გააქრეს.

— პოლიცია ხუბულოვის სატელეფონო ზარებს უსმენდა თუ თქვენი შვილისას?

— ეს ნაძირლები განცხადებებს აკეთებენ, ხუბულოვი 3 დღის გამოსული იყო ციხიდანო. ახლახან თქვეს, ციხის „მაყურებელი“ იყოო. როგორ იყო სამი დღის გამოსული, როცა ადრე არასრულწლოვანთა ციხეში იჯდა და რაც გამოვიდა, ცოლიც მოიყვანა და ორი ბავშვიც შეეძინა? ორწლინახევრის და წლინახევრის შვილები დარჩა, ეს სამ დღეში ხერხდება?!

— რისთვის იჯდა ციხეში?

— მგონი, ქურდობისთვის, ზუსტად არც ვიცი. ხუბულოვის შვილები ახლა 9 და 7 წლისანი არიან.

„სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი გიორგი ცააძე მივიდა ავტომობილთან ზურას მხრიდან. იარაღი დაუმიზნა. თურმე ზურამ ხელები ასწია, ვინ ხარ, რა გინდა, გაგიჟდით, უთხრა. მან კი პირდაპირ სროლა აუტეხა. სამი ტყვია მოახვედრა — მაჯაში, ფეხში და მკლავში".

ნეტავ, ზურას ერთი შვილი მაინც დარჩენოდა! ხუბულოვს მეც ვიცნობდი. მშვენიერი, წყნარი ბიჭი იყო. თავისთვის დადიოდა. გრძელი თმა ჰქონდა და ძალიან ლამაზი ბიჭი იყო.

— ბონდო ფუთურიძესაც იცნობდით?

— აქვე ცხოვრობდა, ხუბულოვის მეგობარი იყო. მის შესახებ გავიკითხე და არც კრიმინალური წარსული აქვს და არც ცუდი სახელი. როგორც გავიგე, ის სატელეფონო საუბარი, რომელიც პოლიციამ გააქრო, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებს ეხება. ამიტომაც არ აწყობდათ, რომ ეს საუბარი გახმაურებულიყო. როგორც გავიგე, ხუბულოვის დევნა ერეკლე კოდუას ინტერესებში შედიოდა. რა ურთიერთობა ჰქონდა ხუბულოვთან და ვინ იყო ის ადამიანი, ვინც ის გარკვეულ საქმეზე გაგზავნა, არ გეტყვით, რადგან გამოძიება მიმდინარეობს და არ მინდა, ხელი შევუშალო. ჩემს შვილს აუცილებლად ეცოდინებოდა, სად წაჰყვა ხუბულოვს, რადგან მას ეს ადამიანი ვერ მოატყუებდა. როგორც ჩანს, ზურამ რაღაც კაცურ საქმეზე უარი ვერ უთხრა. ერთი, რაც ზუსტად ვიცი, ის არის, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან იყო კავშირში და რატომ გამოიყენეს მაინცდამაინც ზურა, ამასაც გამოძიება დაადგენს.

ხუბულოვს სამი დღით ადრე თავისი ცოლი მანქანაში არ ჩაუსვამს, უთქვამს, გინდა, ჩემთან ერთად ჩაგცხრილონო. ანუ მან იცოდა, რომ დასდევდნენ. იმ ტრაგედიამდე დაახლოებით 2-3 კვირით ადრე საშკასთვის თავის დაქალს უკითხავს, რატომ ხარ მოწყენილიო და თურმე უპასუხა, ყოველდღე სიკვდილს ველოდებიო.

სპეცოპერაციის ერთ-ერთი მონაწილე ჩვენებაში ამბობს, ამ ბიჭებს

„რატომ მომიკლეს შვილი? ამ კითხვას 7 წელია ვსვამ. თუ ვინმე მეტყვის, რომ ჩემს შვილს სადმე რამე დანაშაული ჩაუდენია ან თუ დამიმტკიცებენ, რომ მართლაც საყაჩაღოდ მიდიოდა, საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს".

Cyan Magenta Yellow Black

უკან მივდევდით და უცბათ ბრძანება მოვიდა მათი ლიკვიდაციის შესახებო. გავგიჟდით, ბიჭები არაფერს აშავებენ და რატომ უნდა დავხოცოთო. კორტებთან რომ მივიდნენ და შუქნიშანზე გაჩერდნენ, იქ უკვე იდგა სპეცრაზმი და კრიმინალისტები. კრიმინალისტებს რა უნდოდათ იმ ადგილას?! მანქანა გაჩერდა შუქნიშანთან და ამ დროს სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი გიორგი ცაავე მივიდა ავტომობილთან ზურას მხრიდან. იარაღი დაუმიზნა. თურმე ზურამ ხელები ასწია, ვინ ხარ, რა გინდა, გაგიჟდიო, უთხრა. მან კი პირდაპირ სროლა აუტეხა. სამი ტყვია მოახვედრა — მაჯაში, ფეხში და მკლავში. როცა სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი სროლას დაგიწყებს, რას იზამ?! მოუწყვეტია მანქანა ადგილიდან. დაეყარეს ტყვიები. სამი საბურავი დაუშვეს. კორტების კედელს დაეჯახა. ზურა ამ დროს ცოცხალი რომ არ ყოფილიყო, შეჯახების მერე მანქანას როგორ დაძრავდა?! კორტების კედელზე ჩანს შავი ზოლი, მანქანის მოტრიალებას როგორ ცდილობდა. ამ დროს შეეჯახა შუქნიშნის რკინის ბოძს. ამის მერე ორივე, ზურაც და საშაც ისევ ცოცხლები იყვნენ და ისე ჩაცხრილეს.

ზურას დახვრეტას თვითმხილველებიც ჰყავდა. ახლახან ერთმა მითხრა, ზურა ეხვეწებოდა, არ მომკლათო. ეს სადისტები ამბობენ, როცა კედელს შეეჯახა, მას მერე აღარ გვისვრიაო. მკვდარი ატარებდა მანქანას ჩემი შვილი?! არსებობს მსოფლიოში ადამიანი, რომელმაც კაცი მოკლას, მერე ეს ამბავი თვითონ გამოიძიოს და თავისი თავი გაიმტყუნოს?! ჩვენი დაზარალებულად ცნობა არ უნდოდათ და ეს მკვლელები დაზარალებულებად არიან ცნობილი, ამ სტატუსით არიან დაკითხული! ნაძვებიდან ჩასაფრებული ისროდნენ. ეს კადრები ისევ შსს-ს მიერ არის გადაღებული. ნულოვანი ტოლერანტობაო, რომ თქვა პრეზიდენტმა და ვანო მერაბიშვილმა დაამატა, ხელი არ აგიკანკალდეთ, პირდაპირ ესროლეთო, ეს გამოიყენა პოლიციის რამდენიმე დაჯგუფებამ, რომლებიც საშინელებებს ჩადიოდნენ. რატომ მომიკლეს შვილი? ამ კითხვას 7 წელია ვსვამ. თუ ვინმე მეტყვის, რომ ჩემს შვილს სადმე რამე დანაშაული ჩაუდენია ან თუ დამიმტკიცებენ, რომ მართლაც საყაჩაღოდ მიდიოდა, საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს.

— ფუთურაძის ჩვენების მიხედვით, მას ზურამ და საშკამ შესთავაზეს ვიღაცის დაყაჩაღება, რომლის სახელი ფუთურაძემ არც იცის. ამისთვის კი რამდენიმე იარაღი შეკეთებულა.

— ამ ჩვენებაში ფუთურაძე იმასაც წერდა, უკან ვიჯექი და პირველმა მე გავისროლე, მერე კი ბიჭებმაც ისროლესო. ეს მის სინდისზეა. ახლა სხვა ჩვენება მისცა, ანუ ის, რაც სიმართლე იყო. როცა ის მანქანიდან გადმოჰყავთ, ოპერატიულ მასალაში იარაღი ვარდება. თუ ფუთურიძემ ისროლა, ის იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში არ უნდა ყოფილიყო?! ექსპერტიც არ სჭირდება ამ კადრებს. ნებისმიერი, ვისაც იარაღის რამე გაეგება, მიხვდება, რომ ის გასროლილი არ არის. ის იარაღი მერე ჩაუდეს.

— თქვენს შვილს იარაღი ჰქონდა?

— არა, ყოველ შემთხვევაში, მე არასოდეს მინახავს. ამას მამის პოზიციიდან არ გეუბნებით. მე კი მქონდა ერთი იარაღი, რომელიც გაფორმებული მაქვს. მაშინ მოვიდნენ, სახლი გაჩხრიკეს და ის იარაღი წაიღეს. ზურას ხელში რომ იარაღი მენახა, არ წავართმევდი?! თითქოს ხუბულოვი ორი იარაღით ისროდა, ჩემი შვილი კი თან საჭესთან იჯდა, დაშვებული საბურავებით გარბოდა და თან ისროდა. მანქანის უკანა მინა ამოტეხეს, თითქოს იმ ადგილას, რომელიც დაახლოებით თაბახნახევარი რომ წარმოიდგინოთ, იმხელაა, 14-მა ტყვიამ გაიარა. ოპერატიულ მასალაში, რომელიც ბიჭების ჩაცხრილვის მერეა გადაღებული, ჩანს, რომ მანქანის უკანა მინა მთელია.

— როგორც ამბობთ, ხუბულოვი ჩაცხრილვას ყოველ წუთში ელოდებოდა. ხომ შეიძლებოდა მას იარაღი მართლაც ჰქონოდა?

— ვერ გეტყვით, მაგრამ რომ ჰქონოდათ, ხომ გაისროდნენ?! ექსპერტიზის დასკვნით, მანქანიდან არც ერთი გამომავალი ტყვია არ არის. სოხარ სუბარმა ალტერნატიული ექსპერტიზა ჩაატარა და დასკვნა დადო, რომ მანქანიდან გამომავალი ნატყვიარი არ არის. კიდევ მინდა ექსპერტიზის ჩატარება. ფუთურიძეს 10 წელი მიუსაჯეს. 4 წელი უნდა მჯდარიყო და 6 წელი პირობითი სასჯელი უნდა მოეხადა. ახლა ის გარეთ არის და ნივთმტკიცების მოპოვებას რაღა უნდა?!

— რას ამბობს ფუთურაძე თქვენთან პირად საუბარში?

— ფუთურიძე ამბობს, საშკამ მითხრა, გოგო მყავს სანახავი და გამომყევიო. ორივეს ორ-ორი შვილი ჰყავდათ და ვერ გეტყვით, ვინ უნდა ენახათ. ისეთი ურთიერთობა არ გვქონდა, რომ ჩავძიებოდი, ვინ უნდა ვნახოთო. მართალი გითხრათ, არ მჯერა ამ ფუთურიძის.

— როგორ ფიქრობთ, ვინმეს სჭირდა თქვენი შვილის ჯავრი?

— მე ორი ვერსია მაქვს, მაგრამ ახლა ამაზე არ ვილაპარაკებ. ვთვლი, რომ ზურა სახლიდან გაიტყუეს. ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირს უნდა შეხვედროდნენ, რომელიც მთავრობის შეკვეთით რაღაც ცუდ საქმეებს ჩადიოდა.

— მერე თქვენც გედაჯებოდნენ მანქანის მოპარვაში.

— ჩემი კუთვნილი მანქანა წამართვეს, ვითომ მოპარული ავტომობილით დავდიოდი. თან, ვითომ პატრონმა აჭარაში კორტებთან დაკარგა 2004 წლის მაისში, რევოლუციის დროს. ვინც დაკარგა, 2005 წლის ბოლოს დაწერა განცხადება. არ ვიცი, წელიწადნახევარი რატომ ელოდებოდა. კიდევ კარგი, ჩემი მანქანა 2003 წელს დაზღვეული მყავდა. 2003 წელს რომ მე ავტომობილი მყავდა და დავაზღვიე, 2004-ში ის როგორ დაკარგავდა?! ჩემი მანქანა წელიწადნახევრის შემედგ დამიბრუნეს, მაგრამ მთავარი, რაც გაკეთეს — იმიჯი შეგვიქმნეს, რომ ვაზაგაშვილების ოჯახი კრიმინალური იყო. ქუჩურ გარჩევაში მონაწილეობაც დამაბრალეს. თურმე შვილი რომ მომიკლეს, მერე იმას ვარკვევდი, ვინ „ჩაუშვა“ ბიჭები, საყაჩაღოდ რომ მიდიოდნენ, ანუ მეც მცოდნია და ამავე დროს თანამონაწილეც ვყოფილვარ.

ოჯახური ბიზნესი მქონდა. ზურას მკვლელობიდან მე-19 დღეს მოვიდნენ და უზარმაზარი ჯარიმები გამომიწერეს. ეგ იმას ნიშნავდა, თუ გინდა, ბიზნესი გქონდეს, შვილი გაყიდე და ხმა არ ამოიღოო. შვილს რომ მომიკლავენ, მერე რაღად მინდა რამე?!

— ახლახან კი ირაკლი ფირცხალავამ „ნარკობარიგა“ გიწოდათ.

— „ნარკობარიგა“ კი არა, ფსიქოტროპული წამლების გამყიდველიო. ჩვეულებრივი აფთიაქი მაქვს, სადაც ფსიქოტროპული წამლებიც იყიდება. ნარკოტიკები ნაციონალებში ტრიალებს თუ ტრიალებს! საკაშვილისგან უნდა დაიწყონ შემოწმება! ფირცხალავაზე უამრავი ინფორმაცია მაქვს. ნახევარი მილიონის ქონება მარტო ერთს წაართვა. ყველანაირად მტკიცდება, რომ ის საშინელი საქმე დაგეგმეს ფირცხალავამ, ცაავემ და ლევან გვაზავამ. ამ საქმის გაყალბებაში იყო ჩართული კახა სირაძე, რომელიც დღესაც სამძებროს უფროსია, პროკურორი შაკო ზაალიშვილი, რომელიც აგრეთვე დღესაც მუშაობს, თენგიზ ხარებავა, რომელიც დღესაც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული პროკურორის მოადგილეა და ა.შ. ამათ დიდი დანაშაული აქვთ ჩადენილი და უნდა მოშორდნენ! ეს მკვლელები კიდევ გვიწვევენ, მაგრად ლაპარაკობენ და ისევ ათას ტყუილს ამბობენ.

— როგორ ცხოვრობდით, რა ბიზნესი გქონდათ ზურას მკვლელობამდე?

— აფთიაქი მქონდა, სუპერმარკეტი, რესტორანი და საბითუმო ბაზა. რესტორანი ზურას ვაჩუქე. მისი მკვლელობის შემდეგ დავკეტე და ქუჩაში დახვრეტილი ბიჭების საკუთრებად ვაქციე. ახლა აქ დარბაზია, სადაც წინა მთავრობის მიერ ქუჩაში დახვრეტილი ადამიანების სურათები მაქვს გამოფენილი. მამაჩემი 48 წლის იყო, მე რომ დავიბადე და მას მერე წვალებ-წვალებით მოვდივარ. ასე წვალებით შევიძინე ყველაფერი. ბანკებიდან სესხს ვიღებდი და საქმეს ისე ვაკეთებდი. ჩემთვის მშვიდად ვცხოვრობდი და ბედნიერი ვიყავი. ორი ბიჭი მყავდა და ცხოვრება მიხაროდა. ზურა საოცრად კეთილი იყო, იშვიათად შეხვდებით მისნაირ ჭკვიანს. როცა ვუთხარი, ფირმას ვაყალიბებ და ზურიკელა უნდა დავარქვა-მეთქი, მითხრა, ჩემს ძმას, ჯაბას ეწყინება და, მოდი, ორივეს სახელი, ჯაზუ დავარქვათო. ასეც მოვიქეცი. 11-12 წლის რომ იყო, მოდიოდა და მთხოვდა, სასტუმრო „აფხაზეთში“ რომ ბავშვები ცხოვრობენ, დავეხმაროთო. ზოგს წამლით ვეხმარებოდით, ზოგს — საჭმლით. კასპში გვაქვს სოფელი და ზაფხულობით იქ ორი-სამი მათგანი მაინც მოჰყავდა ხოლმე. რესტორანსაც ზურა ამუშავებდა და თვეში მისი შემოსავალი 7 ათასი მაინც იყო. ვინმეს რატომ დააყაჩაღებდა?! უნივერსიტეტში რომ მოეწყო, მანქანაც ვუყიდე. მაგარი ვაუკაცი ბიჭი იყო. უსამართლობას ვერ იტანდა, ნებისმიერს დაეჯახებოდა სიმართლისთვის.

— გამოდის, ხუბულოვმა, რომელიც ცოლს უკრძალავდა თავის გვერდით ყოფნას, თქვენი შვილი გაწირა?

— ეჭვი ერთია და სიმართლე — მეორე, ამიტომ ვერაფერს გეტყვით. გიმეორებთ, ეს ყველაფერი ხუბულოვისა და ერთი მაღალჩინოსნის ურთიერთობის გამო მოხდა. ჭორი გაავრცელეს, ვითომ ეს ფირცხალავას გამო მოხდა, მაგრამ ასე არ არის. ის ადამიანი უფრო მაღალი ჩინის მქონე იყო. ჩემი შვილი მისი დანაშაულის დაფარვის მიზნით მოკლეს! ფირცხალავა კოდუას და მერაბიშვილს გადაახტებოდა და მათ ამდენს გაუბედავდა?! ეს ხომ ზღაპარია! ეჭვია, რომ ამ საქმეში კოდუაც არის, მაგრამ მთავარი ფიგურა მაინც სხვაა.

ისე იცხოვრონ ჩემი შვილის მკვლელებმა, როგორც მე ზურას მკვლელობის შემდეგ ვცხოვრობ! ამას ცხოვრება აღარ ჰქვია. მე და ჩემს მეუღლეს, ერთი ეგ არის, თვალები გვაქვს გახელილი, თორემ... სასაფლაო, სახლი, სასაფლაო, სახლი — ეს არის ჩვენი ცხოვრება. ზურას 16 წლისას შეყვარებული ჰყავდა. ნეტავ, დაგვექორწინებინა...

— დაუშალეთ დაქორწინება?

— არა, არ დაგვიშლია, მაგრამ ის გოგო სხვას გაჰყვა. შვილი მაინც დაგვრჩენოდა მისი... იუსტიციის სამინისტროს წინ ქუჩაში დახვრეტილ ადამიანთა მემორიალი დადგა მინისტრმა თეა წულუკიანმა და ამაზე მიხეილ საკაშვილმა თქვა, ეს უსახური ძეგლი კრიმინალებს დაუდგესო. კრიმინალი იყო გურამ შარაძე, ბადრი პატარკაციშვილი, ზურაბ ჟვანია და სხვები?! ამ მემორიალზე აწერია — „ეძღვნება 2004-2012 წლებში პოლიტიკური რეჟიმის მიერ მოკლულ ადამიანთა ხსოვნას“. ეს სიცოცხლის მემორიალია!

✓ რუსუდან ადვაძე

„ისე იცხოვრონ ჩემი შვილის მკვლელებმა, როგორც მე ზურას მკვლელობის შემდეგ ვცხოვრობ! მე და ჩემს მეუღლეს, ეითი ეგ არის, თვალები გვაქვს გახელილი... სასაფლაო, სახლი, სასაფლაო, სახლი — ეს არის ჩვენი ცხოვრება. ზურას 16 წლისას შეყვარებული ჰყავდა. ნეტავ, დაგვექორწინებინა...".

Cyan Magenta Yellow Black

ნინო ბურდული: „თეატრში ბრეჟნევის დროს აბრუნებენ!“

■ ნინო ბურდული

ამსახიობი ნინო ბურდული თვლის, რომ ის დაისაჯა, რადგან მისი ნათამაშევი პრემიერ-მინისტრის როლი სერიალიდან „ცხელი ძაღლი“ 6 წელი თაროზე შემოდეს და დღის სინათლე მხოლოდ ახლა იხილა. მსახიობი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველთვის აქტიურობდა და მისი პოზიცია ხელისუფლების მიმართ კრიტიკული იყო. ერთ დროს ოპოზიციონერ სალომე ზურაბიშვილის პარტიის წევრიც გახდა, მაგრამ სწორედ მაშინ დარწმუნდა, რომ პოლიტიკა მისი საქმე არ იყო. სხვათა შორის, ის ახალი ხელისუფლების მიმართაც არ იშურებს მწვავე კრიტიკას და ღიად აცხადებს, რომ არ მოსწონს ის, რაც დღეს ხელოვნების სფეროში ხდება.

ქალბატონი ნინო მკაცრი და ძლიერი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამბობს, რომ სინამდვილეშიც ასეთია. ქალურ სისუსტეს ძირითადად პირად ცხოვრებაში იჩენს, აქ ემოციების დაფარვასაც ვერ ახერხებს, საქმეში კი პრაგმატულია.

— ქალბატონო ნინო, იმ პერიოდში, როცა წინა ხელისუფლებამ საზოგადოების რაღაც ნაწილს „ჩარეცხილები“ უწოდა, ხოლო ნაწილი ხელისუფლების ფავორიტებად იქცა, თქვენ სად იყავით, რომელ მხარეს?

— ჩემს თავს მხარედ არასდროს განვიხილავ, არც ჩარეცხილად ან რომელიმე მთავრობის ფავორიტად მიგრძვნია თავი. თუმცა კრიტიკულად ვუდგები იმას, რაც არ მომწონს და აზრს ღიად ვაფიქსირებ. როცა ხაზგასმით ვინმეს ფავორიტი ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ იმას კი არ იღებ, რისი ღირსიც ხარ, არამედ ამ ყველაფერს იმიტომ გაძლევენ, რომ ვიღაცის გვერდით დგახარ. ეს ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. საბოლოოდ, ჩვენთან იგრძნობა, ვინ ვის მხარესაა, ამის მიხედვით ხდება თანამდებობებზე დანიშვნება, ლობირება.

— ახლაც ასე ხდება ახალ პოლიტიკურ რეალობაში?

— რა თქმა უნდა, ახლაც ხდება. ამას რომ გადავეჩვიოთ, ალბათ ძალიან დიდი დრო დაგვჭირდება. ნაცნობობა, ახლობლობა, მეგობრობა ძალიან კარგია, აუცილებელიც არის, რომ დაეხმარო არამარტო მეგობარს, უცხო ადამიანსაც, მაგრამ ეს საქმის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. ჩვენთან ადამიანების შეფასება პროფესიონალიზმით არ ხდება და ეს ჩვენი საზოგადოების ყველაზე დიდი მინუსია.

— ამგვარი რამ საკუთარ თავზეც გამოსცადეთ?

— როცა სადმე არ მეძახდნენ, არ ვიცი, ეს რითი იყო განპირობებული. რაღაც პერიოდი გადაღებები არ მქონდა, დიდი ხნის განმავლობაში არც ტელევიზიაში მიწვევდნენ, მაგრამ ეს მაინცდამაინც იმას არ ნიშნავს, რომ იქ ვიღაცის მითითებით არ მეძახდნენ. ბევრი კარგი მსახიობი ვიცი, რომელსაც არ უმართლებს, ამიტომ ამას პოლიტიკურ მიკერძოებას ვერ დავაბრალებ. ისე კი, მე ყოველთვის თავისუფლება მირჩევნია საეჭვო კეთილდღეობას.

— მახსოვს, ერთი პერიოდი, განსაკუთრებით 2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს, პოლიტიკაში აქტიურად იყავით ჩართული. სალომე ზურაბიშვილის პარტიის წევრიც გახდით.

— მაშინდელ ოპოზიციასთან ხშირად ვიყავი, რაღაც პერიოდში პოლიტიკაში წასვლის მცდელობაც მქონდა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. ყველა შემთხვევაში საწინააღმდეგო აზრი მიჩნდება ხოლმე, რომელსაც პოლიტიკურ ან პარტიულ ინტერესებს ვერ ვუქვემდებარებ. ქალბატონ სალომე ზურაბიშვილთან მართლაც ვიყავი პარტიაში, მაგრამ ეს ჩემი სტილი არ არის, ჩემი ცხოვრების წესში ვერ ჯდება. გამორიცხულია, მომავალში რომელიმე პარტიაში შევიდე. პოლიტიკაში ყოფნა სხვა დისციპლინას მოითხოვს. მე თავისუფალი ცხოვრების წესს ვარ მიჩვეული. ვატყობ, რომ სულ უმცირესობაში ვარ.

— პოლიტიკაში თქვენი წასვლა ალბათ ბევრმა დიდ-პატარა ფაქტორმა განაპირობა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რამაც მაშინ გიბიძგათ, რა იყო?

— ბევრი რაღაც დაგროვდა. რა თქმა უნდა, ყველაზე ძლიერი პროტესტი 2007 წლის 7 ნოემბერთან დაკავშირებით მქონდა. დემონსტრაციის დაშლა, მოშიმშილეებზე თავდასხმა, დარბევა, ტელევიზიაზე შეტევა და ფილმ „ცხელი ძაღლის“ აკრძალვა — ეს ყველაფერი ერთად აღმოჩნდა თავმოყრილი. ზუსტად აღარ მახსოვს, პარტიაში როდის შევედი, მაგრამ მთავარი იყო პროტესტი, რომელიც იმ ძალის მიმართ გამიჩნდა, რომელიც მაშინ ხელისუფლებაში ხალხის დიდი მხარდაჭერით მოვიდა და რომლის იმედიც მქონდა. ის ძალა 4 წლის წინ რომ წასულიყო ხელისუფლებიდან, ახლა ქვეყანაში მშვიდი პოლიტიკური პროცესი იქნებოდა.

— ახალი ხელისუფლების მიმართ მოლოდინი დიდია. თქვენ რისი იმედი გაქვთ?

— სამართლიანობა აუცილებლად უნდა აღდგეს. ის, რომ ჩვენს საზოგადოებაში დაუსჯელობის სინდრომი არსებობს, ძალიან ცუდია. ზოგჯერ მგონია, რომ საზოგადოება სამართლიანობის აღდგენაზე კი არა, თავისი პრინციპების გატანაზეა გადასული. „მაშინ ჩემი ვერ გავიტანე და ახლა გავიტან“ — ასეთი დამოკიდებულება საშინელებაა!

> „მაშინ ჩემი ვერ გავიტანე და ახლა გავიტან“ — ასეთი დამოკიდებულება საშინელებაა!.. ჩოცა ადამიანი 8 ნლის განმავლობაში თავისი უფლებებისთვის ახ იბრძოდა და ახლა დაიწყო, მისი ახ მჯეახ“.

— სად დაინახეთ ასეთი დამოკიდებულება?

— თუნდაც ხელოვნებაში. როცა ადამიანი 8 წლის განმავლობაში თავისი უფლებებისთვის არ იბრძოდა და ახლა დაიწყო, მისი არ მჯერა. როცა ამდენი ხნის განმავლობაში ხმას არ იღებდი, ახლა კი ფიქრობ, „კეთილი მეფე“ რომ მოვიდა, ის დამიცავს, ხმას ამოვიღებო და ამიტომ ყვირი, ეს აღარ მომწონს. დარწმუნებული არ ვარ, რომ შენ სამართლიანობის აღდგენა გინდა და არა — ამ სიტუაციაში კეთილდღეობის მოპოვება.

— რიგორ ატყობთ, პოლიტიკური ცვლილებები თეატრზე რიგორ აისახება?

— ახლა თეატრთან დაკავშირებით ძალიან ცუდ კანონს იხილავენ, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც ვარ. ეს იქნება თეატრის 30 წლით უკან დაბრუნება. ფუნქციებს ისე ანაწილებენ, რომ მმართველის ინსტიტუტს საერთოდ სპობენ და თეატრში მთავარი ფიგურა სამხატვრო ხელმძღვანელი ხდება, როგორც ეს ბრეჟნევის დროს იყო. ეს ხომ ტყუილი ფიგურაა?! სამხატვრო ხელმძღვანელი ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტებს ხელს ვერ აწერს. როგორც ჩანს, საკმარისად არ არიან ისეთი ადამიანები, ვინც ამის წინააღმდეგ იბრძოლებენ.

— საუბარი იყო, რომ ამ კანონს რობერტ სტურუას არგებენ.

— არ შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში პიროვნებებზე იყოს საუბარი. როგორ შეიძლება კანონი პიროვნებას მოვარგოთ ან არ მოვარგოთ? თუმცა ის ამ კონტექსტში ჩაჯდა. ესეც სახელმწიფო მოხელეების ბრალია.

— ფაქტია, რომ პოლიტიკის გამო თეატრებში შიდა დაპირისპირებები ხდებოდა, ამის კარგი მაგალითი რუსთაველის თეატრია.

— ყურმოკრულ ამბებზე ვერ ვისაუბრებ, მე ის ვიცი, რომ თუმანიშვილის თეატრში ჩვენმა მმართველმა ზურა გეწადეძე არაჩვეულებრივად დაუბალანსა ეს ბობოქარი თეატრი, სადაც ორივე მხარეს პოლიტიკურად აქტიური რამდენიმე ადამიანი იყო. ზურამ სიტუაციის დაბალანსება ისე შეძლო, რომ პოლიტიკური შეხედულებები თეატრის საქმიანობაზე არ ასახულიყო.

— ხომ არ თვლით, რომ ძალიან პოლიტიზირებული, ავრესსული საზოგადოება მოგიღეთ და პოლიტიკაც ჩვენში დიდი დოზითაა?

— კი არ მივიღეთ, ამას თითოეულმა ადამიანმა შევუწყვეთ ხელი. არ ვიცი, ვინ რა დოზით, მაგრამ ისტერიის გამომწვევი მუდმივად ჟურნალისტები ხდებიან. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი გახდა, რომელ პარტიას ეკუთვნი და არა — ის, საქმეს როგორ აკეთებ. ეს არის უბედურება.

— ცოტა ხნის წინ ტელეეკრანს სერიალით „ცხელი ძაღლი“ დაუბრუნდით, რომელიც წლების განმავლობაში აკრძალული იყო. რატომ არ იღებდით არაყინ ხმას?

— ეს ფილმი ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა, 7 წლის წინ რომ გაეშვათ. ისე, გულწრფელად გითხრათ, ამაზე საერთოდ არ დავფიქრებულვარ და არც შიშის გრძნობა გამჩენია. არასდროს მიფიქრია, რომ მსახიობი როლის გამო შეიძლება დაისაჯოს, ეს წარმოუდგენელია ჩემთვის.

— ფილმი ეთერში არ გასულა. ეს დასჯა არ იყო?

— კი, ეს ჩემი დასჯა გამოვიდა. ხელოვანის დასჯა სწორედ ეს არის, რომ მისი ნამუშევარი მაყურებლამდე არ მივიდეს.

— ძლიერი, მკაცრი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ეს იმიჯი თქვენს რეალურ ბუნებას შეესაბამება?

— რა თქმა უნდა, ძლიერი ვარ, მაგრამ ჰოროსკოპის ნიშნით თევზები ვარ და ჩემი ორეული სუსტი — არა, მაგრამ ძალიან გულჩვილი. პრაგმატულიც ვარ და ემოციურიც. წლების განმავლობაში მივეჩვიე, რომ საქმეში პრაგმატიზმია მნიშვნელოვანი. ჩემი პირადი ცხოვრება უფრო ემოციურია.

— რიგორ უმკლავდებით სიძნელეებს ან სად მთავრდება თქვენი სიძლიერე?

— ღმერთს ჯერ ჩემთვის ისეთი განსაცდელი არ გამოუგზავნია, რომლის გადალახვასაც ვერ შევძლებდი. ჩემი ოჯახური ცხოვრება სტაბილურად მიდის, პრობლემები ყველგან არის, რომელთა გადაწყვეტაც ნერვების ხარჯზე ხდება, მაგრამ რას ვიზამთ, ცხოვრება ამ სირთულეებისგან შედგება.

— თქვენი ქმარ-შვილი ამჟამად რას საქმიანობს, რითი ცხოვრობს?

— მეუღლე, ანდრო ჭიაურელი, კინორეჟისორია, ძირითადად დოკუმენტურ ფილმებს იღებს. შვილებიდან, უფროსი 26 წლისაა და საზღვარგარეთ მუშაობს. უმცროსი 19 წლის არის და აქ სწავლობს.

— გეგმებსა და საოცნებო როლზე რას გეუბნებოდით?

— ჩემი სადიპლომო ნაუშევარი სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“ იყო. ახალგაზრდა მსახიობებისთვის საოცნებო როლი ქალაქში პირველმა მე ვითამაშე და ესეც ბედისგან, ასე ვთქვათ, განებივრება იყო. უახლოესი პერიოდისთვის ორი გეგმა მაქვს, ერთი, რომ ახალ სპექტაკლში ვითამაშებ და მეორე, სპექტაკლს თავად დავდგამ. ტელევიზიაში გამოჩენაც მინდა, რაღაც პროექტები მაქვს, მაგრამ ჯერ არც ერთ არხზე მიმიტანია.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

გიორგი ვარდოსანიძე: „დავშორდით, მაგრამ გრძნობა კიდევ არსებობს“

■ გიორგი ვარდოსანიძე

ბატონ გიორგი ვარდოსანიძეს 2013 წლის დასაწყისში წარმატება და იმედგაცრუება თითქმის ერთდროულად ეწვია. ტელეპროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ფინალში გავიდა და შესანიშნავი მანქანა ერგო პრიზად, დაახლოებით იმავე პერიოდში კი საყვარელ გოგონას, თამთა შალამბერიძეს დაშორდა, რომელთანაც რამდენიმეწლიანი ურთიერთობა აკავშირებდა. ინტერვიუში, რომელიც მასთან ჩავწერეთ, გიორგის არ დაუმალავს, რომ გრძნობა ბოლომდე არ განელებია. ის გოგონებში ძალიან პოპულარულია, მაგრამ ახლა მთელი ყურადღება თავის შემოქმედებაზე აქვს გადატანილი და ახალი ურთიერთობის დაწყებას არ ჩქარობს. მუშაობს მუსიკომედიის თეატრში, რადიოში და ოცნებობს საინტერესო როლებსა და მსოფლიო სცენებზე.

— გიორგი, პირდაპირ გკითხავთ — შეყვარებულთან დაშორების მიზეზი თქვენს თაყვანისმცემელი გოგონები ხომ არ გახდნენ?

— არა, ეს არაფერ შუაშია ჩვენს დაშორებასთან. ადრეც მყავდნენ თაყვანისმცემლები, უბრალოდ ასე მოხდა. ჩვენი ურთიერთობის შეწყვეტაში არც რომელიმე პიროვნებას უთამაშია როლი და არც რაიმე გარემოს. ეს გადაწყვეტილება ორივემ ერთად მივიღეთ, რადგან ასე ჩავთვალეთ საჭიროდ.

— შერიგებას გამორიცხავთ?

— პრაგმატულად არასდროს არაფერს ვთვლი. თუ ერთად გვიწერია ყოფნა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— ამ ეტაპზე ვინმეს მიმართ თუ გაქვთ სიმპათია?

— ამ ეტაპზე — არა. ახლა საქმეებზე ვარ გადართული.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თამთა ჯერ კიდევ გიყვართ?

— ძალიან რთულია სიყვარული მალე გაქრეს. ვალიარებ, რომ გრძნობა კიდევ არსებობს, მე ამ ადამიანს უდიდეს პატივს ვცემ, ის ყოველთვის ძვირფასი იქნება ჩემთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე მოხდა. სიყვარულთან ერთად არსებობს კიდევ რაღაც, რაც უკვე აღარ ემთხვევა... ამ ყველაფერს დრო სჭირდება, ის ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

— როლებმა მექალთანე მამაკაცის იმიჯი შეგიქმნათ, ცხოვრებაში როგორი ხართ?

— როლები სხვა მხარეა, ცხოვრება — სხვა. ყოველთვის მიხარია, როდესაც ჩემი პიროვნებით ინტერესდებიან. ვინც მიცნობს, ალბათ ყველა იტყვის, რომ ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი ვარ, საქართველოს კარგი მოქალაქე, რომელსაც თავისი ქვეყანა უყვარს და სხვებისგან განსაკუთრებული რამით არ გამოირჩევა. უბრალოდ ისეთი პროფესია მაქვს, რომ უფრო ხშირად ვჩანვარ ეკრანზე, ვიდრე სხვები.

— ცალმხრივად შეყვარებული თუ ყოფილხართ?

— კი, ცალმხრივად შეყვარებული ვიცი ვყოფილვარ და გაგიჟებულიც. მაშინ სულ პატარა, დაახლოებით 17 წლის ვიყავი. მერე, ასაკი რომ გემატება, ბევრ რამეს სხვანაირად უყურებ. დღეს უკვე აღარ მჯერა ცალმხრივად შეყვარების — როდესაც შენ მოგწონს და იმას არ აინტერესებ. თუ არ შევამჩნიე, რომ გოგოს ჩემ მიმართ რაღაც ინტერესი აქვს და მომავალში შეიძლება რამე გამოვიდეს, მაშინ მის მიმართ ინტერესი მეც მიქრება.

„ეს ეთთადეთთი ხოლია, ჰომლისთვისაც მზად ვარ, ყველაფეი გავაკეთო — სახის პლასტიკეი ოპეაცია იქნება თუ თმის გაზრდა. ტუჩსაც გადავიგლეჯ, ჰომ ეს პეასონაჟი კაკგად განვასახიეო“.

■ გიორგი და თამთა

„სიყვაკეი — ეს იყო ეთთადეთთი გკძნობა ჩემს ცხოვკებაში, ჰომლის გამოც ყველაზე კაკგად ვიყავი და თან ყველაზე ცუდად“.

— რაზე ხართ წამსყლელი სიყვარულის გამო?

— არ ვიცი, ალბათ ყველაფერზე ვარ წამსვლელი, რაც კი შეიძლება ადამიანს აზრად მოუვიდეს. სიყვარული — ეს იყო ერთადერთი გრძნობა ჩემს ცხოვრებაში, რომლის გამოც ყველაზე კარგად ვიყავი და თან ყველაზე ცუდად.

— ამ ეტაპზე რომ შეხვდეთ სასურველ ვოგოს, შექმნდით ოჯახს?

— ვთვლი, რომ ჯერ ვერ დავღვინდი, ცოტა კიდევ მიქრის თავში და ცოტათი ჯერ კიდევ ბავშვი ვარ. ოჯახი ჩემთვის იმხელა სიწმინდეა, რომ სერიოზულ მიდგომას საჭიროებს. ერთხელ რომ შექმნი ოჯახს, მთელი ცხოვრება მას უნდა ემსახურო... თუმცა წარმოდგენა არ მაქვს, რას ვიზამ. შეიძლება რაღაც გადამიტრიალდეს თავში და ეს ნაბიჯი გადავდგა. ისე, ვთვლი, რომ ჯერ ამისთვის არც მატერიალურად ვარ მზად და არც — მორალურად.

— როცა თქვენ შესახებ ჭორები გესმით, რა რეაქცია გაქვთ?

— ყოველთვის მეცინება. ყველას აქვს უფლება, ის ილაპარაკოს, რაც უნდა, უბრალოდ ამ ყველაფერმა მე არ უნდა შემაწუხოს.

— პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ სალომე ჭაჭუას მეწყვილე იყავით. მაშინ თქვენს რომანზეც ჭორაობდნენ.

— ვიცი და ეს ჭორი მაშინვე გაჩნდა, ჩემი და თამთას ურთიერთობა დამთავრდა თუ არა. უხერხულად ვიგრძენი თავი, რადგან სალომეს შეყვარებული ჰყავს. დღეს მაგაზე ილაპარაკებენ, ხვალ გაგვეცინება და არც არავის გაახსენდება.

— რა გეგმები გაქვთ, ამჟამად რითი ხართ დაკავებული?

— დღესდღეობით ცოტ-ცოტა ყველაფერს ვარ მოდებული, მაგრამ მინდა, ცხოვრების ბოლომდე თეატრს და კინოს ვემსახურო. თეატრი ჩემი მეორე სახლია. რაც შეეხება რადიოწამყვანობას თუ ფილმების გახმოვანებას, ესეც პატარა კომპონენტია ჩემი პროფესიის და სიამოვნებით ვაკეთებ. შოუმენობას არ ვაპირებ, მინდა, კარგი მსახიობი ვიყო, ვინც ქართულ თეატრს ემსახურება და მომავალში შეიძლება არამარტო ქართულს. იმედია, საზღვარგარეთაც ოდესმე რამე გამოჩნდება.

— ალბათ საოცნებო როლიც გაქვთ.

— კი, ერთი საოცნებო როლი მაქვს. დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტის“ მთავარ გმირს, დორიან გრეის. ეს ნაწარმოები პირველად რომ წავიკითხე, 11 წლის ვიყავი და იმის მერე კიდევ ბევრჯერ გადავიკითხე. ეს ერთადერთი როლია, რომლისთვისაც მზად ვარ, ყველაფერი გავაკეთო — სახის პლასტიკური ოპერაცია იქნება თუ თმის გაზრდა. ტუჩსაც გადავიგლეჯ, რომ ეს პერსონაჟი კარგად განვასახიერო.

— თაყვანისმცემლები ხომ არ გაწუხებენ?

— შეწუხებით არ მაწუხებენ, უბრალოდ ზოგჯერ მირეკავენ, ფეისბუქზე მწერენ, წერილები ან რამე საჩუქარი მხვდება ხოლმე „სალაროში“. ვცდილობ, ყველას მადლიერების პასუხი მივწერო. როცა დაინტერესებული არიან შენით და პატივს გცემენ, სასიამოვნოა. არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო. ამასთან დაკავშირებით ერთი კურიოზი მახსენდება, ერთი თვის განმავლობაში ვიღაც მირეკავდა და მერე აღმოვაჩინე, რომ სხვა გიორგისთან რეკავდა. მიხსენა, რადიკალურად განსხვავებული როლები, რომლებიც მე არ მითამაშია. წარმატებები ვუსურვე იმ გიორგის პოვნაში და ასე დავემშვიდობე.

„ოჯახი ჩემთვის დიდი სინმინდეა, ეთთხეკ ჰომ შექმნი, მთეკი ცხოვკება მას უნდა ემსახეო. ჯეკ ამისთვის ასკ მატეკიალეკად ვაკ მზად და ასკ — მოჰალეკად“.

✓ თამარ ძაძამია,
მარიამ ჩადუნელი

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება

სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

Cyan Magenta Yellow Black

ნინო გაჩეჩილაძე დასაჯეს და სერიალიდან გაუშვეს

ლელა მებურიშვილი: „ჩემი კატო სულ სხვანაირი იქნება“

■ ნინო გაჩეჩილაძე ■ ქეთი დევდარიანი ■ ლელა მებურიშვილი

მსახიობი ნინო გაჩეჩილაძე სერიალიდან „ჩემი ცოლის დაქალები“ დაითხოვეს. ასე სერიალის სცენარისტი ქეთი დევდარიანი ამბობს. თავად ნინო კი აცხადებს, რომ თავისი ნებით წამოვიდა, რადგან უნდა, მთლიანად თეატრზე გადაერთოს. დაუდასტურებელი ხმებით, ამ ცვლილების მიზეზი ისაა, რომ ანაზღაურებაზე ვერ შეთანხმდნენ — ნინომ ჰონორარის გაზრდა მოითხოვა, სერიალის ხელმძღვანელობამ კი უარი უთხრა. მსახიობის „ფეისბუქის“ გვერდზე უამრავი წერილია, სადაც ნინოს სთხოვენ, რომ სერიალი არ დატოვოს, თუმცა საქმე ასე მარტივად არ არის. ყველაფერი გადაწყვეტილია. გაჩეჩილაძეს მსახიობი ლელა მებურიშვილი ჩაანაცვლებს. მას იმედი აქვს, რომ მის კატოსაც მაყურებელი კარგად მიიღებს. სახეშეცვლილი სერიალის მესამე სეზონი 9 მარტს გავა ეთერში. „ჩემი ცოლის დაქალების“ პერიპეტიებზე „სარკე“ ნინო გაჩეჩილაძეს, ლელა მებურიშვილს და სცენარისტ ქეთი დევდარიანს ესაუბრა.

— ნინო, რატომ წამოხვედით სერიალიდან, რომელმაც პოპულარობა მოგიტანათ?

— მოგეხსენებათ, რომ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ვარ. თეატრში ცოტა ხნის წინ ახალ სპექტაკლზე დავიწყეთ მუშაობა, რაც ჩემგან დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს. ორივე საქმის ერთდროულად კეთება კი ძალიან ძნელია. ამიტომ გადავწყვიტე, ეს პერიოდი თეატრს დავუთმო და სერიალის მაყურებელს თავი აღარ მოვაბეზრო.

— ადრე ხომ ასწრებდით თეატრსა და სერიალში ერთდროულად მუშაობას, ახლა რა გიშლით ხელს?

— ადრე თეატრში რეპეტიციები არ მქონდა და სერიალში ყოფნას ამიტომ ვასწრებდი. მხოლოდ სპექტაკლის დროს მიწევდა თეატრში მისვლა. ახლა სიტუაცია შეიცვალა და არჩევანი ჩემთვის უპირატეს საქმიანობაზე გავაკეთე.

— ამბობენ, რომ რეჟისორთან ჰონორარზე ვერ შეთანხმდით. მართალია?

— რეჟისორისგან უარი არ მიმიღია, ჰონორარის საკითხი მას არ ეხება, ეს პროდიუსერების და ფინანსური დირექტორების საქმეა.

— როგორ წარმოგიდგენიათ ამ სერიალის გარეშე ცხოვრება? ალბათ იოლი არ იქნება მასთან შელევა.

— ჩემი ცხოვრება არც ამ სერიალით დაწყებულა და არც დამთავრდება. უკვე 10 წელია თეატრში ვმუშაობ, ასე რომ, ამ პერიოდს ჩემს საყვარელ საქმეს დავუთმობ. ახლა ძალიან საინტერესო მასალებზე მიწევს მუშაობა. გიზო ჟორდანია დგამს ლევ ტოლსტოის „ჰაჯი მურატს“, რომლის პრემიერაც აპრილშია დაგეგმილი.

— როგორ გამოეშვიდობეთ შემოქმედებით გუნდს?

— შემოქმედებით გუნდს არ გამოვემშვიდობე, რადგან ჩვენ სამუდამოდ არ დავშორებივართ ერთმანეთს, ეს დროებითია. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო „ფორმულა კრეატივს“ და ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემთან ერთად ამ პროექტზე იმუშავა. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება. ჩემს კოლეგებს კი ახალ სეზონში წარმატებებს ვუსურვებ.

— ესე იგი კონფლიქტი არავისთან მოგსვლიათ?

— არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა. მე ისევ ისე მიყვარს ის ხალხი, როგორც აქამდე. ჩვენ მომავალშიც ვაპირებთ თანამშრომლობას.

— სერიალში გატარებულ დროს როგორ შეაფასებთ?

— ძალიან კარგად მახსენდება. ჩემს ცხოვრებაში ეს ალბათ ყველაზე ლამაზი პერიოდი იყო, მაგრამ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ასე რომ, ამაში გასაკვირი არაფერია.

— კატოს როლზე რომელი მსახიობი წარმოგიდგენიათ?

— სიმართლე გითხრათ, კატოს როლში სხვას ვერავის ვხედავ, რადგან ის ჩემი შექმნილია. ჩემი პერსონაჟის შექმნაში მთელი სული და გული ჩავდე. სხვამ რაც უნდა საინტერესოდ ითამაშოს, ის სხვა იქნება და არა — კატო. მაყურებელს არ უყვარს, როცა სერიალში მსახიობებს ცვლიან ხოლმე, ამას მტკივნეულად განიცდიან. სოციალურ ქსელში ბევრი მწერს, რომ ჩემი წამოსვლის გამო ძალიან დასწყდათ გული.

❖

სერიალის სცენარისტ ქეთი დევდარიანისგან ამ თემასთან დაკავშირებით უფრო პირდაპირი, კონკრეტული და განსხვავებული პასუხები მივიღეთ.

— ქალბატონო ქეთი, რა მოხდა, რატომ დატოვა მსახიობმა ნინო გაჩეჩილაძემ სერიალი?

— ნინო გაჩეჩილაძესთან ვერ შევთანხმდით იმ პრიორიტეტებზე, რაც სერიალს აქვს.

— ჰონორარზე იყო საუბარი?

— ფილმის „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილის“ გადაღების დღეს მოითხოვა მომატებული ჰონორარი, ეს არის ჩვეულებრივი საბოტაჟი.

— დააკონკრეტეთ, თუ შეიძლება.

— ასე დაკონკრეტება ყოველთვის არასწორად იბეჭდება ხოლმე, ამიტომ სიტყვასიტყვით ასე დაწერეთ: დაისაჯა და სერიალიდან წავიდა არა იმის გამო, რომ ჰონორარი მოითხოვა, არამედ იმიტომ, რომ მოაწყო საბოტაჟი! თვითონაც რომ ვერ ხვდება, რატომ გავუშვით, ეს კიდევ ერთი მიზეზია. ჰონორარი, რაც მოითხოვა, ჩვენ გადავუხადეთ.

— აბა, რატომ მოხდა ეს გაუგებრობა, თუ ჰონორარი მიიღო?

— იცით, რა, თქვენ რომ ყოველდღე მოსთხოვოთ თქვენს უფროსს ხელფასის მომატება, სამსახურიდან ხომ დაგითხოვენ? რა თქმა უნდა, დაგითხოვენ და ამაზეა საუბარი. საბოტაჟია, როცა შეთანხმებას არღვევ და ითხოვ იმაზე მეტს, ვიდრე შეთანხმება იყო.

— როცა პოპულარული მთავარი გმირის შემსრულებელი მსახიობი მოულოდნელად იცვლება, ამით სერიალი რეიტინგს არ კარგავს?

— სერიალის რეიტინგი კატოზე არ იყო მიბმული, ეს არ არის სერიალი კატოზე, არამედ სამ მეგობარზე. კატოს პერსონაჟი სერიალიდან არ გადის, უბრალოდ ნინო გაჩეჩილაძის ნაცვლად სხვა მსახიობი ითამაშებს.

რა თქმა უნდა, ნინოს წასვლა სერიალისთვის ცუდია, მაგრამ ჩვენ ვეცდებით, რომ საბოლოოდ პროდუქტზე არ აისახოს. სერიალების ისტორიაში ამაზე უფრო ტრაგიკული შემთხვევები მომხდარა. სერიალიდან ასევე წავიდა ოპერატორი, რომელმაც იგივე გააკეთა. მისი მიბაძვით შეიძლებოდა ეს კიდევ ბევრს გაეკეთებინა. სერიალი მიბმულია კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე, თანამშრომლობაზე

ნინო გაჩეჩიღაძე: „ჩემი ჰეროსონაჟის შექმნაში მთელი სული და გული ჩავდე. სხვამ ხაც უნდა საინტერესოდ ითამაშოს, ის სხვა იქნება და ახა — ჯატო“.

Cyan Magenta Yellow Black

და როდესაც ერთი რგოლი იქცევა უპასუხისმგებლოდ, ამას ადეკვატური რეაქცია მოჰყვება. აქ არანაირ ჰონორარზე არ არის საუბარი, არამედ — პრინციპზე.

— გამოდის, რომ თავისი ნებით არ წასულა და მისი პრინციპულობის გამო დათხოვეთ?

— არა, უბრალოდ ჩვენ ვერ შევთანხმდით. მას აქვს თავისი პრინციპები, ჩვენ — ჩვენი. ასევეა კონტრაქტშიც. ასე რომ, ჩვენი არც მსოფლმხედველობა დაემთხვა ერთმანეთს და არც სამსახურთან დამოკიდებულება. ამიტომ ჩვენ მას დავემშვიდობეთ.

— კონტრაქტი ვისი ინიციატივით დაირღვა?

— ფილმის გადაღებისას სიტყვიერი შეთანხმება გვქონდა. ერთ-ერთ არხზე სიუჟეტი ვნახე, სადაც ამბობდა, რომ ჰონორარის გამო დავითხოვეთ, რაც არ არის სიმართლე. ჰონორარის გამო კი არ დავითხოვეთ, არამედ იმიტომ, რომ ვერ ხვდება, რის გამო გავუშვით. კატოს როლს ლელა მებურიშვილი ითამაშებს. მესამე სეზონი 9 მარტიდან დაიწყება.

— ლელა რა პრინციპით შეარჩიეთ?

— კასტინგში მიიღო მონაწილეობა. მაყურებელმა არ ინერვიულოს, ლელა ძალიან კარგი მსახიობი, ლამაზი გოგოა და გპირდებით, რომ მალე მას შეიყვარებთ.

— ნინო გაჩეჩილაძემ „სარკესთან“ აღნიშნა, რომ სერიალის ჯგუფთან კონფლიქტი არ მოსვლია. უსიამოვნო საუბარი მართლაც არ გქონიათ?

— კონფლიქტი მართლაც არ ყოფილა. ჩვეულებრივად მოვიდა, დაელაპარაკა ჩვენი პროდიუსერი ირაკლი საღინაძე და ვერ შევთანხმდით იმაზე, რომ გადაღების დღეს მან არ უნდა მოითხოვოს მომატებული ჰონორარი. სიუჟეტში, რომელიც ვახსენე, ნინომ ისიც თქვა, 3000 ლარის გამო რატომ გამომიშვესო. აქ ლაპარაკი არ არის 3000 ლარზე, ეს არის პრინციპი. ნინოს ჩვენ ეს თანხა გადავუხადეთ. მას გვინეტ პელტროუს ჰონორარი არ მოუთხოვია, რომ ვერ გადაგვეხადა. მოკლედ, ჩვენ ვერ შევთანხმდით.

ჩვენს სერიალზე 120 ადამიანი მუშაობს. ყველამ ყოველდღე რაღაცის მომატება რომ მოითხოვოს, თანამშრომლობა შეუძლებელი გახდება. თავიდანვე თუ თანხმდები იმ პირობებზე, მუშაობა უნდა გააგრძელო. მერე შეიძლება სხვა პირობები წამოაყენო, მაგრამ არა — გადაღების დღეს, მაშინ, როცა ყველაფერი გარკვეული და დალაგებულია.

❖

ქეთი დევდარიანი: „სიტყვასიტყვით ასე დაწერეთ: ნინო გაჩეჩილაძე დაისაჯა და სერიალიდან წავიდა არა იმის გამო, რომ ჰონორარი მოითხოვა, არამედ იმიტომ, რომ მოანყო საბოტაჟი!“.

მსახიობ ლელა მებურიშვილს არ აქვს ილუზია, რომ მაყურებელი მას პირველივე კადრიდან „ხელგაშლილი“ მიიღებს, თუმცა დარწმუნებულია, რომ მისი კატოც თანდათან პოპულარული გახდება.

— ლელა, როგორ ფიქრობთ, „ახალ კატოს“ როგორ შეეგუება მაყურებელი?

— დარწმუნებული ვარ, რომ გაუჭირდება, რადგან ნინოს თამაშს იყვნენ შეჩვეული. დროთა განმავლობაში ალბათ შემეგუებიან. მთავარია, საზოგადოებას, როგორც ლელა მებურიშვილი, ისე ვუყვარვარ. იმედია, სერიალშიც მოეწონებათ ჩემი თამაში.

— ნინო გაჩეჩილაძეს კატოს როლზე სხვა მსახიობი ვერ წარმოუდგენია.

— კატოს როლი თავიდანვე რომ მე მქონოდა, აბსოლუტურად სხვანაირად გავაკეთებდი. აქედან გამომდინარე, ახლა კატო სულ სხვანაირი იქნება, არ ვაპირებ, იგივენაირად ვითამაშო.

— თქვენ და ნინოს ერთმანეთთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ერთმანეთთან ძალიან მეგობრული და კარგი ურთიერთობა გვაქვს, ერთ თეატრში ვთამაშობთ, ერთ სპექტაკლში პარტნიორებიც ვართ. სანამ კატოს როლზე დავთანხმდებოდი, მანამდე ამ თემაზე ვისაუბრეთ.

— მან რა გითხრათ?

— მირჩია, დათანხმდიო.

✓ ლანა კიკნაძე

www.abdiibrahim.com.tr

ᲨᲔᲤᲣᲗᲜᲔᲗ „ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ“ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲔᲠᲗᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ
ᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲠᲔᲘ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ
ᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲠᲔᲘ

ᲧᲔᲚᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠ-ᲮᲐᲮᲘᲡ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠ-ᲐᲜᲗᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ, ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

- ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲮᲜᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲡᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲡ
- ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕ ᲒᲐᲣᲢᲙᲘᲕᲐᲠᲔᲑᲐᲡ
- ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ ᲦᲔᲭᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲚᲐᲞᲕᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲡ
- ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲗ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ: ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ, ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲔᲑᲨᲘ
- ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲡᲘᲛᲝᲕᲜᲝ ᲒᲔᲛᲝ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲡᲞᲠᲔᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ 6 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ 6 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲓᲐᲜ.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲔᲪᲐᲜᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ. ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲘ ᲛᲝᲛᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲔᲥᲘᲛᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 0112,
Დ. ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 148/III

PSP №1

ABDIIBRAHIM

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ
ᲑᲔᲜᲖᲘᲓᲐᲛᲘᲜᲘ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ
ᲑᲔᲜᲖᲘᲓᲐᲛᲘᲜᲘ/ᲥᲚᲝᲠᲰᲔᲥᲡᲘᲓᲘᲜᲘ

Cyan Magenta Yellow Black

მაიკო კაჭკაჭიშვილმა რატი დურგლიშვილის რომანები ჩაშალა

რატი: „მაიკო და მაკა მიბიძგებენ იმისკენ, რომ ცოლი არ მოვიყვანო“

■ მაიკო და რატი

პოპულარული სიმღერების ავტორ მაიკო კაჭკაჭიშვილსა და მომღერალ რატი დურგლიშვილს ეგოისტური მეგობრობა აკავშირებთ. ისინი ერთმანეთს ჯერ კიდევ მაშინ შეხვდნენ, როდესაც არც მაიკოს სიმღერები იყო პოპულარული და არც რატი იყო აღიარებული მომღერალი. გაჭირვებისა და უფულობის წლები ერთად გამოიარეს. სწორედ ეს აძლევს მაიკოს უფლებას, რომ რატის პირად ცხოვრებაზე საკუთარი აზრი გამოთქვას. აღიარებს, რომ ძალიან ეგოისტია რატისთან ურთიერთობაში და არც ერთი ქალისთვის ემეტება. მათი მეგობრობა ნათელიმირონითაც არის გამყარებული — რატი მაიკოს ერთ-ერთი შვილის ნათლიაა.

— თქვენი ურთიერთობის დასაწყისი როგორი იყო, რამ გიბიძგათ დამეგობრებისკენ?

რატი: მე და მაიკომ 1998 წელს გავიცანით ერთმანეთი. იმ პერიოდში მაიკომ მეგობრებთან ერთად თინეიჯერული ჯგუფი „შანტე“ შექმნა. მასთან გავიცანი მაიკოს საოცარი მეგობრები — ქეთი ინწკირველი, ელენე ფოჩხუა, ნატო ღოღობერიძე, გიორგი ობოლაძე...

მაიკო: რატისაც ჰყავდა ჯგუფი „21-ე საუკუნე“. გაინტერესებთ, ვინ მღეროდა რატის ჯგუფში? მაკა ზამბახიძე, თეონა ნოზაძე და ეკა ჯავახიშვილი. რატი ხელმძღვანელი იყო. ერთხელ თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე ჩემი ჯგუფის წევრებთან ერთად მივსეირნობდი და დავინახე ერთი ძალიან სიმპათიური ბიჭი. გოგოებს გადავულაპარაკე, ნახეთ, რა მაგარი ბიჭია-მეთქი. ერთი ვაი-ვიში ატეხეს. თან გვახლდა მეგობარი, ტატო გოდერძიშვილი, რომელმაც გვითხრა, ჩემი მეგობარია და გაგაცნობთო. აი, ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა. დედაჩემის ენაზე რომ ვთქვათ, ეს იყო ბედი!

რატი: ერთმანეთი ძალიან თბილად მივიღეთ, შუა ქუჩაში ვიდექით და კარგა ხანს ვლაპარაკობდით. იმ წამსვე დაიბადა აზრი, რომ ჩვენს ჯგუფებს სტუდენტური ჰიმნი დაეწერათ. მეორე დღეს საერთო მეგობრის სახლში შევიკრიბეთ სარეპეტიციოდ. გაჭირვებული ბავშვები ვიყავით, ორცხობილების ფულიც კი არ გვედო ჯიბეში... ასეთი იმდენი ისტორია გვაქვს, დღის ბოლომდე ვერ მოვრჩებით ლაპარაკს.

მაიკო: სარეპეტიციო დარბაზს ვეძებდით, მაგრამ უფულობის გამო ვერაფერს ვახერხებდით. ბოლოს მაკა ზამბახიძის მამამ გამოგვიყო პატარა დარბაზი. ყველაზე ბედნიერები მაშინ ვიყავით, გულმოდგინედ ვმუშაობდით. ფული არ გვქონდა, მაგრამ ჩვენი ნიჭით ვამაყობდით, ვთვლიდით, რომ მილიონერები ვიყავით.

— ბოლოს მოახერხეთ სტუდენტური ჰიმნის ჩაწერა?

მაიკო: კი, ჰიმნს 11 კაცი ვმღეროდით და ფონოგრამის გასაკეთებლად ოჯახებიდან ძლივს ავკრიბეთ 20-20 დოლარი. მერე ეს სიმღერა ფილარმონიის სცენაზეც შევასრულეთ. პირველივე ნაბიჯი წარმატებული აღმოჩნდა. ეს ნაცნობობა ნელ-ნელა მეგობრობაში გადაიზარდა. მალევე აღმოვაჩინე რატის დამახასიათებელი თვისება — დაგვიანება. ერთხელ მარჯანიშვილის მეტროში საათი და 15 წუთი მალოდინა. ახლა ვხვდები, რამხელა მოთმინება მქონია. რომ მოვიდა, ვუსაყვედურე, მაგრამ რა აზრი ჰქონდა? რა ვიცოდი, დაგვიანების სენით რომ იყო დაავადებული. რატი ნახევარი საათით რომ აგვიანებს, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

— თავიდან რატი ხომ არ მოგწონდათ კიდეც?

მაიკო: პირველი ორი დღე მომწონდა და გამოშტერებული ვუყურებდი. ახლაც კი ვუყურებ, მაგრამ ახლა უკვე ჩემი შვილის ნათლიაა.

რატი: ყოველდღე ვხედავდით ერთმანეთს, ვერთობოდით, ვმღეროდით. მაიკო ნამცხვრებს აცხობდა და მაღაზიაში ერთად ვაბარებდით. ფულს რომ ავიღებდით, საკონდიტროს მოპირდაპირე მხარეს სახაჭაპურე იყო და იმ ფულს იქვე ვტოვებდით. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ყველგან ვმღეროდით.

მაიკო: სადმე რომ დავსხდებოდით, სიმღერას შემოვძახებდით და რაღაცეებს გვიგზავნიდნენ. ახლა ხალხი რომ გვცნობს, სიმღერას ყველგან ვერიდებით.

რატი: ამას წინათ ერთ რესტორანში დავლიეთ, გარმონს ავყევით და ისე გავშალეთ ხმები...

მაიკო: ორივეს სიცილი აგვიტყდა და ძველი დრო გაგვახსენდა. რატის ვუთხარი, ახლა უეჭველად ფენოვან ხაჭაპურებს გამოგვიგზავნიან-მეთქი.

რატი: დღემდე ერთად მოვდივართ, ეს ყოფილა ნამდვილი მეგობრობა. იმ პერიოდში შეძენილი არც ერთი მეგობარი დამიკარგავს. ახალი მეგობრების შეძენა ცოტა მიჭირს.

— დრო გავიდა, პოპულარულებიც გახდით. რაზეც ოცნებობდით, ყველაფერი აგისრულდათ?

მაიკო: დღევანდელი პერიოდი იმიტომ ჯობს, რომ შვილები მყავს, თორემ სხვა მხრივ, ის დრო მერჩივნა.

მაიკო: „ხატი ხომ ცოლს მოიყვანს, ჩვენი უთითეთობა მაშინ დამთავრდება!“.

რატი: სტუდენტობა იდეალურად გავატარეთ. ფინანსებზე არასდროს ვფიქრობდით, ჩვენთვის სიმღერა იყო ყველაფერი, არაფერი გვადარდებდა. მაიკოსგან ძალიან ბევრი კარგი რამ ვისწავლე. ჩემ ირგვლივ მაიკო იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც გზის გაკვლევა შეძლო. ბათუმიდან ჩამოვიდა, დამოუკიდებლად დაიწყო ცხოვრება, სახლი იქირავა. სიმღერების წერა რომ დაიწყო, წარმატებას მალე მიაღწია. ბევრ დაბრკოლებასაც გაუძლო, უამრავი ცნობილი ადამიანი ლანძღავდა.

— რას ერჩოდნენ?

მაიკო: ვერ ამიტანეს. მათ ყველაფერი აწყობილი ჰქონდათ და ჩემზე ამბობდნენ, საიდან მოსულა, ვინ არისო. როგორც კი თბილისში ჩამოვედი, მერაბ სეფაშვილმა ჩემი ორი სიმღერა ჩაწერა. ერთი პიროვნება ამბობდა (ვინაობას არ დავასახელებ), მე მომღერლებს ლაღიძის სიმღერას ვთავაზობ და ისინი კი ვიღაც კაჭკაჭიშვილს ირჩევენო. ეს აბსურდული შედარება იყო. ლაღიძე და კაჭკაჭიშვილი როგორ უნდა შეადარო ერთმანეთს?! არ ვამბობ, რომ უნიჭო ვარ ან ვინმეზე ნაკლები ნიჭი მაქვს, მაგრამ მე მე ვარ და რევაზ ლაღიძე განუმეორებელი კომპოზიტორია. ცხოვრებაში პირველად ვიმღერე საჯაროდ სიმღერა და ისიც — რევაზ ლაღიძის. წლების შემდეგ ასე გავეცი პასუხი იმ ადამიანს, თუ როგორ მიყვარს და ვაფასებ რევაზ ლაღიძეს.

— რატი, ამბობენ, რომ მაიკოს რთული ხასიათი აქვს. მართალია?

რატი: მაიკოს გვერდით ყველა ძალიან კარგად გრძნობს თავს, არასოდეს გაგრძნობინებს, რომ ზედმეტი ხარ. ბევრი დადებითი თვისება აქვს.

ხატი: „მაიკო ნამცხვრებს აცხობდა და მაღაზიაში ერთად ვაბარებდით. ფულს ხომ ავიღებდით, იმ თანხას სახაჭაპურეში ვტოვებდით“.

მაიკო: რთული ხასიათი ნამდვილად მაქვს. არ ვიცი, რამდენად დამეთანხმება, მაგრამ რატი ნელ-ნელა მემსგავსება. ხომ გაგიგიათ, ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. მას რომ ვუყურებ, მაიკო მგონია, ჩემნაირი ჯიქი, შეუვალი გახდა. ადრე ასეთი არ იყო.

რატი: მაიკო რთული ხასიათისაა. ეს და ღელა წურწუმია ზოდიაქოს ნიშნით მერწყულები არიან. თუ რაღაცაში შეეჭიდე, მათი მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდები. ძალიან მაგარი ნიშანია, სიკეთის კეთება შეუძლიათ და ეს ყველაზე დასაფა-

Cyan Magenta Yellow Black

სებელია ადამიანში. მე ვერძი ვარ, ძაღლის წელში დაბადებული და ძალიან ერთგული მეგობარი ვარ. ერთმანეთის საქმეში არ ვყოფთ ცხვირს, მე თუ მაიკოს რამეს არ ვეტყვი, არ ჩამეძიება და — პირიქით.

— მაიკო, რატი როგორი გოგოსთვის გემეტებათ?

მაიკო: რატის გვერდით ყველა გოგო მეზიზღება! ეგოისტი ვარ, მისი შესაფერისი არავინ მეგულება. რატი ცოლს რომ მოიყვანს, ალბათ მაშინ დამთავრდება ჩვენი მეგობრობა. შეიძლება ამიტომაც არ მოჰყავს ცოლი.

რატი: მაიკო და მაკა გაორმაგებული ძალებით მიბიძგებენ იმისკენ, რომ ცოლი არ მოვიყვანო.

მაიკო: ბიჭს არც სიყვარული შევარგეთ და არც ფლირტი.

— ჩაგიშლიათ მისი სასიყვარულო თაყვანისცემა?

რატი: კი, ერთი-ორჯერ მოახერხეს.

მაიკო: რამდენიმე წლის წინ გონიოში ვისვენებდით. ერთ დღესაც დავინახე, რატი ვიღაც გოგოს ესიყვარულებოდა. ჩემ თვალწინ ჰქონდათ გაჩაღებული ფლირტი. ვერ ვიტანს, ასეთი რაღაცეები სხვისი თანდასწრებით რომ ხდება. ამიტომ მათ სკამს ფეხი ვკარი და გადავაყირავე. რატი ჯესიკა ალბასთვის მემეტება, სხვა არავისთვის!

— რატი, მაიკოს რა რჩევას გაიხსენებდით, რომელიც ძალიან გამოგადგათ?

რატი: წლების წინ, როცა ბარში ვიწყებდი სიმღერას, მაიკოს დავურეკე და რჩევა ვკითხე. მითხრა, როდესაც გიჭირს, ეს არავის აღელვებს, ამიტომ შენი საქმე კარგად აკეთე, არაფერი დაიზარო და ითაკილო, იმის უფრო უნდა გრცხვენოდეს, უმუშევარი თუ იქნებიო. ამან იმხელა სტიმული მომცა, რომ ეს ნაბიჯი თამამად გადავდგი. ერთმანეთს ყოველთვის ვეხმარებოდით როგორც მატერიალურად, ასევე მორალურად. მაიკო არის ადამიანი, რომელსაც შემიძლია ნებისმიერ დროს დავურეკო და მასთან მივიდე. ის გამთენიისასაც კი მიმიღებს.

მაიკო:
„ზაფხულიდან ჩემი მოგონილი დიეტის დაცვა დავიწყე. 44 კილოგრამი დავიკელი. ივლისის ბოლომდე კიდევ 25 კილოგრამი უნდა დავიკლო"

— მაიკო, რატის, როგორც მომღერლის, მთავარ პლუსებად რა მიგაჩნიათ?

მაიკო: რატის ულამაზესი ხმის ტემბრი აქვს, მომღერალში ყველაზე მეტად ამას ვაფასებ. ის არავის ჰგავს. რაც მთავარია, ძალიან სიმპათიურია. იმედი მაქვს, რომ რატი დიდი ვარსკვლავი გახდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებგარეთ. საქართველოში კი მას კონკურენტები არ ჰყავს.

— მაიკო, საგრძნობლად დაგიკლიათ წონაში. ალბათ მკაცრ დიეტაზე ხართ.

მაიკო: გასული წლის ზაფხულიდან ჩემი მოგონილი დიეტის დაცვა დავიწყე. მერე დიეტოლოგმაც მითხრა, რომ ცუდს არაფერს ვაკეთებ. 44 კილოგრამი დავიკელი. ივლისის ბოლომდე კიდევ 25 კილოგრამი უნდა დავიკლო, რომ სასურველ წონამდე მივიდე. ამის გამო უამრავ კომპლიმენტს ვიღებ, ცხოვრებას სხვა თვალით ვუყურებ. აღარ მინდა, ყველას ძმაკაცი ვიყო. ჩემი ძმა ხარო, ყველა ასე მეუბნება. ახლა კი მინდა, მათი და გავხდე.

— როგორია თქვენი დიეტა?

მაიკო: მხოლოდ ცილოვან საკვებს ვიღებ, რა თქმა უნდა, შეზღუდული რაოდენობით. 6 საათის მერე არ ვჭამ. შემწვარ-მოხრაკულებსა და პურ-ფუნთუშეულზეც უარი ვთქვი.

— რატი, თქვენ ურჩევდით, რომ წონაში დაეკლო?

რატი: მეგობრებს ვიზუალური მონაცემებით და ფულით არ ვირჩევ, მთავარი პიროვნული ღირებულებებია. მაიკოს კილოგრამები მე არ მაწუხებს, ამიტომ არასოდეს მითქვამს, გახდი-მეთქი. ადამიანს ჩაცმულობას ვურჩევ, მაგრამ წონაზე ლაპარაკს არასოდეს დავუწყებ.

✓ ლანა კიკნაძე

ანრი, ვერიკო და 14 ცოცხალი ლეგენდა

ანრი ჯოხაძე რეჟისურამ სერიოზულად გაიტაცა. ებრაული ჰიტის „ჰავა ნაგილას" შემდეგ მან კიდევ ერთი კლიპი გადაიღო. ამჯერად წლების წინ გოგი დოლიძის მიერ შესრულებული სიმღერა „რაც ამქვეყნად სიყვარული მეფობს" აირჩია ახლებური ინტერპრეტაციით. სიმღერას ვერიკო ტურაშვილი ასრულებს ქართული კინოსა და თეატრის 14 ცოცხალი ლეგენდის ფონზე. ახლებური არანჟირების ავტორიც ანრი ჯოხაძეა.

■ ვერიკო ქალიშვილთან და ანრისთან ერთად

ანრისა და ვერიკოს ტანდემი ახალი არ არის. ჯოხაძეს მეგობრისთვის კლიპის გადაღების სურვილი 8 თვის წინ გაუჩნდა. გადასაღები მოედანი მუსკომედიის თეატრი იყო, ხოლო მონაწილეები ყველა ის მსახიობი, ვისაც ანრი და ვერიკო ეთაყვანებიან. ვერიკო ამბობდა კიდეც, რომ ვერასდროს წარმოიდგენდა თუ მის კლიპში ასეთი ლეგენდარული ვარსკვლავები ითამაშებდნენ.

■ გივი ბერიკაშვილი

■ გურანდა გაბუნია

პრემიერა თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმროში შედგა. ამგვარ სიახლეებს მონატრებული ქართული შოუბიზნესი თითქმის მთელი ბრწყინვალეებით იყო წარმოდგენილი. საღამოს მთავარი გმირი ვერიკო თავის ქალიშვილთან ერთად ეგებებოდა სტუმრებს. საზოგადოებამ ანრის ახალი ნამუშევარი მოუწონა, ვერიკოსაც უხვად ხვდა საქებარი სიტყვები. კლიპი მართლაც სევდიანად ლამაზი გამოვიდა.

■ ნინო ჟოღენიძე

■ ნინო ჩხეიძე

■ ნანკა კალატოზიშვილი

■ ქრისტინე იმედაძე

Cyan Magenta Yellow Black

„შეყვარებულმა ჩემი ნაჩუქარი საათი გაყიდა“

მალე სკოლას ვამთავრებ. მეგონა, ჩემი ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ შევცდი. სწორედ ის გეგმები დამენგრა, რომლებსაც ყველაზე სათუთად ვაწყობდი. აღარ ვიცი, საქმე გამოსწორდება თუ არა. ჩემზე ერთი წლით უფროსი ბიჭი მიყვარდა. ადრე საუკეთესო წყვილი ვიყავით და გარედან ყველაფერი ლამაზად ჩანდა. მეც კი ვერ ვამჩნევდი, რომ მხოლოდ ამ გარეგნული მხარის დანახვა შემეძლო და ვერ ვხვდებოდი, მის შიგნით რა ხდებოდა. ყველამ იცოდა, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, აბსოლუტურად ყველას, ჩემი ჩათვლით, ეგონა, რომ სულ ასე გაგრძელდებოდა და სკოლის დამთავრების შემდეგ დავქორწინდებოდით.

ვალენტინობის დღისათვის შეყვარებულს საჩუქრად საათი ვუყიდე და მასში საკმაოდ ბევრი გადავიხადე. ამისთვის დიდხანს ვაგროვებდი ფულს. ერთი სული მქონდა, როდის გადავცემდი გაბრწყინებული სახით. დავურეკე და შეხვედრის ადგილი დავუთქვი. რომ მოვიდა, მაშინვე მივახალე, ვალენტინობას გილოცავ-მეთქი და გადავეხვიე. გაკვირვებულმა შემომხედა და განცვიფრებული ხმით წამოიძახა, როგორ დამავიწყდაო. ყოველთვის დაბნეული იყო და დიდად არ გამკვირვებია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მისგან კარგ საჩუქარსაც მოველოდი. მაინც არ შევიმჩნიე და ის დღე მხიარულად გავატარე.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს მეგობართან ვიყავი და ამ დროს მასთან ბიძაშვილი მოვიდა. ხელის ჩამორთმევისას დავინახე, რომ ისეთივე საათი ეკეთა, როგორიც შეყვარებულს ვუყიდე. ღიმილით მივუთითე, ლამაზია და ზუსტად ასეთი ჩემს შეყვარებულს ვაჩუქე-მეთქი. თავი დამიქნია და გახარებულმა მითხრა, სასაცილო ფასად ვიყიდე ჩემი ნაცნობისგანო. დაწვრილებით მოყა ყველაფერი, ისიც გვითხრა, რატომ გაყიდა იმ ბიჭმა ნივთი იაფად.

მე გაფაციცებული ვუსმენდი და ჯერ იმ მეგობრის აღწერა ვთხოვე, მერე კი სახელიც ვკითხე. როგორც კი პასუხები მოვისმინე, გაბრაზებული და ანერვიულებული გამოვვარდი სახლიდან. თურმე ჩემი საჩუქარი მეგობრისთვის მიუყიდია იაფად, რომ ვიღაც გოგოები საქეიფოდ წაეყვანა. გზაზე მივდიოდი, როცა მივწერე, სახლთან დამხვდი-მეთქი. მივუახლოვდი თუ არა, ისე გამიღიმა, თითქოს არაფერი დაეშავებინოს. მაშინვე მივახალე ყველაფერი, რაც მაწუხებდა. ხმაც ვერ ამოიღო. ბოლოს კი გაიცინა და დაწყნარება დამიწყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მიხვდა, რომ ვეღარ მომატყუებდა. ამიტომ მომიტრიალდა და ისე მომახალა, მაშინ კარგად იყავიო, თითქოს მე დავაშავე რამე.

ამით დასრულდა ჩვენი ურთიერთობა და იმის მერე გამარჯობაც არ მითქვამს. მგონი, საერთოდაც დავავიწყდი. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, მაგრამ, მეორე მხრივ, მიხარია კიდეც, რომ დროზე გავიგე ყველაფერი და კიდევ უფრო დიდი ოცნების კოშკები არ ავაგე.

თქვენი ერთგული მკითხველი

„..მე-7 კლასში კაი ბიჭმა გამაუპატიურა“

ამინდოდა, დამეწერა, უფრო სწორად, არ მინდოდა, მომეწერა. მე-10 კლასში ვარ, ვარ რა, ვიყავი (ახლა აღარაფერი ვარ). ჩემი მძიმე ისტორია მე-5 კლასიდან დაიწყო. გონება არასდროს მიჭრიდა, ჩემი განვითარების დონე, ჩემივე მასწავლებლების სიტყვებით, ჩემი კლასელებისას ჩამორჩებოდა. ფიზიკურადაც პატარა ვიყავი, ნინუცას მეძახდნენ. ხანდახან უმიზეზოდ მირტყამდნენ, სახლში კი ჩემი უფროსი ძმა მიბრაგუნებდა.

მე-7 კლასში ჩვენს სკოლაში გადმოვიდა ბიჭი, კაი ბიჭი, რომელმაც ფურთხებისა და დედის გინების მეტი არაფერი იცოდა. ამ ბიჭმა ჩემი ცემით დაიწყო და გაუპატიურებით დაამთავრა. ახლა უკვე გამოცდილი პედერასტი ვარ. ხანდახან მეშინია, როდესაც ჩემი ასაკი და ისტორია მახსენდება. ერთხელ ტუალეტში მკითხა, „ვაჟიშვილი“ ვიყავი თუ არა. მე ვუპასუხე, რომ ვიყავი. ჩემი პასუხით დასრულდა ჩემი „ვაჟიშვილობაც“. ამის შემდეგ მისი საყვარელი გავხდი. ის აღარ მირტყამდა, აღარავინ მირტყამდა და მეც მიხაროდა.

შარშან ის ბიჭი ქურდობისთვის დაიჭირეს. ახლა თბილისში ვარ. სახლიდან გამოვიქეცი. ხშირად ვფიქრობ თავის მოკვლაზე, თუმცა ქუჩაში წებოს ყნოსვისას ისედაც მკვდარი ვარ. ხანდახან ჩემი ბავშვობის სოფელი მენატრება. გარდაცვლილი დედაჩემიც მენატრება და მახსენდება. ის მალე გამოვა ციხიდან და... არ ვიცი, ამ წერილით რისი თქმა მინდოდა. სინანულს არ ვგრძნობ, მაგრამ ჩემი თავი მეზიზღება...

უცნობი

(ავტორის სტილი დაცულია)

„ნათესავებმა და მამამ ჩემი არჩევანი აბუჩად აიგდეს“

16 წლის გოგო ვარ და ჩემს მომავალ პროფესიაზე უკვე ბევრს ვფიქრობ. ცოდნით არ გამოვირჩევი, მაგრამ ყველა ამბობს, რომ აქტიური ვარ და ბევრი რამის გაკეთება შემიძლია, თუ მოვინდომებ. ცეკვა და სიმღერაც კარგად გამომდის, თუმცა არ მინდა, ამ სფეროს გავყვე. ბოლო დროს ექიმის პროფესიით დავინტერესდი, ინტერნეტში ბევრი რამ წავიკითხე. ოცნება დავიწყე ექიმობაზე, მაგრამ მალევე დავენარცხე მიწას.

ახლო ნათესავებს ტრადიცია გვაქვს, რომ თვეში ერთხელ ვიკრიბებით და დიდ სადილს ვმართავთ. ამ დროს საკუთარ აზრებს ვუზიარებთ ერთმანეთს.

სუფრასთან სწავლაზე ჩამოვარდა ლაპარაკი და მე გამოვაცხადე, სამედიცინოზე უნდა ჩავაბარო-მეთქი. ჩემმა დეიდაშვილმა ირონიულად გადმომხედა, მერე კი თქვა, შენთან არ ვიმკურნალებო. მას სხვებიც აჰყვნენ. ბიძაჩემმა მითხრა, შვილო, მე ვიცი, შენგან რაც დადგება, გვიმღერებ ხოლმეო. მამაჩემის სიტყვებმა კი ყველაზე მეტად მატკინა გული. თქვა, შენგან ექიმი არ გამოვა, გირჩევნია, სხვა პროფესიაზე იფიქროო.

საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ არაფერში ვვარგივარ და ჩემი იმედი მშობლებსაც კი არ აქვთ. უკვე ვიცი, რომ ამ პროფესიაზე აღარც ვიფიქრებ.

თქვენი მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მაგთიდან და ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.**
3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„კლასელი სამზროდ გადამეკიდა“

ჯარგი კლასი გვექნებოდა, რომ არა ერთი გოგო, რომელსაც შეუძლია თავისი საშინელი თვისებებით ყველა გადაწონოს. ერთ ადამიანსაც ვერ ნახავ ჩვენთან, ვისაც მის მიმართ კარგი დამოკიდებულება აქვს, მაგრამ როგორღაც ყოველთვის ახერხებს, მასწავლებლებს თავი მოაწონოს და კარგი გოგო გამოჩნდეს. ზოგიერთი პედაგოგი გამორჩეულად აქებს, რამდენიმე კი ხვდება, სინამდვილეში როგორიცაა, მაგრამ არ იმჩნევენ. სკოლაშიც მუდმივად ყურადღების ცენტრშია, ყველაფერში ერევა, არის თუ არა მისი საქმე. ვინც კარგად არ იცნობს, მასთან დამეგობრებას ცდილობს.

რამეს თუ ეტყვი, მაშინვე თავის საყვარელ მასწავლებლებს და ახლობლებს დაგასევს თავზე. განსაკუთრებით მე მაწუხებს ეს პრობლემა, რადგან მისი მუდმივი ოპოზიცია ვარ. ბიჭებს ვერაფერს უბედავს, მე კი აშკარად მემტერება. ყოველთვის ცდილობს, რაღაცაში გამომიჭიროს, მაჯობოს და დამამციროს. კლასში საუკეთესო მოსწავლე ვარ და როცა ვინმე შემაქებს, ბოღმით ივსება. მაშინვე ცდილობს, ჩემი საწინააღმდეგო თქვას. მართალია, ხშირად არც მე ვიკავებ თავს, მაგრამ მაინც ვცდილობ, მოვერიდო და ყურადღებას არ ვაქცევ.

საბედნიეროდ, კლასი ჩემ მხარესაა, მაგრამ აღარავის უნდა მასთან კონფლიქტი. ყველამ იცის, რომ მშობლებს მოიყვანს, ისინი კი გაგვლანძღავენ და გვეტყვიან, რომ მათი შვილის გვშურს და ამიტომ ვეწინააღმდეგებით.

მას შემდეგ, რაც ევროპის ორ ქვეყანაში წაიყვანეს რაღაც კონკურსებიდან, საერთოდ აუტანელი გახდა. ტრაბახით ყველას თავი მოაბეზრა, ამიტომ არავინ უსმენს. ის კი გაიქცა და დამრიგებელს უთხრა, რომ მისი შემშურდა და ბავშვებს მასზე ვეჭორავებოდი.

დამრიგებელი ჩემს საყვარელ საგანს გვასწავლის და დიდ პატივს ვცემ. იმ დღეს მისი გაკვეთილის დაწყება მიხაროდა, რადგან დავალებაზე ბევრი ვიმუშავე და კარგ შეფასებას ველოდი. მან კი შემოსვლისთანავე მტრული თვალით შემომხედა და მკაცრად დაიწყო შურსა და მტრობაზე საუბარი. გამოგვიცხადა, თანაკლასელის წარმატება უნდა გეამაყებოდეთ და არა პირიქითო. თანაც ამ დროს ისე მიყურებდა, ლამის დამნაშავედ ვიგრძენი თავი. ბავშვები გაკვირვებული ვუყურებდით ერთმანეთს. დავალება აღარც გამხსენებია. გული კი დამწყდა, მაგრამ მასწავლებელს არაფეში ვამტყუნებ, მას როგორც უთხრეს, ყველაფერი ისე მიიღო.

ალბათ ბევრი იტყვის, რატომ არ ვეწინააღმდეგებით, როცა ვინმესთვის ხაფანგის დაგებას ცდილობს ან არ ვაჩუმებთ, თუ ამდენი ვართ, მაგრამ ამდენი ხნის დაკვირვების შემდეგ დავინახეთ, რომ ყოველი ბოროტების შემდეგ თავის დაძვრენას მარჯვედ ახერხებს, ამიტომ მასთან ბრძოლას აზრი არ აქვს. უკვე ისეთი დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა მის მიმართ, რომ ყველაზე შესაფერისი სახელი მტერი იქნება.

თქვენი მკითხველი, 15 წლის

„ვერ ვამბობ, რომ დაბადების დღის გადახდა არ შემიძლია“

10 წელი დამჭირდა კლასელებთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად. თავიდან ნამდვილად არ შემეძლო მათთან საერთო ენის გამონახვა. დღეს კი ბევრთან ვმეგობრობ, განსაკუთრებით კი — 4 გოგოსთან, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, თავიანთ წრეში მიმიღეს. ჩვენ კარგად ვსწავლობთ, საერთო ინტერესები გაგვაჩნია. მათთან ურთიერთობა ძალიან საინტერესო და სახალისოა. ყოველთვის ერთად ვართ და მუდამ მხარში ვუდგავართ ერთმანეთს. დარწმუნებული ვარ, ისინიც ახლობელ ადამიანად მთვლიან. ჩემი დაქალები სილამაზით, გონებით და ჩაცმულობით გამოირჩევიან. ხანდახან მათ გვერდით ყოფნისას ვგრძნობ, რომ მათზე დაბლა ვდგავარ და ყველაფრით მჯობნიან, მაგრამ არ მშურს. ისინი გულწრფელად მიყვარს.

მალე ჩემი დაბადების დღე მოდის. მეგობრები წინასწარ ემზადებიან ჩემთან მოსასვლელად. გეგმებს აწყობენ, როგორ მოილხენენ. მე კი ვერ ვეუბნები, რომ დაბადების დღის გადახდის საშუალება არ მაქვს. დედამ ძალიან მორიდებულად მითხრა, რომ წელს ვერაფერს გამიმზადებდა, რადგან პროდუქტების საყიდელი ფული არ აქვს. მამამ სამსახური დაკარგა, ამიტომ ძალიან გაგვიჭირდა. მე კი არ მინდა, შევიმჩნიო და ბავშვებმა სიმართლე გაიგონ. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მეგობრებს როგორ ვუთხრა, რომ ჩემთან არ უნდა მოვიდნენ.

მკითხველი, 16 წლის

„დედა ფეხბურთს არ მაყურებინებს“

ჩემი ტოლი ბიჭების ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი გატაცება ფეხბურთია და მეც მათ შორის ვარ. საერთოდ სპორტი ძალიან მიყვარს. ჩემი მეგობრებიდან ყველას აქვს უფლება, ის საქმე აკეთოს, რაც სიამოვნებს, მე კი საყვარელ თემაზე ლაპარაკსაც მიშლიან. დედაჩემი ყველანაირად ცდილობს, ფეხბურთთან არანაირი შეხება არ მქონდეს. არაერთხელ უთქვამს, რომ ეშინია, აზარტული მოთამაშე არ გავხდე. ვერაფრით დავარწმუნე, რომ მსგავსი რაღაცეები საერთოდ არ მაინტერესებს. უბრალოდ მინდა, საყვარელი საქმით სიამოვნება მივიღო.

ოჯახს პატარაობიდან ვეხვეწებოდი, რომ ფეხბურთზე ვეტარებინე, მაგრამ უშედეგოდ. დედა ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა ჩემს ამ სურვილს. შემდეგ იმავე მიზეზის გამო რამდენიმე მეგობართან ურთიერთობაც ამიკრძალა. ახლა კი უარესი რაღაც გააკეთა, ტელევიზორით მატჩის ყურების ნებასაც არ მაძლევს.

ისე, დედას წინ ცუდი მაგალითი აქვს. მამამისი, ანუ ბაბუაჩემი, აზარტული მოთამაშეა. ყოველთვის ჰქონდა ფული, მაგრამ ყოველთვის აგებდა. კაზინოებში დასახარჯი ფული რომ შემოაკლდა, მერე ტოტალიზატორებსა და პოკერებზე გადაერთო. ყველაფერი გაყიდა და გაფლანგა. ახლა ბებოსთან ერთად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს.

ვიცი, რომ დედა ჩემზე ზრუნავს, მაგრამ ვერ ხვდება, ამით ძალიან რომ მაღიზიანებს. მინდა, ფეხბურთის ყურება ტელევიზიით მაინც შევძლო. რა შუაშია აქ აზარტი?!

ძალიან მაინტერესებს, ჩემ გარდა კიდევ ვინმე თუ არის იმავე სიტუაციაში.

მკითხველი, 15 წლის

გამოხმაურება

«მამა მზრდის, დედას კი ათასში ერთხელ ვახსენდები»

ჟურნალ „სარკეში“ წავიკითხე წერილი — „გადავწყვიტე, მამასთან ვიცხოვრო“. მინდა, ამ გოგოს ვუთხრა, რომ მამასთან ცხოვრება ცუდი სულაც არ არის, ოღონდ თუ დედასთანაც გექნება ურთიერთობა.

მე მამა მზრდის. 7 წლის ვიყავი, დედამ რომ მიმატოვა, ახლა კი 13 წლის ვარ. მამას რომ გაშორდა, მითხრა, კარგ სკოლაში სწავლობ, ამიტომ ვერ გამოგიყვან, უკეთესს რომ მოვძებნი, მერე წაგიყვანო. უკეთესი სკოლა კი ვერ „მიშოვა“. გული სულაც არ მწყდება, მამა ძალიან მიყვარს, მაგრამ კარგი იქნება, დედა ხშირად რომ მნახულობდეს. ის კი ათასში ერთხელ მოდის და ისიც ცოტა ხნით. აშკარად ეტყობა, რომ არ ვუყვარვარ. არა უშავს, მამა ხომ მყავს გვერდით, მე ამითაც ბედნიერი ვარ.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

«დედას დაუჯერე და მამიდას ნუ აჰყვები»

ჟურნალ „სარკის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „მამიდას ჩემი ესმის, დედას — არა“. ჩემო კარგო, გირჩევ, დედას დაუჯერო და მამიდას არ აჰყვე. დედამ უფრო კარგად იცის, შენთვის რა სჯობია, ამიტომ ნუ შეეწინააღმდეგები. ის გააკეთე, რასაც გეუბნება.

„სარკის“ მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გიგა ლორთქიფანიძე: „მსახიობები ერთი თვით საკანში გამოვკეტე“

„თეთრი ბაირაღების“ ცრემლიან-ღიმილიანი ისტორია

ფილმი: „თეთრი ბაირაღები“ (1990 წელი).
დამდგმელი რეჟისორი: გიგა ლორთქიფანიძე.
სცენარის ავტორი: გიგა ლორთქიფანიძე.
დამდგმელი ოპერატორი: ლევან ნამგალაშვილი.
დამდგმელი მხატვარი: კახი ხუციშვილი.
კომპოზიტორი: ბიძინა კვერნაძე.
ხმის რეჟისორი/ოპერატორი: თამაზ მჭედლიძე.
მემონტაჟე: ნაზი (ლეილა) მუხიგულაშვილი.
მონაწილეობენ: გიორგი ხობუა (ზაზა), ქეთევან კიკნაძე (ზაზას დედა), ოთარ მეღვინეთუხუცესი (ისიდორე), გია ბურჯანაძე (ლიმონა), რამაზ ჩხიკვაძე (შოშია), გივი ბერიკაშვილი (ტიგრანა), ლეო ანთაძე (ჭეიშვილი), გურამ ფირცხალავა (გოგოლი), ბადრი ბეგალიშვილი (მოსიაშვილი), თენგიზ მაისურაძე (გამცემლიძე), იური ვასაძე (მებურიშვილი), ნინო ლორთქიფანიძე (ნუნუ ექიმი), სოსო გოგიჩაიშვილი (ზედამხედველი), ვიქტორ ნინიძე (კბილის ექიმი), სოსო ჯაჭვლიანი (როსტომი), ანზორ ურიდია (ხარაბაძე), დავით დვალიშვილი (გაგუა), ტრისტან ყველაიძე (ხელაძე), გულნარა ემხვარი (მარო), ვალერი ტორონჯაძე, ნანა ლორთქიფანიძე (ისიდორეს ქალიშვილი), გიორგი გაჩეჩილაძე (უცნობი — ისიდორეს სიძე).
სიუჟეტი: სტუდენტ ზაზა ნაკაშიძეს, რომელსაც ჩხუბში მონაწილეობისათვის დაუპატიმრებენ, საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცების იმედი არ აქვს. ციხის საკანში სხვადასხვა ეროვნებისა და მრწამსის დამნაშავეები სხედან. დროს განვლილ ცხოვრებასა და დანაშაულის ჩადენის მიზეზებზე კამათში კლავენ. ქურდის, მკვლელის, სახელმწიფო ქონების გამფლანგველის, ყველაზე საშიში ბოროტმოქმედის სულშიც შეიძლება სათუთი გრძნობები იმალებოდეს. გამომძიებელი ზაზას უდანაშაულობას დაადგენს და მას ციხიდან გაათავისუფლებს. ფილმი გადაღებულია ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების „თეთრი ბაირაღების“ და „მზიანი ღამის“ მიხედვით.

„ყველაზე დიდი გამოგონება ქვეყანაზე ანბანი, ჰიმნი და დროშაა, რადგან სამთავე თავისუფლების სათავეა. დასაბამიდან დროშა იყო თეთრი... თეთრი... სპეტაკი... იგი თავიდან მშვიდობას, სიყვარულს, ძმობასა და სათნოებას გამოხატავდა. ოცი საუკუნე იქით და ოცი საუკუნე აქეთ, თეთრი დროშები თავისას მოითხოვენ და მოელიან. ერთი დიდი თეთრი ბაირაღი უნდა ფრიალებდეს ჯომოლუნგმაზე ამაყად, ნიშნად უსაზღვრო სათნოებისა, სიკეთისა და სიყვარულისა... ერთი დიდი, ვეებერთელა, თეთრი ბაირაღი...“ — ამ შესანიშნავ სიტყვებს რომანში ძია ისიდორე ამბობს და თითქოს ყველა ჩვენგანის სათქმელს და სურვილს ამხელს. ეს ნოდარ დუმბაძის სტილი იყო, დაეწერა ისეთი რეალობის შესახებ, რომელიც დროსა და სივრცეში ყოველთვის აქტუალური იქნებოდა. ამ წიგნმა განსაკუთრებით პატიმრები აღაფრთოვანა და არცაა გასაკვირი. როგორც ამბობენ, „თეთრი ბაირაღები“ საკნიდან საკანში გადადიოდა. ამ ნაწარმოების მიხედვით დადგმულ სპექტაკლსა და ფილმსაც ასეთივე დიდი წარმატება ხვდა წილად.

რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე:

— მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ნოდარ დუმბაძესთან შემოქმედებითად ვიყავი დაკავშირებული. როგორც იცით, მე ვიყავი პირველი რეჟისორი, ვინც სცენაზე მისი ნაწარმოები გადაიტანა. ეს იყო „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომლის ხელნაწერიც თავად გადმომცა. რაც შეეხება „თეთრ ბაირაღებს“, ის ჯერ სცენაზე დავდგი, მერე კი კინოეკრანზე გადავიტანე. იმ პერიოდში მე უკვე რუსთავის თეატრში ვიყავი გადასული და ამიტომ სპექტაკლიც იქ დაიდგა. მას „საბრალდებო დასკვნა“ ერქვა. ამავე თემაზე ფილმის გადაღება კი მოგვიანებით გადავწყვიტე.

„თეთრი ბაირაღები“ ძალიან მიყვარს, რადგან იგი შესანიშნავი მსახიობებით არის დახუნძლული. თვითონ ნაწარმოებიც ძალიან მიყვარს. ნოდარ დუმბაძის ყველა ნაწარმოები ხომ გენიალურია, მაგრამ ეს მაინც განსაკუთრებულია. გამოსვლიდან პირველივე წელს ფილმმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. მაყურებლის დასწრების თვალსაზრისით პირველი ადგილი აიღო და უცხოურ ფილმებს აჯობა.

სამწუხაროდ, ამ წარმატებას ნოდარი ვერ მოესწრო. სპექტაკლი რომ დავდგი, ცოცხალი იყო, ფილმის გამოსვლის დროს კი უკვე რამდენიმე წლის გარდაცვლილი გახლდათ. სხვათა შორის, მე და ნოდარი ერთდროულად მოვხვდით საავადმყოფოში. ორივე „ლეჩკომბინატში“ ვიწექით, გვერდიგვერდ პალატაში. საერთო აივანი გვქონდა და ერთმანეთს იქ ვხვდებოდით ხოლმე. ასე რომ, ნოდარის ცხოვრების ბოლო დღეები მასთან ერთად გავატარე.

ნოდარი 7 თვე იჯდა ციხეში და ეს რომანიც რეალურ ფაქტებზე ააგო. ისეთი მწერალი იყო, რომელსაც თავის ნაწარმოებებში უარყოფითი გმირი არ ჰყავდა. ტიგრანაც კი უყვარს, რომელიც ქურდი და მკვლელია. ნოდარი ადამიანებში სიკეთის გარდა ვერაფერს ხედავდა, ყველა უყვარდა და ალბათ სწორედ ეს იყო ასეთი გენიალური ნაწარმოებების შექმნის მიზეზი.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ნოდარს თავის საკანში მყოფ პატიმრებთან ჰქონდა ურთიერთობა. თავისი გმირის პროტოტიპს, გოგოლს, ხშირად ხვდებოდა და მეც გამაცნო, ასევე — ტიგრანაც. ეს ადამიანები ნოდარზე შეყვარებული იყვნენ.

ფილმში ბევრი იმპროვიზაცია იყო, მაგრამ

■ გიგა ლორთქიფანიძე

მაინც ვცდილობდით, ნოდარის დაწერილ თითოეულ ფრაზას მოვფრთხილებოდით. ის ხომ საოცრად წერდა და მის წინადადებაში ერთ სიტყვას მაინც თუ გადააადგილებ, უკვე აზრი იკარგება. ძნელია ისე ადამიანურად ააგო ფრაზა, როგორც ეს ნოდარს შეეძლო.

მსახიობები საკანში

— კინოში ძირითადად იგივე მსახიობები დარჩნენ, რომლებიც სპექტაკლში თამაშობდნენ, თუმცა გარკვეული ცვლილებები მაინც მოხდა, მაგალითად, გურამ ფირცხალავა დაემატა. ისიდორეს როლს სცენაზე არაჩვეულებრივად ასრულებდა აკაკი ვასაძე, რომელიც ფილმის გადაღების დროს უკვე გარდაცვლილი იყო და ის ოთარ მეღვინეთუხუცესით ჩავანაცვლეთ. სპექტაკლ „საბრალდებო დასკვნაში“ ოთარი ლიმონას როლს ასრულებდა, რომელიც თავადაც ძალიან უყვარდა. ცოტა კი გაუჭირდა მისი დათმობა და სხვა პერსონაჟის თამაში, მაგრამ ისიდორეს როლზე მასზე უკეთესს ვერავის ვნახავდი. ლიმონას როლზე კი გია ბურჯანაძე დავამატე. ოთარმა — სცენაზე და გიამ ფილმში ლიმონას როლი არაჩვეულებრივად შეასრულეს, არადა ორივე სრულიად განსხვავებული იყო.

რაც შეეხება რამაზ ჩხიკვაძეს, მას პირველად შევხვდი. უამრავ მსახიობთან მომიწია მუშაობა, მაგრამ ისე მოხდა, რომ მასთან შეხება არ მქონია. მას უკვე ჰქონდა ნათამაშევი რუსთაველის თეატრში რობიკო სტურუას დადგმულ სპექტაკლში „საბრალდებო დასკვნა“. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ჩემს ფილმშიც შოშია ეთამაშა და მოვიწვიე. ამ როლით მან კინოშიც და სცენაზეც ძლიერი სახე შექმნა.

ზაზა ნაკაშიძის როლის შემსრულებელი გიორგი ხობუა პროფესიით მსახიობი არ არის. სპექტაკლში ზაზას ასახიერებდა მალხაზ გორგილაძე, მაგრამ ის კინოსთვის უკვე ასაკოვანი იყო. ამიტომაც ამ როლზე ჩემთვის უძვირფასესი მსახიობის, რეზო ხობუას ვაჟიშვილი ავიყვანე. სამწუხაროდ, რეზო ნაადრევად გარდაიცვალა. როგორც აღვნიშნე, გიორგი არ არის მსახიობი, მაგრამ ამ ფილმში და ამ როლში ისეთი ორგანულია, პროფესიონალი გეგონებათ.

სპექტაკლთან შედარებით ფილმმა ახალი იდეები გააჩინა, რადგან კინოს თავისი სპეციფიკა აქვს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ფილმი ცოტა განსხვავებული გამოვიდა. გადაღებები ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა. ყველაფერი საკანში ვითარდებოდა, მაგრამ ბევრი სცენა საკანს გარეთაც გავიდა. ჩემი მსახიობები ერთი თვის განმავლობაში მართლაც პატიმრებივით იყვნენ, ყველა ერთ კამერაში შევუშვი და ასე დავიწყეთ.

გადაღებები ზაფხულში მიმდინარეობდა. ბუნებრივია, ძალიან ცხელოდა და საკანში სუნთქვა ჭირდა. „თეთრი ბაირაღები“ რეკორდულ დროში გადავიღეთ, მხოლოდ ერთი თვე მოვანდომეთ, რადგან ყველა ამ ნაწარმოების სულით ვიყავით გამსჭვალული. საკანში ჩავიკეტეთ და ყველაფერი ძალიან ჩქარა გავაკეთეთ. საკნის კადრების ნაწილი ორთაჭალის ციხეში გადავიღეთ, უმეტესობა კი — კინოსტუდიის პავილიონში.

გადამღებ ჯგუფში ფანტასტიკური ატმოსფერო იყო, ყველას ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და ერთად ყოფნითა და მუშაობით დიდი სიხარული განვიცადეთ. რაც მთავარია, ყველაფერმა მხიარულად ჩაიარა. საერთოდ, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებზე მუშაობის დროს არც მსახიობმა და არც რეჟისორმა იუმორის გრძნობა არ უნდა დაკარგოს, თორემ ისე არაფერი გამოვა. ყველა მისი მოთხრობის მომხიბვლელობა იმაში მდგომარეობს, რომ განუწყვეტლივ არის ცრემლი და ღიმილი.

სხვათა შორის, ერთი საინტერესო ამბავი გამახსენდა, ოღონდ ეს სპექტაკლს ეხება. რუსთავში „საბრალდებო დასკვნა“ რომ დავდგი, ჩემს კაბინეტში რუსთავის ციხის კოლონიის

Cyan Magenta Yellow Black



■ კადრები ფილმიდან

უფროსი მოვიდა და პატიმრების თხოვნა გადმომცა. ძალიან უნდოდათ, სპექტაკლი მათთვისაც გვეჩვენებინა. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი. მეგონა, რომ თეატრში მოვიდოდნენ და ნახავდნენ, მაგრამ ციხის უფროსმა ამიხსნა, რომ ამდენ პატიმარს თეატრში ვერ წამოიყვანდნენ და ჩვენ თავად უნდა მივსულიყავით.

დასი შევკრიბე, მათაც ძალიან გაუხარდათ, რომ ციხეში ითამაშებდნენ. იქ პატარა კლუბი ჰქონდათ, სადაც ჩვენი დეკორაციებით სცენა მოვაწყვეთ და ვითამაშეთ. მოხდა საოცრება: თუ თეატრში მოსული მაყურებელი სპექტაკლზე ბევრს იცინოდა, იქ პირიქით იყო. პატიმრები განუწყვეტლივ ტიროდნენ, ზოგიერთ მომენტში — ხმამაღლა. სპექტაკლი მათი ცხოვრების შესახებ, მათ ტკივილზე იყო და ამიტომაც განიცადეს ასე. ერთი სიტყვით, რუსთავის ციხეში ამ სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა. როგორც მერე ამბობდნენ, ფილმი „თეთრი ბაირაღებიც“ პოპულარული გახდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. მე მაინც ვთვლი, რომ ეს ყველაფერი ნოდარის დამსახურებაა, რადგან მან ნაწარმოები ისეთი ენით დაწერა, რომელიც ხალხმა ადვილად გაიგო და მიიღო.

ასეა თუ ისე, „თეთრ ბაირაღებს“ გამოსვლის დღიდან პოპულარობა არ აკლდა. ეს ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. ჯერ ერთი, იგი გენიალური ავტორის ასევე გენიალური რომანის მიხედვით გადავიღე და მეორე, მასში არაჩვეულებრივი მსახიობები დავაკავე. იმედია, თავის ქებაში არ ჩამომართმევთ, მაგრამ სხვებისგანაც ხშირად გაიგებთ, რომ როლების განაწილების გროსმეისტერი ვარ. ალბათ ფილმის წარმატება ამანაც განაპირობა. ყველა მსახიობი ზუსტად შევარჩიე. ისინი თავიანთ პერსონაჟებს მოერგნენ და, საერთო ჯამში, ფილმიც კარგი გამოვიდა და სპექტაკლიც.

დედა

ქეთევან ჰიპნაძე:

— „თეთრ ბაირაღებში“ შესრულებული ჩემი როლი ძალიან მიყვარს. ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით შექმნილ რამდენიმე სპექტაკლსა და ფილმში ვითამაშე, ანუ დუმბაძის მოთხრობებიდან რვა პერსონაჟი განვასახიერე და აქედან ყველაზე მეტად მაინც ზაზას დედის როლი მიყვარს. სხვათა შორის, ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონს“ რომ იღებდნენ, მარგოს როლი შემომთავაზეს, რომელზეც უარი ვთქვი. ამოჩემებული მქონდა, რაც თეატრსა და კინოში ხდება, შემდეგ ჩემს ცხოვრებაზე გადმოდისმეთქი. მარგოს როლზეც სწორედ ამიტომ ვთქვი უარი. რაც შეეხება „თეთრ ბაირაღებს“, დედის როლი განსხვავებულია, თუნდაც თავისი პოლიტიკური ნიშნით.

სხვათა შორის, „თეთრი ბაირაღების“ სიუჟეტი ძალიან ჰგავს მსახიობ რეზო ხობუას ცხოვრებას. მისი დედაც გადაასახლეს და როდესაც იქიდან დაბრუნდა, შვილს მის მიმართ საოცარი გაუცხოება ჰქონდა. მერე სისხლმა მაინც იყივლა და ძალიან მოსიყვარულე დედა-შვილი გახდნენ. ამ ნაწარმოებშიც ზუსტად ასე ხდება.

ზედამხედველი

სოსო გოგიჩაიშვილი:

— გიგა ლორთქიფანიძემ რუსთავის თეატრში რომ დადგა „საბრალდებო დასკვნა“, ზედამხედველის როლი მქონდა და ფილმშიც ამ როლზე დამტოვა. სპექტაკლის ნახვის შემდეგ ნოდარ დუმბაძემაც და გიგა ლორთქიფანიძემაც მითხრეს, ძალიან კარგად შეასრულეო. მახსოვს, ნოდარმა ასეთი რაღაც თქვა, ჩემს მოთხრობაში ზედამხედველი ემოციური კი იყო, მაგრამ სოსომ უფრო ემოციური გახადაო. მან იგულისხმა ჩემი სიტყვები — „ნაკაშიძე, ს ვუშრამი!“, რომელსაც გახარებული ვყვიროდი. როდესაც ამ როლზე მომიწია მუშაობა, თავისთავად მივხვდი, რომ ჩემი ზედამხედველი ემოციური და ცოტათი თბილი უნდა ყოფილიყო. მგონი, გამომივიდა კიდეც.

> **„პატიმრები განუწყვეტლივ ტიროდნენ, ზოგიერთ მომენტში — ხმამაღლა. სპექტაკლი მათი ცხოვრების შესახებ, მათ ტკივილზე იყო და ამიტომაც განიცადეს ასე“.**

კინოშიც იგივე გავაკეთე. კინოსტუდიაში პავილიონი აგვიშენეს და იქ „დავბინავდით“. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა, დამღლელი მაინც არ ყოფილა, პირიქით, ყველა სიხარულით ვთამაშობდით. თანაც, ჩვენში ეს პერსონაჟები უკვე გამჯდარი იყო და ამანაც განაპირობა ფილმის ასე მოკლე დროში გადაღება. მხოლოდ ერთი რეპეტიციის გავლა იყო საჭირო და მერე ეგრევე ვიღებდით.

ბევრი სახალისო ამბავი იყო, მაგრამ ყველაფრის გახსენება მიჭირს, მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა. ყველაზე ხშირად ხდებოდა ის, რომ რომელიმე მსახიობს ტექსტი დაგვავიწყდებოდა, მაგრამ ამაზე არავინ გვიბრაზდებოდა, პირიქით, სიცილი ატყდებოდა და შეცდომას უცებ გავასწორებდით ხოლმე. კარგად შეკრული გუნდი ვიყავით და ამან ჩვენი საქმე უფრო გააიოლა. ბატონმა გიგამ როლების ისეთი განაწილება იცის, რომ იტყვიან, მიზანში არტყამს.

ისიდორე, ჭეიშვილი, ლიმონა

ოთარ მელვინეთუხუცესი:

— წინააღმდეგი ვიყავი, ფილმში ისიდორეს როლი მეთამაშა. სპექტაკლში ლიმონას ვასახიერებდი, ისიდორე კი აკაკი ვასაძე იყო. სპექტაკლში მისი დუბლიორი ჩემი მეგობარი გიზო სიხარულიძე გახლდათ. გიგა ლორთქიფანიძემ მაინც დამითანხმა. უკმაყოფილო არ ვარ და, საერთო ჯამში, ფილმში ყველაფერი კარგად გავაკეთე. უბრალოდ ეს ჩემი სურვილით არ მომხდარა. გადაღებები ძირითადად საღამოს იწყებოდა, როცა ყველა მსახიობს ეცალა. რეპეტიციებიდან დაღლილი მოვდიოდით, მაგრამ მაინც ენერგიულად ვიყავით.

ლეო ანთაძე:

— ჩემი პერსონაჟი, ჭეიშვილი, ძალიან საინტერესოა. ბევრი როლი მქონია სცენაზეც და კინოშიც, ამიტომ ვერ ვიტყვი, ეს ყველაზე გამორჩეულია-მეთქი, თუმცა ყოველთვის მაქვს სურვილი, რომ ეს პერსონაჟი ისევ განვასახიერო. სცენაზე ჭეიშვილს კარგა ხანი ვთამაშობდი, ბოლოს კინოშიც ვითამაშე და, შეიძლება ითქვას, ჩემი პერსონაჟი მაყურებელს გამოემშვიდობა. მას მერე ეს სპექტაკლი აღარ დადგმულა. ყოველთვის, სადაც წავიდოდი, ყველა „თეთრი ბაირაღებიდან“ მცნობდა. როგორც ჩანს, ეს პერსონაჟი უფრო დაამახსოვრდა ხალხს, ვიდრე ჩემი სხვა როლები. თავად ფილმიც ხალხში საკმაოდ პოპულარულია.

გია ბურჯანაძე:

— ფილმის გადაღებიდან ყველაზე კარგი მოგონება ის არის, რომ რეჟისორის და მსახიობების ჩათვლით გადასარევი ჯგუფი შევიკრიბეთ. ძირითადად საკანში სულ კაცები ვიყავით და ამ მხრივაც იყო საინტერესო.

ჩემი გმირი, ლიმონა, ძალიან მიყვარს. საერთოდ ამ ფილმის ყველა პერსონაჟი გამორჩეული და საკეთილ მატარებელია, მაყურებელს ისინი ამიტომაც შეუყვარდა. ლიმონას ოჯახი დღესაც მთაწმინდაზე ცხოვრობს, მის შვილს, კახას ვიცნობ და ვმეგობრობთ. კახას მამა არ ახსოვს, რადგან 2 წლის იყო, როცა ლიმონა გარდაიცვალა.

გადაღებებზე ერთხელ ასეთი რაღაც მოხდა: გურამ ფირცხალავას გადაღებაზე ძალიან დაგვიანდა. როდესაც შემოვიდა, რეჟისორს ყურში მიზეზი ჩასჩურჩულა. ამაზე ბატონი გიგა გადაირია და ხმამაღლა იყვირა: „გაიგეთ, რას მეუბნება?! მემილიონე მეგრელი გაჩნდაო!“. თურმე თბილისში მცხოვრები ყველა მეგრელი შეკრებილა და ის ფაქტი აღუნიშნავთ, რომ უკვე მილიონი გახდნენ. იმ მომენტში ბატონი გიგა მართლა ძალიან გაბრაზდა, თორემ სხვა დროს ასეთი რამ არ სჩვეოდა. მასთან სამ ფილმზე ვიმუშავე და სულ ვამბობ, რომ ასეთი საინტერესო ადამიანი არ შემხვედრია როგორც მუშაობის პროცესში, ასევე ურთიერთობაში.

✓ თეონა კენჭოშვილი

მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

☎ 514-246-446. ექიმი ქ-ნი მზია.

Cyan Magenta Yellow Black

მამა კონსტანტინე: „როცა ექიმი ხვდება, რომ პაციენტს ველარ შველის, მღვდელს უნდა დაუთმოს“

საქართველოს პატიარქმა ბავშვთა ქირურგი სული მუშინაღად აქცია

მამა კონსტანტინე (გიორგაძე) ცხრა წელია წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის რუსულ ეკლესიაში მსახურობს. სანამ თავის ცხოვრებას ეკლესიას დაუკავშირებდა, პეტერბურგში ცხოვრობდა. იქ მიიღო სამედიცინო განათლება, ექიმი გახლდათ. იქაურ ქართულ ეკლესიაში დადიოდა, მაგრამ მღვდლობაზე არასდროს უფიქრია. ეს გადაწყვეტილება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრამ მიაღებინა. მას მერე საქართველოში საბოლოოდ დაბრუნდა და ეკლესიის მსახურის გზას დაადგა. დღეს მამა კონსტანტინე სულის მკურნალია და არა ხორცის, მაგრამ, როცა საჭიროა, ავადმყოფებს დანიშნულებასაც აძლევს. მედიცინისა და ეკლესიის ურთიერთკავშირზე მან ჩვენს ინტერვიუშიც ისაუბრა.

■ მამა კონსტანტინე

— მამაო, წლების წინ, სანამ სამღვდელო ცხოვრებას გადაწყვეტდით, რას საქმიანობდით?

— პეტერბურგში ბავშვთა ქირურგი ვიყავი. ქუთაისიდან ვარ, იქ გავიზარდე, სკოლაც იქ დავამთავრე. მერე კი ლენინგრადში, ახლანდელ პეტერბურგში წავედი და პედიატრიული ინსტიტუტი დავამთავრე. ბავშვთა ექიმად ვმუშაობდი, მერე კი რეანიმაციაშიც ვიყავი. სხვათა შორის, ყოფილ საბჭოთა კავშირში მე და ჩემი მეგობრები გახლავართ პირველი ქართული სათვისტომოს დამაარსებლები. 1987 წელს მე, ნუგზარ ხონელიძემ, გიორგი ხაჭაპურიძემ და ჩემმა ძმამ დავითმა ქართველები შევკრიბეთ და ლენინგრადში სათვისტომო ასე ჩამოყალიბდა. დღეს ეს სათვისტომო გაიზარდა და დიდ საქმეს აკეთებს. ქართველი დევნილების შვილები სკოლის გარეშე იყვნენ, ჩვენმა სკოლამ კი ამ ახალგაზრდების განათლებას ხელი ძალიან შეუწყო.

— ექიმი კაცი ღვთისმსახური რიგორ გახდით?

— საქართველოში ჩემი დაბრუნება კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის დამსახურებაა. მედიცინაში კარიერის აწყობას ვაპირებდი, მაგრამ ერთ დღესაც უწმინდესს შევხვდი და მითხრა, ახლა აქეთ ჯობიაო. მღვდლად კურთხევამდე სასულიერო სემინარიაში ჩავირიცხე. სიონის ეკლესიის სტიქაროსანი ვიყავი, პატრიარქს გვერდით ვედექი. 2 წლის შემდეგ ჯერ დიაკვნად მაკურთხეს, მერე კი — მღვდლად. 2 წელი ქაშუეთის ეკლესიაში ვმსახურობდი, შემდეგ აქ, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში გადმომიყვანეს.

— საქართველოს პატრიარქთან რა ურთიერთობა გქონდათ, სანამ მღვდელმსახური გახდებოდით?

— ცოტა შორიდან დავიწყებ ამ ამბის მოყოლას. მეუფე ექვთიმე (შერვაშიძე) და მეუფე დოსითეოზი (წერეთელი) იყვნენ ადამიანები, რომლებიც ქართულ სიწმინდეებს იცავდნენ. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, ისინი რუსეთში გადაასახლეს. მეუფე დოსითეოზი გზაში გარდაიცვალა, მეუფე ექვთიმე 3 წლის მერე მიებარა მიწას. ისინი შემდეგ წმინდანებად შერაცხეს.

მე და ჩემი მეგობრები პეტერბურგთან ახლოს მდებარე იმ მონასტერში მივედით, სადაც მეუფე ექვთიმე იყო დაკრძალული. ვნახეთ, რომ მისი წმინდა ნაწილები ზეწარზე ეყარა, ამოეთხარათ და სხვაგან უნდა ჩაესვენებინათ. ზუსტად იმ დროს მივედით და, ქართული წესისამებრ, პანაშვიდი გადავუხადეთ. ამის შემდეგ დადგა საკითხი, რომ მეუფის წმინდა ნაწილები სამშობლოში გადმოგვესვენებინა. საქართველოში გამომაგზავნეს, რომ უწმინდესსა და უნეტარესს ამ საკითხზე დავლაპარაკებოდი. პატრიარქს პირველად მაშინ შევხვდი. მან გამომკითხა, რუსეთში რას ვსაქმიანობდი და მითხრა, წამოდი საქართველოში, აქეთ ჯობიაო. მართლაც წამოვედი და აგერ უკვე 11 წელია, მღვდელი ვარ. საბედნიეროდ, მეუფე ექვთიმეს ნეშტის ჩამოსვენებაც მოვახერხეთ.

— მანამდე არასოდეს ვიფიქრიათ იმაზე, რომ შეიძლებოდა სამღვდელო პირი გამხდარიყავით?

— მანამდე ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია. ჩემი მოწოდება ექიმობა იყო, პატარობიდან ამაზე ვოცნებობდი. დედაჩემი სულ ავად იყო და მინდოდა, დავხმარებოდი. მღვდლობას რაც შეეხება, რომ არა უწმინდესის სიტყვები, ამას ვერასდროს გავბედავდი. პატრიარქი ხშირად ახსენებს ხოლმე მეცნიერ პავლოვს, რომელიც ფიზიოლოგიც იყო და სტიქაროსანიც. მეც ასე დავაპირე, ჩემი სამედიცინო კარიერაც გამეგრძელებინა და თან ეკლესიაში მევლო. ამ დროს სტიქაროსანი უკვე ვიყავი. მართლაც, ყოველ კვირადღეს ტაძარში დავდიოდი, მაგრამ მერე ყველაფერი სხვანაირად წავიდა, უწმინდესთან შეხვედრამ ჩემი ცხოვრებაც შეცვალა.

— წინაპრებში სასულიერო პირი გყოლიათ?

— გიორგაძეები წარმოშობით სამცხე-ჯავახეთიდან არიან, თავადები და სამღვდელო გვარის წარმომადგენლები იყვნენ. ჩემმა ახლობელმა არქივში ინფორმაცია მოიძია და იქიდან შევიტყვე, რომ ყველაზე ბევრი სასულიერო პირი გიორგაძეებიდან ყოფილა. დღეს უკვე ამ გვარში 8-9 სამღვდელო პირი ვართ.

— მართალია, თქვენს მოწოდებას, ექიმობას შეელიეთ, მაგრამ ვიცით, რომ საჭიროების შემთხვევაში პაციენტებს კონსულტაციებს ისევ აძლევთ.

— რა თქმა უნდა. ოფიციალურად ექიმი აღარ ვარ, მაგრამ ამ სფეროს მაინც არ ჩამოვშორებივარ. შინაურ პირობებში ხალხს ისევ ვმკურნალობ. განსაკუთრებით ჩემს ოჯახს, რადგან საკმაოდ დიდი ოჯახი მყავს — მეუღლე და 6 შვილი. არ მიყვარს ბევრი წამლის დანიშვნა და როცა ექიმი ვიყავი, ამას სულ ვერიდებოდი. საქართველოში რატომღაც ჰგონიათ, რომ თუ ექიმი ბევრ წამალს გამოწერს, ის პროფესიონალია. არადა, ყველა წამალს თავისი უკუჩვენება აქვს. როდესაც საქართველოში ჩამოვედი, დროებით ქირით ვცხოვრობდი ვაზისუბანში. იქ გავიგე, რომ მთელ უბანში ბავშვების უმეტესობას დისბაქტერიოზი აწუხებდა. ძალიან გამიკვირდა. შემდეგ შევიტყვე, რომ უბნის პედიატრი სურდოს დროსაც კი ანტიბიოტიკს ნიშნავდა. მათი ჭარბი მიღებით კი ბავშვებს დისბაქტერიოზი განუვითარდათ.

— თქვენი გამოცდილების მახედვით, რა პარალელის გაკეთება შეგიძლიათ ექიმისა და მღვდლის საქმიანობას შორის?

— ადამიანს სული და ხორცი აქვს. ხორცსაც უნდა მკურნალობა და სულსაც. ხორცს ექიმი მკურნალობს, სულს — მღვდელი. როდესაც ექიმი ხვდება, რომ პაციენტს ველარ შველის, მაშინ მღვდელს უნდა დაუთმოს. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა, რომ სასიკვდილოდ განწირულ პაციენტს მოძღვარი მიუყვანოს. ხშირად გამიგია, რომ ლაპარაკობენ ანტისეპტიკაზე და რაღაცეებზე და მღვდელს ამის გამო არ უშვებენ რეანიმაციაში. ეს არასწორი შეხედულებაა. ექიმი, რომელიც ამას აკეთებს, ღვთის წინაშე ისჯება.

არის კიდევ ერთი საინტერესო გარემოება, თუ როგორ ჰგავს მედიცინა და ეკლესია ერთმანეთს. თუ ადამიანს განკურნება უნდა, ის ექიმის დანიშნულებას ბოლომდე იცავს. ეკლესიაშიც ასეა. თუ ადამიანს სულის განკურნება უნდა, მოძღვრის ყველა რჩევა უნდა გაითვალისწინოს.

მღვდელი და აღმსარებელი მეგობრები უნდა იყვნენ, თუმცა აქაც გარკვეული დისტანციაა საჭირო. არ შეიძლება, მოძღვარს ძალიან გაუშინაურდე და ისე მიმართო, როგორც შენს მეგობარს. მრევლს თავისი სულიერი მამის არ უნდა ეშინოდეს, რომ ის დასჯის. წარმოიდგინეთ, ადამიანს კუჭი ათჯერ თუ გაუსკდება, ის ათჯერვე ექიმთან წავა, რომ გადარჩეს. ტაძარშიც ასევეა, აღმსარებელს არაფრის უნდა შერცხვეს. ექიმის წინაშე პაციენტი ხომ შიშვლდება, მაგრამ ამის არ რცხვენია. იმაზე ფიქრობს, რომ განიკურნოს. მღვდლების მიმართაც ასეთი მიდგომა უნდა იყოს. ადამიანმა თავისი ცოდვები არ უნდა დამალოს. მღვდელი მას დაეხმარება და არც მის საიდუმლოს გასცემს. წმინდა მამები ამბობენ, ჯობია, ერთ მღვდელთან შეგრცხვეს, ვიდრე განკითხვის დღეს მთელ ანგელოზთა დასთანო.

— ღვთისმსახურების პარალელურად თქვენ ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებთ. ვიცით, რომ ამაზე საუბარი დიდად არ გიყვართ, მაგრამ იქნებ ორიოდე სიტყვით გვაამბოთ ამის შესახებ.

— ჩემს საქმეზე ლაპარაკი მეუხერხულება. იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე ვარ, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც პოეტი ანა კალანდაძე გახლდათ. ჩვენმა საზოგადოებამ შეძლო ის, რომ 100 წლის შემდეგ გოგებაშვილის „დედა ენა“ ქართულ სკოლას დაუბრუნდა. ეს მოხდა 2009 წელს. სამწუხაროდ, 2011 წელს „დედა ენა“ სასწავლო პროგრამიდან ისევ ამოიღეს. ახლა ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ქართულ სკოლას ამ საცარ წიგნს კვლავ დაკუბრუნებთ. ერთი თვის წინ „ბუნების კარი“ გამოვეცით, რომელიც 100 წელია არ გამოსულა. ეს გამოცემა უწმინდესისა და უნეტარესის იუბილეს მივუძღვენით. აგრეთვე წმინდა ნინოს ექიმთა საზოგადოება არსებობს, რომელშიც სამღვდელო პირები ვართ გაერთიანებული. ჩვენი მოვალეობა ეკლესია-მონასტრებში სიარული და ბერ-მონაზვნების გამოკვლევაა.

— თქვენი საქმიანობის გამო უწმინდესთან ალბათ ხშირად გიწევთ შეხვედრა. რა შეგიძლიათ გაიხსენოთ მასთან ურთიერთობიდან?

— უწმინდესთან და უნეტარესთან არცთუ ისე ხშირი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ, როცა კი ვხვდები, იქიდან სულ სხვანაირი ადამიანი ვბრუნდები. მართალია, ახლა ცოტა დაუძლურდა, ავადმყოფობს, მაგრამ მის უძლურებაშიც უდიდესი მადლი გამოსჭვივის. პატრიარქს რაც რჩევა მოუცია ჩემთვის, ყველაფერი სწორი ყოფილა. რაც კი რამე საზოგადო საქმე გამიკეთებია, ყველაფერზე მაკურთხა. ბედნიერი ერი ვართ, რომ ეკლესიის სათავეში ასეთი დიდი ადამიანი გვყავს.

— დაბოლოს, რას უსურვებთ სრულიად საქართველოს?

— ჩემს ქვეყანას გადარჩენას ვუსურვებ და ამის მტკიცედ მჯერა. უფალმა იესო ქრისტემ დედამისს რა სიტყვებიც აღუთქვა, მე იმის მჯერა. როგორც იცით, იგი საქართველოში უნდა წამოსულიყო, მის მაგივრად კი ანდრია პირველწოდებული წამოვიდა. მაშინ იესო ქრისტემ დედას უთხრა: „ჰოი, დედაო, არა უგულებელყო ერი ეგე შენი საზეპურო“. შეიძლება ქვეყნად ყველაფერი მოხდეს, ოკეანეც კი ამოშრეს, მაგრამ უფლის სიტყვა არ წაიშლება, ის წერტილ-მძიმით სრულდება. მსოფლიოში ყველა მართლმადიდებელი ეკლესია გაიყო, მხოლოდ ქართული ეკლესია რჩება ერთიანი. ჩვენი გადარჩენის გარანტია მაცხოვრის კვართია მცხეთაში და ღვთისმშობლის კვართი — ზუგდიდში. ჩვენი გადაშენება გამორიცხულია. ცოდვებს ჩავდივართ, მაგრამ კიდევ კარგი, ქართველებს მონანიება შეგვიძლია. მჯერა, რომ სრულიად საქართველო გაერთიანდება როგორც ხორციელად, ისე სულიერად.

✓ თეონა კენჭიაშვილი

Cyan Magenta Yellow Black

ეტაპი

„კულტურაში თუ ისევ მახინჯი გზით წავლენ, აუცილებლად გავაპროტესტებ!“

ზურა მანჯავიძე ოლეგების ახასოლიდარობის გამო გულნატკენია

ზურა მანჯავიძე

ზურა მანჯავიძე ჯგუფ „ფორტესთან“ ერთად 20 წელია მღერის, ბოლო 9 წლის განმავლობაში კი ის მომღერალთა შავ სიაში გამორჩეული „შრიფტით“ იყო ჩაწერილი. ნაცელიტამ „ფორტე“ შოუბიზნესიდან პირველი მოკვეთა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი ტელეკომპანიებმა ის გაიხსენეს, მოისაკლისეს და ეკრანიც დაუთმეს. ანსამბლის წინაშე ახალი სიმღერების ჩაწერის და კონცერტების გამართვის პერსპექტივა ისევ გადაიშალა.

მოვიდა თუ არა „ფორტეს“ დრო, რა იმედები აქვს და ელოდება თუ არა ახალი მთავრობისგან თანამდებობას ზერა მანჯავიძე, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

— ბატონო ზერა, საქართველოში სიტუაცია შეიცვალა, ალარ გბლოკავენ, „ფორტეს“ არ აბრკოლებს უფრო გააქტიურებას?

— რეგულარულად დავიწყეთ რეპეტიციები, ახალ სიმღერებს ვწერთ, კონცერტებიც მოგვიმართავდა. ჩრდილში ყოფნას ალარ ვაპირებთ. ისე, უქმად არც ადრე ყოფილვართ. სიმღერების ჩაწერას ვახერხებდით, მაგრამ მაშინ, რომ იტყვიან, ჩვენს ჭიას ვახარებდით. ის რეპერტუარი პრივატსაღამოებზე იყო გათვლილი, ბიზნესმენები რისკის ფასად გვეპატიჟებოდნენ თავიანთ ღონისძიებებზე. ჩვენ ხომ ძალიან მუქ შავ სიაში ვიყავით.

— ბევრი თქვენი კოლეგა საუბრობს შავი სიის შესახებ, რაც უკვე სახუმარი თემადაც იქცა. ეს სიები საკუთარი თვალით ნანახი გაქვთ?

— პროკურატურაში თუ არსებობდა დასაჭერ ადამიანთა სია, ასევე იყო კულტურის სამინისტროშიც აკრძალული მომღერლების სია, ვისაც არსად უნდა ემღერა. ბანკებში იციან, ცუდ კლიენტებს 7 წლით „აშავებენ“ და მათ ბევრი საბანკო მომსახურება შეზღუდული აქვთ. ასე ვიყავით ჩვენც. შეგვეძლო გვემღერა, მაგრამ ეს არ გაშუქდებოდა. მოკლედ, ამ წლების განმავლობაში „გაშავებული“ ვიყავით. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ზოგიერთ თანამშრომელთან გვქონდა ურთიერთობა და მათ ნანახი ჰქონდათ ეს სია, რომელშიც არამარტო ჩვენ ვეწერეთ. ჩამოთვლას არ დავიწყებ, ამ ხალხის შესახებ ყველამ კარგად იცით. რამდენიმე ხნის წინ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა მითხრა, სეიფიდან გამოვიღეთ შავი სია და დავწვითო. ვუსაყვედურე, ერთი ქსეროასლი ჩემთვის უნდა მოგეცათ, რომ სამახსოვროდ მქონოდა-მეთქი.

— უფრო კონკრეტულად რომ გკითხრათ, ყოფილი ხელისუფლება როგორ ანერვიულებდა თქვენთვის სიმღერაში ხელის შეშლას?

— სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ ჩვენს შეფერხებას. ერთხელ უცხოეთში მივდიოდით და კულტურის სამინისტროდან ცნობა არ მოგვცეს, რომ ჩვენი ჯგუფი მართლაც არსებობდა. ამაზე მივიღეთ პასუხი, რომ ჩვენ არ ვთანამშრომლობდით სახელმწიფოსთან.

— სახელმწიფოსთან თანამშრომლობაში რა იგულისხმებოდა?

— ის, რომ მათ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე გამოვსულიყავით.

— გეპატიჟებოდნენ და უარს ამბობდით?

— კი, გვეპატიჟებოდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა თვითონ სჭირდებოდათ, მაგალითად, არჩევნების წინ, რომ ურთიერთობა დაეთბოთ. მაშინდელი სტილის კოჰაბიტაციას მოსყიდვის ელფერი ჰქონდა. საახალწლოდ კახუჩელამ მართლა დამირეკა და კონცერტზე მიმიწვია, მაგრამ უარი ვუთხარი. საზოგადოებრივ მაუწყებელზე ეკა ხოფერიას გადაცემაში ეს წამომაძახა კიდეც, აი, ჩვენ დაგირეკეთ და თქვენ უარი თქვითო. მაგალითად, გიორგი შავგულიძის საღამოზე გამოვედით, მაგრამ ჰონორარი არ ავიღეთ იმიტომ, რომ მერიის პატრონაჟით კეთდებოდა. წარმოუდგენელი იყო, რომ გოგი ცაბაძის კონცერტზე არ გამოვსულიყავით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც დიდად მოხარულები არ იყვნენ ჩვენი გამოჩენით. ერთ-ერთ სამთავრობო არხზე ჩვენზე გადაცემა გააკეთეს. თითქმის 5 საათი ვიღებდით, ტელევიზიის თანამშრომლებს ვაფრთხილებდით, შეიძლება არ გაუშვან და ტყუილად ნუ წვალობთქო. ჟურნალისტი ძალიან მოწადინებული იყო, რამდენიმე დღის შემდეგ იმ გოგონამ დაგვირეკა და შეწუხებულმა გვითხრა, თქვენი გადაცემა დაბლოკესო. სიცილი აგვიტყდა. მან კი ძალიან ლოგიკურად გვკითხა, რა გაცინებთო. ვუპასუხეთ, რომ ამას მიჩვეული ვიყავით.

შარშან, ახალი წლის ღამეს, გუდაურში გვქონდა კონცერტი დაგეგმილი. კონტრაქტს ხელი მოვაწერეთ, ბოლოს ისე აღმოჩნდა, რომ იმ კონცერტზე თბილისის მერი უნდა მიბრძანებულიყო და 4 დღით ადრე პროგრამიდან ამოგვიღეს.

— თუ კონტრაქტი გქონდათ გაფორმებული, პასუხი რატომ არ აგებინეთ მათ?

— ეს ბოროტება უფრო იყო. იურიდიულად პასუხისგება, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაში სისულელე იყო. შეგვეძლო გვეჩივლა, მაგრამ ის ადამიანები იჭყლიტებოდნენ, ვინც ამ საღამოზე მუშაობდნენ და ფაქტობრივად უდანაშაულონი იყვნენ. ახლა თავისუფლად შეგვიძლია ამ კონტრაქტით მივიდეთ და მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოვითხოვოთ, მაშინ კი რომელი სასამართლო გაგვამართლებდა?! მათგან ბევრი გულისტკენა მახსოვს, მაგრამ ყველაზე მეტად რაც მანუხებდა, ჩემი კოლეგების არასოლიდარობა იყო. რომელიმე მათგანი რომ გამოსულიყო და ეთქვა, მაშინ ჩვენც არ გამოვალთ კონცერტზეო, „ზევით“ ვიღაც დაფიქრდებოდა. დღესაც თუ შევატყობ, ჩვენს სფეროში იგივენაირად მიდის პროცესები, კოლეგებს ვაჩვენებ, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცე. ხელოვანის დაბლოკვა პოლიტიკური ნიშნით მდაბიო საქციელია. თუ ახლაც ასეთი მახინჯი გზით წავლენ, აუცილებლად გავაპროტესტებ.ვატყობ, რომ ახლა ეს ტენდენცია არ არის, რადგან ისეთ მომღერლებს ვხედავ ეკრანზე, ვინც ეს წლები ნაციონალების რიგებში მოიაზრებოდნენ.

— კოლეგებს საყვედურობდით არასოლიდარობის გამო?

— მათთან სერიოზული ჩხუბიც მომსვლია, მაგრამ შეურაცხყოფა არასოდეს მიმიყენებია. ამით შეგვიძლია პოლიტიკოსებსაც მივცეთ მაგალითი. ყოფილა იუმორით, სარკაზმით ნათქვამი. ძირითადად ცდილობდნენ, ამ თემისთვის გვერდი აევლოთ. ზოგიერთის სინდისი აწუხებდა, თავს იმართლებდა და იერიშზე აქეთ გადმოდიოდა. ამის გამო ბევრჯერ გამოვსულვარ წყობიდან. სიმართლე გითხრათ, არასოდეს მითქვამს მათთვის, ერთად დავდგეთ-მეთქი. ჩემი მხრიდან ეს არ იქნებოდა სწორი, ეს მათ უნდა მოეფიქრებინათ. რეალობა შეიცვალა, ბევრი ამბობს, თქვენი დრო მოვიდაო, მაგრამ ჩემი დრო იყო მაშინ, ჩვენი თავი გამოვცადეთ, როგორ მოვიქეცით იმ დროს, როდესაც მართლა ბოროტების ზეიმი იყო. გაჭირვებაშიც არ დავკარგეთ ღირსება.

— რა მოლოდინი და იმედები გაქვთ ახალი მთავრობისგან? რაიმე თანამდებობა რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?

— თანამდებობაზე ლაპარაკი არ ყოფილა და, სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, ამ ტიპის შემოთავაზებას როგორ შევხვდებოდი. ამ არჩევნებზე ერთ-ერთ რაიონში დეპუტატად მომიაზრებდნენ, მაგრამ საბოლოდ უარი თქვეს ჩემზე. ეს ამბავი გვიან გავიგე. მათ რომ წარვედგინე, ნამდვილად არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მივიღებდი. ჩემთვის სიმღერა კომფორტულია და იმედი მაქვს, რომ მთავრობა ჩვენს საქმეში უხეშად არ ჩაერევა. კულტურის სამინისტრომ უნდა შექმნას გარემო იმისთვის, რომ კარგი პროდუქტი დაიდოს, რომელსაც ადგილობრივ ბაზარზეც ექნება წარმატება და მის ფარგლებგარეთაც. ქართულ კულტურაში თუ ძველებურად წავა საქმეები, ბრძოლის გამოცდილება მაქვს და კვლავ ვიბრძოლებ. ვატყობ, რომ ფულის უაზრო ხარჯვა არ იქნება და საფლავიდან ამოყვანილ მომღერლებს აღარ ჩამოიყვანენ, გაურკვეველ პროექტებში ფულს აღარ გადაყრიან.

— თქვენი დიდი ოჯახი ამ წლების განმავლობაში რიგორ ცხოვრობდა, თქვენი ოთხი შვილი როგორ იზრდებოდა?

— მე და თეამ (თეა ჩხარტიშვილი. ავტ.) ოჯახი 22 წლის წინ შევქმენით. 4 შვილი გვყავს. გიორგი 21 წლის არის, ანი — 15 წლის, ტყუპები სანდრო და ლუკა — 9 წლის. ოჯახში სიმღერის მონაცემები ყველას აქვს, მაგრამ უფროსი შვილები ამ მხრივ კომპლექსიანები არიან. გიორგი ფეხბურთზე დადიოდა, მერე კი ტრავმის გამო თავი დაანება. ანიმ სიმღერა მიატოვა და ცეკვაზე დადის. ასე რომ, ტყუპების იმედი მაქვს. ისინი ხალხურ სიმღერაზე დადიან ანსამბლ „გულანში“.

ჩემი მეუღლე კარგი დედაა. ოჯახში თეა „შინაგან საქმეთა მინისტრია“, მე — „საგარეო საქმეთა მინისტრი“. თეას წყალობით, ოჯახში ყოველთვის წესრიგია.

— შვილები წამოიზარდნენ, ახლა ალბათ უფრო მშვიდი ცხოვრების ეტაპი გაქვთ.

— არანაირად! ტყუპების მეცადინეობაზე ერთი ორომტრიალია. ხანდახან თეა ვეღარ ითმენს და უყვირის, მე კი ამ ყველაფერს ვაპროტესტებ, თუმცა, თუ თეას ჩავენაცვლე, ამ პროცესს უარესი ყვირილით ვამთავრებ. ბავშვები თავისით რომ მეცადინეობდნენ და მე და თეას ერთმანეთისთვის მეტი დრო გვრჩებოდეს, ჯერჯერობით ასე არ არის. ჩემს ცოლს არ უყვარს წვეულებებზე სიარული, არადა ეს ჩემი ცხოვრების წესია. ამის გამო მეგობრები ხშირად მსაყვედურობენ, თეა რატომ არ მოდისო. ხანდახან ვაიძულებ ხოლმე, რომ ჩემთან ერთად წამოვიდეს.

— თქვენი ცხოვრების ამ ეტაპს რიგორ შეაფასებთ?

— ჩემს ცხოვრებაში ყველა ეტაპი სასიამოვნო იყო. ოჯახის რჩენის მიზნით სამ ადგილას ვმუშაობდი, მათ შორის — ქამრების ცეხში. მაშინ თეა ორსულად იყო, მესამე კურსზე ვიყავით, გიორგი რომ გვეყოლა. შემდეგ ანსამბლი „ფორტე“ წავიდა მოსკოვში და ჩვენი მეორე შვილი იქ დაიბადა. მოსკოვში ყოფნის დროს მოვახერხე, რომ თბილისში ბინა მეყიდა, მეგობრებს და ოჯახს დავხმარებოდი. ეს ის პერიოდი იყო, როცა საქართველოში შუქი და ბუნებრივი აირი არ იყო. მთელი ანსამბლი ერთად ვცხოვრობდით სამოთახიან ბინაში. ის პერიოდი კარგად მახსენდება. რამდენიმე წლის შემდეგ დავბრუნდით საქართველოში. ტყუპები რომ დაიბადნენ, იმ დღეს წავედით ანსამბლი „ფორტე“ და დათო გომართელი კლიპის გადასაღებად ბაქოში. იქიდან რომ ჩამოვედი, პირდაპირ სამშობიაროში გავვარდი და თეა და ბავშვები წამოვიყვანე სახლში... აი, ასე ლამაზად დაიყო ჩემი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდი. მადლიერი ვარ უფლის, რომ ცხოვრების გზაზე თეას შემახვედრა და ოთხი შვილი მაჩუქა.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

ოთო ნემსაძემ „უკრაინულ ხმაში“ ყველა მწვრთნელი მოხიბლა

ქართველმა მომღერალმა, ჯეოსტარმა ოთო ნემსაძემ, უკრაინაში მუსიკალურ ტელეპროექტ „უკრაინის ხმაში“ მიიღო მონაწილეობა და ოთხივე მწვრთნელისგან დაიმსახურა აღიარება. ბრძოლის არ ეშინია, რადგან კარგი გამოცდილება აქვს, „ჯეოსტარის“ კონკურსზე 14 ტურის განმავლობაში იდგა სცენაზე და ყველაზე პრეტენზიული მაყურებლისთვის მღეროდა. ახალ კონკურსს თავისებური აზარტით უყურებს, საინტერესოდ ეჩვენება უცხო ქვეყანაში კონკურსანტობა, იქ, სადაც არ იცნობენ და ვერც სამეგობრო წრე შეძლებს მის დახმარებას. პროექტი მარტიდან გავა ეთერში. ოთო, სავარაუდოდ, სწორედ ამ დროისთვის გაემგზავრება კიევში. მანამდე კი თავისი მორიგი დიდი გამოცდის შესახებ, რომელიც წინ აქვს, „სარკეს“ ესაუბრა.

■ ოთო ნემსაძე

— ოთო, გვიამბეთ, „უკრაინის ხმაში“ როგორ მოხვდით და შესარჩევმა ტურებმა როგორ ჩაიარა.

— დიდი მადლობა უკრაინის ქართველთა ასოციაციას, რომელიც ძალიან დამეხმარა. სწორედ მათ შემატყობინეს პროექტის შესახებ. იმ დროს უკრაინაში ვიყავი, კონცერტში ვმონაწილეობდი. სწორედ ჩემს იქ ყოფნას დაემთხვა შესარჩევი ტურები. მითხრეს, შენც მიდიო და უბრალოდ შევიარე. ცუდად ვიყავი, მაღალი ტემპერატურა მქონდა. შესარჩევ ტურზე რომ ვიმღერე, მითხრეს, დაგირეკავთო. საქართველოში ჩამოვედი და მართლაც დამირეკეს, რომ შემდეგ ტურებზე გავსულიყავი. აქ ბევრი საქმე მქონდა, ამიტომ მონაწილეობაზე უარი ვუთხარი. უკრაინაში საქართველოს საელჩოშიც კი დარეკეს და ისინიც დამიკავშირდნენ. იმდენჯერ დამირეკეს, რომ ბოლოს მათ ზარებსაც აღარ ვპასუხობდი. ერთ დილას დამირეკეს და მითხრეს, შენს სახლთან ვართ, ჩამოდიო. გადამღები ჯგუფი იყო ჩამოსული რეპორტაჟის გასაკეთებლად. ჯერ კიდევ მეძინა, ამიტომ ვუთხარი, სახლში არ ვარ-მეთქი. არ არის პრობლემა, საღამომდე სასტუმროში დაგელოდებითო. ერთი სიტყვით, ბოლოს მაინც დამითანხმეს.

— თქვენი მოთხოვნები გაითვალისწინეს?

— კი, კონტრაქტი ისე შეადგინეს, როგორც მაწყობდა. ვალდებული არ ვარ, პროექტის განმავლობაში სულ იქ ვიყო. იქ სცენაზე ბენდთან და ორკესტრთან ერთად მომიწევს მუშაობა. ვთვლი, რომ კონკურსზე გასასვლელად და ცოცხალ მუსიკასთან საურთიერთოდ საკმარისი გამოცდილება დავაგროვე. ამისთვის დიდი მადლობა ჩვენს მუსიკოსებს და, პირველ რიგში, „ჯეოსტარს“.

— ბრმა კასტინგმა როგორ ჩაიარა?

— ორი სიმღერა ვიმღერე და ოთხივე მწვრთნელი ჩემკენ შემობრუნდა. ვვარაუდობდი, რომ რომელიმე შემობრუნდებოდა, მაგრამ ოთხივეს არ ველოდი, თითქმის ყველა მწვრთნელის გუნდში შევსებული იყო ადგილები.

— მწვრთნელები ვინ არიან და თქვენ რომელი აირჩიეთ?

— ერთი მწვრთნელი ცნობილი უკრაინელი მომღერალი ოლეგ სკრიპკაა. ამ ადამიანს მთელი უკრაინა და რუსეთი იცნობს. მეც ძალიან ვაფასებ და მის სიმღერებს ხშირად ვუსმენ. ჟიურიში ასევე არიან სვიატოსლავ ვაკარჩუკი, ტინა კაროლი და მეოთხე წევრის ვინაობა არ ვიცი. მე ვაკარჩუკი ავირჩიე. ახალგაზრდაა, იმ მუსიკას აკეთებს, რაც ჩემთან ძალიან ახლოსაა. წელს საკმაოდ ძლიერი ნაკადია. კონკურსანტები არიან ამერიკიდან, რუსეთიდან, ისრაელიდან... შარშან რომ ჩავსულიყავი, გაცილებით იოლი იქნებოდა.

„მეუბნებოდნენ, თქვი, რომ ეჯიანის ერთ-ერთ ხეგიონს წარმოადგენო, მაგრამ ინტერვიუებში ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ქართველი ვარ და საქართველოს წარმოვადგენ“.

— თქვენ გარდა სხვა ქართველიც ხომ არ მოხვდა პროექტში?

— მითხრეს, რომ ერთი ქართველია, მაგრამ მისი სახელი და გვარი არ მახსოვს. წარმატებებს ვუსურვებ.

— უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხთან თანამშრომლობა არ გაშინებთ?

— ჩემი ყველაზე დიდი პლუსი ისაა, რომ საერთოდ არ ვნერვიულობ. ყველაზე რთული საქართველოს სცენაზე დგომა და ქართველი მაყურებლის წინაშე გასვლაა. ის არც ერთ ნოტს გვპატიობს და მართალიცაა. იქ რომ გავედი, იმაზე ვფიქრობდი, ჟიურიმდე ჩემი ენერგეტიკა მიმეტანა, სხვა შემთხვევაში არ შემობრუნდებოდნენ. მხოლოდ დარბაზის ემოციით არც ერთი მწვრთნელი მობრუნდება. ახლა ვეცნობი ამ პროექტის წესებს, ნელ-ნელა ვერკვევი, როგორ უნდა მოვიქცე და რა გავაკეთო. პროექტის შესახებ ლაპარაკის უფლება არ მქონდა, მაგრამ ერთმა ჩემმა მეგობარმა რომ გაიგო, იმან სხვას უთხრა, მან კიდევ სხვამდე მიიტანა ეს ამბავი და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ნახევარმა საქართველომ იცის.

„ყველაზე ჰთული საქართველოს სცენაზე დგომა და ქართველი მაყურებლის წინაშე გასვლაა. ის ერთ ერთ ნოტს გვპატიობს და მართალიცაა“.

— ფიქრობთ, რომ გაიმარჯვებთ?

— მე არ ვარ უნამუსო კაცი, რომ კონკურსის მოგებაზე ვფიქრობდე. პროექტს „უკრაინის ხმა“ ჰქვია, მე ქართველი ვარ, რომელმაც იქ „ნაგლად“ ვთქვი, რომ საქართველოს წარმოვადგენ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ვიღაცისთვის უთქვამთ, შენ იმიტომ ვერ გადახვალ შემდეგ ტურში, რომ ქართველი ხარო. მე ამას ვერ მეტყვიან, რადგან დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ჩემ დასათანხმებლად. ვეტყვი, აბა, მაშინ რაღას მოგყავდით-მეთქი. პირდაპირ ვიტყვი, რომ მოგებაზე არ ვფიქრობ, მაგრამ წარმატებები ალბათ იქნება.

— საზღვარგარეთ ხომ არ ფიქრობთ კარიერის გაგრძელებას?

— ამ ეტაპზე — არა, რადგან აქ ბევრი ცხელ-ცხელი ამბავია. მალე ჩემი ალბომი გამოვა. ყველას ძალიან დიდი მადლობა, ვინც მის გაკეთებაში დამეხმარა. მინდა, ოთარ რამიშვილის ოჯახს დიდი მადლობა გადავუხადო, რადგან მისი სიმღერები შევიდა ჩემს ალბომში. ჯერ არ ვიცი, პრეზენტაცია როდის იქნება.

— იცით იმ პრიზების შესახებ, რაც უკრაინაში გამარჯვების შემთხვევაში გერგებათ?

— მგონი, ალბომის გაკეთებაა პრიზი. შეიძლება სხვა პრიზებიც არის, მაგრამ არაფერი ვიცი. ბევრ რამეში ჯერ კიდევ კარგად ვერ გავერკვიე. ჩემთვის, შემოქმედებითი ზრდის თვალსაზრისით, „ჯეოსტარი“ გაცილებით დიდი კონკურსი იყო. ამის შემდეგ იქ ელემენტარული რაღაცეების გათვალისწინება არ უნდა გამიჭირდეს. როცა საქმე კონკურსს ეხება, არაფერს ვთმობ, ეს გამორიცხულია. ყოველთვის მაქსიმუმს ვაკეთებ.

— უკრაინაში იმიჯს ხომ არ შეგიცვლიან?

— არა, ასეთი შემოთავაზება არ მქონია. ალბათ ზედმეტად დასამახსოვრებელი ჰაბიტუსი მაქვს. რა თქმა უნდა, თმას არ გადავიპარსავ და არც წვერს გავიპარსავ. არც ისეთ სამოსს ჩავიცვამ, რაც არ მომწონს.

— საქართველოს „ახალ ხმას“ თუ უყურებდით?

— კი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა გადაცემა არ მინახავს. ძალიან კარგი პროექტი გამოვიდა, კარგი ახალგაზრდები წამოვიდნენ.

— თქვენ რატომ არ მიიღეთ მონაწილეობა?

— ფილარმონიის სცენაზე 14 ტური მაქვს ნამღერი და მეტი აღარ მინდოდა. მინდა, ჩემი თავი სხვაგან მოვსინჯო, იქ, სადაც არავინ მიცნობს. უკრაინაში არ მეყოლება მეგობრების წრე, რომლებიც დამეხმარებიან. ჩემი იმედი გქონდეთ, უკან არაფერში დავიხევ! მეუბნებოდნენ, თქვი, რომ უკრაინაში ნათესავთან ცხოვრობ და ერთ-ერთ რეგიონს წამოადგენო, მაგრამ ამაზე უარი ვთქვი. ინტერვიუებში ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ქართველი ვარ და საქართველოს წამოვადგენ. ისეთ კითხვებს მისვამდნენ, რაც ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ჩემს ქვეყანას არასოდეს დავტოვებ და სხვაგან საცხოვრებლად არ წავალ. საქართველოს ყველანი ერთად ვჭირდებით. მაქვს შანსი, რომ ჩემი ქვეყნისთვის ძალიან მცირე გავაკეთო და, რა თქმა უნდა, ამას გამოვიყენებ.

— რომელიმე ტურში ქართული სიმღერის შესრულებას გეგმავთ?

— რინგზე ქართულ სიმღერას ვერ ვიმღერებ, მაგრამ რომელიმე ტურში აუცილებლად შევასრულებ. ჯერ არ ვიცი, რომელს შევარჩევ.

— წარმატებებს გისურვებთ! პირად ცხოვრებაშიც ხომ არ არის საახლეები?

— არა, სიყვარულით აფორიაქებული არ ვარ. ისეთი პერიოდი მაქვს, როცა ჩემს თავს, ჩემს პროფესიას და გამოცდილებას ბევრ რამეს შევმატებ. დანარჩენს შემდეგ მოგიყვებით.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

კოტე თოლორდავამ ქართული ენა თეატრალურ ინსტიტუტში ისწავლა

ელენე ხოშტარია: „მაშინ დავწყნარდი, როცა კოტემ ღამე ძილში ქართულად დაილაპარაკა"

■ კოტეს მშობლები

ესახიობ კოტე თოლორდავას მეზღვაური მამა და გერმანული ენის სპეციალისტი დედა ჰყავს, რომელთაც ერთადერთი ვაჟი 30 წელს გადაცილებულ ასაკში შეეძინათ. მოხდა ისე, რომ სკოლის დამთავრებისას კოტე მშობლიურ ქართულ ენას მაინცდამაინც კარგად ვერ ფლობდა და ამიტომ დედას იმედი ჰქონდა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლა ამ ხარვეზს გამოასწორებდა, თორემ ისე, ძალიან სურდა, მისი შვილი ეკონომისტი გამოსულიყო. გაუმართლა თუ არა იმედმა ქალბატონ ელენე ხოშტარიას და რითი ამსგავსებს იგი თავის ვაჟს პოპულარული სერიალის გმირს, ამის შესახებ თავად გვიამბობს.

— ქალბატონო ელენე, თქვენს ვაჟს მსახიობის მონაცემები ბავშვობიდან ჰქონდა?

— ეს სფერო ყოველთვის აინტერესებდა. სკოლაში ხშირად აწყობდნენ პატარ-პატარა ღონისძიებებს, სადაც აქტიურად მონაწილეობდა. საერთოდ არ მინდოდა, კოტე მსახიობი გამოსულიყო, რადგან მასში სულ სხვა მონაცემებს და ნიჭს ვხედავდი. მათემატიკას ყოველთვის კარგად სწავლობდა და მინდოდა, ეკონომიკურზე ჩაებარებინა. კოტე გერმანიაში ორი წელი სწავლობდა, მინდოდა, საერთაშორისო ეკონომიკას დაუფლებოდა, მაგრამ მსახიობობა არჩია.

გერმანისტი ვარ. სასტუმრო „ინტურისტში" გერმანული ენის თარგმნების ხელმძღვანელი ვიყავი. იქ უცხოელებისთვის სხვადასხვა ღონისძიებებს ვმართავდით, სადაც კოტეც აქტიურად მონაწილეობდა, ძირითადად ლექსებს კითხულობდა. ლექსების კითხვა საბავშვო ბაღიდან უყვარდა.

— კარგი მოსწავლე იყო?

— სამწუხაროდ, მაშინ ძალიან რთული პერიოდი იყო. პირველ სკოლას ბომბავდნენ, გაკვეთილები ხან ერთ შენობაში უტარდებოდათ, ხან — მეორეში. კოტე, საუკეთესო თუ არა, საშუალო მოსწავლე მაინც იყო. როცა ის გერმანიაში გააგზავნეს, იქ სადაზღვევო სისტემით დაინტერესდა და გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ სფეროს გაჰყოლოდა.

— რამდენი წლის იყო, გერმანიაში რომ წავიდა?

— 15 წლის არც იყო. გერმანიის და საქართველოს მოსწავლეების გაცვლა მოხდა. მაშინ გერმანიაში კოტესთან ერთად მისი ბევრი კლასელი წავიდა, სხვადასხვა ოჯახებში ცხოვრობდნენ. 6 თვე უნდა ყოფილიყო გერმანიაში, მერე ოჯახმა, სადაც ცხოვრობდა, კიდევ 6 თვით დატოვა. ბოლოს გიმნაზიამაც დაამატა დრო და, საერთო ჯამში, გერმანიაში თითქმის 2 წელი ცხოვრობდა. შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და სკოლა აქ დამთავრა.

— რიდის გაგიმხილათ, რომ თეატრალურში სურდა სწავლა?

— ეს გადაწყვეტილება სკოლის ბოლო გამოცდებზე მიიღო. როცა თქვა, რომ თეატრალურში აბარებდა, დავფიქრდი. თითქმის 2 წელი საქართველოში არ იყო, ქართულიც კარგად არ იცოდა. თეატრალურში სწავლისას ქართულს, მეტყველებას კარგად დახვეწავს-მეთქი, ვიფიქრე და მის არჩევანს არ შევწინააღმდეგებივარ. მეგონა, თეატრალურში ერთი-ორი წელი ისწავლიდა და შემდეგ სხვა ფაკულტეტზე და სხვა უნივერსიტეტში გააგრძელებდა სწავლას. იქ რომ ჩაბარა, მერე თეატრალურ სფეროს თავი აღარ დაანება.

— ქართული რატომ არ იცოდა კარგად?

— იმიტომ, რომ მე რუსულად ვლაპარაკობდი, რუსული განათლება მაქვს მიღებული. მაშინ დავწყნარდი, როცა კოტემ ძილში ქართულად დაილაპარაკა.

— თქვენს დედისერთა ბიჭს რა ბრძანებებით ზრდიდით, რას ასწავლიდით?

— სულ იმის მეშინოდა, დედიკოს ბიჭი არ ყოფილიყო. მინდოდა, ვაჟკაცური, კაცური ყოფილიყო, ისეთი, როგორიც ახლაა. ბავშვობაში ყველაფერი აინტერესებდა. გიტარაზე, ჭადრაკზე, კალათბურთზე დადიოდა. კალათბურთს გერმანიაშიც თამაშობდა, ზაარბრიუკენის ახალგაზრდულ ლიგაში იყო, მთელი გერმანია, საფრანგეთი მოიარა. თითქმის ყველაფერი კარგად გამოსდიოდა.

— მეზღვაურ ქმართან ალბათ ხანგრძლივად ვიწყვდით განშორებები. ვიჭირდათ მის გარეშე ოჯახის გაძღოლა?

— მაშინ ჩემი ძმა ცოცხალი იყო, მეც აქტიურად ვიყავი დაკავებული, ვმუშაობდი. კოტე, მეგობრები მყავდნენ და ადვილად გადამქონდა. თანაც ქმარს ტელეფონით ხშირად ვეკონტაქტებოდი. მე და კოტე თითქმის ყოველ მესამე თვეს თან დავყვებოდით ხან ლენინგრადში, ხანაც — ოდესაში. ჩემმა ქმარმა ზღვაში თითქმის 55 წელი გაატარა.

■ კოტე ბავშვობაში და...

■ ...ახლა

„სულ იმის მეშინოდა, ჩემი შვილი დედიკოს ბიჭი ხო არ ყოფილიყო".

— მამის მსგავსად მეზღვაურობაზე კოტეს არასოდეს უოცნებია?

— ერთი პერიოდი ამბობდა, რომ მეზღაურობა უნდოდა, მაგრამ მე ვიყავი წინააღმდეგი. თანაც საქართველოში სანაოსნო აკადემია არ იყო. ჩემმა ქმარმა სწავლა ოდესაში დაამთავრა, შვილის იქ გაშვება კი არ მინდოდა.

— სად გაიცანით მეზღვაური, რომელიც თქვენი ქმარი გახდა?

— იმ დღეს გერმანიიდან ვბრუნდებოდი. იქ, როგორც „ინტურისტის" წარმომადგენელი, ისე ვიყავი. იმ რეისით ჩემი მეუღლეც მგზავრობდა. ერთმანეთი თვითმფრინავში არ გაგვიცნია, მაგრამ ბორისმა იქ შემამჩნია. ჩვენი ნაცნობობა კი მოგვიანებით შედგა. როცა დავოჯახდით, მე 32 წლის ვიყავი, ბორისი — 39 წლის. დაქორწინებიდან მალევე კოტეც შემეძინა. მთელი ფეხმძიმობის პერიოდი ძალიან რთული იყო, ოღონდ არა — ფიზიკურად, არამედ ემოციურად, რადგან მეუღლე 8 თვის განმავლობაში სახლში არ ყოფილა. ჯერ — ამერიკაში და შემდეგ ირანში იყო, სადაც რევოლუცია დაიწყო. მასთან კავშირი არ მქონდა, მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ დამირეკა. მას შემდეგ მასზე არაფერი ვიცოდი. როცა ჩამოვიდა, სახლში ვერ დავხვდი, რადგან მშობიარობას ყოველ წუთში ველოდებოდი. მართლაც, ბორისი რომ ჩამოვიდა, უკვე კოტეც შემეძინა. ახალდაბადებული კოტე პატარა ბორისი იყო, ისე ჰგავდა, მაგრამ ათ დღეში უკვე მე დამემსგავსა. მას, ისევე როგორც მე, სახის მრგვალი ფორმა აქვს.

— ხასიათითაც თქვენ გგავთ?

— არა, მამას. კოტეს მეგრული ხასიათი აქვს.

— თქვენც ხომ მეგრელი ხართ?

— ხო, მაგრამ მე ქალი ვარ, უფრო რბილი ხასიათი მაქვს. სხვათა შორის, კოტე კარგი მეოჯახეა. საჭმელების მომზადება, ბაზარში რაღაცეების ყიდვა შეუძლია.

— ინტერვიუს ჩაწერამდე მითხარით, კოტეს მეუღლეში გაუმართლია. ვიტრინაში რძლის, განის ფოტოსაც მოეკარი თვალი. ვეტყობით, რომ ძალიან ვიყვარო.

— ვისაც ჩემი შვილი უყვარს, ის მეც მიყვარს. კოტეს ნამდვილად გაუმართლა.

— სამი შეყლიშეყლის ბებია ხართ. მათზე გვიამბეთ.

— პირველი შვილიშვილი, ბუკაა, ანუ ბორისი. ეს სახელი თოლორდავების ტრადიციაა. ჩემი ქმარი ბორის კონსტანტინეს ძეა, ჩემი შვილი კი კონსტანტინე ბორისის ძე და ასე გრძელდება. ბუკა კოტეს პირველი ქორწინებიდან ჰყავს, 12 წლის არის. განოს და კოტეს 4 წლის ტასიკო და 1 წლის თარაში ჰყავთ.

— თქვენი სათოჯახო ფოტოები რომ დაგათვალიერე, ბუკა კოტეს ბავშვობას ძალიან ჰგავს.

— კი, მამა-შვილი ერთმანეთს მართლა ძალიან ჰგვანან.

— სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები" კოტეს ვმირი, დიტო, მოძველებული ტიპაჟია, მკაცრი ქმარია. კოტეს თუ ჰგავს რაიმე თვისებით?

— ჩემი შვილი ეგეთი ძველი ბიჭი არ არის. ფიცხია, მაგრამ არც დიტოსნაირი მკაცრია. სიყვარულში მყარია. მისთვის, განოს გარდა, არავინ არსებობს. დღემდე ხელიხელჩაკიდებული დადიან.

— დიტოს დედა კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მის შვილს კატო შეერთოთ ცოლად. მსგავს სიტუაციაში თქვენ როგორ მოიქცეოდით?

— პირველი რეაქცია შესაძლოა მეც ასეთი მქონოდა, მაგრამ შემდეგ დავფიქრდებოდი. თუ მას 20 წელი ეყვარებოდა და ბოლოს ერთმანეთს კარგად გაუგებდნენ, წინააღმდეგი არ ვიქნებოდი. დაე, ყოფილიყვნენ ერთად ბედნიერები.

— რიგორ ვნდებიან, როცა იგებენ, რომ კოტე თოლორდავას დედა ხართ?

— როცა მასთან ერთად მივდივარ, სულ დიტო-დიტოს ყვირიან.

— ყურადღებიანი შვილია?

— კი, ძალიან, განოც ყურადღებიანია. ორივე ძალიან დატვირთულია, მაგრამ ჩვენთან სტუმრად მოსვლას მაინც ახერხებენ. ჩვენ გუშინდელი დღე ვართ, მომავალი მათია.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

გვანცა დარასელია: „ქმარი მზრდის, მასზე ყველანაირად ვარ დამოკიდებული“

■ გვანცა და ვახო

ცელეწამყვან გვანცა დარასელიას და ყოფილი მორაგბის, ახლა ბიზნესმენ ვახო მჭედლიძის ოჯახური ცხოვრება სამ წელიწადს ითვლის. წყვილი მშობლებისგან ცალკე, საკუთარ ორსართულიან სახლში ცხოვრობს ერთი წლის ერეკლესთან ერთად. 23 წლის გვანცა და 30 წლის ვახო ცდილობენ, ყველაფერი მოასწრონ და ერთმანეთს შეუთავსონ — აქტიური მუშაობა, ბავშვის გაზრდა, ოჯახის გაძღოლა და, რაც მთავარია, ერთად ყოფნის სიამოვნება. ვნახოთ, რამდენად გამოსდით ეს ახალგაზრდა ცოლ-ქმარს.

— **ვახო, როცა საკუთარ ცოლს ეკრანზე თითქმის ყოველდღე უყურებთ, რას ფიქრობთ, მოგწონთ თუ კრიტიკის სურვილი გიჩნდებათ?**

ვახო: თითქმის ყოველდღე ვუყურებ გვანცას, რადგან გადაცემა იმ დროს არის, როცა თავისუფალი ვარ. რაღაც რჩევებსაც ვაძლევ, მაგრამ ცოტ-ცოტას, განსაკუთრებულს არაფერს. ხანდახან ვეუბნები, რომ სხვებსაც დააცადოს ლაპარაკი.

გვანცა: ვახო საერთოდ ძალიან კრიტიკულია. პირველ რიგში, თუ ვინმეს აზრი მაინტერესებს, ეს ვახოა, რადგან ყველაფერს ობიექტურად უდგება. იშვიათად ხდება, რომ ძალიან შემაქოს. მისი შექება კი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— **ვახო, გვანცას საეთერო იმიჯზე რას ფიქრობთ?**

ვახო: გარკვეულ რჩევებს ვაძლევ, მაგრამ არა — მნიშვნელოვანს, რადგან არ სჭირდება. ლამაზი ცოლი მყავს.

— **გვანცა, თქვენ რა დოზით ერევით ქმრის საქმეებში?**

გვანცა: ნაკლებად ვერევი ვახოს საქმეებში. მე თვითონ რა ამბავსაც მივიჩნევ საინტერესოდ, იმას ვუყვები. ისეთ სფეროში ვმუშაობ, რომ ამბებს ხშირად გავრცელებამდე ვიგებ. ვახოს ახალი ამბები მე ვარ. საღამოს, როცა სახლში მოვდივართ, ძირითადად ბავშვთან თამაშით ვართ დაკავებული. მონატრებულები ვართ ერთმანეთს.

ვახო: თუ რამე ახალი ხდება თბილისში, განვიხილავთ. სამსახურის ამბებზე ერთმანეთს იშვიათად ველაპარაკებით.

— **რამდენად კარგია ოჯახური წყვილისთვის, როცა ცოლიც და ქმარიც სახლის გარეთ აქტიურად დაკავებულია? ეს გაუცხოებას არ იწვევს?**

ვახო: არა, ეს აუცილებელიცაა. ორივენი ჩვენს საქმეს ვაკეთებთ და საღამოს ყველა ერთად ვართ.

გვანცა: სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. ისიც არ მომწონს, ცოლ-ქმარი როცა ერთად მუშაობენ. გარკვეული ინტერესიც აქვს ამას, რომ ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს. ვეჯიბრებით ერთმანეთს, ვინ უფრო წარმატებულად გაართმევს თავს დაკისრებულ საქმეს.

— **როგორ ეჯიბრებით?**

ვახო: ორივე მიზანს დავისახავთ და ვცდილობთ, მივაღწიოთ. ვთქვათ, გვანცას ახალი გადაცემის წაყვანას დაავალებენ. კარგად რომ წაიყვანს და კმაყოფილია, მეც აღფრთოვანებული ვრჩები. მეც რაღაც საქმეს რომ დავისახავ ბიზნესის მხრივ და, როგორც წესი, 90 პროცენტი, გამომდის, გვანცას უხარია.

გვანცა: ერთმანეთს ბევრ რაღაცას ვეკითხებით. მაგალითად, მე თუ რაიმე შემოთავაზება მაქვს, გადაწყვეტილებას ვახოს გარეშე არ ვიღებ.

ვახო: გვანცას გარკვეულ საკითხებზე მეც ვუთანხმდები, გავაკეთო თუ არა. მაინც ქალის აზროვნება, თან დარასელიას შეფასება, საინტერესოა.

გვანცა: გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ერთმანეთს ყველაფერი უნდა გავუზიაროთ. ყოფილა შემთხვევა, მიფიქრია რაღაცაზე, ვახოს აზრის მოსმენის მერე კი მივმხვდარვარ, რომ მნიშვნელოვან დეტალს არ ვაქცევდი ყურადღებას და შეცდომას ვუშვებდი. არავინ თქვას, რომ ყველაფერი კარგად იცის. ხშირად ვახოც დაფიქრებულა ჩემი ნათქვამის მერე და რაღაც ნაბიჯისგან თავი შეუკავებია.

— **ყველა ოჯახში ჩნდება პრობლემა და ყველა წყვილი მას თავისებურად უმკლავდება. თქვენს შემთხვევაში როგორ ხდება?**

ვახო: რა თქმა უნდა, ასეთი პერიოდები არსებობს. გვანცა ისე დამდგომია ასეთ დროს გვერდით, რომ ბევრ ძმაკაცს გაუჭირდებოდა.

გვანცა: მთავარი ის არის, რომ ძალიან გულახდილები ვართ ერთმანეთთან. შემიძლია 100 პროცენტით გულწრფელად ვთქვა, რომ ვახოს არაფერს ვუმალავ. უსიამოვნოა, როცა სხვისგან იგებ რაღაცას. გახსნილი ურთიერთობა ცოლ-ქმარს ბევრ პლუსს მატებს.

— **როგორი დამოკიდებულება აქვს ვახოს თქვენი პრობლემების მიმართ?**

გვანცა: ვახოს რადიკალური დამოკიდებულება აქვს, თუ იგებს, რომ ვინმე მანერვიულებს.

ვახო: მორაგბე ვარ!

გვანცა: იმას ნამდვილად არ მეტყვის, რომ დავწყნარდე და მოვითმინო. ეგრევე შეტევაზე გადასვლა უნდა და ასეთ დროს მე

ვახო: „გვანცას გარკვეულ საკითხებზე მეც ვუთანხმდები, გავაკეთო თუ არა. მაინც ქალის აზროვნება, თან დარასელიას შეფასება, საინტერესოა“.

მიწევს მისი დამშვიდება. იშვიათად ვუყვები მას პრობლემების შესახებ. თუ რაიმე დისკომფორტია სამსახურში, ვცდილობ, თავად მოვაგვარო და ვახოს ყურამდე სანერვიულოდ არ მივიტანო.

— **სამსახურიდან სახლში მისულები როგორ ატარებთ საღამოს?**

ვახო: ბავშვთან ვერთობით ან სამზარეულოში ვართ. გვანცამ კერძების კეთება ისწავლა.

გვანცა: რაც მთავარია, გადაცემა „შუადღის“ შედეგად დღის რეჟიმი უკეთესობისკენ შემეცვალა. უფრო კარგად მძინავს და მეტად ენერგიული ვარ.

ვახო: დილის გადაცემაში რომ მუშაობდა, დილის 5 საათზე გადიოდა სახლიდან და ღამის 3 საათზე ბრუნდებოდა. ძალიან არეული დრო იყო. ძნელია, როცა მეუღლე დილის 5 საათზე გადის სახლიდან, მით უმეტეს — ზამთარში, როცა ბნელა, ცივა და ა.შ. თავიდან სულ ვდგებოდი და ვაცილებდი, მერე გამიჭირდა.

ვახო: „გვანცა კარგი დედაა. თუ ერეკლე ტირის, არავის გააკარებს. ჰგონია, რომ მარტო თავისია. ბავშვი რომ დაწყნარდება, მერე მეც მიმიშვებს. ამ მხრივ, ორივე ეგოისტები ვართ“.

გვანცა: ვახოს ვეცოდებოდი, ასეთ რეჟიმში რომ მხედავდა. თუმცა ის პერიოდი მაინც ძალიან მენატრება. მეგონა, ყველას მე ვაღვიძებდი.

— **ამ ერთი წლის განმავლობაში, რაც ერეკლეს ზრდით, როგორ მშობლებად ჩამოყალიბდით?**

ვახო: გვანცა კარგი დედაა. თუ ერეკლე ტირის, არავის გააკარებს. ჰგონია, რომ მარტო თავისია. ბავშვი რომ დაწყნარდება, მერე მეც მიმიშვებს. ამ მხრივ, ორივე ეგოისტები ვართ. ორივეს გვინდა, ბავშვთან დიდი დრო გავატაროთ. გვანცა შვილს კარგად უვლის. ერეკლეს ჩემზე მეტად დედა უყვარს. თუ ტირის, ჩემთან იშვიათად მოდის. გასართობადაც დედა ურჩევნია.

გვანცა: ყველა ბავშვი ასეთია. რამე რომ უჭირთ, დედასთან მიდიან. ვახო ძალიან კარგი მამაა. ერეკლე თვეების რომ იყო და ტიროდა, ვახო ხელში თუ აიყვანდა, მაშინვე წყნარდებოდა. ახლა ვაკვირდები, რომ

■ ერეკლე მშობლებთან ერთად

Cyan Magenta Yellow Black

ბავშვი ყველას სხვადასხვანაირად ეთამაშება. მამასთან განსაკუთრებით მშვიდდება. ნელ-ნელა მამას თქმა დაიწყო.

ვახო: მანამდე დედას და ბაბუს ამბობდა. ძლივს მამა ვათქმევინეთ.

— მართალია, ერეკლე ერთი წლისაა, მაგრამ მაინც გარკვეული პრინციპულობა მასთან უკვე გჭირდებათ?

ვახო: მე — კი. არ მომწონს, როცა ფიქრობენ, ბავშვი იტირებს და არ გაეკაროთ, ან ყველაფერი დაუთმეთო. მინდა, თავიდანვე მიხვდეს, რომ ყველაფერი არ ეპატიება.

გვანცა: მაგრამ ერეკლე მაინც იქნება განებივრებული ბავშვი, რადგან სანამ დაიძინებს, მხოლოდ სამი საათით ადრე ვხედავ და მენანება, ამ დროში მხოლოდ შენიშვნები მივცე. პირიქით, მინდა, ვასიამოვნო და გავართო. მაგრამ აუცილებლად ვასწავლი, რისი უფლება აქვს და რისი — არა.

— სამომავლოდ ალბათ ფიქრობთ, რომ გოგონაც გყავდეთ.

ვახო: უკვე არ ვფიქრობ, რა სქესის იქნება მეორე შვილი. პირველი შვილი გოგო მინდოდა, მყოლოდა, ახლა კი სულ ერთია.

გვანცა: აუცილებლად გვეყოლება მეორე შვილი, მაგრამ მოგვიანებით, როცა ერეკლე წამოიზრდება და მას ნაკლები ყურადღება დასჭირდება.

ვახო: თან მინდა, გვანცას კარიერაში ხელი შევუწყო და ამიტომ ცოტა ხანი მეორე შვილისთვის არ სცალია.

— ვახო, გვანცას მშობიარობის მერე, მგონი, გრამიც არ მოუმატია, რასაც თქვენზე ვერ ვიტყვით.

ვახო: მე მოვიმატე და გვანცა გახდა.

გვანცა: შენ რომ მოიმატე, ჩემ მიერ მომზადებული კერძების ბრალი არაა. კი ვთხოვ ვახოს, დიეტა დაიცვას,

გვანცა: „თუ ვინმეს ახლი მაინტერესებს, ეს ვახოა, ადგან ყველაფერს ობიექტურად უდგება. იშვიათად ხდება, ჰომ ძალიან შემაქოს".

მაგრამ არ გამოსდის. დრო არ აქვს, ივარჯიშოს. მე ორსულობის მერე თავისით დავიკელი.

ვახო: მინდა, გვანცამ ცოტა მოიმატოს. მე ალბათ ისევ დავიწყებ ვარჯიშს. მოვიმატე იმიტომ, რომ ვარჯიში მივატოვე. თან თვითმფრინავით ფრენის შიში მაქვს და ასეთ დროს სულ ვსვამ. ბოლო დროს ხშირად მიწევს ფრენა და კინაღამ გავლოთდი.

— ვახო, თქვენ თუ იცით, რა ფობია აქვს გვანცას?

ვახო: გვანცას არაფრის ეშინია. პირიქით, ვენაში ვიყავით და იმხელა ატრაქციონებზე ხტუნაობდა, მისი ყურებაც კი მეშინოდა.

გვანცა: ძირითადად ვახოს შიშებს ვებრძვით. კლაუსტროფობია აქვს — დახურული სივრცის ეშინია.

— პატარა ექსპერიმენტი ჩავატაროთ, რამდენად კარგად იცნობთ ერთმანეთს: დაასახელეთ მეუღლის საყვარელი ფერი.

გვანცა: ვახოს საყვარელი ფერი ლურჯია.

ვახო: გვანცასი კი — შავი.

გვანცა: შავი არ მიყვარს!

ვახო: რა ვიცი, ყველა ფერს იცვამ... თეთრი გიყვარს, მგონი.

— ვახო, შეგიძლიათ გვანცას სუნამო შეურჩიოთ? იცით, რა სურნელი მოსწონს?

ვახო: არა, სუნამოს ვერ შევურჩევ.

გვანცა: იმდენად განსხვავებული გემოვნება გვაქვს, რომ შეიძლება არ დაიჯეროთ. ჩაცმულობაზეც ხშირად ვკამათობთ. ვახოს უნდა, რომ ეკრანზე კლასიკურად გამოვიყურებოდე. მე კი ძალიან მიყვარს სპორტული სტილი. საბოლოოდ შეთანხმებამდე მივედით და თავისუფალი სტილი მაცვია, კლასიკური და სპორტული ელემენტებით.

— გვანცა, თანაცხოვრების პერიოდში ვახომ თქვენზე რა გაკვლენა მოახდინა?

გვანცა: როგორც ჩემს მშობლებთან ვცხოვრობდი, ისევე თავისუფლად ვარ ვახოსთან. მისი მფარველობის ქვეშ ვარ. ხუმრობს ხოლმე, რომ მზრდის. ძალიან ვარ მასზე ყველანაირად დამოკიდებული. თავიდან ისიც არ ვიცოდი, კომუნალური გადასახადები სადუნდა გადამეხადა, იმდენად ცდილობს, ყველაფერი თვითონ გააკეთოს.

ვახო: გულწრფელად ვიტყვი, გვანცა ამდენს მუშაობს, ახალგაზრდა დედაა და ეს ყველაფერი კარგად გამოსდის. ვამაყობ, რომ ასეთი ცოლი მყავს.

✓ მანანა ნოდია

ლიკა ყაზბეგის საქორწინო სუეტრა პატიმრებმა გაშალეს

■ სიძე-პატარძალი მეჯვარეებთან ერთად

■ საქორწინო ტორტი

სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელმა ლიკა ყაზბეგმა, რომელიც ორიგინალური დეფილეების გამართვითაა ცნობილი, საკუთარი ქორწილი კიდევ უფრო ორიგინალურად გადაიხადა — ვალენტინობის დღეს და ციხეში. 14 თებერვალს ქორწილი რუსთავის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-16 დაწესებულებაში შედგა. ლიკას რჩეული ამჟამად პატიმრობაში მყოფი გიორგი ჯელაძეა, მეტსახელად ჩუქჩა. ხელისმომკიდეების და სამოქალაქო რეესტრის თანამშრომლებს ციხეში მოუხდათ მისვლა. ნეფის მხრიდან მოწმე საპატიმროს უფროსი გელა ტყემალაძე გახლდათ, პატარძლისა კი — სასჯელაღსრულების მინისტრის მრჩეველი ლალი მოროშკინა და ჟურნალისტი გიორგი ბერიძე. ახალგათხოვილმა ლიკამ ორი დღე ქმართან საპატიმროში გაატარა.

გიორგი ჯელაძეს გეოლოგიური აქვს დამთავრებული. თუ რის გამო დააპატიმრეს, ამის შესახებ ლიკა არ საუბრობს. არც ის გაგვიმხილა, რამდენი წელი აქვს მისჯილი ან ციხეში რამდენი გაატარა. ამბობს, რომ მისი საქმე სტრასბურგშია გაგზავნილი და იმედი აქვს, რომ სასამართლო მისი ქმრის სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას.

ორივესთვის ეს მეორე ქორწინებაა. გიორგის შვილი ჰყავს პირველი ქორწინებიდან, 8 წლის გოგონა — ანა-მარია, რომელსაც ლიკა პოდიუმზე გაყვანას უპირებს.

— გიორგი წლების წინ გავიცანი. მერე მან ციხეში ლალი მოროშკინას ჩემი ტელეფონის ნომერი სთხოვა. მე და ლალი ვმეგობრობთ. მან ჩემი ნებართვით გიორგის ტელეფონის ნომერი მისცა. ვაპირებდი, მაქსიმუმი სამჯერ მელაპარაკა მასთან, მაგრამ ეს ყველაფერი სერიოზულ რომანში გადაიზარდა. ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს აბსოლუტურად დაემთხვა. საათობით ვლაპარაკობდით. მერე მითხრა, გული მიგრძნობს, ჩემი ცოლი გახდებიო. თავად დაგეგმა ჩემი ცოლად მოყვანა და მომიყვანა კიდეც, — გვიამბობს ლიკა, — მრავალი წლის მერე, რასაც გაცნობა ჰქვია, ჩემი ქმარი ციხეში, ქორწილში გავიცანი. ეს ამბავი მინისტრმაც გაიგო, ციხის დირექტორმაც და ყველას ძალიან გაუხარდა. სამი დღე გვაჩუქეს ციხეში. გიორგისთან ორი დღე გავატარე საპატიმროში. ის ცარიელი სიყვარულია. ისეთი თვისებები დავინახე მასში, უკვე დეფიციტი რომაა. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი საუკეთესოდ იქნება. მას გულმა უგრძნო, რომ მისი ცოლი გავხდებოდი, მე კი გული მიგრძნობს, რომ კარგი ქმარი იქნება და მასთან ბედნიერი ვიქნები.

■ ლიკა ყაზბეგი

ხელისმოწერისთვის ციხის დირექტორის ოთახი გამოიყენეს, რომელიც ლალი მოროშკინამ საგულდაგულოდ მორთო. პატარძალს საქორწინო კაბა ეცვა, სიძემ კი ჩვეულებრივი, ყოველდღიური სამოსი არჩია.

— ციხეში არის სასტუმრო ტიპის კოტეჯები, რომლებსაც ოჯახები შეხვედრებისთვის იყენებენ. ამ კოტეჯში რომ შევედი, კედლებზე გულები იყო გაკრული, რომლებიც გიორგის მეგობარ პატიმრებს გაუკეთებიათ. იქ გვქონდა პატარა სუფრა. მეჯვარეები და ათამდე პატიმარი, გიორგის მეგობრები ისხდნენ. შოკირებული ვაკვირდებოდი, როგორ შლიდნენ სუფრას მისი მეგობრები. ძალიან საყვარლები იყვნენ. სიტყვები არ მყოფნის, რომ სრულად გამოვთქვა ეს შეგრძნებები! ჯვარი არ დაგვიწერია, თუმცა საპატრიარქოდან იყო ორი მღვდელი, რომელთაც დაგვლოცეს. როცა გიორგის გაათავისუფლებენ, ჯვარს მერე დავიწერთ. ეს ყველაფერი ძალიან ემოციური იყო. პატარძალი ვიყავი, მაგრამ ციხეში შესვლისას მაინც გამჩხრიკეს. ეს ჩემთვის ყველაზე საინტერესო და კარგი თავგადასავალი აღმოჩნდა, — თავისი ემოციები გაგვიზიარა ლიკამ.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

ჯანეტ ქერდიყოშვილი: „მანქანა ჩემთვის დაქალივითაა“

„ეის საქართველო“ ჯანეტ ქერდიყოშვილი ერთი წელია, რაც მანქანის საჭეს მიუჯდა და უკვე მოასწრო, თავზეხელაღებული მძღოლი გამხდარიყო. მისი მანქანა, „ჰიუნდაი ველოსტერი“, ორიგინალური შეფერილობითა და ორიგინალური ფორმებით, თბილისში უცხო ჩიტივით დადის. 21 წლის ჯანეტის ცხოვრებაში უკვე ორი დიდი მიღწევაა, როგორც თავად ფიქრობს — „მის საქართველოს“ ტიტული და მართვის მოწმობის აღება.

— ჯანეტ პირველად როდის დაჯექით საჭესთან?

— საჭესთან პირველად 12-13 წლის ასაკში დავჯექი და მივხვდი, რომ მანქანის ტარება არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა, მით უმეტეს, თუ ის ავტომატური მართვის არის. მართვის მოწმობა კი გასული წლის თებერვალში ავიღე.

— ადგილად ჩაბარეთ გამოცდა?

— ყველაზე მეტად თეორიის ჩაბარების მეშინოდა. არადა მეუბნებოდნენ, თეორია ადვილია და პრაქტიკაა რთულიო. თეორია პირველივე ცდაზე ჩავაბარე. პრაქტიკა სულ რაღაც ორჯერ გავიარე და მასწავლებელმა გამოცდაზე გამიშვა. ყველაფერი კარგად შევასრულე, ბოლოს აღმართზე ავდიოდი და ვფიქრობდი, მორჩა, მართვის მოწმობა ჯიბეში მიდევს-მეთქი. „სდექ“ ხაზთან გავჩერდი და ინსტრუქტორმა აღმოაჩინა, რომ მანქანის ცხვირი ხაზს ოდნავ გადაცდენილიყო. ამის გამო ჩამჭრა. მაშინ უკვე „მის საქართველო“ ვიყავი, მაგრამ ვის აინტერესებდა. მეორე ცდაზე, როგორც იქნა, ავიღე მართვის მოწმობა. პირველი ყველაზე დიდი სიხარული ჩემთვის „მის საქართველოს“ ტიტული იყო და მეორე — მართვის მოწმობა.

— ამ დროისთვის მანქანა უკვე გყავდათ?

— არა, მართვის მოწმობის აღების შემდეგ დავიწყე წუწუნი, მანქანა მინდა-მეთქი. გავიდა რამდენიმე თვე და მე, მამა და ჩემი ძმა მანქანების შესათვალიერებლად წავედით. ეს მანქანა მანამდე ნანახიც არ მყავდა და არც ყვითელი ფერი მქონდა აჩემებული. „მერსედესის“ შეძენას ვფიქრობდი, რადგან ძალიან ხარისხიანია. „ბეემვე“ ცელქი მანქანაა, ყველაზე უსაფრთხო „ფოლკსვაგენი“ არისო და ველარ გამეგო, რომელზე მეფიქრა. „ჰიუნდაის“ სალონში რომ შევედით და ჩემი ყვითელი „ჰიუნდაი ველოსტერი“ დავინახე, გადავირიე, ისე მომეწონა. თითქოს დამიძახა, მაგრამ მამაჩემმა წუწუნი დაიწყო, ამ ფასში უფრო მაღალი კლასის მანქანის შეძენა შეგიძლიაო. არადა ჩავჯექი სალონში და თავი ძალიან კომფორტულად ვიგრძენი. ისეთი მოხერხებული მანქანაა, რომ გოგოსთვის უფროა შექმნილი. რომ დაღამდება, იმაზე ფიქრიც არ მიწევს, ფარების ანთება არ დამავიწყდეს-მეთქი, ყველაფერს ავტომატურად ასრულებს.

მოკლედ, ეს ავტომობილი მამაჩემს ვითომ არ მოსწონდა. დავუჯერე და წამოვედით. გავიდა რამდენიმე დღე და მამამ დამირეკა, ფანჯრიდან გადმოიხედეო. გადავიხედე და ჩემი ყვითელი „ჰიუნდაი ველოსტერი“ ეზოში იდგა!... მანქანის ნომრად მინდოდა, ერთიანები მქონოდა, რადგან ვთვლი, რომ ლიდერის ციფრია, თან „მის საქართველოც“ 2011 წელს გავხდი. ჩემი მანქანის ნომერია „ჯნტ 111“.

— რამდენად საჭირო ყოფილა ქალისთვის ავტომობილი?

— მიუხედავად იმისა, რომ დეპრესიული არ ვარ, როცა ცუდ ხასიათზე ვარ, მანქანაში საკუთარ თავთან მარტო დარჩენა ძალიან მშველის. ჩავჯდები, მუსიკას ჩავრთავ და სადმე მშვიდ ადგილას, მთაწმინდაზე ან ლისის ტბაზე ავდივარ. მანქანა იგივე შენი მეგობარია. მის გარეშე სადმე რომ მივდივარ, ძალიან მენატრება. როგორც ცოცხალ არსებას, ისე ვექცევი. ჩემს მანქანას საკმაოდ ქალური ფორმები აქვს, გოგოა და მიმის ვეძახი. დიდი ხანი რომ ვერ ვნახავ, მერე ვეფერები და ვკოცნი. ავტომობილი შენი სარკე, შენი ანარეკლია. როგორც მამაკაცს აქვს კარგი საათი, მანქანაც ქალისთვის ასევე ძვირფასი აქსესუარია. ვინ არის ადამიანი, რას წარმოადგენს, სად მუშაობს, როგორი ხელფასი აქვს, მისი ავტომობილითაც შეგიძლია მიხვდე. ძალიან მნიშვნელოვანია მანქანის მოვლა. სხვათა შორის, დაკავირვებული ვარ, ბიჭებს თა-

„თბილისმა ჰოგოჩც მასწავლა, მეც ისე ვმახითავ. გენაცვალე, ისწავლეთ წესიერად ტარება და მეც აგყვებით!“.

ვიანთი ოთახები თუ აწეწილი აქვთ და გოგოებს — მოწესრიგებული, მათ მანქანებში პირიქით ხდება. გოგოს ავტომობილში რა აღარ ყრია, ისევე როგორც მის ხელჩანთაში.

— ამ მხრივ თქვენ გამონაკლისი ხართ?

— ზედმეტი აქსესუარები არ მიყვარს, მაგრამ ჩემს მანქანასაც ეტყობა, რომ ქალის არის. ჯარიმისა და სწავლის საფასურის ქვითრებიდან დაწყებული ათასგვარ გამოუსადეგარ ნივთს იპოვით.

— თქვენს მანქანას საარულზე თუ ეტყობა, რომ ქალის არის?

— ნამდვილად არ ეტყობა. წითელ შუქნიშანზე გაჩერებულს პომადა არ წამისვამს, მაგრამ სხვა რაღაც გამიკეთებია. ზაფხული იყო, მანქანით სადღაც მივიჩქაროდი, გვერდით დედა მეჯდა. თან ვმართავდი, თან ტელეფონზე ვსაუბრობდი და თან ფეხებზე გასაპრიალებელ ზეთს ვისვამდი. დედაჩემი გადაირია, შვილო, ორი თვეა საჭესთან დაჯექი და ყველაფრის ერთდროულად კეთება ნუ მოგინდაო.

— ძალიან თავდაჯერებული მძღოლი ჩანხართ.

— სწორად მიმიხვდით. საჭესთან როგორც კი დავჯექი, ვიგრძენი, რომ არაფრის მეშინოდა. ყველა ახალბედა მძღოლს ვურჩევ, საჭესთან შიში და დაძაბულობა მოიხსნას. მთავარია, უყურო არა შენს გზას, არამედ ის აკონტროლო, სხვები როგორ დადიან. თან ამბობენ, მანქანის მართვას თბილისში თუ ისწავლი, ყველგან კარგად ივლიო.

— თბილისში როგორ მოძრაობენ?

— ძალიან ცუდად დავდივართ, მაგრამ ასე თუ ისე მეც ავუწყვე ფეხი თბილისურ მოძრაობას. კაცი რომ ვიყო, დავიწყებდი გინებას, მაგრამ ხანდახან გულში მაინც ვიგინები. ერთი ზოლიდან მეორეში რომ გადავდივარ, მანიშნებელს ძალიან იშვიათად ვრთავ. თბილისმა როგორც მასწავლა, მეც ისე ვმართავ. გენაცვალე, ისწავლეთ წესიერად ტარება და მეც აგყვებით! საკუთარ თავს ქალ მძღოლს ვერ ვუნოდებ.

— რატომ?

— მანქანაში ბიჭი ვარ. ცალი ხელით მიყვარს მართვა, ბიჭივით ვზივარ და ხანდახან მავიწყდება კიდეც, რომ კაბა მაცვია. ჩემი მანქანა დაბალია და ჯიპიდან ვისაც მოუნდება, ყველა თავისუფლად დამათვალიერებს.

— მანქანით მოძრაობის დროს ბიჭებისგან კომპლიმენტებს იღებთ?

— კი. ამასთან დაკავშირებით ბევრი ისტორია მაქვს. 14 თებერვალს, სიყვარულის დღეს, მე და ჩემი დაქალი მანქანით ვიდექით. ამ დროს ბიჭებმა გვერდით ძალიან ნელა ჩაგვიარეს, შეგვათვალიერეს. ჩემს დაქალს ვუთხარი, აი, ეს არის თბილისელი ბიჭი, მოეწონები და გამოხატვა ან არ უნდათ, ან ეშინიათ, ან კიდევ „უტყდებათ“-მეთქი. ამ დროს ის ბიჭები მოგვადგნენ, ულამაზესი იების თაიგული შემოგვაწოდეს და უკან გაბრუნდნენ. შეიძლება იაფფასიანი საჩუქარი ხანდახან ძვირადღირებულსაც სჯობდეს.

ერთ დღესაც გავიღვიძე და ჩემი მანქანა ფერადი ბუშტებით მორთული დამხვდა. მივხვდი, რომ ეს ჩემმა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა გააკეთა და ძალიან გამიხარდა.

— სპორტული მანქანა გყავთ, ბიჭები არ გაწუხებენ გასაჯიბრებლად?

— ადრე მიწვევდნენ და მეც სიამოვნებით „ვეგონკავებოდი“. ახლა, როგორც გითხარით, უკვე სტაბილური მძღოლი ვარ. ძალიან მომწონს, როცა ბიჭს მექანიკური მართვის ავტომობილი ჰყავს. თუ ვინმეს ჩემი გულის დაპყრობა უნდა, მექანიკური მართვის მანქანა უნდა ჰყავდეს და ძალიან მაგრად ატარებდეს.

— ავარიულ სიტუაციაში მოხვედრილხართ?

— ბევრჯერ ბენზეზე გადავრჩი. ახალბედა მძღოლი ვიყავი, როცა ჩემ წინ მიმავალმა მანქანამ მოულოდნელად გააჩერა. წამებში მოვასწარი იმის გაფიქრება, რომ თუ გავჩერდებოდი, უკნიდან მომავალი მანქანა დამარტყამდა, ამიტომ ჩემ წინ მიმავალი მანქანისთვის უნდა გამესწრო. ასეც მოვიქეცი. მეორე მხრიდან სამარშრუტო ტაქსი მოდიოდა, მაგრამ მოვახერხე და იქაც გავძვერი. მოკლედ, ეს მანევრი რომ არ გამეკეთებინა, რამდენიმე მანქანა დაიმტვრეოდა და გარკვეულ დაზიანებებს მეც მივიღებდი. იმ წუთში არ დავიბენი, მაგრამ როცა გავაანალიზე, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ერთიანად ავკანკალდი. მანქანა გადავაყენე და სანამ არ დავწყნარდი, გზა არ განვაგრძე.

— რა სახის ჯარიმების გადახდა გიწევთ ყველაზე ხშირად?

— ვფიქრობ, რომ კანონმორჩილი მძღოლი ვარ, მაგრამ ხანდახან მოძრაობის წესს ჩემდაუნებურად ვარღვევ და მერე ჯარიმების გადახდაც მიწევს. პატრული ხანდახან უბრალოდ გამოსალაპარაკებლად, სულ ტყუილადაც მაჭერებს. როცა ვეკითხები, რატომ მაჭერებთ-მეთქი, რას აღარ იგონებენ.

„ჰიჰველი ყველაზე დიდი სიხარული ჩემთვის „მის საქართველოს“ ტიტული იყო და მეოხე — მართვის მოწმობა“.

✓ ხოჯიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black

ია სუხიტაშვილი: „კიევში სტრიპტიზკლუბიდან გამომაქციეს“

ვასახიობმა ია სუხიტაშვილმა მოგზაურობა მაშინ დაიწყო, როცა ჯერ კიდევ საბავშვო თეატრალურ სტუდია „ბერიკებში“ დადიოდა. ბევრ ქვეყანაშია ნამყოფი, უამრავი საინტერესო რამ დაათვალიერა და შეიგრძნო, მაგრამ მონაკოში ნანახსა და განცდილს ვერაფერს ადარებს. იქ საოცარი გარემო და საოცარი ხალხი ნახა. ასევე მკვეთრი შთაბეჭდილებით დაამახსოვრდა სტამბული, სადაც ქმარმა, მიშა მესხმა, სიურპრიზი მოუწყო და „იუ თუს“ კონცერტზე წაიყვანა. საზღვარგარეთ გასტროლების დროს ია ბევრ უცნაურ სიტუაციაშიც მოხვედრილა. ამ ყველაფერზე მსახიობი ენაწყლიანად გვიამბობს.

— ია, საქართველოს საზღვრებგარეთ პირველად როდის და სად წახვედით?

— მოგზაურობა ადრეულ ასაკში დავიწყე. თეატრალურ სტუდია „ბერიკებში“ დავდიოდი და გასტროლებზე წავედით. პირველად მოსკოვში გახლდით, მეორედ — ციმბირში, რომელიც იმდენად ღამაზია, რომ ვისაც საშუალება აქვს, აუცილებლად უნდა ნახოს. მონაკოშიც ვიყავით, რომელიც ჩემთვის ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

— გაგვიზიარეთ მაშინდელი შთაბეჭდილებები.

— მონაკო სასწაული რამაა! არსებობენ ადამიანები, რომლებიც ნიცაში მოხვედრაზე ოცნებობენ. ჩემი აზრით კი, ნიცა მონაკოსთან შედარებით სოფელია. პირველად ჩვენს იქ ჩასვლას დღესასწაული „რედ ენდ უაით“ („წითელი და თეთრი“) დაემთხვა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ტურისტი იყავი თუ ადგილობრივი, წითელი ან თეთრი უნდა გცმოდა. გაზონებიდან თეთრი და წითელი ყვავილები მოვკრიფეთ, გულზე მივიბნიეთ და დღესასწაულში ჩავერთეთ. როგორც ფესტივალის მონაწილეები, რესტორანში დაგვპატიჟეს, სადაც პრინცი ალბერი და პრინცესა კაროლინა პირველად ვნახე. ქეთევან ბაგრატიონი

„ღვიძა და ნიკეს ქანდაკებამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯოჯონდას დანახვაზე ხომ გავშეშდი!.. ეიფელის კოშკი კი უფრო სხვანაირი მეგონა და სულ სხვა აღმოჩნდა. ალბათ ღამით უნდა მენახა“.

■ ია სუხიტაშვილი და ბექა ელბაქიძე ვენეციაში

მეუღლესთან, ესპანელ პრინცთან ერთად იყო. პრინცი გიორგი და მისი ქალიშვილებიც იქ გავიცანით. მახსოვს, ქეთევან ბაგრატიონმა მთხოვა, ჩემს ქალიშვილს უნდა, რომ ჩაგეხუტოთ, თუ შეიძლებაო. ისეთი მოწიწებით მითხრა, ამის გახსენებაზე თვალზე ყოველთვის ცრემლი მადგება. ეს ის პერიოდი იყო, როცა პრინცესა დაიანა მონაკოში იმყოფებოდა. შუმახერიც დავინახეთ, ოღონდ შორიდან.

საღამო ტომ ჯონსმა გახსნა და ისე დავიბენი, აზრზე მოსვლა გამიჭირდა. საოცარი ხალხის გარემოცვაში მოვხვდი. ყველაზე საოცრება კი, იცით, რა იყო? რესტორანი მართლაც უზარმაზარ სივრცეს მოიცავდა. მეგობარმა მითხრა, მაღლა აიხედეო. ავიხედე და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დავინახე! იმ რესტორნის სახურავი ასე უცებ სად წავიდა, ვერ მივხვდი. მონაკოში მართლაც საოცარი დრო მაქვს ნატარები.

— მაშინ მხოლოდ მონაკო მოინახულეთ თუ სხვა ქვეყნებშიც იყავით?

— დიდი ტურნე გვქონდა. მონაკოდან პარიზში წავედით. ამ მოგზაურობას ჩემი დაბადების დღე დაემთხვა. რა თქმა უნდა, აღვნიშნეთ, შოკოლადი „მოცარტი“ მაჩუქეს და დამლოცეს, ამ ადამიანის ბედს არ გისურვებთო, მოცარტის ნიჭი კი დამანათლეს. ლუვრმა და ნიკეს ქანდაკებამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯოკონდას დანახვაზე ხომ გავშეშდი! ეს ისეთი საოცრებაა, ადამიანი ისე არ უნდა მოკვდე, რომ იქ ერთხელ მაინც არ მოხვდე. ერთ დღეში იმდენი რამის ნახვა მოვინდომეთ, რომ გამოვედით, მახსოვს, თავი საშინლად მტკიოდა. ქვისგან გაკეთებული სავარძელი ვნახე, რომელიც ნამდვილი მეგონა. აქეთ-იქით ვიყურებოდი, არავინ დამინახოს-მეთქი და ხელით ვეხებოდი. ქვისგან ასეთი „ცოცხალი“ ნიმუშის შექმნა მართლაც ხელოვნების ზეიმია! ვფიქრობ, ჯერ პარიზში უნდა ჩავსულიყავით და მონაკო მერე უნდა გვენახა.

„მონაკოში ჯაქუსების ტყეში ვიყავით, სადაც მუხისხელა ჯაქუსები იზრდებოდა. სპეციალურ აკვარიუმშიც აღმოვჩნდით, სადაც ფეხშიშველი უნდა შეხვიდე. შენ გარშემო თევზები არიან და გგონია, რომ მათთან ერთად ცურავ.

მონაკოში კაქტუსების ტყეშიც კი ვიყავით, სადაც მუხისხელა კაქტუსები იზრდებოდა. სპეციალურ აკვარიუმშიც აღმოვჩნდით, სადაც ფეხშიშველი უნდა შეხვიდე. შენ გარშემო თევზები არიან და გგონია, რომ მათთან ერთად ცურავ.

ახლა ძალიან უცნაურ რამეს გეტყვით: არ ვიცი, რის ხარჯზე, მაგრამ პარიზში ბევრად ნაკლები ემოცია დამეუფლა. ეიფელის კოშკი უფრო სხვანაირი მეგონა და სულ სხვა აღმოჩნდა. ალბათ ღამით უნდა მენახა.

— რუსთაველის თეატრთან ერთად გასტროლებს როგორ ახსენებთ?

— კიევი ძალიან ტკბილად მახსენდება. მაშინ 20 წლის ვიყავი. 10 დღიან გასტროლზე 3 სპექტაკლი წავიღეთ. პირველად „ჰამლეტი“ ვითამაშეთ და ამ სპექტაკლის ბრიგადას სხვა საქმე რომ აღარ გვქონდა, გართობაზე დავიწყეთ ფიქრი. დუტა სხირტლაძეს და დათო დარჩიას გული შევუჭამე, დისკოთეკაზე წამიყვანეთ-მეთქი. სხვა რა გზა ჰქონდათ? მოძებნეს რაღაც ბარი და მთელი „ჰამლეტის“ ბრიგადა წავედით. ამდენ ბიჭში ერთი გოგო ვიყავი. ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი თავს, ვფიქრობდი, ვიცეკვებ, თავზე დავიმხობ ყველაფერს-მეთქი. რაღაც უცნაური გარემო კი იყო, მაგრამ არ შევიმჩნიე.

უცებ შეწყდა მუსიკა და მექსიკური ქუდით ხელში გოგო გამოვიდა. გათამაშება იყო და მოვიხიბლე. ქუდიდან ბილეთი ამოვიღე და რაღაც ციფრები ეწერა. ვიღაცამ შამპანური მოიგო, ვიღაცამ — სხვა რაღაც. ჯერ გახდილი ქალი გამოვიდა, შემდეგ შუქი ჩაქრა და ფანტასტიკური გარეგნობის, ტანგაჩაცმული ბიჭი გამოვიდა, რომელსაც ჩემზე ანიშნეს. მოვიდა ეს ტანგიანი ბიჭი და სტრიპტიზი მიცეკვა. ჩვენი ბიჭები უკვე ნასვამები იყვნენ და იმ სიტყვებს არ გავიმეორებ, რა სიტყვებითაც ის შიშველი მამაკაცი ლანძღეს, რომ ჩემამდე არ მოსულიყო. ასე ამოვყავი თავი სტრიპტიზკლუბში. ჩემი ბრალი ნამდვილად არ ყოფილა, ბიჭებს ვთხოვე, წამიყვანეთ-მეთქი და გაუგებარ ადგილას აღმოვჩნდი. ბოლოს მომკიდეს ხელი და გამომაქციეს, სტრიპტიზს ბოლომდე არ მაყურებინეს.

— ოდესმე უცაბედ, დაუგეგმავ მოგზაურობაში თუ წასულხართ?

— როგორ არა! მიშამ (მიხეილ მესხი, იას ქმარი. ავტ.შენ.) ერთ ზაფხულს ფანტასტიკური სიურპრიზი გამიკეთა. დამირეკა და მითხრა, რომ დაბრუნდები, ჩაალაგე ჩემოდანი, მივდივართო. სად, არ მითხრა. ჩავბარგდით და ჯერ ბათუმში წამიყვანა, სადაც ჩვენი მეგობრები დაგვხვდნენ. მეორე დღეს კი სტამბულში გადავფრინდით. ჯგუფ „იუ თუზე“ ვგიჟდები და აღმოჩნდა, რომ მიშას მათ კონცერტზე ჩამიყვანა. არაჩვეულებრივი დრო ვატარეთ, რომელიც „იუ თუს“ კონცერტით დაგვირგვინდა. ცხოვრებაში ვერ წამოვიდგენდი, თუ ამ ჯგუფის ცოცხალ კონცერტს დავესწრებოდი. ეს ჩემთვის ყველაზე შთამბეჭდავი გასეირნება იყო.

— მოგზაურობის დროს თქვენთვის ყველაზე კომფორტული თანამგზავრი ვინ არის?

— ნურავის ეწყინება და ასეთი მხოლოდ ბექა ელბაქიძეა. მასთან ერთად ვენეციის კინოფესტივალზე ვიყავი, სადაც ფილმი „გაიღიმე“ გვქონდა წაღებული. ბექას იტალიელის სისხლი ურევია და იქაურობას გადასარევად იცნობს. კუნძულ ლიდოზე მოვხვდით. ბექა არის ადამიანი, რომლთან ერთადაც სადმე წასვლა ფანტასტიკურია! უამრავი რამ იცის, ფენომენია. ასეთი უნდა დაიბადოს ადამიანი. თუკი რაიმე ღირსშესანიშნაობის →44

Cyan Magenta Yellow Black

დათვალიერება გინდა, მასთან ერთად უნდა წახვიდე.

— რა ხდებოდა ვენეციის კინოფესტივალზე?

— ფესტივალის განრიგი ძალიან უცნაური იყო. სამჯერადი ჩვენებაა. პირველ ჩვენებას დიდი რეჟისორები, პროდიუსერები და ძალიან მნიშვნელოვანი ხალხი ესწრება. მეორე ჩვენება პირველი ჩვენების წარმატებას განსაზღვრავს. ფილმის რეჟისორი, რუსუდან ჭყონია, ძალიან ნერვიულობდა. მითხრა, ძალიან კარგი ფრანგული ფილმი ვნახე დარბაზში, სადაც 3000 კაცი ეტევა და ფილმს სულ 50 კაცი ესწრებოდაო. ხვალ ჩვენი ფილმის ჩვენებაზეც ეს რომ მოხდეს, ესე იგი ჩვენი ფილმი... მე და ბექა ცენტრალურ ქუჩაზე გავედით, სადაც წითელი ხალიჩა იყო

ერევანში

„ქეთევან ბაგრატიონმა მთხოვა, ჩემს ქალიშვილს უნდა, ჰომ ჩაგეხეტოთ, თუ შეიძლებაო. ისეთი მონინებით მითხრა, ამის გახსენებაზე თვალზე ყოველთვის ცრემლი მადგება".

დაფენილი. ხალხი გვაჩერებდა, „იუ არ გვანცა?" (ინგლ. შენ გვანცა ხარ?) — მეკითხებოდნენ. ფილმში გვანცა მქვია. ჩემთან ერთად ბევრი ფოტოც გადაიღეს. ფილმის ჩვენება ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო, დარბაზი გადაივსო, რამაც უსაზღვროდ გაგვახარა.

საქართველოში სურათი მოეწონებათ თუ არა, მაინც გილოცავენ. ეს აფერისტობა არ მიყვარს, რადგან მსახიობმა ყველაზე კარგად იცის, როდის ითამაშა კარგად და როდის — ცუდად. ვენეციის კინოფესტივალზე კი, რაც მოეწონათ, კონკრეტულად გეუბნებოდნენ. იტალიელებზე არანაკლებად ემოციურები ვართ და გული მწყდება, ქართულ კინოში ემოციას რომ არავინ იყენებს და ერთფეროვანი გახდა. კინოფესტივალებზე კი ისეთი ფილმები იმარჯვებენ, სადაც შენი ქვეყნის ტემპერამენტი გაქვს გადმოცემული.

— ვენეციის არხებში ისეირნეთ?

— იმდენი ფული არ გვქონდა, რომ ტრანსპორტით გვესეირნა, მაგრამ ცენტრალურ მოედანზე გავედით. წყლის ტაქსებით ვენეცია შორიდან დავათვალიერეთ. საბოლოო ჯამში, საინტერესო მოგზაურობა გამოგვივიდა. საქართველოში არც ერთ ნაკრძალში ვყოფილვარ, ბექამ კი იქაურ ნაკრძალში წამიყვანა. ეს ერთგვარი ირონიაა, რადგან ასეთი რამ ორჯერ დამემართა. იმას, რაც ჩვენს ქვეყანაში გვაქვს, სხვაგან ვნახულობ. ერთხელ თეატრი გასტროლზე ბრატისლავაში ვიყავით და იქაურმა ქართველებმა იქაურ რაჭაში დაგვპატიჟეს. „რაჭა ჩემი სიყვარული" იმ დრომდე ლეგენდა მეგონა. აქ არ ვარ რაჭაში ნამყოფი და იქ ვიყავი. მცხვენია ამის თქმა, მაგრამ რა ვქნა, ასე მოხდა.

— საზღვარგარეთ შოპინგისთვის იცლით?

— ასე თუ ისე, ვიცლი. შოპინგი ჩემთვის ერთგვარი ანტიდეპრესანტია. თუ ცუდ ხასიათზე ვარ, საყიდლებზე მივდივარ. ეს საქმე თბილისშიც გადასარევად გამომდის. თბილისში სეილი რა არის, არ იციან. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ნიცაში ფასდაკლებაზე ერთ მაღაზიაში 75 დოლარად ყველაფერი ვიყიდე. ხურდაც კი დამრჩა, იმით მე და ნინო თარხან-მოურავმა შემწვარი წიწილები ვიყიდეთ და სასტუმროში ვივახშმეთ. საზღვარგარეთ ძირითადად სუვენირებს ვყიდულობ, რომელიც ძალიან ბევრი დამიგროვდა. ამასთან დაკავშირებით მონაკოში კურიოზიც შემემთხვა.

მოგეხსენებათ, იქ როგორი სიძვირეცაა. 40 დოლარი მქონდა დარჩენილი და სუვენირების მაღაზიაში შევედით. ზურგჩანთა გავკარი ნივთს და გადმოვაგდე. მაშინვე ჩოჩქოლი ატყდა. მომიხვეტეს, პარკში ჩამიყარეს და იყიდეო, მითხრეს. ფასი ვიკითხე და 45 ევრო ღირდა. კიდევ კარგი, მეგობრებთან ერთად ვიყავი, ავკრიფეთ ფული და გადავიხადეთ. ის დღეები მეგობრები მაჭმევდნენ და მივლიდნენ. სამაგიეროდ, ის პატარა სუვენირი, რომელსაც სახლის ფორმა ჰქონდა, შემრჩა. სახლის საკვამურები ჰქონდა მომტვრეული და პატარა რესტავრაცია დასჭირდა. დღეს ის ჩემს კოლექციაში ყველაზე საყვარელი სუვენირია.

— სცენაზე თუ შეგმთხვევია რაიმე კურიოზი?

— ნიცაში „ჯარისკაცი და პრეზიდენტი" გვქონდა წაღებული. სპექტაკლის დასაწყისში ანგელოზები ზევით ვიყავით გამოკიდებული და ნელ-ნელა უნდა დავშვებულიყავით. წინა დღეს ყველამ დავლიეთ და ვერ გეტყვით, როგორი ნაბახუსევები ვიყავით. ორ შვეულზე — მე და ნანუკა ხუსკივაძე, ორზე კი ნინო თარხან-მოურავი და ნინო არსენიშვილი ეკიდნენ. ჩვენი შვეული დაეშვა და მე და ნანუკა ჩამოვედით. იმათი გაიჭედა. მოძრაობებს ნელა ვასრულებდით, რომ ამასობაში ისინიც დაშვებულიყვნენ. გამეცინა, მაგრამ თან ძალიან შემეცოდნენ. ბოლოს ნანუკას რეპლიკა მომესმა. შეხედა ნინო თარხან-მოურავს და უთხრა, ვაიმე, როგორ სასისკივით კიდიხარ, შე საცოდაოო. საოცრად მოწყენილები ეკიდნენ მაღლა და, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რა კომიკური სანახაობა იყო! ბოლოს მუშების ჩარევა გახდა საჭირო და, როგორც იქნა, ჩამოიყვანეს.

— რომელი ქვეყნის სამზარეულო მოგეწონათ ყველაზე მეტად?

— იტალიურმა სამზარეულომ — პიცამ და სპაგეტიმ მომხიბლა. იაპონური სამზარეულოც კარგია. მეგონა, კივის ჩირს ვჭამდი და ლოკოკინას ჩირი აღმოჩნდა. ბაყაყის

„თბილისში, სეილი ხა ახის, ახ იციან. გინდ დაიჯერეთ, გინდ ახა, მაგრამ ნიცაში ფასდაკლებაზე ერთ მაღაზიაში 75 დოლარად ყველაფერი ვიყიდე. ხურდაც კი დამჩრა, ამით მე და ნინო თარხან-მოურავმა შემწვარი ნინილები ვიყიდეთ და სასტუმროში ვივახშმეთ".

გასინჯვა ძალიან მინდა, ამბობენ, ქათმის ხორცის გემო აქვსო. არ მაქვს პრობლემა, გველის ხორცსაც სიამოვნებით შევჭამდი.

— დაბოლოს, ხანგრძლივი მოგზაურობისას თქვენი საყვარელი ტრანსპორტი რომელია?

— ჩემთვის ერთადერთი საყვარელი ტრანსპორტი თვითმფრინავია, ტურბულენტური ზონებიც კი მიყვარს. ვიცი, რომ ჯერ არ მოვკვდები და ამის შიში არ მაქვს. არადა ნახევარი თეატრი ფრენის დროს საძილე აბებს ან ალკოჰოლს იღებს.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

სენტ ჯონსი — ადგილი, სადაც არც ცხელა, არც ცივა

სენტ ჯონსი ორ დიდ კუნძულზე განლაგებული ქვეყნის, ანტიგუა და ბარბუდას დედაქალაქია. ის ყოველთვის განებივრებულია ტურისტებით. მათი მიზიდვის ძირითად წყაროს კი პლაჟების სიმრავლე და ნაირსახეობა წარმოადგენს. კლდისაგან შექმნილ ბუნებრივ ხიდს, რომელსაც ადგილობრივები ეშმაკის ხელს უწოდებენ, მხოლოდ დედაქალაქში ნახავთ. სენტ ჯონსი ქვეყნის კომერციული ცენტრიცაა.

მცირე ხამ ისტორიიდან

ანტიგუა და ბარბუდას ძველი მკვიდრი მოსახლეობა ინდიელი არავაკები იყვნენ. მე-13 საუკუნეში ამ კუნძულებზე კარიბების მეომარი ხალხი გადავიდა. 1493 წელს ქვეყანა ქრიტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა თავისი მეორე მოგზაურობის დროს.

1632 წლიდან ანტიგუა და ბარბუდა დიდი ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ მოექცა. გავრცელებული იყო მონათმფლობელობა, რომელიც ქვეყანაში 1834 წელს აიკრძალა. 1958-1962 წლებში იგი ვესტ ინდოეთის ფედერაციაში შედიოდა, ხოლო 1981 წლის 1 ნოემბრიდან ოფიციალუ-

Cyan Magenta Yellow Black

რად მოიპოვა დამოუკიდებლობა ბრიტანეთისაგან. დღეს ანტიგუა და ბარბუდა გაერო-სა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი ქვეყანა გახლავთ.

ჯიმატი

დედაქალაქისათვის განსაკუთრებით თბილი და ტროპიკული კლიმატია დამახასიათებელი. კუნძულოვანი ქვეყანა კარიბის ზღვაშია ჩაფლული, აქედან გამომდინარე, მასზე ზღვის ჰავა ვრცელდება. საკურორტო სეზონი მთელი წლის განმავლობაშია.

სენტ ჯონსში არასოდეს ცივა და არასოდეს ცხელა. ზამთარში (დეკემბერი-მარტი) მინიმალური ტემპერატურა 27 გრადუსია, ხოლო ზაფხულში ჰაერის ტემპერატურა 32 გრადუსზე მაღლა თითქმის არ ადის. ტენიანია მაისი-ნოემბერი, შემოდგომაზე კი ხშირია ქარიშხალი. საუკეთესო ამინდები ნოემბრის დასასრულიდან მაისის დასაწყისამდეა.

ფული

კუნძულოვანი ქვეყნის ეროვნულ ვალუტას აღმოსავლეთ კარიბის დოლარი წარმოადგენს. 1 ამერიკული დოლარი 2,65 აღმოსავლური კარიბის დოლარის ეკვივალენტია. ეროვნული ვალუტის პარალელურად ჩვეულებრივ მიმოქცევაშია ამერიკული დოლარი. უფრო მეტიც, მაღალი დონის სასტუმროებსა და რესტორნებში გადახდა სწორედ მისი საშუალებით ხდება. ბევრგან ფასები მითითებულია როგორც აშშ დოლარში, ასევე აღმოსავლეთ კარიბულ დოლარებში.

საკრედიტო ბარათების გამოყენება დედაქალაქში ჩვეულებრივ შეგიძლიათ. რაც შეეხება ხელის ქირას, სასტუმროების უმეტესობასა და ზოგიერთ რესტორანში დანახარჯს 10% ავტომატურად ემატება. აგრეთვე მომსახურების ფასს ემატება სახელმწიფო გადასახადი (7-8,5%). ამიტომ რეკომენდებულია, წინასწარ იკითხოთ, რა შედის ფასში და რა დაემატება შემდგომ.

ენა

ქვეყნის ოფიციალური ენა ინგლისურია, რომელიც თავისი აქცენტით მკვეთრად განსხვავდება ამერიკული, ბრიტანული ან თუნდაც ნებისმიერი სხვა ქვეყნის ინგლისურისგან.

ყველგან გამოიყენება ადგილობრივი დიალექტი პატუა, რომელიც ინგლისურის, იტალიურის, პორტუგალიურის, ფრანგულისა და ადგილობრივი ენების ნარევია. ადგილობრივების დიდი ნაწილი ესპანურ ენას საფუძვლიანად ფლობს. ასე რომ, ტურისტულ ადგილებში თავის გატანა არ უნდა გაგიჭირდეთ.

ხელიგია

კუნძულოვან ქვეყანაში სახელმწიფო რელიგია გამოცხადებული არ არის. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 50%, ანგლიკანური ეკლესიის მიმდევარია, ასევე გვხვდებიან კათოლიკეები, პროტესტანტები, ბაპტისტები და სხვა კონფესიების წარმომადგენლები.

გადაადგილება

სენტ ჯონსში მოხვედრა თვითმფრინავით ან გემით შეიძლება. შეძლებული ტურისტები უპირატესობას თვითმფრინავს ანიჭებენ, მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში გემით ჩასვლა უდიდესი სიამოვნების ტოლფასია.

ქვეყნის საერთაშორისო აეროპორტი სენტ ჯონსიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს. ცენტრამდე მისვლას მატარებლითაც შეძლებთ, რომლის ფასი 7 ამერიკული დოლარია.

რაც შეეხება დედაქალაქის ტერიტორიაზე გადაადგილებას, ეს დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული, რადგან სატრანსპორტო სისტემა კარგად განვითარებული არ არის. ყველაზე პოპულარულ და სწრაფ ტრანსპორტს ტაქსი წარმოადგენს. გზები საშინელ მდგომარეობაშია, ამიტომ დიდი სიფრთხილე გმართებთ მანქანის დაქირავების შემთხვევაში.

გაითვალისწინეთ, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოძრაობა მარცხენა მხარესაა. მანქანის ტარებისათვის აუცილებელია გქონდეთ ნაციონალური ან საერთაშორისო მართვის მოწმობა, აგრეთვე ადგილობრივი ნებართვა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ იმ სააგენტოში, რომელშიც მანქანას იქირავებთ. ასეთი მოწმობები 6 თვის ვადით გაიცემა და 12 აღმოსავლეთ კარიბის დოლარი ღირს. მანქანის დაქირავებას დღეში 30-40 დოლარად შეძლებთ.

აგრეთვე შეგიძლიათ ისარგებლოთ ტაქსის მომსახურებით, რომლის ღირებულებაც ფიქსირებულია.

პორტები ყოველ მეორე ქალაქშია და ყოველთვის გაცილებით გადატვირთულია, ვიდრე აეროპორტი.

დედაქალაქიდან სხვა ქალაქში გადასაადგილებლად საუკეთესო გამოსავალი ავტობუსია. დანგრეულ გზებზე მძღოლები ნელა და დიდი სიფრთხილით დადიან.

სამზახეული

ანტიგუასა და ბარბუდას ტრადიციული კერძები ძირითადად თევზეულითა და ბოსტნეულით მზადდება. საშუალო დონის რესტორნებში 30-50 დოლარად კარგად დანაყრდებით. დედაქალაქში მრავლადაა სწრაფი კვების ობიექტები, მათგან აღსანიშნავია იტალიური პიცის რესტორნები. რაც შეეხება ვეგეტარიანელებს, უკმაყოფილონი ნამდვილად არ დარჩებიან, რადგან ნებისმიერ რესტორანში მათთვის განკუთვნილი კერძები უხვადაა.

გურმანებში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ნაციონალური კერძი ფონჯი — კარტოფილის პიურე ბოსტნეულით. ტრადიციული კერძებიდან აღნიშვნის ღირსია ბრინჯის, კიბორჩხალისა და ბოსტნეულის ნაზავი დუკანა.მისი დაგემოვნება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

სასმელებიდან ეგზოტიკური ხილის წვენები უკონკურენტოა. ადგილობრივები ჩაისა და ყავის დიდი მოყვარულები ნამდვილად არ არიან. ალკოჰოლი ანტიგუასა და ბარბუდაში ძალიან პოპულარულია. უპირატესობა ლუდს ენიჭება, რომელთაგანაც გამორჩეულია „ვადალდი“. მისი ფასი 10 დოლარიდან იწყება.

ღირსშესანიშნაობები

დედაქალაქში ტურისტებისათვის თანამედროვე და კომფორტული სასტუმროებია აშენებული. აქ არის ყველაფერი იმისათვის, რომ ტურისტმა დაუვიწყარი დასვენების დღეები გაატაროს. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი აფრიკული წარმოშობისაა.

ბუნების მხრივ სენტ ჯონსი ულამაზესი ქალაქია არამარტო ქვეყანაში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ის მდიდარია მრავალფეროვანი წყალქვეშა სამყაროთი.

დედაქალაქში ჩასულებმა შეგიძლიათ მოინახულოთ 35 მილის მოშორებით მდებარე კუნძული რედონა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე პატარა კუნძულ-სამეფოს წარმოადგენს.

სენტ ჯონსი საუცხოო კურორტია ქვიშის პლაჟებით, სადაც გარუჯვის გარდა ვინდსერფინგითაც შეგიძლიათ დაკავდეთ. დედაქალაქში კარგ პლაჟებთან ერთად გართობის ფართო არჩევანიცაა. სენტ ჯონსში ღამის ცხოვრება დუღს.

კულტურული ღირსშესანიშნაობებიდან ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა ანტიგუა და ბარბუდას ეროვნული მუზეუმი. თუ გინდათ, ქვეყნის ისტორიულ წარსულს გაეცნოთ, ამ მუზეუმს ეწვიეთ.

ჯეიმსის ციხესიმაგრე, რომელსაც მთლიანად უკავია ერთი პატარა კუნძული, ერთ-ერთია მე-18 საუკუნეში ბრიტანელების მიერ აგებული ციხესიმაგრეებიდან. ის დედაქალაქის ნავსადგურის დასაცავად ბრიტანელებმა 1709 წელს ააგეს.

მშვიდი და ოჯახური დასვენებისათვის ტურისტები თავისუფლების მოედანზე მდებარე ბოტანიკურ ბაღს სტუმრობენ. კუნძულოვან ქვეყანაში ბუნების ყველაზე დიდ საოცრებას დედაქალაქის მახლობლად მდებარე ბუნებრივი ხიდი, ეშმაკის ხელი წარმოადგენს.

უსაფრთხოების ნესები

კრიმინალური თვალსაზრისით, სენტ ჯონსი უსაფრთხოა. ერთადერთ საშიშროებას ჯიბის ქურდები ქმნიან. დიდი სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ დანგრეულ გზებზე მოძრაობისას. დღეში, სულ მცირე, 5 საგზაო შემთხვევა ხდება და აქედან 3 მსხვერპლით მთავრდება. ყურადღება მიაქციეთ ჩაცმულობას, ყველა რესტორანში არაა ნებადართული შორტებით შესვლა, ამიტომ გირჩევთ, თან წაიღოთ შესაფერისი სამოსი, რომელიც აგრეთვე სხვადასხვა საღამოებზეც გამოგადგებათ.

თან იქონიეთ დამწვრობის საწინააღმდეგო კრემები და ლოსიონები, მზის სათვალე. აუცილებლად დაიცავით ჰიგიენის ნორმები, არაა რეკომენდებული ონკანის წყლის დალევა. ნებადართულია ნაციონალური და უცხოური ვალუტის განუსაზღვრელი რაოდენობით შეტანა. რა თქმა უნდა, დიდი თანხები დეკლარირებას მოითხოვს.

აკრძალულია იმ ნივთების გამოტანა, რომლებიც ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს. ადგილობრივები დიდი სტუმართმოყვარეობით გამოირჩევიან. ეცადეთ, მუდამ ღიმილით შეხვდეთ მათ. თუ რამდენიმე ოჯახს სურს თქვენი სახლში მიპატიჟება, შესაძლებელია კენჭიც კი ყარონ. უარს ნუ ეტყვით, თორემ ძალიან აწყენინებთ.

უბის ნიგნაკი

ქვეყანა — ანტიგუა და ბარბუდა;
დედაქალაქი — სენტ ჯონსი;
მოსახლეობა — 31.000;
ოფიციალური ენა — ინგლისური;
ოფიციალური ვალუტა — აღმოსავლეთ კარიბის დოლარი.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

„ტრაგედია რომ არ განმეორებულიყო, საყვარელ კაცსაც დავშორდი და მეგობარსაც“

წარსულის შიშით დანგრეული აწმეო

ბარსულში გადატანილი მძიმე შემთხვევები უკვალოდ არ იკარგება, ჩვენს სულში ილექება და ადრე თუ გვიან რაღაც ფორმით იჩენს თავს. ჩვენს რესპონდენტს, ქალბატონ ელენეს, ადრეულ ახალგაზრდობაში განსაცდელი შეხვდა. მისთვის ორმა ძვირფასმა მამაკაცმა — შეყვარებულმა და მეგობარმა — იჩხუბეს. პირველმა მეორეს სერიოზული ტრავმა მიაყენა, რასაც წლების შემდეგ მძიმე შედეგი მოჰყვა. მომხდარში ელენე საკუთარ თავს ადანაშაულებდა... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ქალის ცხოვრებაში სხვა გზა გაიხსნა, მაგრამ ცნობიერებაში დალექილმა შიშმა, სიყვარულზეც უარი ათქმევინა და მეგობრობაზეც.

ელენე:

— ლევანთან ბავშვობიდან ვმეგობრობდი. დედამისი, ქალბატონი ანიკო, ჩვენი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი გახლდათ. უმცროს კლასებში გვასწავლიდა და ჩვენი კლასის დამრიგებელიც იყო. კლასში სანიმუშო მოსწავლედ ვითვლებოდი და მასწავლებლებს გამორჩეულად ვუყვარდი. ალბათ ამიტომ ანიკო მასწავლებელმა მეორე ლევანის გვერდით მიმიჩინა ადგილი. მას შემდეგ დავმეგობრდით და მეათე კლასის ბოლომდე ერთ მერხზე შევრჩით. მაღალ კლასებში მოსწავლეები უკვე თავიანთი სურვილისამებრ არჩევდნენ მერხის მეწყვილეს, მე გული ყოველთვის ისევ მისკენ მიწევდა და ბოლოს მაინც ლევანთან ვრჩებოდი.

— ეს თქვენი მხრიდან ჩვეცა იყო თუ თავად ლევანი იმსახურებდა ასეთ დამოკიდებულებას?

— ლევანი მთელ სკოლაში გამორჩეული, ღირსეული, ძლიერი ხასიათის ბიჭი გახლდათ. კარგად სწავლობდა, გონიერი და ნაკითხი იყო, თანაკლასელებში პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. ბიჭებში აშკარად ლიდერობდა. მის გვერდით თავს დაცულად ვგრძნობდი. არადა თითქოს დაცვა არც მჭირდებოდა, რადგან ვერავინ შემითამამდებოდა, ვერც ბიჭი და ვერც გოგო. ყველა კრძალვით მექცეოდა. სკოლაში ზედმეტი რომ ვინმეს ეთქვა (ასეთი შემთხვევა არც ყოფილა), არამარტო ლევანი, მთელი კლასის ბიჭები ფეხზე დადგებოდნენ...

ლევანთან განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა. ერთმანეთს უსიტყვოდ, ერთი შეხედვით ვუგებდით. მასწავლებელი დაფასთან რომ გამიძახებდა, ლევანი მერხიდან მელაპარაკებოდა თვალებით. ერთმანეთში არამარტო ემოციებს, აზრებსაც ვკითხულობდით. კლასში ბევრთან ვმეგობრობდი, მაგრამ მსგავსი ენერგეტიკული კავშირი არავისთან მქონია.

— ასეთი ურთიერთობა გოგოს და ბიჭს შორის ადვილი შესაძლებელია, რომ სიყვარულში გადაიზარდოს, თქვენს შემთხვევაში ასე არ ყოფილა?

— ლევანი ჩემთვის ინტელექტუალური მეგობარი იყო და ასეთი დარჩა ბოლომდე. ეს არ იყო ჩვეულებრივი ურთიერთობა, ჩემივე ბუნებიდან გამომდინარე, რაღაც სხვა იყო. მე საერთოდ თითქოს ცაში დავფრინავდი, ყოფითი საკითხები არ მაინტერესებდა, ჭორაობისგან შორს ვიდექი, ამხანაგების პირად ამბებს ყველაზე ბოლოს მე ვიგებდი, არც ჩემი ამბების მოყოლა მიყვარდა. ჩემი სამყარო მქონდა და ამ სამყაროში ლევანს შეუცვლელი ადგილი ეკავა. სხვადასხვა საკითხზე ვმსჯელობდით, ვსაუბრობდით, ზოგჯერ ერთმანეთის მხოლოდ ვდუმდით და სათქმელს ასე ვამბობდით. ამაში იყო ჩვენი ურთიერთობის მთელი იდუმალება. კლასელ გოგონებს ეგონათ, რომ ლევანს ვუყვარდი, პირადად მე კი იმ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, რაც მისგან მქონდა, სახელს ვერ დავარქმევდი. ალბათ ასე იყო თავადაც. საკმაოდ სერიოზული, წინდახედული, აზრიანი და, შეიძლება ითქვას, ასაკთან შედარებით დაბრძენებული იყო იმისთვის, რომ ამ გრძნობისთვის რაიმე განმარტება მიეცა ან სახელი შეერჩია... დრო აჩვენებდა ყველაფერს.

— და დრომ რა აჩვენა?

— 15 წლის ასაკში ჩემი თანაკლასელის, ირმასგან გავიცანი გური, სიმპათიური, თავმომწონე, ერთი შეხედვით, ვაჟკაცური, მაგრამ ბუნებით მგრძნობიარე და სუსტი (სამწუხაროდ, ამას გვიან მივხვდი) ბიჭი. იმავე უბანში, სხვა სკოლაში სწავლობდა, რაღაც ბიჭურ პრობლემაში იყო გახლართული... ირმამ მთხოვა, მორალური დახმარება სჭირდება და, უშენოდ ვერაფერს გავხდებიო. ეს თანადგომა კი იმით შემოიფარგლებოდა, რომ უბრალოდ მის გვერდით ვყოფილიყავი. რა თქმა უნდა, უარს ვერ ვეტყოდი. სხვის დასახმარებლად (როცა მთხოვდნენ ან ამის საჭიროებას ვგრძნობდი) სულ შემართული ვიყავი, მით უმეტეს, თუ ის დაჩაგრულად, დაზარალებულად ითვლებოდა. მართალი გითხრათ, ამ შემთხვევაში ჩემი მხრიდან დახმარების საჭიროება არ მიგრძვნია, ირმას მხოლოდ და მხოლოდ ხათრით გავყევი. არ ვიცი, გურიმ იმ დღეს რა თვალზე შემხედა, ან ირმას როგორ ვყავდი მასთან დახასიათებული, მოკლედ, ერთი შეხედვით შევუყვარდი და იმის ნაცვლად, რომ იმ პრობლემიდან გამოსულიყო, ახლა უკვე სიყვარულის ბადეში გაიხლართა.

— სიყვარულს პირდაპირ გამოხატავდა?

— პირადად თქმას ვერ მიბედავდა, ირმა შუამდგომლობდა. მეუბნებოდა, ამ საწყალს ესღა უნდოდა, იტანჯება, ისეთ დღეშია, ღამის თავი მოიკლას, არ ვიცი, რით ვუშველოო.

— ამ დღეში რატომ ჩაყარდა, თქვენ გამოიჩინეთ მის მიმართ გულგრილობა თუ თავად იყო ბუნებით გაუწონასწორებელი?

— სწორად განსაზღვრეთ, ნამდვილად გაუწონასწორებელი იყო, თანაც — ადვილად აღგზნებადი, იმპულსური, არაპროგნოზირებადი... გური თავად მოდიოდა ჩემს სკოლაში, თუნდაც იმიტომ, რომ თვალი შეევლო ჩემთვის. ეს ამპარტავანი ბიჭი, ერთი შეხედვით თავზე ბუზს რომ არ აიფრენდა, ისეთი საწყალი თვალებით მიყურებდა, გული მოგიკვდებოდა.

— მის მიმართ სიბრალული გაგიჩნდათ?

— მართალი გითხრათ, მეცოდებოდა და ჩემი გულისთვის რომ იტანჯებოდა, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი... თანაც გური ჩვენს სკოლაში რომ მოდიოდა, ჩემს თანაკლასელ ბიჭებს ცუდად ენიშნათ და საქმის გარჩევა დაუწყეს, დაუპირისპირდნენ. არ მინდოდა, ამისთვის დრამატული სახე მიმეცა, არც ის, რომ გურის გრძნობა საქვეყნო გამხდარიყო, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გავხდი, მეგობრებისთვის მეთქვა, ეგ ბიჭი არაფერს მიშავებს და ნუ ერჩით-მეთქი.

— სიბრალულიდან ერთი ნაბიჯია სიყვარულამდე, თან, თუ პასუხისმგებლობის გრძნობაც გაგიჩნდათ...

— ერთი წლის შემდეგ გური ძალაუნებურად შემიყვარდა, თუმცა მასთან ცალკე შეხვედრები არ მქონია. ერთმანეთს ტელეფონით ვესაუბრებოდით, ზოგჯერ სკოლიდან სახლში მაცილებდა, ერთი გზით მივდიოდით. ეს იყო და ეს. ჩემს გრძნობაზე არავისთან ვლაპარაკობდი, ირმასთანაც კი.

— ლევანს ეს ალბათ არ გამოეპარებოდა. თქვენი სიყვარული როგორ მიიღო?

— ამ თემაზე ვერ მელაპარაკებოდა, მხოლოდ მაკვირდებოდა, რამდენად ღრმა იყო ჩემი დამოკიდებულება გურისადმი. თითქოს მიფრთხილდებოდა, არ ვიცი... ან შეიძლება არ უნდოდა, „მურმანის ეკლის“ როლი ეთამაშა. ორი წლის განმავლობაში, სანამ სკოლას დავამთავრებდით, მხოლოდ ორჯერ შეეხო ამ თემას. ერთხელ მითხრა, კარგი იქნება, შენი თავის ფასი იცოდეო (ანუ მიმანიშნა, ეგ ბიჭი შენი ღირსი არ არისო), ხოლო მეორედ თავად გურისთან მოუვიდა რაღაც დაპირისპირება (თანაკლასელი გოგონებისგან შევიტყვე) და ჩემს შეშფოთებულ სახეს რომ შეხედა, მაშინ მითხრა, გპირდები, მასზე ხელს არ ავწევ, ეგ იგივეა, შენ დაგარტყა, ხომ ასე არისო. არაფერი ვუპასუხე, ვიცოდი, რომ ლევანი ამას არ გამიკეთებდა, მისი იმედი მქონდა.

— ბიჭების ჩხუბს აცდით?

— საქმეც ისაა, რომ მაინც ვერ ავცდი. გური საშინლად ეჭვიანობდა ლევანზე და

Cyan Magenta Yellow Black

მასში კონკურენტს ხედავდა. ამიტომ, ლევანის გვერდზე გადგომის მიუხედავად, საჩხუბრად მაინც გაიწვია. არ ვიცი, რა იყო ეს გურის მხრიდან — გოგოს გამო ჩხუბი თუ ბრძოლა თვითდამკვიდრებისთვის, რათა თუნდაც საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა, რომ ლევანზე ძლიერი იყო.

— ჩხუბი მშვიდობიანად დამთავრდა?

— სკოლაში ყველამ გაიგო და მთელი ამბავი ატყდა. ყველაზე ბოლოს მე შევიტყვე და საშინლად განვიცადე, ვიტირე. ჩემთვის ორი უსაყვარლესი ადამიანი ერთმანეთს ებრძოდა. ლევანმა დარტყმის შედეგად თავში სერიოზული ტრავმა მიიღო და გარკვეულ ხანს სკოლაში აღარ დადიოდა. რაც იქ დამსწრე ბიჭებისგან შევიტყვე, ამან ხომ საერთოდ მომცელა — ლევანს თურმე გურისთან ხელი არ აუწევია, მხოლოდ ელაპარაკებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე თავს ესხმოდა და არ ინდობდა, თავისი სიტყვა მაინც კაცურად შეასრულა. ბიჭებს უკვირდათ, ეს რა ქნაო, ამის გაგება მათთვის ძნელი იყო, ლევანისნაირი შეუდრეკელი ბიჭისგან ამას არავინ ელოდა. მის წინაშე თავს საშინლად ვგრძნობდი, თითქოს მე ვიყავი დამნაშავე. რომ გამოჯანმრთელდა, ჩვეულებრივად მოვიდა, მერხზე მომიჯდა და გამიცინა. თვალებით მითხრა, ეგ არაფერი, შენ იყავი კარგად და მე კიდევ ავიტანო. რომ იცოდეთ, როგორ ამაღლდა ჩემს თვალში და რა უსუსური აღმოჩნდა გური!

— გურამ თქვენ წინაშე თავი რით იმართლა?

— თითქოს მოინანია, არ მინდოდა, ასე მომხდარიყოო, მაგრამ, ამავე დროს, ლევანის მიმართ სულ ჰქონდა მეტოქეობის განცდა, გულის სიღრმეში საშინლად ეჭვიანობდა. ამბობდა, ელენესკენ მიმავალ გზაზე მეღობებაო.

— თქვენი ურთიერთობა როგორ გაგრძელდა?

— სტუდენტი რომ გავხდი, გურის ცოლად გავყევი. ლევანი კი ძალაუნებურად დავკარგე. გურისთვის ის მიუღებელი იყო, თავად ლევანმაც მტკივნეულად მიიღო ჩვენი ქორწინება. მასთან შეხება აღარ მქონდა და, ცხადია, ძალიან დამაკლდა. თან ახალი ცხოვრება დავიწყე და...

— თქვენმა ქორწინებამ გაამართლა?

— არა. მიუხედავად იმისა, რომ ქმარი ძალიან მიყვარდა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ურთიერთობის ასაწყობად და დასალაგებლად. ჩვენ აბსოლუტურად სხვადასხვა ტიპაჟები ვიყავით. ახლანდელი გადმოსახედიდან მიკვირს კიდეც, რა მქონდა ამ ადამიანთან საერთო. ამ ყველაფერს ტრაგედიაც დაერთო. ლევანს თავის არეში სიმსივნე განუვითარდა და ვერაფერი უშველეს. ექიმებმა ეს წლების წინ მიღებულ ტრავმას დაუკავშირეს... მიჭირს ამ თემაზე საუბარი, ძალიან მტკივნეულია.

— წარმომიდგენია, რა განცდა გექნებოდათ. ამ ტრაგედიამ თქვენს ოჯახურ ურთიერთობაზე რა კვალი დატოვა?

— მაშინ ვიფიქრე, რომ იქ დამთავრდა ყველაფერი, რომ ჩემს ურთიერთობას გურისთან მომავალი არ ექნებოდა. ალბათ

„მიუხედავად იმისა, რომ ქმარი ძალიან მიყვარდა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ურთიერთობის ასაწყობად და დასალაგებლად. ჩვენ აბსოლუტურად სხვადასხვა ტიპაჟები ვიყავით. ახლანდელი გადმოსახედიდან მიკვირს კიდეც, რა მქონდა ამ ადამიანთან საერთო".

გულმა მიგრძნო. გურიც ძალიან შემეცოდა, ინერვიულა, იტირა, ლევანს თუ ასე დაემართებოდა, ამას ვერაფრით ვიფიქრებდიო. ალბათ საშინლად ნანობდა, რაც მოხდა. ვცდილობდი, მასთან ამ თემას არ შევხებოდი. მის მიმართ სითბოს და გაგებას ვიჩენდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთად ყოფნა მაინც არ გვეწერა. ურთიერთობა უკიდურესად დაგვეძაბა და გურის გავეყარე, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს მაინცდამაინც ლევანის ტრაგიკულმა ხვედრმა განაპირობა. ცოლქმარი იმდენად განსხვავებულები ვიყავით, რომ უბრალოდ, ერთად არ უნდა გვეცხოვრა. ეს შეცდომა იყო.

— ცხოვრება როგორ გააგრძელეთ?

— დრო დამჭირდა აგონიიდან გამოსასვლელად. ყურადღება საქმეზე გადავიტანე და ახალი ცხოვრება დავიწყე. ტკივილი მაინც არ გამქრალა, როგორც ჩანს, წარსული ჩემს სულში დაილექა.

— სამომავლოდ თავი ხომ არ იჩინა?

— გაგიკვირდებათ და თავი ოცი წლის შემდეგ გამოავლინა, როცა სრულიად სხვა გზაზე ვიდექი, სხვა ადამიანების გარემოცვაში.

— კონკრეტულად რა მოხდა?

— ნუ მიწყენთ, მაგრამ ამ თემას არ განვავრცობ, მოკლედ ვიტყვი: მამაკაცი, ვისთანაც სიყვარული მაკავშირებდა, ეჭვიანობის ნიადაგზე ცუდად დაუპირისპირდა კაცს, ვისაც მეგობრად ვთვლიდი... ვცდილობდი, დამერწმუნებინა, რომ ჩვენ შორის წმინდა მეგობრობის გარდა არაფერი იყო, თითქოს სჯეროდა კიდეც, მაგრამ ეჭვი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. დროდადრო ისეთი აგრესიული ხდებოდა, ვერ აგიწერთ...

— მერე?

— ჩემი მეგობრისთვის რომ რამე არ დაეშავებინა და ტრაგედია არ განმეორებულიყო, ორივეს დავშორდი. ეს სათქმელად ადვილია, მაგრამ გასაკეთებლად არც ისე იოლი აღმოჩნდა.

— ეჭვიანი მამაკაცის ატანა ძალიან ძნელია, მაგრამ თქვენს მეგობარს რაღას ერჩოდით, დასაკარგად როგორ გაიმეტეთ?

— თავის დროზე ის ტრაგედია რომ არ გადამეტანა, ალბათ სხვაგვარად მოვიქცეოდი. ჩემს ქვეცნობიერში იმდენად გაჯდა განცდა იმისა, წარსული არ განმეორებულიყო, რომ ვარჩიე, ასე მოვქცეულიყავი... ვერავის ვიმსხვერპლებდი, მით უფრო, ძვირფას ადამიანებს.

— ამით ხომ თავად ყველაზე მეტად დაზარალდით?!

— ცხადია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა მესამე გზა არ არსებობს, ან ერთი გზა უნდა აირჩიო, ან — მეორე. ვფიქრობ, ჩემი გადაწყვეტილება სწორი იყო. საუბედუროდ, სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი.

✓ ნანა კობახიძე

ეს იცოდით?

❖ ყველაზე მძლავრი ელექტრომაგნიტი საფრანგეთში დაამზადეს. მას ერთდროულად 160 ტონა ტვირთის აწევა შეუძლია.

❖ ყველაზე გრძელი პროსპექტი მეხიკოშია. მისი სიგრძე 30 კილომეტრს შეადგენს.

❖ ყველაზე დიდი ტაძარი პეტრეს ტაძარი გახლავთ რომში. იგი ერთდროულად 80.000 მლოცველს იტევს.

❖ ყველაზე დიდი საბურავი იაპონიაში დაამზადეს. მისი სიმაღლე 3,5 მეტრია, სიგანე — 1,7 მეტრი.

❖ ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში ყველაზე მეტი ხიდია. იქ მდინარეებსა და არხებზე 600 ხიდია აგებული.

❖ ყველაზე მაღალი ტელეანძა კანადის ქალაქ ტორონტოშია. მისი სიმაღლე 553 მეტრია.

❖ იესო ქრისტეს ყველაზე დიდი ქანდაკება ბრაზილიის ქალაქ რიო დე ჟანეიროში დგას და მისი სიმაღლე 38 მეტრია.

❖ ქუჩის გასანათებლად ლამპიონები პირველად პარიზში გამოჩნდა 1667 წელს.

❖ ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა, 4 000 მეტრ სიმაღლეზე, რკინიგზა პერუში გადის ანდების მთაგრეხილზე. ამ რკინიგზაზე მგზავრობისას ხშირად იყენებენ ჟანგბადის ბალონებს.

❖ ყველაზე გრძელი დაძვირადღირებული სანაპირო ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ მალიბუშია. მისი სიგრძე 40 კმ გახლავთ. ამ სანაპიროზე 1 კვ.მ. ფართის დაკავებისთვის ქირის სახით 100.000 დოლარის გადახდა მოგიწევთ.

❖ ყველაზე მოკლე მეტროპოლიტენი სტამბულშია. მისი სიგრძე 600 მეტრია. მიუხედავად ამისა, წელიწადში 10 მილიონი მგზავრი გადაჰყავს.

❖ ყველაზე ღრმა მეტროპოლიტენი ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქ ფხენიანშია. მისი სიღრმე 100 მეტრზე მეტია.

❖ ყველაზე დიდი მეტროპოლიტენის სადგური იაპონიის დედაქალაქ ტოკიოშია. მისი სიგრძე 1 კილომეტრია და 48 შესასვლელი აქვს.

❖ ყველაზე ძველი და დღემდე მოქმედი უნივერსიტეტი მაროკოს ქალაქ ფესში მდებარეობს. ის 859 წელს დაარსდა.

❖ ყველაზე მასობრივი სცენა გადაღებულია ფილმში „განდი". მასში დაახლოებით 300.000 ადამიანი მონაწილეობს.

❖ მსოფლიოს ყველაზე დიდი ცხოველის — ლურჯი ვეშაპის სიგრძე 33 მეტრს აღწევს.

❖ ზვიგენები კიბოთი არასოდეს ავადდებიან. მათი გონებრივი აქტივობა ასაკის მატებასთან ერთად ოდნავადაც არ ქვეითდება.

❖ ქათმის ფრენის მაქსიმალური დრო 13 წამს შეადგენს. უფრო ხანგრძლივად ის ჰაერში ვერ ჩერდება.

❖ ზამთრის პერიოდში ხეები არ იზრდებიან.

❖ დედამიწაზე ჩაის 1500-მდე სახეობაა, რომელთაც მხოლოდ ოცდახუთი ქვეყანა აწარმოებს.

Cyan Magenta Yellow Black

ციტრუსების კოსმეტიკა

ლიმონი, გრეიპფრუტი, ფორთოხალი, მანდარინი, ლაიმი — სასიცოცხლოდ აუცილებელი C ვიტამინის ყველაზე ხელმისაწვდომი წყაროა. მის გარეშე შეუძლებელია ჯანმრთელი და ლამაზი ვიყოთ. ამიტომ ციტრუსების ყველა შინაური პროცედურა კანის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და განწყობის ამაღლებას ეხმარება.

ციტრუსები კანს ათეთრებს, პიგმენტური ლაქებისა და ჭორფლისგან ასუფთავებს. გაწმენდისას ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტების ზემოქმედებით კანში სისხლის მიმოქცევა ჩქარდება, სახისა და ყელის კუნთები იჭიმება, უჯრედების ტონიზირება ხდება. ეს ხილი ასვე გავლენას ახდენს უჯრედშორის სითხეზე.

ქრება შეშუპება, კანი უფრო გლუვი და სიცოცხლისუნარიანი ხდება.

ციტრუსების კოსმეტიკა კანს სტრესთან ბრძოლაში ეხმარება. აგრესიული გარემოს ზემოქმედებით ის ტენსა და სასარგებლო ნივთიერებებს, მათ შორის ვიტამინებს კარგავს. ეს კი ნაადრევ დაბერებას იწვევს. ციტრუსები ამ დანაკარგის შევსებას ეხმარება.

ციტრუსების დახმარებით კანი ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიების მიმართ შეუღწევადი ხდება. ეს ხილი ანთებას აქრობს, ტემპერატურის დაცემის მიმართ კანს გამძლეობას გამოუმუშავებს, რაც ზამთარში მეტად მნიშვნელოვანია.

არ ღირს ციტრუსების კოსმეტიკის გამოყენება აქტიური მზის პერიოდში. სხვაგვარად შეიძლება არასასურველი პიგმენტაცია გაჩნდეს.

ნუ გაგიტაცებთ ციტრუსების კოსმეტიკა, თუ მშრალი კანი გაქვთ.C ვიტამინს გამომშრობი მოქმედება აქვს.

ციტრუსების ნიღბები

ციტრუსოვანთა ნიღბები შეგიძლიათ გამოიყენოთ პრაქტიკულად მთელ ცივ სეზონში ადრეულ გაზაფხულამდე.

მანდარინის მკვებავი ნიღაბი მშრალი და ნორმალური კანისთვის

მანდარინის გამხმარი კანი დააქუცმაცეთ. მიღებულ ფხვნილში დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი ფქვილი, 1 სუფრის კოვზი არაჟანი, 1 კვერცხის გული და კარგად აურიეთ. ნიღაბი წინასწარ გასუფთავებულ სახეზე, ყელსა და დეკოლტეზე 15 წუთი დაიდეთ. შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

გრეიპფრუტის მათეთრებელი ნიღაბი ყველა სახის კანისთვის

ფინჯანში აურიეთ 3 სუფრის კოვზი გრეიპფრუტის წვენი, 1 სუფრის კოვზი ახალი დაპრესილი საფუარი და წყლის აბაზანაზე ოდნავ შეათბეთ. ნიღაბი უნდა იყოს ოთახის ტემპერატურის. მიღებული მასა სახეზე, ყელსა და დეკოლტეზე 15 წუთი დაიდეთ. უმჯობესია, ამ დროს მოდუნდეთ და წყნარ ადგილას წამოწვეთ. შემდეგ ნიღაბი მწვანე ჩაიში დასველებული ბამბის დისკით მოიცილეთ და კანზე გრილი წყალი გადაივლეთ.

წელულიტის სანინააღმდეგო მასაჟი

ცელულიტისგან გათავისუფლების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად მანდარინის ეთერზეთი ითვლება. მისი დახმარებით კანი თანაბარი და გლუვი ხდება. ამ ზეთს აბაზანაში უმატებენ, ასევე აბაზანის შემდეგ მასაჟისთვის იყენებენ. მასაჟისთვის განკუთვნილ 50 გრამ სპეციალურ ზეთში მანდარინის (გამოდგება გრეიპფრუტიც) ეთერზეთის 6-7 წვეთი დაუმატეთ. პრობლემურ ზონებზე უხეში ტილოს ხელჯაგით მასაჟი გაიკეთეთ. მასაჟი რეკომენდებულია კვირაში 1-2-ჯერ.

ჰა ახის ჯაჭი და ჰა — ცუდი თმისთვის

ყველამ ვიცით, როგორი სასარგებლოა დაბანის შემედგ თმაზე წყალში გაზავებული ლიმონის წვენის გადავლება. მაგრამ, თუ თმა შეღებილია, ლიმონის მჟავა მას ძალიან მალე აღიავებს.

ბუნებრივად ღია თმის მფლობელებს შეუძლიათ შამპუნი ლიმონის ექსტრაქტით მშვიდად გამოიყენონ თმის ტონის ბუნებრივი გაღიავებისთვის, მაგრამ, ვინაიდან C ვიტამინს გამომშრობი მოქმედება აქვს, ამიტომ აუცილებელია დამატებითი მკვებავი ნიღბები. მეტად სასარგებლოა ლიმონის ან ფორთოხლის წვენის ნიღბები თაფლის ან ბირკავას ზეთის ნარევით.

ციტრუსები და ფჩჩხიღები

ფრჩხილებს ციტრუსები უყვარს. მაგრამ ლიმონის ნაჭერის ფრჩხილებზე წასმა არ ღირს, ვინაიდან მათ აშრობს. უმჯობესია, გამოიყენოთ ლიმონის წვენისა და აბუსალათინის ზეთის ნარევი (თანაფარდობით 1:1). ასეთი ნარევი ფრჩხილებს შესანიშნავად ამაგრებს.

ყველაზე ლამაზი

დაღლილ ფეხებს ვმეჯინაღობთ

ქალის ფეხები შექმნილია არამხოლოდ სილამაზისთვის, მათ ძალიან დიდი შრომა უწევთ. არამარტო სიარული, ასევე დატვირთვის ატანა ბაზრიდან მძიმე ჩანთების ტარებისას. ამიტომ საჭიროა თქვენი ფეხების ჯანმრთელობაზე ახალგაზრდობიდანვე იზრუნოთ.

თუ დაღლის სიმპტომები გაგიჩნდათ — სიმძიმე, ფეხებში ყრუ ტკივილი, უფრო ხშირად დაისვენეთ. ყურადღება მიაქციეთ, რომ ჯდომა, ფეხზე დგომა და მოძრაობა თანაბრად მონაცვლეობდეს. საღამოს ფეხები გულზე უფრო მაღლა ასწიეთ, რათა ვენებიდან სისხლის უკუდენა გაადვილდეს.

კარგად მოქმედებს ცაცხვის ნაყენის აბაზანა. 1 მუჭა ცაცხვის ყვავილებს 1 ლიტრი ადუღებული წყალი დაასხით, დადგით, გაწურეთ და ნაყენი წყლიან თასში ჩაუშვით. ფეხები 15 წუთი ჩაყავით, შემდეგ დამარბილებელი კრემი წაისვით.

აბუსალათინის ზეთი ნამწამებისთვის

აბუსალათინის ზეთი სუსტი სუნის უფერო, ბლანტი სითხეა. მის შემადგენლობაში შედის ცხიმმჟავები, რომელთა შორის ჭარბობს რიცინილის მჟავა. ამ ნივთიერების წყალობით, აბუსალათინის ზეთი თმის სტრუქტურას ამაგრებს და მის ზრდას აძლიერებს. აქედან გამომდინარე, ის ნამდვილად ეფექტურია წამწამების გასამაგრებლად და ზრდისთვის. წამწამებზე ზეთის წასმა ადვილად რომ მოხდეს, მათ ტუბის სახით უშვებენ, რომელსაც თავისი ჯაგრისი ახლავს. წამწამებზე ზეთის წასმისას ეცადეთ, ქუთუთოს კანზე არ მოხვდეს. აბუსალათინის ზეთის ზემოქმედებით, ქუთუთო შეიძლება გაწითლდეს და გასივდეს. ასეთ შემთხვევაში ზეთის გამოყენება რამდენიმე დღით შეწყვიტეთ. მომავალში კი ფრთხილად იყავით.

ხელებსა და ფჩჩხიღებზე ვზრუნავთ

წესად გაიხადეთ, ყველა საოჯახო საქმე აუცილებლად რეზინის ხელთათმანით გააკეთოთ. სხვაგვარად ხელები თქვენს ასაკს გასცემს. სპეციალისტთა აზრით, ხელებისთვის საუკეთესოა ყურძნის წიპწების ბაზაზე დამზადებული კრემი. 10 მლ ყურძნის წიპწების ზეთს 5-5 წვეთი გვირილის, მელისას, ღვიის ან ავოკადოს ზეთი, 10-10 წვეთი ლიმონის, ვარდის ან როზმარინის ეთერზეთი დაუმატეთ. დაორთქლილ ხელებზე ნარევი წაისვით და მასაჟის მოძრაობით თითებიდან მაჯამდე ან იდაყვებამდე წაისვით. პროცედურის შემდეგ ბამბის ხელთათმანი გაიკეთეთ და ასე დაიძინეთ.

ფრჩხილების დასაცავად და აღსადგენად, წყალთან კონტაქტის შემდეგ თითოეულ ფრჩხილზე ერთი წვეთი ნუშის ან გარგარის ეთერზეთი დაიწვეთეთ და ნუნებში შეიზილეთ.

ტრავმა რომ არ მიაყენოთ, ფრჩხილებისთვის ლიმონის ქლიბის მაგივრად მინის ან მუყაოს გამოიყენეთ.

ჯოჭას ჯიემი მშრალი კანისთვის

ასეთ კრემს ვერსად შეიძენთ. თუ არ დაიზარებთ და მოამზადებთ, არც დანახარჯზე და არც დროზე ინანებთ. კრემი გამიზნულია მშრალი და მოწიფული კანისთვის. აიღეთ კოჭას ფესვის ნაჭერი დაახლოებით 5 სმ, 2 ჩაის კოვზი ქუნჯუტის ზეთი, ამდენივე ყურძნის წიპწების ზეთი, 1 ჩაის კოვზიE ვიტამინის ცხიმოვანი ხსნარი და 1/2 ჭიქა კაკაოს ცხიმი. კოჭა წვრილად გახეხეთ და წვენი გამოწურეთ (უნდა გამოვიდეს 0,5 ჩაის კოვზი). ყველა ინგრედიენტი მინის ჭურჭელში მოათავსეთ და აირღუმელში შედგით. როდესაც კაკაოს ცხიმი გალღვება, ჭურჭელი გამოიღეთ, ყველაფერი კარგად აურიეთ, გააგრილეთ და მაცივარში შეინახეთ. მზა კრემს არომატისთვის 3 წვეთი ფორთოხლის ეთერზეთი დაუმატეთ. გამოიყენეთ მკვებავი კრემის მაგივრად ან როგორც მკვებავი ნიღაბი კვირაში 2-3-ჯერ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ხველა — საზიანო თუ სასარგებლო

ხველა ორგანიზმის უნივერსალური დამხმარე საშუალებაა და ერთგვარი თავდაცვითი რეაქციაც გახლავთ. მისი დახმარებით სასუნთქი გზებიდან უცხო სხეულები, ავადმყოფობის გამომწვევი ვირუსები და ბაქტერიები გამოიდენება. არსებობს შემთხვევები, როდესაც ხველას ბავშვის სიცოცხლეც უხსნია.

მნიშვნელოვანია დადგინდეს ხველის ხასიათი. თავის მხრივ, ხველა შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა დაავადებით, ამიტომ სანამ მის დათრგუნვაზე დაიწყებთ ფიქრს, პირველ რიგში, პატარა პედიატრთან წაიყვანეთ, რათა ზუსტად დადგინდეს ხველის მიზეზი. მაგალითად, სველი ხველის დროს პატარების ფილტვებიდან ხდება ნახველის ამოღება. როგორც წესი, მშრალი ხველისთვის ნახველი დამახასიათებელი არ არის. ეს თავისებურებები ექიმს ეხმარება, ერთი დაავადება მეორისგან განასხვაოს.

მაგალითად, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების დროს დამახასიათებელია მშრალი ხველა, განსაკუთრებით დაავადების საწყის ფაზაში. მისი წარმოქმნა დაკავშირებულია ლორწოვანი გარსების გაღიზიანებასთან, მაგრამ გახანგრძლივებული რესპირატორული ინფექციის შემთხვევაში ქსოვილებს შორის არსებული სითხე (ცხვირიდან უხვი გამონადენი) სასუნთქი გზებიდან ფილტვებში ხვდება და შედეგად თავს იჩენს ნახველი.

თუ ამ პროცესში ბაქტერიული ინფექციაც არის, როგორც წესი, პატარებს მომწვანო-მოყვითალო ფერის, უსიამოვნო სუნის ნახველი აღენიშნებათ. ნებისმიერი მშობელი ყურადღებით უნდა იყოს და როგორც კი შენიშნავს, რომ ნახველს სულ მცირე სისხლიც კი მოჰყვება, შვილი დაუყოვნებლივ ექიმთან წაიყვანოს, რომ ტუბერკულოზი გამოირიცხოს.

ყურადღება უნდა მიექცეს ხველის დროს ბავშვის ხმის ტემბრსაც, მაგალითად, მყეფარე ხველა ახასიათებს ლარინგიტს, ბავშვების შემთხვევაში მისი არსებობა შეიძლება ცრუ კრუპის განვითარების ერთგვარი ნიშანიც იყოს.

ნამლები, ჰომლებიც ეუხნავენ!

მშრალი ხველის დროს აუცილებელია შეირჩეს ისეთი სახის პრეპარატი, რომლის დახმარებითაც ხველის რეფლექსი დაითრგუნება. როგორც წესი, ისინი ხველის ზონის ბლოკირებას ახდენენ.

სველი ხველისას სასურველია ამოსახველებლების დალევა. ყველაზე ხშირად ამ შემთხვევაში მუკოლიტურ საშუალებებს გამოყენებენ, რომლებიც ორგანიზმს ნახველის ამოღებაში ეხმარება.

პატარების სასუნთქი გზების სისველისგან გასათავისუფლებლად უპრიანია სხვადასხვა სამკურნალო მცენარეების ექსტრაქტზე დამზადებული საშუალებების მიღება, მაგალითად, ანისულის ექსტრაქტზე და სხვა. ასევე კარგი დამხმარეა ლიმონიანი ან ჟოლოიანი ჩაი, თაფლიანი თბილი რძე.

დილიდანვე მხნედ და კარგ განწყობაზე!

თუ დილიდანვე უხასიათოდ ხართ, პირველ რიგში, აუცილებელია ბუნებრივ ანტიდეპრესანტებზე იზრუნოთ — ყავა, ცხელი შოკოლადი, დილის ვარჯიში.

სამსახურში პრობლემები გაქვთ? ფუჭი ნერვიულობა არაფერს შეცვლის და კარგს არაფერს მოგიტანთ. ჯობია დაფიქრდეთ, როგორ გამოასწოროთ სიტუაცია და, რაც მთავარია, განეწყვეთ, რომ ყველაფერი მოგვარდება და სასიკეთოდ შეიცვლება.

ყურადღება მიაქციეთ მიმიკებს. ეცადეთ, ემოციები აკონტროლოთ, გამოიყენეთ შინაგანი ღიმილის ეფექტი. მოეშვით და ნაკლები იფიქრეთ პრობლემებზე, ხშირად გაიღიმეთ, იმის მიუხედავად, ხართ თუ არა ხასიათზე.

დააკვირდით, რამდენად ხართ დამოკიდებული ამინდზე. თუ ის თქვენს ხასიათსა და განწყობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ეცადეთ, თქვენი გარდერობი ჭრელი და ნათელი ფერებით გაახალისოთ. არ დაუშვათ, რომ ცუდმა ამინდმა განწყობა გაგიფუჭოთ!

რაზომ არ უყვართ ბავშვებს დაძინება

თითქმის ყველა მშობელი ყოველდღიურად აწყდება პრობლემას, რომელიც შვილის დაძინებას ეხება. უკვე ღამის 9-10 საათია, მაგრამ პატარები დაძინების კატეგორიული წინააღმდეგები არიან! როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები და რა საშუალებით შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?

მშობლების ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ ბავშვს არ ეძინება, დაე, ეღვიძოს მანამ, სანამ თავად არ გამოთქვამს დაძინების სურვილის. ნაწილი მშობლებისა კი არ ეთანხმება ამ პოზიციას და პრობლემის მოგვარებას საკუთარი მეთოდებით ცდილობენ.

როგორც სპეციალისტები თვლიან, რა თქმა უნდა, სწორი და მართებულია მეორე ვარიანტი, ანუ საჭიროა გარკვეული მეთოდების პოვნა, რომელიც თქვენი შვილისთვის შედეგიანი იქნება.

ვფიქრობთ, სპეციალისტების მიერ მოწოდებული რეკომენდაციები დაგეხმარებათ ბავშვების უძილობასთან ბრძოლაში.

რა დახმარება სჭირდება ბავშვს, რომ ტირილისა და პროტესტის გარეშე დაიძინოს:

დღის სწორი რეჟიმი — სუფთა ჰაერზე სეირნობა, ეზოში თამაში, საინტერესო და სასარგებლო მეცადინეობები, აქტიური, მოძრავი თამაშები, სპორტი. გარდა იმისა, რომ ეს სასარგებლოა პატარების ჯანმრთელობისთვის, საკმაოდ დიდი ენერგიის ხარჯვასაც მოითხოვს. ამგვარად, თუ პატარების დღის რეჟიმი აქტიური და სწორად დაგეგმილი იქნება, დღის ბოლოს ბავშვი თავს დაღლილად იგრძნობს, რაც ნიშნავს, რომ დაძინებასთან დაკავშირებული პროტესტი აღარ ექნება.

ნაცნობი ადგილი — პატარა ასაკის ბავშვები განსაკუთრებით მალე ეჩვევიან გარემოს, სიტუაციებს და მათი ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ ძილის რეჟიმზეც. არ მისცეთ შვილს უფლება, სხვა ოთახში ან სხვა საწოლში დაიძინოს, როგორც წესი, ეს მას დაძინების პრობლემას უქმნის.

შინაგანი საათი — ბავშვის შინაგანი საათის გადმოწყობა საკმაოდ რთულია, მაგრამ თუ ამას შეძლებს, დაძინებასთან დაკავშირებული პრობლემაც თავისთავად მოგვარდება. ამ შემთხვევაში პატარა თავადაც მშვენივრად იგრძნობს, როდის ეძინება და საწოლისკენ საკუთარი სურვილით წავა. ასეთი შედეგი რომ მიიღოთ, არ მისცეთ შვილს ღამის საათებში ტელევიზორის ყურების უფლება, ასევე სტუმრად ყოფნისას ეცადეთ, არ შეყოვნდეთ, რომ ბავშვს ძილის დრო არ გადაუცდეს. როგორც წესი, ამაზე პატარები საკმაოდ მტკივნეულად რეაგირებენ და შემდგომ დაძინების პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ იჩენს ხოლმე თავს.

შესაბამისი ატმოსფერო — ბავშვისთვის ძილი რომ სასიამოვნო პროცესთან ასოცირდებოდეს, აუცილებელია შესაბამისი ატმოსფეროს შექმნა. ამისათვის იდეალურია რბილი სათამაშოები, ორიგინალური ფორმის ლამპები, ძილის წინ ზღაპრის კითხვა, ლამაზი თეთრეული და ლოგინი. ეს ყველაფერი დადებითად აისახება ბავშვის განწყობაზე და დაძინების პროცესი სასიამოვნო ხდება.

სიყვარულის ძალა — ძილის რეჟიმის დარღვევა ნაკლებად აწუხებთ პატარებს, რომლებიც სიყვარულსა და თბილ ატმოსფეროში იზრდებიან, ვისაც არ აქვს დედიკოსთან ურთიერთობის დეფიციტი. სწორედ ეს არის უმნიშვნელოვანესი ჩვენი შვილებისთვის და რაც დედ-მამა პატარას მიმართ მზრუნველობას და სიყვარულს იჩენენ, პრობლემებიც ფაქტობრივად აღარ არსებობს.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

ჰიუსტონში 4 ტყუპი დაიბადა

ტექსასის შტატის ქალაქ ჰიუსტონის ცენტრალურ საავადმყოფოში 14 თებერვალს ოთხი ტყუპი ბიჭი დაიბადა. 36 წლის ტრესა მონტავლოს ორსულობის 31-ე კვირას საკეისრო კვეთა ჩაუტარდა. ტრესა და მანუელ მონტავლოები თავიანთი 2 წლის ბიჭუნასათვის დას ან ძმას ელოდებოდნენ, ორსულობის მე-10

კვირას კი შეიტყვეს, რომ ტყუპები ეყოლებოდათ. მხოლოდ მომდევნო ექოსკოპიაზე გაირკვა, რომ დედის მუცელში 4 გულისცემა ისმოდა.

მსოფლიო საავადმყოფოების დაკვირვებით, ოთხი ტყუპი 70 მილიონ შემთხვევაში ერთხელ იბადება. ეისი და ბლეინი დილის 8:51 საათზე დაიბადნენ, პირველი მათგანი 1,64 კგ-ს იწონიდა, მეორე კი — 1,79 კგ-ს. მომდევნო ორი ტყუპი — ქეში და დილანი — ქვეყნიერებას ერთი წუთით გვიან მოევლინენ. ქეში 1,33 კილო დაიბადა, ხოლო დილანი — 1,53 კგ.

ბედნიერი დედა და ოთხი ტყუპი საავადმყოფოდან უკვე გაწერეს, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. წყვილის თქმით, ისინი ერთი გოგონას გაჩენას კიდევ გეგმავენ.

3 წლის გოგონა სარეცხ მანქანაში გაიჭედა

ჩინეთში, შანდუნის პროვინციაში, 3 წლის ჩინელი გოგონა, რომელიც დედასთან ერთად სტუმრად იმყოფებოდა, სარეცხ მანქანაში გაიჭედა. ლაპარაკში გართულ დედას შვილი სამრეცხაოში გაეპარა და მანქანასთან თამაშით საკმაოდ დიდხანს გაერთო, ბოლოს კი შიგ შეძვრომა გადაწყვიტა.

ბავშვის გადასარჩენად 5 მეხანძრეს რამდენიმე საათი დასჭირდა. გოგონას გასათავისუფლებად მეხანძრეებმა ელექტროხერხი გამოიყენეს და სარეცხი მანქანა მთლიანად დაჭრეს.

პიტბულმა ოჯახი ხანძარს გადაარჩინა

ოკლაჰომას შტატში, ქალაქ უელსტონში მცხოვრები სმიტების ოჯახში ხანძარი გაჩნდა. ექსპერტების აზრით, ცეცხლი ტანსაცმლის საშრობის გაუმართაობამ გამოიწვია. ხანძარი ღამით დაიწყო, როცა ყველას ეძინა. რომ არა 10 წლის პიტბულის ჯიშის ძაღლი, სახელად ბეიბი, სმიტები კვამლისგან გაიგუდებოდნენ.

ძაღლმა ჯერ ოჯახის ყველა წევრი სათითაოდ გააღვიძა, შემდეგ კვლავ შეირბინა სახლში და ლოგინის ქვემოთ მოკალათებული მეორე ძაღლი გამოიყვანა. ხანძრის შედეგად სახლი მთლიანად დაიწვა, ოჯახის ყველა წევრი კი, ბეიბის წყალობით, უვნებელი გადარჩა.

90 წლის ჯაცმა და იპოვა

90 წლის ამერიკელ ჰარი ჰოკბერნს მთელი ცხოვრება ეგონა, რომ დედისერთა იყო. მან იცოდა, რომ ჩვილი იყო, როცა მამა გარდაეცვალა. ორგანიზაციის დახმარებით, რომელიც ადამიანებს დაკარგული ნათესავების მოძიებაში ეხმარება, ჰარიმ აღმოაჩინა, რომ მამამისი კი არ მომკვდარა, ინგლისში გადასულა საცხოვრებლად, სადაც მეორედ დაქორწინებულა და ქალიშვილიც შესძენია — ნორა, რომელიც ამჟამად 3 შვილთან ერთად ავსტრალიაში ცხოვრობს.

დასთან შესახვედრად პენსიონერი თვითმფრინავით გაემგზავრა. ფრენის დროს 90 წლის ჰარის მომარაგებული ჰქონდა ჟანგბადის ბალონები, რადგან გულისა და ფილტვების პრობლემების გამო ექიმებმა ფრენა აუკრძალეს. ცოლის სიკვდილის შემდეგ ჰარისთვის ცხოვრება აუტანელი გახდა, დის აღმოჩენამ კი სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა.

შოკოლადი შეყვარებულის სახით

იაპონიაში ვალენტინობას ყველაზე ორიგინალურად აღნიშნავენ. შეყვარებულები ერთმანეთს შოკოლადს ჩუქნიან. ამაში კი არაჩვეულებრივი ის არის, რომ შოკოლადზე წარმოდგენილი გამოსახულება საყვარელი ადამიანის ზუსტი ასლია.

ამ საჩუქრის ღირებულება 65 დოლარია და მას ტოკიოში მდებარე ერთ-ერთ კომპანიაში ამზადებენ.

Cyan Magenta Yellow Black

ადამიანმა ობობამ „ჰავანა ჰოტელი“ დალაშქრა

ფრანგმა ადამიანმა-ობობამ, ალენ რობერმა, ჰავანას ყველაზე მაღალი შენობა დალაშქრა. „ჰავანა ჰოტელის“ სიმაღლე 100 მეტრია. მაყურებლები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, რადგან სპორტსმენს არავითარი დამცავი საშუალება არ ეკეთა. ალენ რობერმა შენობის ბოლო სართულზე ასვლა 30 წუთში მოახერხა.

ადამიანი-ობობა ალენს 1999 წელს შეარქვეს, როდესაც ჩიკაგოს ცათამბჯენი „უილის თაუერი“ დალაშქრა. 108 სართულიანი შენობის სიმაღლე 520 მეტრს აღწევს. 2011 წელს რობერი დუბაის ყველაზე მაღალ შენობა „ბურჯ ხალიფაზე“ ავიდა. 828 მეტრის სიმაღლის ცათამბჯენის დასალაშქრად მას ზუსტად 6 საათი დასჭირდა.

3.500-მა წყვილმა ერთდროულად იქორწინა

სამხრეთ კორეაში, კიონგიდოს პროვინციაში, მასობრივი ქორწილი გაიმართა, სადაც მონაწილეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულმა 3.500-მა იდენტურად ჩაცმულმა წყვილმა მიიღო.

წყვილებმა ამ ფორმით მასობრივი ქორწინების პირველი ორგანიზატორის, სან მუნის ხსოვნას მიაგეს პატივი. სან მუნი გასული წლის სექტემბერში 92 წლის ასაკში გარდაიცვალა და მის დაკრძალვას 30.000 ადამიანი ესწრებოდა. მასობრივი ქორწილის ცერემონიას საფუძველი 1960 წელს ჩაეყარა. წლების განმავლობაში ცერემონიალში მონაწილეთა რიცხვი იზრდება.

ეს იცოდით?

- კანონის თანახმად, ამერიკელი ინდიელები ვალდებული არ არიან, გადაიხადონ მიწის გადასახადი.
- 1790 წლისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის მხოლოდ 5% ცხოვრობდა ქალაქებში.
- ტაილანდი ერთადერთი ქვეყანაა აღმოსავლეთ აზიაში, რომელიც არც ერთი ქვეყნის კოლონია არ ყოფილა.
- ძველად იაპონიაში მამაკაცს შეეძლო მეუღლესთან გაყრა მოეთხოვა, თუ ქალი ცაცია იყო. ეს სასწრაფო წესით განქორწინების საფუძველი გახლდათ.
- 1800 წლამდე თურქეთში თუ ცოლს ქმარი ღალატში დასდებდა ბრალს და ამას დაამტკიცებდა, ქალს კატებთან ერთად ტომარაში სვამდნენ და ზღვაში ადგებდნენ.

48 საათი ყინულის ბოძზე

შვედეთის ქალაქ ვილჰელმინაში მეტად უცნაური კონკურსი ჩატარდა, რომლის მონაწილეები ვალდებულნი იყვნენ, 48

საათი ყინულის ბოძებზე შემომჯდარებს გაეტარებინათ. შეჯიბრის პირობების მიხედვით, მონაწილეებს 2,5 მეტრიანი ყინულის ბოძის დატოვება მხოლოდ ბუნებრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად შეეძლოთ. ამასთან, ყოველ 2 საათში ცხადდებოდა 10 წუთიანი შესვენება.

48 საათი ბოძზე ჯდომა მხოლოდ ექვსმა მონაწილემ შეძლო. მათი თქმით, ამ დავალების შესრულება რთული იყო არა სიცივის გამო, არამედ იმიტომ, რომ ერთ ადგილზე გაუნძრევლად უნდა მჯდარიყვნენ. ფინალში გასულმა ორმა ქალმა და ოთხმა კაცმა პრიზად 20 ათასი შვედური კრონი გაინაწილეს.

სასტუმრო ნაგავსაყრელზე

შვედეთის ქალაქ გიოტებორგში თავი რომ მოხეტიალე და უსახლკარო ადამიანად იგრძნოთ, ფული უნდა გადაიხადოთ. სასტუმრო „ფაქტუმ ჰოტელს“ არ გააჩნია ოთახები და შესაბამისად კომფორტი. ეს გახლავთ ნაგავსაყრელი, სადაც გდია ლეიბი და მასზე დასაძინებლად 10 დოლარის გადახდა მოგიწევთ. ნომრის ღირებულებაში უსაფრთხოებაც შედის.

სასტუმროს მენეჯერის თქმით, პროექტი მიზნად ისახავს, ყველამ გააცნობიეროს, თუ რას ნიშნავს ზამთრის სიცივეში თბილი ლოგინის ნაცვლად ქუჩაში ძილი. სასტუმროს ადმინისტრაცია იმ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს, რომლებიც ქალაქში მცხოვრებ უსახლკაროებს ეხმარებიან.

Cyan Magenta Yellow Black

ამირან შალიკაშვილი: „ჩემი ცოლი ცდილობს, მომთოკოს, მაგრამ ეს შეუძლებელია“

ხა სიგიჟეებს ჩადიოდა ქალების გამო ქართული პანტომიმის მამა



■ ამირან შალიკაშვილი

„მახინა თბილელი თეატრში ხომ შემოდიოდა, ყველაფერი სილამაზით ივსებოდა. ვერიკო ანჯაფარიძე, იცით, ხა ლამაზი იყო? მაგრამ სცენაზე! მისი პარტნიორი გახლდით, მისი თვალები დღემდე არ მავიწყდება.

პანტომიმის თეატრის დამაარსებლის, რეჟისორ ამირან შალიკაშვილის მუზა ყოველთვის ქალი იყო. მისი ყველა სპექტაკლი, ლექსი თუ სტრიქონი სიყვარულით არის შთაგონებული, ჰაერიც ამ გრძნობით არის გაჟღენთილი. ლამაზ ქალს მისთვის იღბალი მოაქვს, თუნდაც ქუჩაში დანახულს. პირველ ცოლთან გაშორებულია, ამბობს, მის სილამაზეს ახლაც ვუფრთხილდებიო. მეორეც სიყვარულით შეირთო — დამწყებმა მსახიობმა კირა მებუკემ უკვე ცნობილ რეჟისორს თავი დააკარგვინა. „მაშინ საჩუქრების კეთებაც მიყვარდა, ახლა რატომღაც აღარ გამომდის. სამწუხაროდ, ქართველი მამაკაცები ცოტა უხეშები ვართ“, — გვითხრა ბატონმა ამირანმა.

— ბატონო ამირან, თქვენი ლექსების კრებული გამოიდა, სადაც სიყვარულზე, ქალებზეც წერთ. ბევრჯერ გამხდარა ქალი თქვენი მუზა?

— კი. ქალი რომ პოეტების მუზაა, ეს უდავოა. მსოფლიოში რაც კი კარგი ლექსი დაწერილა, ყველა ქალზეა. სულ ვამბობ, რომ პოეტი არ ვარ. პატარა კრებული გამოვუშვი და მწერალ რეზო მიშველაძეს ვაჩუქე. დამირეკა და მითხრა, მეორედ არ თქვა, რომ პოეტი არ ხარო.

გალაკტიონ ტაბიძე ძალიან მიყვარს, ზეციური კაცი იყო. ბავშვი ვიყავი, როცა მას შევხვდი. სულ მუდამ შეყვარებული იყო. ხალხნო, სიყვარულის გარეშე არც ლექსი დაიწერება და არც რომანი! თქვენ გგონიათ, რომ სტენდალმა „წითელი და შავი“ უსიყვარულოდ დაწერა? ბალზაკი რომ იჯდა და „შაგრენის ტყავს“ წერდა, შეყვარებული არ იყო? ეს ყველაფერი ხომ ქალის თვალებითა და ღიმილით იწერებოდა. ქალს ჩვენში, მამაკაცებში, სულ სხვა რამ შემოაქვს და ვალდებულნი ვართ, რომ მათ თაყვანი ვცეთ. სიყვარული ათას რამეს გაკეთებინებს. თოვლი რომ მოვიდოდა, იმ წუთას გამოვარდებოდი და თოვლში ჩავწვებოდი. სულელსაც მეძახდნენ... ჭკვიანი არასდროს ვყოფილვარ. დავწვებოდი თოვლში და თეთრი ციდან მომავალ ფიფქებს შევცქეროდი, თეთრ საბანში ვიწექი.

— ცნობილი ქალისთვის მიგიძღვნიათ ლექსი?

— იყო ასეთი კარგი პიროვნება, კაკო დვალიშვილი, რომლის მეუღლეც მსახიობი მარინა თბილელი გახლდათ. მარინას გარდაცვალების შემდეგ ისეთი ლექსი დავწერე, რომ მისი ქმარი რამდენჯერაც შემხვდებოდა, იმდენჯერ მადლობას მიხდიდა.

„სულო, ატირდი, ატირდი...
ცრემლებო, ტკივილს ჩაბარდი,
ჩემო ლამაზო მზეთამზევ,
მუდამ ქალღმერთად გსახავდი,
დღეს შენ სულიდან გაბრძანდი,
ალბათ ყვავილებს ჩაბარდი,
აქ ვარდებს ებარებოდი,
იქაც ვარდებად გამრავლდი“.

მარინა თბილელი თეატრში რომ შემოდიოდა, ყველაფერი სილამაზითა და სიხარულით ივსებოდა. ვერიკო ანჯაფარიძე, იცით, რა ლამაზი იყო? მაგრამ სცენაზე! მისი პარტნიორი გახლდით, მისი თვალები დღემდე არ მავიწყდება. იცით, რას შვრებოდა? მაფრენინებდა! საოცარი სილამაზის ქალი იყო! ვერიკოს და ნატო ვაჩნაძის ფოტოებს ხშირად ვუყურებ და მინდა გითხრათ, რომ ვერიკო ჯობია. თეატრალურ საზოგადოებაში შეხვედრა იყო. თურმე ნატო ვაჩნაძე და ვერიკო ანჯაფარიძე მივიდნენ. დარბაზში ჯერ ნატო შევიდა და ხალხი გადაირია. ვერიკო ცოტა მოგვიანებით შებრძანდა და მთელი საზოგადოება დაწვა! ვერიკომ ყველა მოხიბლა. მას არტისტული შარმი და სილამაზე ჰქონდა. ლეილა აბაშიძე, როცა პატარა გოგო იყო, მაშინ მინახავს. გადაღებაზე, კაბას რომ იცვლიდა, იმ დროს მოვკარი თვალი და, წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა. საოცარი სანახავი იყო!

— ასეთ სილამაზეს დღეს თუ შეხვედრიხართ?

— ცოტა სხვა სამყაროში გადავინაცვლებ. გასულ წელს სტრასბურგში ქართული კულტურის დღეებზე ვიყავი. სასწაული შეხვედრა მქონდა. ვიცემერი საოცარი სილამაზის ქალი იყო. ვიდექი მასთან ერთად და ჩემს მეგობარს, პანტომიმის თეატრის მსახიობს, აწ გარდაცვლილ მარსელ მარსოს ვიგონებდი, თან ამ ქალს ვაკვირდებოდი და ცუდად ვხდებოდი. ქართველები გაანადგურებენ ამირან შალიკაშვილს, რადგან ის სულ მუდამ შეყვარებული და ემოციურია. ქართველები ვნებიანი ხალხი ვართ და ეს კარგია, მაგრამ ამავე დროს შურიც გვახასიათებს.

„ლეილა აბაშიძე, როცა პატარა გოგო იყო, მაშინ მინახავს. გადაღებაზე, კაბას ხომ იცვლიდა, იმ დროს მოვკარი თვალი და, წარმოიდგინეთ, ხა დამემართებოდა. საოცარი სანახავი იყო!“.

— ახლაც შეყვარებული ხართ?

— რა თქმა უნდა! თეატრი ჩემს სახლთან ახლოსაა და ფეხით მოვუყვები ხოლმე ქუჩას. დღესაც მოვდიოდი და რაღაც სუნთქვა მესმოდა. სიყვარულის ჰაერი მოდიოდა... ახლა ია-ენძელა ამოვა-მეთქი, ჩემთვის ვფიქრობდი. ამას ხომ მარტო შალიკაშვილი გაიგებს? ქუჩაში ლამაზ ქალს რომ დავინახავ, იმ დღეს ჩემი საქმე კარგად არის. ქალი სუსტი კი არა, ჩვენზე, მამაკაცებზე ძლიერი არსებაა. იჩხუბებ, იყვირებ და მაინც თავის ჭკუაზე გაგატარებს.

— ყოველდღე ხვდებით ქუჩაში ლამაზ ქალს?

— სილამაზე შენ უნდა დაინახო. ამას წინათ მოვდიოდი და უკნიდან გოგონების ფეხების ბაკაბუკი მესმოდა. მინდოდა, წინ გამეშვა და შემეხედა, როგორები იყვნენ. სავაჭრო ცენტრის კიბეებზე ავდიოდი, როცა თვალი შევავლე. რა გოგოები იყვნენ, არ იცით! სულელი არ ვიყავი? უნდა გამეტარებინა და უკან მივყოლოდი.

— სრულიად უცხო ქალისთვის კომპლიმენტი გითქვამთ?

— როგორ არა! ეს იყო, არის და იქნება. სხვათა შორის, საქართველოში ქალებმა კომპლიმენტზე ცუდი პასუხი იციან. თქვენ გგონიათ, რომ კაცი ამ დროს აგრესიულია. ამ მხრივ, ყველაზე კარგი სიტუაცია რუსეთში იყო. როგორც კი რუს გოგონას გამოეკიდებოდი ან რაღაცას ეტყოდი, ის შენთვის თაფლი გახდებოდა. ეს შარმი რუს ქალებს სულ აქვთ და იმიტომ იყო, რომ სულ იქ გავრბოდით.

— ქართველი ქალების გარეგნობაზე რას გეტყვით? ამის გამოც ხომ არ გარბოდით რუსეთში?

— გარეგნობა კიდევ სხვა ცნებაა. რომ გითხრათ, ქართველებს რუსი გოგოები სჯობიან-მეთქი, უხეში ვიქნები. ქალების სილამაზემ საფრანგეთშიც და იტალიაშიც გადამრია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ცუდი ქალები გვყავს. ჯგუფში ყველა გოგო ქართველი და ერთმანეთზე ლამაზი მყავდა. გოგო, რომელიც არცთუ ისე მომხიბვლელად მეჩვენებოდა, გადიოდა დრო და ყველაზე ლამაზი ხდებოდა. რუსეთში სუფრასთან თუ მოვხვდებოდი, ჩემ ირგვლივ, მინიმუმი, ათი ქალი ტრიალებდა. ჩვენ მიმართ ყველას რაღაც გრძნობა უჩნდებოდა.

— ქალი კერპი თუ გყოლიათ?

— კი. 50-60 წლის წინ სოფი ლორენის შემყურეს ვინმე მომეწონებოდა? ის ჩემი კერპი იყო, ოცნებად დამრჩა. ყოფილი საბჭოთა კავშირიც და ევროპის 20 ქვეყანა მაინც მაქვს მოვლილი. ქალს საქართველოდან პოლონეთშიც კი გავყოლიქვარ. დედა-ჩემი სასტუმროში მუშაობდა. იქ პატარა პოლონელი გოგო მომეწონა. ვიკითხე, როდის მიდიოდა და მეორე დღეს, სანამ იმ პოლონელებმა საქართველო დატოვეს, მე გავფრინდი და იქ დავხვდი. გადაირია ის გოგო. ასეთი სიგიჟე არაერთხელ გამიკეთებია. საზღვარგარეთ, სადაც ჩავიდოდი, ეგრევე ქალის საცვლების მაღაზიაში შევრბოდი და საყვარლებისთვის 300 დოლარიან საცვლებს ვყიდულობდი. თუ კაცი გქვია, ქალის გამო ყველაფერს გააკეთებ, მაგრამ ამ დროს კორექტული და თავდაჯერებული უნდა იყო. უნდა იცოდე, რა არის ქალის სილამაზე და სიყვარული.

— და რა არის სიყვარული?

— სიყვარული ის არის, რაც მე ვარ. ჩემ გარეშე სიყვარული არ არსებობს. მე თუ ვინმე შემიყვარდა, დამთავრებულია ყველაფერი...

— ამბობენ, ყველა ქალი ლამაზიაო. ეთანხმებით?

— არა. ყველა ქალი მაშინაა ლამაზი, როცა მის სილამაზეს კაცი ხედავს. ქალი კაცის გარეშე როგორ შეიძლება ლამაზი იყოს? პირველ ცოლს გავეყარე, მაგრამ მის სილამაზეს დღემდე ვუფრთხილდები. ხომ გითხარით, სულ მუდამ შეყვარებული ვარ და როგორ შეიძლებოდა, საყვარელი არ მყოლოდა? ჩემს ერთ ბიჭს ვუთხარი, იცოდე, ცოლი სხვაა და საყვარელი — სხვა-მეთქი.

— რაშია ეს განსხვავება?

— ცოლს მაინც ოჯახისა და ტრადიციების დაცვა მოეთხოვება და... რუსეთში

Cyan Magenta Yellow Black

რამდენი შვილი მყავს, რა ვიცი! ქალის შეურაცხყოფა არ შეიძლება. როცა ცოლთანაც გაქვს ურთიერთობა და საყვარელთანაც, სიყვარულს წონა და ზომა არ აქვს, ორივეს თანაბრად ეპყრობი.

— ორი ქალის ერთდროულად სიყვარული შეგიძლიათ?

— კი, რა თქმა უნდა! იმდენი მყვარებია ერთად... სხვადასხვა ქვეყნიდან ჩემ გამო ახლაც ჩამოდიან ქალები. ეს ყველაფერი ჩემმა მეუღლემ იცოდა კიდეც. სიყვარული ჯერ მამაკაცმა უნდა შეიძინოს.

— არ შეიძლება, ჯერ ქალს შეუყვარდეს?

— მე არ მქონია შემთხვევა, პირველად ქალს ეკოცნა ჩემთვის, ყოველთვის მე ვკოცნიდი. როგორ შეიძლება ქალმა დამიწყოს კოცნა? გადაირიეთ?! ქალს კაცმა უნდა აკოცოს პირველმა.

— თქვენს ცოლზე გვიამბეთ, როგორი მანდილოსანია.

— ჩემი მეორე ცოლი, კირა მებუკე, 16 წლის იყო, როცა ჩემს თეატრში მოვიდა. მახსოვს, ბერეტით როგორ ვარჯიშობდა. არ ვიცი, როგორ მომეწონა, როცა ყველა მეუბნებოდა, გააგდე, შეხედე, რას ჰგავსო. მე კი მაშინვე თვალი დავადგი. ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ ჩემთვის პატარა. მე 33-ს გადაცილებული ვიყავი, ის კი — 16 წლის.

— ასეთ პატარა გოგოს თვალი როგორ დაადგით?

— თქვენ, ქალებს, სულელური ფიქრები გაწუხებთ! მიგაჩნიათ, რომ ახალგაზრდა კაცებზე უნდა გათხოვდეთ, იმას კი არ ფიქრობთ, რომ ასაკს კი არა, სიყვარულს უნდა გაჰყვეთ ცოლად. სიყვარულმა ასაკი არ იცის. ახლაც ახალგაზრდები მიყვარს და რა ვქნა!

— ახლანდელ თაობაზე რას გეტყვით?

— რას გეტყვით და, ახლანდელი გოგოები ბიჭებს ყურადღებას საერთოდ არ აქცევენ, მაგრამ ბიჭებს ვუყურებ და ვხვდები, რომ არ არიან ღირსნი. ახლანდელი გოგონები ბიჭებთან ურთიერთობას თავს არიდებენ, არადა, მამაკაცის გარეშე სიცოცხლე, ხომ იცით, არ არსებობს. მაშინ გოგოები შეხვედრაზე ყოველგვარი წვალების გარეშე გვთანხმდებოდნენ. ქართველ ქალებში ჯერ კიდევ არის მონობის კომპლექსი. მშობლებმა იციან თქმა, უნდა გათხოვდეს, პატრონს უნდა ჩავაბაროო. 4 ბიჭი მყავდა 3 შვილიშვილი გოგო. მათთვის ზედმეტი არაფერი მითქვამს.

— თქვენს შვილიშვილებს რა რჩევებს აძლევთ?

— მათ ცხოვრებაში არც ვერევი და არც რჩევას ვაძლევ. სამი იდეალური რძალი მყავს. ყველანი ერთად ვცხოვრობთ. საღამოს სახლში რომ ვბრუნდები, რძლები თუ მოისურვებენ, მათთან ერთად ვვახშმობ და თან ორ ჭიქასაც ვაყოლებთ. მიყვარს რძლებთან ერთად დაჯდომა, მაგრამ მათ საქმეში ჩარევა — არა.

— ცოლთან როგორი ხართ?

— ძალიან უხეში. ჩემი ცოლი ცდილობს, მომთოკოს ხოლმე, მაგრამ ეს შეუძლებელია.

— უხეშობად რას მიიჩნევთ?

— ვგრძნობ, რომ ურთიერთობაში რაღაცას ვაკლებ. როცა დავქორწინდით, ცაში მყავდა, ყველაფერს ვუსრულებდი. მაშინ საჩუქრების კეთებაც ძალიან მიყვარდა. ახლა რატომღაც აღარ გამომდის. სამწუხაროდ, ქართველი მამაკაცები ცოტა უხეშები ვართ.

— რას უსურვებდით ქალს?

— კარგ სამზარეულოს და თბილ მამაკაცს. აუცილებელია, ქალი სამზარეულოში ტრიალებდეს. თუ საქმიანია და სამზარეულოსთვის ვერ იცლის, ამის პატიება კიდევ შეიძლება, მაგრამ არა — სისტემატურად. ქალს სამზარეულოში ტრიალი უხდება.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

გამშიკი გაძარცვეს

■ მარეკ გამშიკი

იტალიურ კლუბს „ნაპოლის“ სლოვაკი ნახევარმცველი, მარეკ გამშიკი, უსიამოვნო შემთხვევის მსხვერპლი გახდა. უცნობმა ბოროტმოქმედებმა ფეხბურთელი მისი გუნდის „სამპდორიასთან“ მატჩის შემდეგ გაძარცვეს. მათი მთავარი ნადავლი კი საათი გახდა.

ნეაპოლური გუნდი საკუთარ მოედანზე გენუის „სამპდორიას“ მასპინძლობდა და სერია ა-ს ლიდერ ტურინის „იუვენტუსთან“ ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირების შანსი ჰქონდა, მაგრამ მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. სლოვაკმა ფეხბურთელმა მოედანზე მთელი 90 წუთი გაატარა.

გამშიკს თავს მატჩის დასრულებისთანავე დაესხნენ, როდესაც ის ავტომობილში ჩაჯდა და ცოლის დასახვედრად აეროპორტისკენ გაემართა. სლოვაკ ფეხბურთელს გზა შეიარაღებულმა დამნაშავეებმა გადაუღობეს, მისი მანქანის მინა ჩაამსხვრიეს და პისტოლეტის მუქარით ძვირფასი ნივთების გადაცემა მოსთხოვეს.

თავად ფეხბურთელის თქმით, მძარცველებმა მას, პირველ რიგში, საათი წაართვეს, რომელიც, როგორც ჩანს, გამშიკისთვის ყველაზე ღირებული დანაკარგი აღმოჩნდა.

როდესაც დანაშაულის ადგილზე პოლიცია მივიდა, დამნაშავეები უკვე გაქცეულები დახვდათ. შესაძლოა ისინი გამშიკის ფანები იყვნენ, რომლებსაც სამახსოვროდ ფეხბურთელის კუთვნილი რომელიმე ნივთის მიღება სურდათ და თხოვნის მოერიდათ.

■ კეიტ აპტონი

კეიტ აპტონმა ბიკინი დაიხატა

უნიორთა შორის ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ცხენოსნობაში, ამჟამად ამერიკის ყველაზე პოპულარული მოდელი კეიტ აპტონი კინაღამ გაიყინა, როდესაც გამოცემა „Sport Illustrated Swimsuit“-თვის გამართულ ფოტოსესიაში მონაწილეობდა. კეიტი ჟურნალისთვის ფოტოსურათებს დედიშობილა იღებდა, ხოლო ბიკინი მას სხეულზე უბრალოდ დახატული ჰქონდა. რა თქმა უნდა, მოდელმა ინტრიგა შეინარჩუნა, ვინაიდან მისი სიშიშვლის შემჩნევა ერთი შეხედვით შეუძლებელი იყო.

— არ ვიცი, ამის ატანა როგორ შევძელი. ნულოვანი ტემპერატურის პირობებში ძალიან რთული იყო ფოტოკამერის წინ კარგი განწყობის შექმნა, მაგრამ ჩვენ ეს მაინც შევძელით, — განაცხადა ფოტოსესიის კომენტირებისას კეიტმა, — დედაჩემი ყველანაირად ცდილობდა, ამ ნაბიჯის გადადგმაზე უარი მეთქვა.

აპტონი ვერ შეაშინა ვერც ქარმა და ვერც თოვლიან-ყინულიანმა პეიზაჟებმა, ის ადვილად ახერხებდა შესაბამისი პოზების მიღებას და მოთმინებით ელოდა, სანამ სტილისტები ვარცხნილობას გაუსწორებდნენ.

გოგონა ახლა უკვე არა ბუნებაში, არამედ სტუდიაში პოზირებს საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი და ისიც სინამდვილეში მის სხეულზეა დახატული, მაგრამ ამის დაფიქსირება ძალიან ძნელია, თუ კარგად არ დააკვირდებით.

ჯეტი ჰხაისმა ბოდიბილდერი ქალი გააჯიტიჯა

■ ჯეტი ჰრაისი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მოთამაშის, დუაიტ იორკის ყოფილი შეყვარებული, ჯეტი ჰრაისი, საკმაოდ თავნება ქალია. ამ დღეებში სუპერმოდელმა მორიგი სკანდალი ააგორა: მკაცრად გააკრიტიკა ჯოდი მარში, ყოფილი ბოდიბილდერი, ამჟამად კი მაღალი წრის საზოგადოების წარმომადგენელი, რომლის მკერდი 2 კილოგრამი სილიკონითაა გამოტენილი.

მარშმა გასახდომი აბების საკუთარი ხაზი აამოქმედა და სწორედ ამან აღაშფოთა ჯეტი ჰრაისი.

— გახსოვთ მისი ისტორიები? თითქოს მისი სხეულის სილამაზის საიდუმლო ყოველდღიურ 8 საათიან ვარჯიშებში მდგომარეობდა. თითქოს ის ყოველდღე 15 კვერცხის ცილას იღებდა და პროტეინებით გამდიდრებულ კოქტეილებს აყოლებდა. ჰოდა, მეც მჯეროდა მისი. ახლა კი აღმოჩნდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თაყვანისმცემლებს ატყუებდა, — განაცხადა ექსპრესიულმა მოდელმა.

ჯერჯერობით მარშს ამ მკაცრ კრიტიკაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

✓ **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

Cyan Magenta Yellow Black

ეჭვიანი ქალი ხართ?

1. თუ თქვენმა პარტნიორმა ქუჩაში ზედმეტი ინტერესი გამოიჩინა უცნობი ქალის მიმართ, ქუჩაშივე მოუწყობთ სკანდალს?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

2. როცა საყვარელი მამაკაცი ვახშამზე აგვიანებს, დარწმუნებული ხართ, რომ ის სხვა ქალთან იყო?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

3. პარტნიორს სამუშაოსა და კოლეგებზე ესაუბრებით?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

4. თვლით, რომ თქვენ და საყვარელმა მამაკაცმა ყოველი თავისუფალი წუთი ერთად უნდა გაატაროთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

5. ის თქვენთვის ნათელი წერტილია ცხოვრებაში?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

6. ოდესმე მისი წერილები არ ელექტრონული ფოსტა თუ შეგიმოწმებიათ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

7. რაც უფრო ხშირად გესაუბრებათ თავის გრძნობებზე, მით ნაკლებად გჯერათ მისი?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

8. გსურთ, რომ მას მხოლოდ ის აინტერესებდეს, რაც თქვენ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

9. ყოველთვის ეკითხებით, სად მიდის და ვის უნდა შეხვდეს?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

10. თუ გაგანაწყენათ, რამდენიმე დღე არ ელაპარაკებით ერთმანეთს?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

11. მის ყოფილ ქალებზე ეჭვიანობთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

12. როცა საყვარელი მამაკაცი გიმტკიცებთ, რომ თქვენზე არ ეჭვიანობს, რადგან გენდობათ, ეს თქვენთვის ნიშნავს, რომ აღარ უყვარხართ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

შედეგები:

10 და მეტი ქულა — ავადმყოფურად ეჭვიანი ბრძანდებით. ნუ ფიქრობთ, რომ თუ რჩეულს უყვარხართ, ის ავტომატურად თქვენი საკუთრება უნდა გახდეს. თავს არც ისე მიმზიდველად თვლით და გგონიათ, რომ საყვარელი მამაკაცი პირველივე ლამაზმანთან გაიქცევა. არაფერში ხართ დარწმუნებული, განსაკუთრებით მის გრძნობებში. დაფიქრდით ამაზე, არ შეიძლება ასეთი ეჭვიანი და აგრესიული იყოთ, ამან შესაძლოა კონფლიქტებამდე და ურთიერთობის დანგრევამდე მიგიყვანოთ.

5-9 ქულა — ეჭვიანობა გაცილებით მობილიზებულს გხდით, მაგრამ მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება მისი ზემოქმედება. პერიოდულად სკანდალებსაც აწყობთ, მაგრამ როცა დამშვიდდებით, ხვდებით, რომ ეჭვიანობის არანაირი საბაბი არ გქონდათ.

5 ქულაზე ნაკლები —ეჭვიანობის გრძნობა თქვენთვის უცხოა, მაგრამ პერიოდულად შიში, ფორიაქი გეძალებათ და ნეგატივი გიგროვდებათ. გირჩევთ, საკითხები, რომლებიც გაწუხებთ, პარტნიორთან ერთად განიხილოთ მშვიდ და კომფორტულ ვითარებაში.

ბოლომდე ენდობით საკუთარ მეხსიერებას?

1. შეგიძლიათ ადვილად დაიმახსოვროთ 5 ტელეფონის ნომერი?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

2. ოდესმე საქმიან შეხვედრაზე წასვლა დაგვიწყებიათ?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

3. შეგიძლიათ გაიხსენოთ, სად ისადილეთ 3 დღის წინ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

4. გახსოვთ, ვინ იყო თქვენი პირველი მეგობარი?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

5. პირველი სიყვარული გახსოვთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

6. გახსოვთ, როგორ წახვედით პირველად სკოლაში?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

7. შეგიძლიათ ბავშვობაში ნასწავლი რომელიმე ლექსი ზეპირად თქვათ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

8. შეგიძლიათ გაიხსენოთ სამოსი, რომელსაც 10 წლის წინ ატარებდით?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

9. სანამ ახლო მეგობარს დაურეკავთ, მანამ უბის წიგნაკში უნდა ჩაიხედოთ, რათა მისი ტელეფონის ნომერი გაიხსენოთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

10. გახსოვთ, რა ერქვა თქვენს პირველ მასწავლებელს?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

11. გარკვეული არომატები ბავშვობისდროინდელ ადგილებს გახსენებთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

12. გახსოვთ გზა, რომლითაც სკოლაში დადიოდით?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

13. ახლობლებისა და მეგობრების დაბადების დღეები გახსოვთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

შედეგები:

0-8 ქულა —მეხსიერებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნით. ხშირად მნიშვნელოვან შეხვედრაზე წასვლაც კი გავიწყდებათ. სამაგიეროდ ამას ერთი პლუსიც აქვს — ადვილად ივიწყებთ უსიამოვნებებს და საკუთარ შეცდომებსაც.

8-13 ქულა —არაჩვეულებრივი მეხსიერება გაქვთ, რომლის ნდობაც ბოლომდე შეგიძლიათ. ეს კარგია თქვენი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

1			3					6
		7		5		4		
	5					9		8
	3				4			
				1				7
9			5			1		2
		4		7			8	
	8					3	6	
2			6		9			

№ 2

	6					9		1
		2	3				4	
7					8			5
	3			8				7
9		1	7					
	4			5			6	
		8			9	6		3
	5				7		1	
4				2		8		

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

ურთიერთობები კარგად გამოგდით?

1. ნერვიულობთ, როცა მნიშვნელოვანი შეხვედრის მოლოდინში ხართ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

2. თუ შეხვედრაზე სიტყვით ხართ გამოსასვლელი, ამის გამო დისკომფორტს გრძნობთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

3. ექიმთან ვიზიტს ბოლო მომენტამდე დებთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

4. თუ თქვენთვის უცხო ქალაქში გიშვებენ მივლინებაში, ეცდებით, გამგზავრებას თავი აარიდოთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

5. თქვენს აზრებს და გრძნობებს სხვებს უზიარებთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

6. ღიზიანდებით, როცა ქუჩაში თქვენთვის უცნობი ადამიანები შეკითხვით მოგმართავენ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

7. თვლით, რომ სხვადასხვა თაობის ადამიანები ცუდად უგებენ ერთმანეთს?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

8. გაგიჭირდებათ, მოვალეს უთხრათ, რამდენიმე თვის წინ ნასესხები ფული დაგიბრუნოთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

9. კაფეში უხარისხო საკვები მოგიტანეს, გაჩუმდებით და არაფერს შეიმჩნევთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

10. უცნობ ადამიანს პირველი თქვენ გამოელაპარაკებით?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

11. როცა რაღაცას ყიდულობთ და ხედავთ, რომ დიდი რიგი დგას, ჩადგებით მასში?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

12. გსიამოვნებთ სხვების კონფლიქტის დროს მომრიგებელი მოსამართლის როლში ყოფნა?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

13. ხელოვნების ნიმუშებს ყოველთვის თქვენეულად აფასებთ და სხვათა აზრს არ უსმენთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

14. თქვენთვის კარგად ნაცნობი თემის ირგვლივ მავანმა მცდარი აზრი გამოთქვა, არაფერს ეტყვით და გაჩუმდებით?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

15. ღიზიანდებით, როცა გთხოვენ, სამუშაოს შესრულებაში ან სწავლაში დაეხმაროთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

16. გირჩევნიათ, თქვენი აზრი ქაღალდზე, წერილობით ჩამოაყალიბოთ?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0
გ) ხანდახან — 1

შედეგები:

30-31 ქულა — არაკომუნიკაბელური ბრძანდებით და ამის გამო, პირველ რიგში, თავადვე ზარალდებით. გარშემომყოფებსაც არანაკლებ უჭირთ თქვენთან ურთიერთობა, რადგან, როცა საერთო საქმის შესრულებაზეა საუბარი, სერიოზულად იბნევით. რატომ გიჭირთ ასე გარშემომყოფებთან ურთიერთობა? ნუთუ არავინაა ირგვლივ ისეთი, ვინც დაგაინტერესებდათ და ვისაც გულს გადაუშლიდით? ეცადეთ, ახლობლებს მეტი შეკითხვებით მიმართოთ, მოისმინოთ მათი აზრი, გაუზიაროთ თქვენი... დროთა განმავლობაში მიხვდებით, რომ ურთიერთობა არც ისე რთული და საშიშია.

25-29 ქულა — უთქმელი, ჩუმი ადამიანი ხართ, ხმაურიან საზოგადოებას მარტოობა გირჩევნიათ. ახალი სამსახური და ახალი ნაცნობები დისკომფორტს გიქმნიან. თქვენი ხასიათის ამ თვისების შესახებ მშვენივრად იცით და საკუთარ თავზე ბრაზიც კი მოგდით. გაიხსენეთ, როგორი სიამოვნებით შედიხართ კონტაქტში, როცა თქვენთვის საინტერესო თემაზეა საუბარი. გამოდის, როცა გინდათ, ურთიერთობის პრობლემა არ გაქვთ და ამას მშვენივრად ახერხებთ. რატომ არ შეიძლება, ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში განახორციელოთ?

19-24 ქულა — მთლიანობაში აქტიური, ურთიერთობების მოყვარული ადამიანი ხართ. ახალი გარემო და პრობლემები არ გაშინებთ. მიუხედავად ამისა, ადამიანებს სიფრთხილით ეკიდებით და კონტაქტში ნელ-ნელა შედიხართ.

14-18 ქულა — კომუნიკაბელურობის თვალსაზრისით, ყველაფერი წესრიგში გაქვთ. მომთმენი, ინტერესიანი ადამიანი ბრძანდებით, თანამოსაუბრეს ყურადღებით უსმენთ, საკუთარ აზრს მშვიდად და დალაგებულად გადმოსცემთ. ახალ ადამიანებთან შეხვედრა უსიამოვნო განცდებს არ გიტოვებთ, მაგრამ ხალხმრავალი, ხმაურიანი კომპანიები, ენაჭარტალა ხალხი გაღიზიანებთ.

9-13 ქულა — საკმაოდ აქტიური ბრძანდებით. თქვენი ენაწყლიანობა, ცნობისმოყვარეობა და ფეთქებადი ხასიათი ბევრს აღიზიანებს და თვლიან, რომ ქარაფშუტა ხართ. ადვილად შედიხართ კონტაქტში უცნობებთან, მოგწონთ ხალხმრავალი კომპანიები, მით უფრო, თუ ყურადღების ცენტრში თქვენ ხართ. არ გაწყენდათ, ცოტა დადინჯებულიყავით და მოთმინების უნარიც გამოგემუშავებინათ.

4-8 ქულა — ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველას იცნობთ და ყველაზე ყველაფერი იცით. გიყვართ მონაწილეობის მიღება ნებისმიერ განხილვაში, მაგრამ სერიოზული თემები მოსაწყენად გეჩვენებათ. იმ შემთხვევაშიც კი გამოთქვამთ საკუთარ აზრს, როცა მთლად კომპეტენტური არ ხართ იმ თემის ირგვლივ, რომელზეც საუბარია. ნებისმიერ საქმეს ხელს ჰკიდებთ, მიუხედავად იმისა, შეგიძლიათ თუ არა მისი შესრულება და ბოლომდე მიყვანა. სწორედ ამიტომ ხელმძღვანელები და კოლეგები ბოლომდე არ გენდობიან და არ სურთ თქვენთან ერთად რამის კეთება.

3 ქულა და ნაკლები — თქვენი კომუნიკაბელურობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ენაჭარტალა, უხვსიტყვიანი, ფეთქებადი, ხშირად არაობიექტური ბრძანდებით და ადვილადაც ნაწყენდებით. ისეთ საქმეშიც გიყვართ ცხვირის ჩაყოფა, რომელიც არანაირად გეხებათ. თავს უფლებას აძლევთ, იმ პრობლემებზე ისაუბროთ, რომლებშიც საერთოდ ვერ ერკვევით. ხშირად თქვენ გამო კონფლიქტებიც ღვივდება. სერიოზული სამუშაოს შესრულება არ შეგიძლიათ. ადამიანებს თქვენთან ურთიერთობა ძალიან უჭირთ. გირჩევთ, მოთმინების უნარი, თავშეკავებულობა გამოიმუშაოთ და გარშემომყოფების პატივისცემა ისწავლოთ.

Cyan Magenta Yellow Black

როგორ ავიცილოთ ინფარქტი

სტატისტიკის მიხედვით, დედამიწაზე ყოველ 34 წამში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით ერთი ადამიანი იღუპება, ხოლო ათობით მილიონი გულის იშემიური დაავადებით იტანჯება. გულის იშემიური დაავადება — ეს არის ქრონიკული ავადმყოფობა, რომელიც განპირობებულია გულის კუნთის სისხლით არასაკმარისად მომარაგებით, სხვა სიტყვებით, მისი იშემიით. მწვავე იშემიური დაავადების ყველაზე მძიმე და გავრცელებული ფორმა მიოკარდის (გულის კუნთი) ინფარქტია.

რისკის ფაქტორები

გამძლეობის დიდი მარაგის მიუხედავად, ადამიანის გული საკმაოდ ნაზი და სუსტი ორგანოა. მის მუშაობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორების უზარმაზარი რაოდენობა, რაც გულის დაავადებების აღმოცენებას ბიძგს აძლევს.

გულის იშემიური დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია:

1. ასაკი. მიჩნეულია, რომ გულის დაავადებების სიხშირე ასაკთან ერთად პირდაპირპროპორციულად იზრდება. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში დაავადება სულ უფრო ხშირად გვხვდება ახალგაზრდებში.

2. მამრობითი სქესი. გულის დაავადებები ქალებში რამდენიმე წლით გვიან ვლინდება, ვიდრე მამაკაცებში, თუმცა ეს სხვაობა თანდათან სულ უფრო მცირდება.

3. სტრესი. 7-ჯერ უფრო მეტად არიან მიდრეკილები ადამიანები დაავადებებისკენ, რომლებსაც დაძაბულობა, დაბალი თვითშეფასება და დროის მუდმივი უკმარისობა ახასიათებთ.

4. ჭარბი წონა. 10%-ით ჭარბი წონა გულის დაავადებების, მათ რიცხვში იშემიური დაავადების ალბათობას 10 %-ით ზრდის.

5. არასწორი კვება. თქვენს მაგიდაზე ხილისა და ბოსტნეულის არასაკმარისი რაოდენობის გამო გულთან პრობლემების რისკი 1/3-ით იმატებს.

6. ტემპერატურისა და ატმოსფერული წნევის დაცემა. არასასურველი ამინდი გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს ამ სფეროში პრობლემები უკვე აქვს, სტრესია.

საშიში სიმპტომები

გულის იშემიური დაავადების ყველაზე ტიპური ნიშნებია: ტკივილი მკერდის უკან, რომელიც სტრესისა და ფიზიკური დატვირთვის შემდეგ ძლიერდება, ქოშინი, გულის წყვეტილი რიტმი, შეშუპება, სისუსტე. თითოეული სიმპტომი სერიოზული საბაბია იმისთვის, რომ ექიმს მიმართოთ.

მკურნალობა

სამწუხაროდ, ჩამოთვლილი რისკფაქტორების უმეტესობა, ბევრისთვის ყოველდღიური რეალობა გახდა. ამიტომ არ ღირს დაელოდოთ გულსა და სისხლძარღვებთან პრობლემებს, ეცადეთ, იშემიური დაავადების განვითარება თავიდან აიცილოთ.

გულის იშემიური დაავადების მკურნალობა რთულია, მოიცავს წამლისმიერ თერაპიას, დიეტას, ცხოვრების წესის კორექციას, ზოგჯერ კი საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევა.

პირველ რიგში, აუცილებლად იზრუნეთ იმაზე, რომ თქვენს რაციონში იყოს საკმარისი რაოდენობით ვიტამინები და მიკროელემენტები. გულსა და სისხლძარღვებს რომ დაეხმაროთ, საჭიროა დაბალანსებული კვება, მეტი ხილისა და ბოსტნეულის მიღება. თუმცა ეს საკმარისი არ არის. საქმე ისაა, რომ გადამუშავებისა და რაფინირების პროცესში ბევრი საკვები პროდუქტი სასარგებლო ნივთიერებებს კარგავს. ხოლო სხვადასხვა დაავადებები, მაგალითად, გასტრიტი ან კუჭის წყლული ორგანიზმის მიერ ვიტამინების ათვისებას აბრკოლებს. სწორედ ამიტომ, კარგი თვითშეგრძნების შესანარჩუნებლად, საჭიროა ვიტამინური კომპლექსების მიღება, რომელსაც ექიმი შეგირჩევთ.

პროფილაქტიკა

პროფილაქტიკურ ღონისძიებებს შორის შეიძლება გამოვყოთ ისეთები, როგორიცაა: ნიკოტინზე უარი; კვების კორექცია — ნაჯერი ცხიმების, მარილის მოხმარების შემცირება, ალკოჰოლზე უარი, რაციონში ხილისა და ბოსტნეულის გაზრდა; ფიზიკური აქტივობის ამაღლება (რეკომენდებულია სიარული, ცურვა, ველოსიპედით სვლა 20-30 წუთი კვირაში 4-5-ჯერ); არტერიული წნევის კონტროლი (ოპტიმალურად ითვლება არტერიული წნევა 140/90 მმ-ზე ქვევით); წონის დაკლება, თუ ზედმეტი კილოგრამები გაქვთ; სისხლში შაქრის კონტროლი; ვიტამინების კომპლექსისა და წამლისმიერი პრეპარატების მიღება, რომლებიც დაავადებების განვითარებას თავიდან აგაცილებთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

ყვირილის სამკურნალო ძალა

გასული საუკუნის 60-იან წლებში ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დაამუშავეს ყვირილის ახალი თერაპია. რით არის სასარგებლო ყვირილი?

თანამედროვე საზოგადოებაში ჩარჩოებში მოქცეული ადამიანები, ხშირად ნეგატიურ ემოციებს გულში მარხავენ. ეს ადრე თუ გვიან ჯანმრთელობაზე აისახება, როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე ფიზიკურად. შინაგანი დაძაბულობისგან რომ გათავისუფლდეთ, ე.ი. მრავალ ფსიქოსომატურ დაავადებებს გაუმკლავდეთ, რეკომენდებულია ყვირილის თერაპიის სეანსების მოწყობა. ამისთვის საჭიროა დროდადრო თავი არ შეიკავოთ და მთელი ძალით იყვიროთ. ეს არ ნიშნავს ვინმეს უყვიროთ და სალანძღავი სიტყვები გამოიყენოთ. უბრალოდ ერთმანეთთან დაუკავშირებული ხმოვანი ბგერები წარმოთქვით. ასეთი სეანსის შემდეგ შვებასა და სიცარიელეს იგრძნობთ, თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მოიხსენით.

იპოვეთ განმარტოებული, მყუდრო ადგილი, უმჯობესია ბუნებაში, მდინარესათან, ტყეში. შეგიძლიათ სახლშიც იყვიროთ — სახე ბალიშში ჩარგეთ, მეზობლები რომ არ შეაშინოთ. მთავარია, თავი არ შეიკავოთ. ყვირილში მთელი დღის განმავლობაში დაგროვილი ყველა ნეგატიური ემოცია ამოაფრქვიეთ. სეანსის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მხოლოდ თქვენს შინაგან შეგრძნებებზე. ზოგისთვის საკმარისია 5 წუთი, შვება რომ იგრძნოს. ზოგს შეიძლება ისეთი დაძაბულობა დაუგროვდა, რომ უფრო ხანგრძლივი ყვირილის თერაპია ესაჭიროება. სხვათა შორის, ეს მეთოდი თავშეუკავებლობის დაძლევაში ეხმარება იმ ადამიანებს, რომლებსაც გარშემმყოფებზე ჯავრის ამოყრა უყვართ. სწორედ სხვა ადამიანებზე მიმართულმა ღვარძლმა შეიძლება დაავადებები აღმოაცენოს.

ხალხური მეთოდები სლოკინის წინააღმდეგ

სლოკინის ხშირი, მტანჯველი შეტევისგან რომ გათავისუფლდეთ, პირველ რიგში, მისი გამომწვევი მიზეზები უნდა გაარკვიოთ. ყველაზე ხშირად სლოკინი აღმოცენდება სტრესის, ორგანიზმის გადაციების, კუჭის გადავსების ან ალკოჰოლის გამოყენებისას. თუ გამოკვლევების შედეგად არ აღმოგაჩნდათ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ან სხვა ორგანოების პათოლოგიის ნიშნები, რომლებთანაც შეიძლება დაკავშირებული იყოს სლოკინის შეტევები, შეგიძლიათ მკურნალობის ხალხური საშუალებები მოსინჯოთ.

50 გრამ დაქუცმაცებულ თავშავას 0,5 ლიტრი მცენარეული ზეთი დაასხით, 12 საათი სითბოში დადგით, გამოწურეთ. ზეთოვანი ექსტრაქტი ყელზე გარედან წაისვით. ასევე 5-7 წვეთი თბილ წყალში გაზავებული, დღეში 4-5-ჯერ მიიღეთ.

1 ჭიქა ოდნავ თბილ წყალში 1 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი ჩაუმატეთ. მზა ხსნარი დიდი ყლუპების სწრაფად დალიეთ.

სლოკინის დროს, პირველი დახმარების სახით, რეფლექტორული ზემოქმედების მეთოდები გამოიყენეთ: თვალის კაკალს ხელი დააჭირეთ; სასა ენით ენერგიულად დაიზილეთ; სუნთქვა რაც შეიძლება დიდხანს შეიკავეთ, ამავდროულად ნეკისა და ცერა თითის ბოლოები (თითოეულ ხელზე) წრედ შეკარით. სლოკინი მალე გაივლის.

Cyan Magenta Yellow Black

გვპასუხობს ექიმი



— რა სიმპტომები აქვს შუაქრო დიაბეტის და რა ანალიზი უნდა გავიკეთო ამის დასადგენად?

— შუაქრო დიაბეტის დროს პაციენტს აქვს გაძლიერებული მოთხოვნილება წყალზე და ასევე დიდი რაოდენობით გამოყოფს სითხეს. შუაქრო დიაბეტისთვის დამახასიათებელია უძილობა, ნერვული აშლილობა. ამ დაავადების გამომწვევია ჰიპოფიზის ჰორმონის, ვაზოპრესინის გამოყოფის დარღვევა. გამოკვლევის დროს საჭიროა სისხლში ამ ჰორმონის კონტროლი, დაავადების სწორი დიაგნოსტირებისათვის ზოგჯერ თავის ტვინის ტომოგრაფიული კვლევაც არის საჭირო.

— 13 წლის გოგონა ძალიან ნერვიულია, ვის მივმართოთ?

— მიმართეთ ბავშვთა ნერვოპათოლოგს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ენდოკრინოლოგ-გინეკოლოგის კონსულტაციაც გახდეს საჭირო.

**— მყავს 3 წლის ბიჭი, არ ლაპარაკობს, სიტყვებსაც არ იმეორებს, პატარა ბავშვივით ღეღეუნებს. არის ძალიან ცხრიანი, სმენაც აქვს. ჩვილობისას გადატანილი აქვს სიყვითლე, მომატებული ჰქონდა ბილირუბინი. შეიძლება მიზეზი ეს იყოს? თავის ასაკთან შედარებით ჩამორჩენილია, ს

1. მატერიის არსებობის ერთ-ერთი ფორმა; 2. მსხვილი მახრჩობელა გველი; 3. ... ბოტიჩელი; 4. რუსეთის მომღერალი ქალი; 5. ფუჭი, უნაყოფო; 6. ცოლისდის ქმარი; 7. მსხვილი დასახლება; 8. ფართო წარმომადგენლობითი კრება; 9. დიაპოზიტივი; 10. ... პრუსტი; 11. გამის პირველი ძირითადი ბგერა; 12. „კილიმანჯაროს თოვლიანი ...“; 13. იტალიური ღვეზელი; 14. სილის გორაკი უდაბნოში; 15. მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობი; 16. ცხვრის ტყავის პარკი; 17. ხალხური ჩასაბერი საკრავი; 18. ყაიმი; 19. დიდი სახაზავი; 20. მდინარე შვეიცარიაში; 21. ქალაქი-პორტი უკრაინაში; 22. მხარე, მიდამო; 23. გამაგრილებელი სასმელი; 24. ვულკანი ინდონეზიაში; 25. ველური ცხვარი; 26. დაბალი ჩინის სამხედრო პირი ძველ რუსეთში; 27. ველური ვირი; 28. ჟარგონული მიმართვა; 29. ... ნორისი; 30. უგონო მდგომარეობა; 31. ... ხაიამი; 32. სამეტყველო ორგანო; 33. ხემიანი საკრავი; 34. ძველი ბირმის დედაქალაქი; 35. თაღი; 36. ... კურაპალატი; 37. მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა; 38. აზერბაიჯანელი პოეტი; 39. ხურდა ფული ნორვეგიაში; 40. ტელეგადაცემა „წითელი ...“; 41. ცხენის კუდის ბეწვი; 42. ქუთაისი ძველად; 43. ზღვის დიდი კიბო; 44. მშრალ კედელზე წყლიანი საღებავებით შესრულებული ნახატი; 45. გადამდები სნეულებით დაავადებულთა იზოლაცია; 46. რადიოაქტივობის საზომი ერთეული; 47. ... ასათიანი; 48. ჰავა; 49. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა; 50. კორეული ავტომობილი; 51. პატარა ლირიკული არია; 52. პორტუგალიური მაგარი ღვინო; 53. ... კოკოჩაშვილი; 54. მოკლე ანეკდოტი ანტიკურ რიტორიკაში; 55. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ერთდროული ჟღერა; 56. ტიბეტური ხარი; 57. უარყოფითი პასუხი; 58. ადამიანის ზედა ნაწილის ქანდაკება; 59. ავადმყოფური მისწრაფება რაიმესადმი; 60. ღვინისა და მხიარულების ღმერთის დიონისეს მხლებელი.



სიტყვა-კოდი

1	2	3	4	5	6

მამაკაცების გურულ-აფარული ჯგუფური ცეკვა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. გაგრია; 2. სირია; 3. სეანსი; 4. სოლ; 5. მორალი; 6. ჩხა; 7. მიტუა; 8. აჩაჩა; 9. მური; 10. მარში; 11. ლემური; 12. ტუია; 13. ლაპი; 14. რძალი; 15. იარა; 16. „ბაღლინჯო“; 17. პატრიარქატი; 18. ინა; 19. არტერია; 20. ჟინჟღლი; 21. ატრიბუტი; 22. იან; 23. ტო; 24. კოალა; 25. იარ; 26. ნაირა; 27. ტეკილა; 28. ეტი; 29. კაპრალი; 30. კანფეტი; 31. ნიანგი; 32. ატრია; 33. ზრო; 34. აქტიორი; 35. რეა; 36. ალალია; 37. უჯრა; 38. ეტლი; 39. სია; 40. „ალანია“; 41. კამუფლაჟი; 42. პრომილე; 43. ნადიმი; 44. აპლიკატა; 45. პაიკი; 46. იზა; 47. კოლიტი; 48. ირისი; 49. მინარეთი; 50. მოკასინი; 51. აპრილი; 52. კაპასი; 53. ძაძა; 54. სი; 55. ბაღნარი; 56. ბადაგი; 57. ბოღაზი; 58. რა; 59. თეატრი; 60. ნაპირი; 61. პეტრა. **სურათებზე:** რეზო ჩხეიძე; ელდარ შენგელაია; გიორგი შენგელაია; რეზო ესაძე.

ჯოდი: ღარღლი.

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. საწინდარი
2. გონებრივი თამაში
3. ეგვიპტელთა მზის ღმერთი
4. ტყის მსხალი
5. წამოსასხამი
6. რისამე საბაზრო ფასი
7. ერთგვარი კანფეტი
8. მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანა შეჯვარებით
9. პირადობის საბუთი
10. სატურნის თანამგზავრი
11. სიგარეტივით რომ ეწევიან
12. სპორტული ჯილდო
13. ... ემხვარი
14. ინგლისური ლუდი
15. ... დეპარდიე
16. გულისრევის წამალი
17. „... პირველი“
18. ძვირფასი ლითონი
19. ჰერას ქურუმი ქალი
20. აეროპორტი პარიზში
21. ყვავილი
22. ტაბლეტი



წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ლი; 2. მე; 3. ეტა; 4. კეკელიძე; 5. კითარა; 6. ატაშე; 7. ქურქი; 8. „იმედი“; 9. მიმინო; 10. ალ; 11. იდეა; 12. ნეო; 13. ქერი; 14. პედიატრი; 15. მა; 16. ტატუ; 17. „მოპრა“; 18. აორტა; 19. აბრა; 20. ამება; 21. პა; 22. რე.**სურათებზე:** ვიდეოკამერა; ფოტოაპარატი; პროჟექტორი; მეგაფონი.

Cyan Magenta Yellow Black

გაუშვით წარსული და წადით წინ!

ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში იყო მოვლენები, ადამიანები, გრძნობები, რომლებმაც სულში წარუშლელი კვალი დატოვა. ზოგიერთ ადამიანი სასიამოვნო მოგონებებს მშვიდად ინახავს, ზოგიც ამ მოგონებებით ცხოვრებას აგრძელებს და წარსულში რჩება. ასეთ ნებაყოფლობით პატიმრობაში ცხოვრებას კარგი არაფერი მოაქვს. ნაცვლად იმისა, რომ ცხოვრებაში წინ წავიდეს, დასახულ მიზნებს მიაღწიოს, ახალ ადამიანებს შეხვდეს, პიროვნება წარსულ მოგონებებს „ცოხნის“, თავში მათი განვითარების ყველაზე უაზრო ვარიანტებზე მუშაობს და ცდილობს, დაიბრუნოს ისინი, ვინც წარსულში დარჩნენ. თუ ამ „თვითგვემას“ დროულად არ შეწყვეტთ, შეიძლება 50, 30, 18 წლის ასაკში მორალურად მოკვდეთ, თუნდაც ფიზიკურად 100 წლამდე იცოცხლოთ. თუ როგორ გამოეთხოვოთ წარსულს, ამაში ფსიქოლოგთა რჩევები დაგეხმარებათ.

გაშვება

ეს მეთოდი იდეალურად მიესადაგება მათ, ვისთვისაც ვიზუალური გამოსახულებები პრიორიტეტულია. ქაღალდზე გადაიტანეთ ცხოვრების ის პერიოდი, რომელშიც „გაიჭედეთ“. ეს შეიძლება იყოს მოვლენების მოკლე აღწერა, ადამიანის სახელი (ან მისი ფოტოსურათი), ნახატი ან რაიმე სიმბოლო. მთავარია, თქვენს „სამუშაოში“ ყველა მოგონება უდანაკარგოდ შეიტანოთ. შემდეგ მაღაზიაში სათამაშო გემი ან ნავი შეიძინეთ (შეგიძლიათ მუყაოსგან თავად მოამზადოთ). თქვენი ნამუშევარი შიგ ჩადეთ და შორეულ ნაოსნობაში გაუშვით. მდინარეში ან ნაკადულში შეაცურეთ, ხელი დაუქნიეთ, მადლობა გადაუხადეთ ყველაფრისთვის, რაც იყო და ბედნიერი ნაოსნობა უსურვეთ. იქაურობას უყოყმანოდ და უკანმოუხედავად გაეცალეთ. მაშ ასე, წარსული გაქრა და მის უკან დაბრუნებას უკვე ვეღარ შეძლებთ.

ამოფრქვევა

ხშირად რაიმე მოვლენა ან განცდა სიმშვიდეს გვიკარგავს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენში ვინახავთ, მის შესახებ არავის ვუყვებით. ეცადეთ, ეს საქმე გამოასწოროთ.

უმჯობესია, მოვლენის გმირს ესაუბროთ, გული გადაუშალოთ: პატიება სთხოვოთ ან უთხრათ, რომ მიუტევეთ. ოღონდ ჯერ დაფიქრდით: წარსულის გახსენებით ადამიანს ტკივილს ხომ არ მიაყენებთ, პრობლემებს ხომ არ შეუქმნით? ყველაფერი წინასწარ კარგად აწონ-დაწონეთ. ან მასთან სასაუბროდ წადით, ან იპოვეთ სხვა მსმენელი, მაგრამ გააფრთხილეთ: გესაჭიროებათ, მხოლოდ მოგისმინონ, საპასუხოდ არავითარი საყვედურები, რჩევები, მსგავსი ისტორიების მოყოლა. თუ საუბარი არ ხერხდება, თქვენი ისტორია ქაღალდზე გადაიტანეთ ან დიქტოფონზე ჩაიწერეთ. ვიღაცისთვის შვების მომტანია ამ ჩანაწერის გადაგდება, ვიღაცისთვის — შენახვა. მთავარია, მუდამ არ გადაიკითხოთ და არ მოუსმინოთ.

გენეიალური დაღაგება

ხშირად წარსულში დაბრუნებას გვაიძულებს ნივთები და გარემო ვითარება, რომელიც გარდასულ დღეებს მუდამ გვაგონებს. შემთხვევითი არ არის, რომ განქორწინების შემდეგ ზოგიერთი ადამიანი საცხოვრებლად სხვა ქალაქში გადადის ან ბინას იცვლის. თუ გლობალური ცვლილებების განხორციელება თქვენთვის ხელმიუწვდომელია, უბრალოდ გათავისუფლდით ყველაფრისგან, რაც წარსულთან გაკავშირებთ. აუცილებელი არ არის იმის გადაგდება, რაც თქვენთვის ძვირფასია. შეგიძლიათ, ფოტოსურათები, საჩუქრები შეკრათ, ერთ ყუთში მოათავსოთ და თვალისგან მოფარებულ ადგილას შეინახოთ (მაგალითად, ანტრესოლში). ამგვარად, თქვენთვის ყველაფერი ძვირფასი ისევ თქვენთან დარჩება, მაგრამ თვალში აღარ მოგხვდებათ, თქვენს ახლანდელ ცხოვრებაში აღარ ჩაერევა.

ინკუბენტაცია

რაციონალურად მოაზროვნე ადამიანები ალბათ ამ რჩევას მიჰყვებიან. ის თავთან შინაგან დიალოგს ეფუძნება. დიალოგის არსი გასაგებია: თავი უნდა დაარწმუნოთ იმაში, რომ წარსული — ეს არის წარსული, მისი არც დაბრუნება შეიძლება და არც შეცვლა. წარსული სწორედ ასეთი რომ არ ყოფილიყო, თქვენი ახლანდელი ყოფა სხვაგვარი იქნებოდა. ეს ნიშნავს, წარსულიდან დასკვნები გააკეთოთ, გაკვეთილი მიიღოთ და დახუროთ, როგორც წაკითხული გვერდი. მომხდარში რამდენიმე პლუსი იპოვეთ, ასევე მინუსიც. დაფიქრდით, მომავალში რისი შეცვლა შეგიძლიათ.

ქვემომოყვანილი მტკიცებულებებიდან ერთი ან ორი შეარჩიეთ, რომლებსაც ეთანხმებით და გულში ან ხმამაღლა წარმოთქვით, როდესაც ამის საჭიროება აღმოცენდება:

„ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა არ შეიძლება“.

„მე ცხოვრების ეს ეტაპი გავიარე და ახალში შევაბიჯე“.

„წარსული — ეს არის ცხოვრების კიბის ერთი საფეხური“.

„მადლობელი ვარ ჩემი წარსულის როგორც კარგისთვის, ასევე ცუდისთვის, მაგრამ მას ჩემგან ვუშვებ და წინ მივდივარ“.

„წარსულის გარეშე მომავალი არ იქნებოდა, მაგრამ წარსული წარსულად უნდა დარჩეს“.

რატომ გვეშინია თეთრი ხალათის

ადამიანები, განსაკუთრებით ხანდაზმულები, მიუხედავად იმისა, რომ თავს კარგად არ გრძნობენ, ექიმთან მისვლას უფრთხიან. შიშობენ, რომ უცებ შეიძლება რაიმე სერიოზული დაავადება აღმოაჩნდეთ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. სამედიცინო სტრესთან.

ზოგიერთი ფსიქიატრი დარწმუნებულია, რომ ამ ფსიქოლოგიური გამოვლენის ფესვები ღრმა ბავშვობიდან მოდის და დაკავშირებულია ამქვეყნად დაბადების მომენტთან. ფაქტობრივად, პირველი, რასაც ბავშვი ხედავს — ეს არის ადამიანი თეთრ ხალათში. ღრმა ელდის ფონზე ეს გამოსახულება მის ცნობიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდება და ყოველთვის რაღაც საშიშს უკავშირდება.

სამედიცინო სტრესი ამა თუ იმ ხარისხით ყველა ადამიანისთვის, მათ რიცხვში თვით ექიმებისთვისაც დამახასიათებელია. ამიტომ ვიგონებთ ექიმთან არმისვლის უამრავ მიზეზს — დროის უქონლობით დაწყებული და შესაძლებელი დაავადების არსებობის შეტყობის სურვილის არქონით დამთავრებული.

შიშის დაძლევის ერთადერთი საშუალება — ეს არის მის არსებობას შეურიგდეთ, მისი არაკონსტრუქციულობა გააცნობიეროთ და ექიმთან მიხვიდეთ. გახსოვდეთ, თქვენი დღეგრძელობა და კარგი თვითშეგრძნება მნიშვნელოვანია არამხოლოდ პირადად თქვენთვის, ასევე თქვენი საყვარელი ადამიანებისთვის. მათი სიყვარული ექიმის თეთრი ხალათის შიშის დაძლევაში დაგეხმარებათ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ქართული ანეკდოტები



— ფრთხილად იყავი, გზაზე ერთი კაცი გადაგეღობება, — ეუბნება ნათელმხილველი კლიენტს.

— ჯობია, ის კაცი გააფრთხილო.

— რატომ?

— ქილერი ვარ და იმიტომ.

პილოტი სადისპეტჩეროს აცნობებს:

— გვიშველეთ! ვვარდებით!

— თქვენი კოორდინატები გვითხარით!

— რა?

— კოორდინატები... სიმაღლე, სიმაღლე!

— მეტრი და სამოცდაათი სანტიმეტრი!

❖ ❖ ❖

— დღეს რამეს მოვამზადებ, — ეუბნება ქორწილის მეორე დღეს ცოლი ქმარს.

— კარგი, ძვირფასო, ოღონდ კოტიკო დავპატიჟოთ, ჩემი ძმაკაცი.

— რატომ კოტიკო?

— კუჭ-ნაწლავის ექიმია... მაინც, ყოველი შემთხვევისთვის.

❖ ❖ ❖

— რა გამოვა, ზღარბი რომ კობრასთან შევაჯვაროთ?

— ორმეტრიანი მავთული.

❖ ❖ ❖

ძაღლის ბეწვში შემალული ერთი რწყილი მეორეს ეკითხება:

— რას იტყვი შენ, არსებობს სხვა ძაღლზე სიცოცხლე?

❖ ❖ ❖

— კაცო, — ეჩხუბება ცოლი ქმარს, — ამ ჩვენს შვილს ჩემი არაფერი ესმის, მხოლოდ თავისნაირ მყრალ ხალხთან ლაპარაკობს და მიდი ერთი, იქნებ რამე გააგებინო!

ორი ნარკომანი გაგუდულ კაიფშია. ერთმა სიმღერა დაიწყო და რომ დაამთავრა, მეორეს ეკითხება:

— მოგეწონა ჩემი სიმღერა?

— საწყენია, ტელევიზორში რომ არ მღეროდი.

— ასე ძალიან გინდა?

— აბა რა, გამოგრთავდი, სიმონ!

❖ ❖ ❖

ოჯახში სტუმარი მივიდა და ბავშვებს ათი ჩურჩხელა მიუტანა.

— რვა შენ და რვა მე, — ეუბნება ერთი ბავშვი მეორეს.

— კი მაგრამ, სულ ათია და რვა-რვა როგორ გამოვა? — შეეპასუხა მეორე.

— რა ვიცი, მე ჩემი რვა ჩურჩხელა მინდა და შენი საქმე შენ გაარკვიე.

❖ ❖ ❖

ქართველი მილიარდერი დეტროიტში ტაქსს აჩერებსდა ეუბნება:

— პირდაპირ თბილისში!

— სად?! — გაგიჟდა მძღოლი, — თბილისი რაა და საერთოდ სადაა?

მილიარდერი ფულით გატენილ ჩემოდანს ხსნის და დაანახვებს.

— ოო, ეგ სხვა საქმეა! — გამოცოცხლდა მძღოლი და მანქანა დაქოქა, — ვაკეში თუ საბურთალოზე?

❖ ❖ ❖

— ვა, კირილიჩ! რა კარგად გამოიყურები. აკი კიბო აქვსო?

— წეეთრა უკვე სოფელში!

❖ ❖ ❖

მიხო მატარებელში უცნობ თანამგზავრს გამოელაპარაკა:

— თქვენი სახელი და გვარი მაჩუქეთ, უფროსო!

— ედუარდ შევარდნაძე!

მიხო დააკვირდა და ეუბნება:

— მატყუებ, შენ ედუარდ შევარდნაძეს არა ჰგამხარ, ჯოვ!

— შენ რა გქვია?

— მიხო.

— მერედა მიხოს რო არ ჰგავხარ?

— სააკაშვილი ვარ-მეთქი, ხომ არ მითქვამს?!

❖ ❖ ❖

— როგორი სიძე შეგხვდა, ანეტა?

— უჭკვიანესი! სულ ჭკუას მარიგებს. აი, გუშინ ეზოში შეშას რომ ვჩეხავდი, აივნიდან გადმომძახა, გალესე ეგ ნაჯახი, შე შტერო, ხომ ხედავ, არ ჭრისო.

— დაგვენძრა, ტო, — ეუბნება ერთი ნარკომანი მეორეს, — ტელევიზორში თქვეს, ნარკომანია აბრმავებსო.

— ბლეფია, ტო... იცი, წუხელ ბებიაჩემი რა მაგრა ანათებდა?!

❖ ❖ ❖

სიდედრი მანქანის კარს აღებს და საჭესთან ჯდება. ზემოდან სიძე ეძახის:

— დედიკო, სად მიდიხარ?

— სასაფლაოზე, შვილო.

— ტაქსით წასვლა არ ჯობია?

— ვითომ რატომ?

კაკოია მკითხავთან მივიდა და ეხვეწება:

— ჩემი მეზობელი რაჟდენას ცოლი დამასიზმრე ამელამ შიშველი, რა!

— მაგას კი გავაკეთებ, მარა 500 დოლარი უნდა.

— ვაიმე, 200 დოლარი რომ გადაგიხადო?

— 200 დოლარად შიშველ რაჟდენას დაგასიზმრებ.

ორი დედაბერი სოფლის ორღობეში ზის. გამოიარა მოხუცმა გერვასიმ. ქალები აჩიფჩიფდნენ:

— გერვასი, გინდა, შენი ასაკი გამოვიცნოთ?

— აბა, როგორ გამოიცნობთ, გოგოებო?

— ჩაიხადე შარვალი!

გერვასიმ ჩაიხადა.

— ახლა ნიფხავიც ჩაიხადე.

გერვასიმ ჩაიხადა.

— 84 წლის ხარ!

— ვაა, მართალია, ხო იცი?! რაზე მიხვდით?

— „რაზე" არსად დაგეკარგოს... შენმა შვილიშვილმა გვითხრა გუშინ!

— მერე მანქანას უკან ვინ მოიყვანს?

❖ ❖ ❖

— შიშის დათრგუნვის ტაბლეტები გამოვიგონე, — ეუბნება პროფესორი კოლეგას.

— რა შესანიშნავია! მერე მოქმედებს?

— არ ვიცი.

— როგორ თუ არა იცი, არ გასინჯე?

— არა, მეშინია!

✓ შეკრიბა მერმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები

Cyan Magenta Yellow Black

ვერნერ შტაინბერგი

კომისრის ქუდი

დასაწყისი №5-8

ადვოკატი მეტცენდორფერი ჯინა ტრიციუსს დათქმულ ადგილზე დახვდა, თავის „მერსედესში“ ჩაისვა და შეეკითხა:

— სად ვივახშმოთ?

— ალბათ „როკოში“, — მაშინვე მიუგო ქალიშვილმა.

ადვოკატს აღარაფერი უთქვამს, მანქანა ისე დაძრა. ამჟამად მის მიზანს მხოლოდ ერთი რამ წარმოადგენდა, ისე მოქცეულიყო, პირველად ტრიციუსი ალაპარაკებულიყო.

ასეც მოხდა. როგორც ჩანს, „მაინაუს“ მოახლემ სიჩუმეს ველარ გაუძლო და ცივი, გულგრილი ხმით ისროლა:

— თუ გგონიათ, რომ მასთან ვიწექი, ძალიან ცდებით. ასეთი რაღაცეები თითქმის არ მეშლება. ჯერ ერთი, მეორე დღეს პასაუში მიემგზავრებოდა და, რაც მთავარია, მისნაირი ტიპები ჩემს გემოვნებაში არ ჯდებიან.

— ფროილაინ ტრიციუს, თქვენს გონიერებაში ეჭვი არც შემპარვია, — შენიშნა მეტცენდორფერმა, რაც ზოგად, ბუნდოვან მოსაზრებას უფრო ჰგავდა, ვიდრე კონკრეტულ პასუხს.

— და საერთოდ, მაგ ტიპს თითქმის არ ვიცნობდი. რაში მაინტერესებს, მოკლეს თუ არა?

— მე კი ყველაფერი მაინტერესებს, — ჩაილაპარაკა მეტცენდორფერმა, — ვალტერ მარანი ანუ იოზეფ ალტბაუერის შემთხვევითი მკვლელი ჩემი სკოლისდროინდელი მეგობარია, მე კი მისი დამცველი, ანუ ადვოკატი.

— აააა, — გაწელა მოახლემ, — ახლა ყველაფერი გასაგებია.

ზეპს აღარაფერი უთქვამს. ცოტა ხნის შემდეგ კი ჯინას ხმა შემოესმა:

— მოვედით. თუ შეიძლება, გააჩერეთ.

„როკო“ იმაზე უკეთესი რესტორანი აღმოჩნდა, ვიდრე ადვოკატი ელოდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ამ მინიატურული ქალის თუ ქალიშვილის ანგარიშიანობაზე მეტყველებდა.

საკმაოდ მრავალფეროვანი და ძვირადღირებული ვახშმის შემდეგ (რისი აღწერაც მხოლოდ მადას აღგიძრავთ და ამიტომ არ ვაპირებ) ფროილაინ ტრიციუსმა ადვოკატს ცივი მზერა მიაპყრო და თქვა:

— ვახშმისთვის გმადლობთ. ახლა შინ წავალ, მაგრამ თქვენ არაფერი გიკითხავთ.

მეტცენდორფერმა ხელით ოფიციანტს უხმო, დანახარჯი გადაიხადა, მერე კი მოახლეს მიუბრუნდა:

— ალტბაუერს ლაყბობა არ უყვარდა. ეს თქვენ უბრალოდ მოიგონეთ.

— მართალია, — მოესმა მოკლე პასუხი, — მაგრამ მასთან ნამდვილად არ ვწოლილვარ. და საერთოდ, ეს ყველაფერი ხუმრობა იყო. თავადაც არ ვიცი, რატომ დაგთანხმდით.

მეტცენდორფერის ტონი მკაცრი გახდა:

— მაგრამ მისი სახე და გვარი კარგად დაგამახსოვრდათ, თუმცა თქვენს წიგნში რეგისტრირებული არ იყო. ახლახან ისიც თქვით, პასაუში გამგზავრებას აპირებდაო. დარწმუნებული ვარ, ამგვარი დეტალები ყველა მდგმურზე არ გეცოდინებათ.

— ცხადია, არა, — გამომწვევად მიუგო მან, — ამაზე არც დრო მეყოფოდა და არც დავინტერესებულვარ.

— ფროილაინ ჯინა, იქნებ მოკლედ მომიყვეთ, ალტბაუერთან თქვენი შეხვედრა როგორ მოხდა.

მოახლემ პასუხი არ დააყოვნა:

— საფრანგეთიდან აქამდე მგზავრობამ, როგორც ჩანს, ძალიან დაღალა და მაგრად ჩაეძინა. მისი ნომერი ჩაკეტილი არ იყო. როცა კარი შევაღე და ჯერ ისევ ლოგინში მწოლიარე დავინახე, უკან გამობრუნება დავაპირე, მაგრამ მან ხელით მანიშნა და ვიფიქრე, ალბათ ნომერში საუზმის მოტანას მთხოვს-მეთქი, როგორც ამას ბევრი კლიენტი აკეთებს.

— მაგრამ ეს არ უთხოვია? — ფრთხილად შეეკითხა ადვოკატი.

— არა... როცა მის საწოლთან მივედი, წამოდგა... მახსოვს, პიჟამაზე სვიტერი ეცვა, განივი წითელი ზოლებით... მაშინვე გავიფიქრე, ახლა მეცემა და გაუპატიურებას დამიპირებს-მეთქი, მაგრამ შევცდი... ის საწოლის სიახლოვეს კედელთან დადგა და თქვა: „რაღაცა მომპარეს“. მისი ეს სიტყვები იაფფასიან ხრიკად ჩავთვალე: შენ მე გული მომპარე, ამიტომ ლოგინში ჩამიწექიო. სხვათა შორის, ასე ბევრი იქცევა, მაგრამ ამგვარი ნომრები ჩემთან არ გასდით.

მეტცენდორფერმა მის სახეზე დამცინავი ღიმილი შენიშნა, თითქოს რაღაცა გაახსენდაო.

— მაშინვე ხმამაღლა გადავიხარხარე, — ტრიციუსმა გამარჯვებული სახით შეხედა მეტცენდორფერს და დაამატა, — ასეთ შემთხვევაში ხმამაღლა ვიცინი ხოლმე, რაც სავარაუდო მოძალადეზე ცივი შხაპივით მოქმედებს. მასზე კი არ იმოქმედა! მაშინ ვუთხარი: „ეს შეუძლებელია! კარგად დაძებნეთ თქვენს ჩემოდნებში. ჩვენს სასტუმროში ქურდობა არასოდეს მომხდარა, თქვენი შემთხვევა პირველია“. მან მიპასუხა: „მე არ ვამტკიცებ, რომ ამ სასტუმროში მომპარეს რაღაცა! მე მხოლოდ ვთქვი, რომ რაღაცა მომპარეს, ოღონდ ზუსტად არ ვიცი, რა და რამდენი! ვიცი მხოლოდ ის, რომ გამქურდეს და ისიც, თუ ვინ დგას ამის უკან“.

ქალიშვილმა ენის წვერი ზედა ტუჩზე მოისვა და მეტცენდორფერისთვის ნაცნობი ცივი მზერით განაგრძო:

— ვიფიქრე, ან გიჟია, ან რაღაც ახალ ხერხს ხმარობს-მეთქი. რაკი არ ვიცოდი, რა მექნა და არც მაინტერესებდა ეს ყველაფერი, მხრები ავიჩეჩე და ვუთხარი, ქურდობის შესახებ შეგიძლიათ პოლიციაში განაცხადოთ, მე კი უნდა წავიდე, ბევრი საქმე მაქვს-მეთქი. ამის თქმაზე ისკუპა და ჩემთან გაჩნდა. ისევ გავიფიქრე, ან მაუპატიურებს, ან მკლავს-მეთქი. მართლა ძალიან შემეშინდა, — მან ადვოკატს შეხედა და საქმიანად დაამატა, — არადა, საერთოდ არაფრის მეშინია!

— ეჭვი არ მეპარება, — თავი დააქნია კაცმა.

ჯინამ ღრმად ამოისუნთქა: იმ სცენის გახსენება, როგორც ჩანს, მაინც აღელვებდა. ვიდრე განაგრძობდა, რამდენჯერმე გაილოკა ქვედა ტუჩი, მერე ღია მზერა მიაპყრო მეტცენდორფერს:

— არ დაიჯერებთ და იმ ტიპს ჩემთვის არაფერი უქნია, არც კი უცდია. მას მხოლოდ ჩემი ნომერში ყოფნა უნდოდა. რაღაცის შემოთავაზება სურდა. უნდოდა, მისთვის მომესმინა, მეტი არაფერი!

უუაღამისას სასტუმრო „მაინაუს“ ერთ-ერთი ნომრის საწოლში მწოლმა მეტცენდორფერმა ის მოვლენები გაიხსენა, რომელთა შესახებაც ჯინა ტრიციუსისგან შეიტყო:

იოზეფ ალტბაუერი საფრანგეთიდან ჩამოვიდა, ოღონდ, როგორც ჩანს, არა პარიზიდან. იქ ის რაღაც დიდ საქმიან გეგმას ასრულებდა და შედეგები ჩამოიტანა. გეგმის კონკრეტული შინაარსი უცნობი იყო. ისე კი, ტრიციუსის აზრით, ის ხანგრძლივ მოლაპარაკებებს ოფიციალურ ინსტანციებთან აწარმოებდა.

— ეს თავად გითხრათ? — შეეკითხა ადვოკატი.

— არ მახსოვს, — მიუგო მან, — უფრო ინტუიციით ვიგრძენი. ფაქტობრივად, არც ვუსმენდი.

— სხვათა შორის, ადამიანებმა რატომღაც სხვისი მოსმენა არ იციან, — შენიშნა მეტცენდორფერმა, — ამიტომაა, თავის ირგვლივ ვერაფერს რომ ვერ ხედავენ.

— თუ რამის დანახვა მინდა, აუცილებლად დავინახავ, — შეეწინააღმდეგა ქალიშვილი, — ამაზე შემიძლია ათასჯერ დავიფიცო!

— ბედნიერი გამონაკლისი ყოფილხართ, — შეაქო ადვოკატმა, — თქვენ რაღაც შემოთავაზება ახსენეთ. რა წინადადება იყო?

— ჩემგან? არანაირი! — გაიკვირვა ჯინამ.

— არა, არა. ალტბაუერს ვგულისხმობ.

— როგორ? განა თქვენ მას იცნობდით? — სიტყვა ბანზე აუგდო ქალმა.

— ცხადია, არა. მაშინ აქ არც ვიჯდებოდი. ფროილაინ ტრიციუს, ეს როგორ გაიფიქრეთ?

მოახლე წამით დაფიქრდა, მერე კი დაუდევრად ისროლა:

— როგორც მე მივხვდი, მან თქვენ შემოგთავაზათ რაღაცა წინადადება.

ადვოკატმა გაოცებით შეხედა მას, მაგრამ თავის მართლება არ უცდია და მეტის გაგების იმედით მოახლის თამაშს აჰყვა:

— მე პას! თქვენ დამამარცხეთ!

მეთოდმა გაჭრა: მოგვიანებით, როცა ტრიციუსი ადვოკატმა თავისი შავი „მერსედესით“ სახლამდე მიაცილა, ამ უკანასკნელმა უფრო მეტი რამ იცოდა მოკლული გერმანელის შესახებ:

ალტბაუერი სასტუმრო „მაინაუში“ მხოლოდ ღამის გასათევად არ გაჩერებულა. ის ჰოლში შუაღამემდე ესაუბრებოდა ვიღაც მეგობარს თუ საქმიან პარტნიორს, რომელსაც, როგორც ჩანს, პორტფელში ის დოკუმენტები ჰქონდა, რომლებიც ალტბაუერის საქმიდან ჩამოშორებას ადასტურებდა. ამიტომ ახსენა მან გაქურდვა, როცა მის ნომერში ჯინა ტრიციუსი შევიდა. ალტბაუერმა ისიც თქვა, რომ იმ პორტფელის შიგთავსის გაცნობის საშუალება უნდა მისცემოდა, რათა შემდეგ საპასუხო დარტყმაზე ეფიქრა. მოკლედ, თუ ჯინა მას ამ საქმეში დაეხმარებოდა, გასამრჯელოდ ათას მწვანეს მიიღებდა.

ამ თანხამ მოახლე შეაშინა და მის მიღებაზე უარიც თქვა, მაგრამ ალტბაუერს დახმარებას მაინც შეჰპირდა.

Cyan Magenta Yellow Black

სპორტული აღნაგობის, 35 წლის, ენერგიულმა იოზეფ ალტბაუერმა მას თავისი გეგმა გააცნო, რაზეც ჯინა მაშინვე დათანხმდა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მოახლემ თავისი დავალება შეასრულა, კიდევ ოცი წუთის შემდეგ კი დერეფანში სწრაფად მიმავალმა იოზეფმა (ხელში არაფერი ეჭირა) ჯინას წასჩურჩულა:

— ყველაფერი რიგზეა, გმადლობ, პატარავ! დღეს პასაუში უნდა ვიყო, მაგრამ მალე დავბრუნდები და რომ იცოდე, რა სიურპრიზი გელის!

მეტად ჯინას ის აღარ უნახავს. მეტცენდორფერმა ხომ იცის, ალტბაუერი რომ აღარ დაბრუნებულა.

ესევ ფიქრები...

ადვოკატის აზრით, მოახლის მონაყოლი გულწრფელი ჩანდა, თუმცა ის, რაც მან ჯინასგან შეიტყო, მარანის საშველად არ კმაროდა. ქალიშვილისა და ალტბაუერის შეთანხმება იმაში მდგომარეობდა, რომ ტრიციუსი ვესტიბიულის სატელეფონო ჯიხურიდან ალტბაუერის პარტნიორს დაურეკავდა და ფრანკფურტის ერთ-ერთ ფირმაში მიიწვევდა. ქალიშვილი ასეც მოიქცა. უცნობს ისიც უთხრა, რომ „დირექტორ სებასტიანის სამდივნოდან“ რეკავდა და რომ ბატონ სებასტიანს მისი სასწრაფოდ ნახვა სურდა, რაც უცნობისთვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა: ჯინამ დაინახა, რა სწრაფად გადაჭრა ჰოლი მოხდენილმა ახალგაზრდამ, მოშორებით მდგარმა ალტბაუერმა კი ქალიშვილს ანიშნა, ის არისო...

გათენდა.

ზეპ მეტცენდორფერი მძიმედ წამოდგა საწოლიდან, უხალისოდ ჩაიცვა და სააბაზანოს მიაშურა.

უკვე საუზმობდა, როცა თავში ერთმა აზრმა გაუელვა. მან სწრაფად დატოვა ნომერი, ღამის პორტიესთან ჩავიდა და სატელეფონო წიგნი სთხოვა.

ახლა ის სავარძელში იჯდა, წიგნს ფურცლავდა და ერთ გვარს ეძებდა. ბოლოს მიაგნო. ეს უნდა ყოფილიყო, ვინც აინტერესებდა. ერნსტ სებასტიანი, „აპასტაზიუს ბლაუს“ გენერალური დირექტორი, მიწისზედა და მიწისქვეშა მშენებლობები.

მან ნომერი და მისამართი დაიმახსოვრა, წამოდგა, წიგნი პორტიეს დაუბრუნა, ვესტიბიულში მდგარ სატელეფონო ჯიხურში შევიდა და დისკი შვიდჯერ დაატრიალა. ყურმილში ვიღაცამ ჩაახველა, მერე მამაკაცის ნამძინარევი ხმა მოისმა:

— ალო, სებასტიანი გისმენთ!

ადვოკატმა შეიცადა.

— სებასტიანია ტელეფონთან! — იგივე ხმას ბრაზი შეეპარა.

— დიახ, ბატონო გენერალურო დირექტორო. ეს მე ვარ, იოზეფ ალტბაუერი!

ხანგრძლივ პაუზას იგივე, უფრო გაღიზიანებული ხმა მოჰყვა:

— რა სისულელეა! ის ხომ მოკლეს!

ადვოკატმა არაფერი უპასუხა, სებასტიანმა კი განაგრძო:

— ამ შუაღამეს! ეს ხუმრობა კი არა, ხულიგნობაა! გიჟი ხართ ვიღაცა!

მეტცენდორფერს მოესმა, როგორ დაახეთქეს ყურმილი. მან იგივე ფრთხილად გააკეთა, ჯიხური დატოვა და ღამის პორტიესთან მივიდა.

— აბა, გამოვიდა? — ეშმაკურად შეეკითხა პორტიე, თითქოს სატელეფონო საუბარი სასიყვარულო პაემანს ეხებოდა.

— ჰო, გამოვიდა, — მიუგო ადვოკატმა, პორტიეს დახლზე ერთმარკიანი მონეტა დაუდო და კიბეს მიაშურა.

ენერალური დირექტორი ერნსტ სებასტიანი დაბალი, მელოტშეპარული კაცი აღმოჩნდა, მისი უზარმაზარი კაბინეტი კი როკოკოს სტილის ძვირფასი ავეჯით იყო გაწყობილი (მისი აღწერა აშკარად შორს წაგვიყვანდა).

როგორც კი მეტცენდორფერი ერთ-ერთ თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა, მაშინვე მოესმა სებასტიანის უკიდურესად თავაზიანი და თან გამჭოლი ხმა:

— სამწუხაროდ, არც თქვენი ზარის მიზეზი ვიცი და არც თქვენი ვიზიტის, მაგრამ რაკი მოკლულის გვარი ახსენეთ, ალბათ ეს მიზეზები საკმაოდ საფუძვლიანია. თქვენი მიღებაც ამან გადამაწყვეტინა.

ადვოკატი მიხვდა, რომ თუ აქედან თუნდაც უკიდურესად თავაზიანად გაისტუმრებდნენ, უკან ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა, ამიტომ ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მიუგო:

— თუ ხსენებული განსვენებულის შესახებ თქვენი კეთილშობილება რამეს მაცნობებდა, ჩემი ერთი მეგობრის სასამართლოს წინაშე დაცვა ალბათ გამიადვილდებოდა.

— ანუ მკვლელის ადვოკატი ხართ.

— დიახ, ოღონდ მკვლელობა შემთხვევით მოხდა.

სებასტიანი თავის გაშლილ ხელებს დააცქერდა და დაიწყო:

— ბატონი ალტბაუერი შემთხვევით გავიცანი სამი წლის წინ. მან ჩვენს ფირმაში ერთი დიდი პროექტი მოიტანა და გვთხოვა, ჩვენც ჩავრთულიყავით. როგორც აღმოჩნდა, ამ პროექტზე მუშაობა ჯერ ნაადრევი იყო, თან ალბათ მაგ ბატონთან თანამშრომლობაზეც უარს ვიტყოდით.

— თუ საიდუმლო არ არის, რატომ?

— მისი პირობები არ გვაკმაყოფილებდა. სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე იყო ლაპარაკი ჩვენი 19 %-იანი მონაწილეობით, ჩვენ კი 25 %-იან წილს მოვითხოვდით, რაც ვეტოს უფლებას მოგვცემდა.

— მოლაპარაკებებს თქვენ აწარმოებდით?

— ფირმის დავალებით, რასაკვირველია. პირადი გამორჩენა ნამდვილად არ მქონია. გარდა ამისა, ალტბაუერიც არასაკმარისად სერიოზული მეჩვენა. ისე, უმაღლესი ტექნიკური განათლება კი ჰქონდა, მაგრამ მეწარმეობის არაფერი გაეგებოდა, თუმცა... — სებასტიანს სახეზე ღიმილის იმიტაცია გამოეხატა, — რაღაცეებს კი ჩალიჩობდა. მიუნხენში არქიტექტურული სახელოსნო ჰქონდა და კერძო დაკვეთებსაც იღებდა. როგორც ვიცი, მიწის ნაკვეთების სპეკულაციასაც ეწეოდა. მორჩა. სულ ეს არის.

— ბატონო გენერალურო დირექტორო, ალტბაუერის პროექტზეც ხომ ვერ მეტყოდით რამეს?

— ბევრს ვერაფერს, — სებასტიანის ხმა უფრო ცივი გახდა, — ალტბაუერმა საუდის არაბეთში ერთი საკმაოდ გავლენიანი ამერიკელი გაიცნო და სამშენებლო პროექტით დააინტერესა, რომლის რეალიზებაც საფრანგეთში იგეგმებოდა.

— საკუთრივ პროექტი რა სახის იყო?

— რაც ვიცოდი, ყველაფერი გითხარით, — სებასტიანი წამოდგა და ადვოკატს ქვემოდან ახედა, რაც სულაც არ ეუხერხულა, — იმ დროიდან რამდენიმე წელი გავიდა და პროექტის დეტალები ნამდვილად აღარ მახსოვს, რაც ალბათ ბუნებრივია, — სებასტიანი კარისკენ წავიდა.

— ხომ არ იცით, პასაუში ვისთან... — მეტცენდორფერმა ფრაზა არ დაასრულა, რადგან აზრი გასაგები იყო.

— სამწუხაროდ, არა, — დირექტორის პატარა ხელი კარის სახელურს შეეხო, — თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბატონმა ალტბაუერმა ტელეფონით საუბრისას მის მიერ საუდის არაბეთში გადაღებული რამდენიმე ფოტოს გაყიდვის სურვილი გამოთქვა, მაგრამ ამაზე ფიცის დადებისგან თავს შევიკავებდი. იქნებ ეს ბოლო ფაქტი გამოგადგეთ. ვიზიტისთვის გმადლობთ.

— პირიქით, ბატონო გენერალურო დირექტორო! — კარში მის გასვლამდე დაადევნა ადვოკატმა, — თავად გმადლობთ, ამდენი დრო რომ დამითმეთ! კარგად ბრძანდებოდეთ!

ენობიდან გამოსულმა ადვოკატმა ისეთი კონტრასტი აღიქვა, რომ ცხადში ნახულ სიზმრად ეჩვენა მთელი წინა საუბარი. ცა ისეთი წითელი იყო, კინაღამ დააბრმავა, თვალები კი მაშინვე მოაჭუტვინა. მერე ნელ-ნელა გაახილა და ავტოსადგომისკენ გაიხედა — ირგვლივ ზღვა იყო, ავტომობილების ზღვა!

მეტცენდორფერი ნელი ნაბიჯით გაემართა თავისი შავი „მერსედესისკენ“.

ადვოკატი აშკარად დაბნეული ჩანდა. უცნობი, რომელიც მას წარმოედგინა, ქურდიც იყო, გაიძვერაც, დაბალი გაქანების თაღლითიც და სულ იოლად შეეძლო, ბრუმერუსის აგარაკზე შეპარულიყო. აწ გარდაცვლილი იოზეფ ალტბაუერი? მართალია, ადრე სპეკულიანტობდა, მაგრამ განა ჰგავდა ქურდბაცაცას, თანამზრახველთან ერთად სხვის სახლში რომ შეიპარებოდა, რომ იტყვიან, თოკიდან საცვლების ასაწაპნად? ცხადია, არა. მოკლული ალტბაუერი ამგვარ მძარცველს ნამდვილად არ ჰგავდა!

„მერსედესში“ რომ ჯდებოდა, თავში რაღაცა აზრმა გაჰკრა...

რამდენიმე წუთის შემდეგ ადვოკატი ფოსტის წინ იდგა და თვალსაჩინოდ გამოკრულ გზების მაჩვენებელს აკვირდებოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი

Cyan Magenta Yellow Black

www.facebook..com\Tinatinbonney
თინათინ ბონი

ეიფორია

დასაწყისი №7-8

მესამე ნაწილი

ოპა განგნამ სთაილ

გაქანებული ნევროზი მაქვს. სამი კვირა გავიდა ენდის წასვლიდან. ვმუშაობ, ვჭამ და მძინავს. დავმძორდი. ზოსისაც კი არ ვასეირნებ, ნანუკა პატრონობს. ირამ იოგაზე დაიწყო სიარული და უნდა, რომ მეც ვიარო. სად შემიძლია დილით ადრე ადგომა და მერე საათობით კვრანჩხვა. ისეთი გაფრენილი მაქვს, მიკვირს, სმა როგორ არ დავიწყე ან პლანის მოწევა. მარა ჩემი ბედი რომ ვიცი, დამიჭერდნენ მერე. ეჰ...

ვწევარ საწოლზე. სიბნელეა. ვუსმენ რიანას „სქინს“ და ვოცნებობ ენდიზე. მწერს თითქმის ყოველდღე, მაგრამ ცოტ-ცოტას. იმედია, მალე ჩამოვა, თორემ მე ჩავადგები და სულ მახატია გოგონა ნეკა! მესმის კარის ხმა. ზოსი ყეფით გარბის კარისკენ.

— სახლში ხარ? — მესმის ნანუკას ხმა.

— კეე, — ვპასუხობ ხროტინით.

— გამოიპრანჭე, სტუმრები გვყავს დღეს.

— არ არსებობს! არ მინდა არავის დანახვა.

— სუსი.

— ვინ მოდის?

— საშკა გამოვა.

— საშკასთვის უნდა გავიპრანჭო?

— არა, სანდროსთვის.

ვხტები საწოლიდან და გავრბივარ ნანუკასთან.

— თავი არ მომაკვლევინო! მეღადავები?

— არანაირად, — ნანუკა იატაკს ხვეტს.

— ისედაც არეული მაქვს ყველაფერი და აუცილებელი იყო სანდროს დაპატიჟება?

— შეეხვდა და ვიფიქრე, რომ ჩვენს მეგობრობას არაფერი უშლის ხელს. შენ ხომ ამბობ, რომ გკიდია, — ნანუკა გამჭოლ მზერას მესვრის.

— მკიდია, მაგრამ სანდროს არ ჰკიდია.

— ვინ მოგატყუა?

— რა ხდება, ნანა? — ნერვები უარესად მეშლება.

— სანდროს იდეა იყო ეს.

— ეგრეც ვიცოდი!

— მინდა, ვიმეგობროთო.

— ბარემ დათოსაც ხომ არ დავუძახოთ?

— დავუძახოთ მერე. ბიძამისთან მე ვისადილე?

— რა შუაშია ახლა ეს?

— ნუ ქმნი პრობლემებს.

რაღაცა აქვს ამ ჩემს დაქალს ჩაფიქრებული ან დაცურდა ესეც.

— კიდევ ვინ იქნება?

— ნუ, მე და ირკა, — ამბობს ნანუკა და ჩუმად ამატებს, — ჩვენი დაქალებიც.

— თათა და სოფოც? — ამ ცოცხს ახლა ჩავაფეთებ თავში!

— ქმრებით.

— ვაი, — სავარძელში ვეხეთქები.

— ჩვენი ახალი მეზობლები, ორი მშვენიერი ბიჭი. ანკასაც დავურეკოთ.

— კოკისაც ხომ არა? — ანკას ვეტყვი, წამოიყვანოს და ეს მერე ნახავს!

— არა. კოკი, ისევე როგორც დათო, არა.

— ვერ გიტან! — ვდგები და შევდივარ სააბაზანოში. შხაპი თუ მომიყვანს გონზე.

საღამო. ჯინსებში და ზარას მაისურში გამოკვესილი მე, ირა — შიშველი, ნანუკა — კუბოკრულ „დვოიკაში“, ზოსი — თავის ნატურალურ ქურქში. მარტო საშკა მოვიდა დროზე. ვსხედვართ ჩუმად. კარზე ზარია. თათა და სოფო კაცების გარეშე. ეს უკვე კარგია.

— სად არიან კაი ბიჭები? — სოფო ტუჩის საცხს ისწორებს.

საშკა უხერხულად ახველებს.

— კაი მუსიკა იქნება? მაგალითად, მოჯო?

— ვინ მოჯვ... — ირა პირს აღებს და, საბედნიეროდ, ნანუკა ხელს აფარებს დროზე.

— მოჯო, ირა, მოჯო! — ეუბნება ნანუკა.

— უფ, რა ვიცი მე, — ირა მკერდს ისწორებს.

— რას აღვნიშნავთ? — თათა ღვინოს ისხამს.

— ნანუკას სიშტერეს! — ვამბობ და მეც ვისხამ.

კარზე ზარია და შემოდის მზია. მზია?! მზიას ვინ დაუძახა?

— აქ დიდი ამბავი იშლება თურმე, — მზია „ბამბანერკას“ დებს მაგიდაზე.

— ამას ვინ უთხრა? — ვუჩურჩულებ საშკას.

— შენ.

— რა მე?

— შენ დააგზავნე დღეს მეილი.

— მე არ დამიგზავნია, — ვამბობ და თავში ვირტყამ ხელს.

ნანუკა საშკას უგზავნიდა, ეტყობა და მთელ ოფისს გაუგზავნა. ღმერთო, ერთხელაც შეგაწუხებ. გევედრები, არავინ მოვიდეს ოფისიდან. გევედრები!

კარზე ზარია და შემოდიან ჩემი თანამშრომლები. 12 კაცი. ცივი ოფლი მასხამს.

— ლენკა, ის სანდრო ბიჭი იქნება? — მეკითხება ლიზა და ტუჩს იკვნეტს.

გაოცებული დავცქერი და ვფიქრობ, რომელი ფანჯრიდან გადავხტე.

— ეს ხალხი შენ დაპატიჟე? — მეკითხება ნანუკა.

— მე?! მე დავპატიჟე, შე ქლიავო?! დღეს ჩემგან ვის მისწერე მეილი?

— საშკას, — ნანუკა უცებ ხვდება, რა ჩაიდინა და უჩინარდება.

ვდგამ ღვინის ჭიქას და ტეკილას ვისხამ. მაგის დედაც! ვატრაკებთ ბოლომდე!

კაი ნასვამი ვარ. ნახევარ ხალხს ვერ ვცნობ. ცოტა ფეხი მერევა და ენა მებმება. ბინა დატუმბულია ხალხით. სასმელი როგორ გვეყო, არ ვიცი. თუ საშკამ ამოიტანა კიდე? რა მნიშვნელობა აქვს. კედელს მიყუდებული ვდგავარ. თვალები მეხუჭება. ვცდილობ, ქუთუთოები დავიმორჩილო და გაჭირვებით ვახელ. ჩემ წინ დგას სანდრო. სანდრო ჩემ წინ და მე მთვრალი, გულგატეხილი, საქმროთი საცხა გაღმა. ეს ცუდია.

— როგორ ხარ? — სანდრო შუბლზე მკოცნის.

— ვარ, რა, — ვამბობ და თვალებს ვაჭყიტავ, რომ უფრო ფხიზელი გამოვჩნდე.

სანდროს ეღიმება და თმას მისწორებს. როგორ გადაიქცა ჩემი ოცნების მამაკაცი მეგობრად, რომელიც მუდამ ჩემთანაა? ან როდის მოხდა ეს?

— ბევრსაც ნუ დალევ, ჩემი მისახედი გახდები, — ამბობს სანდრო და საათზე იხედება.

— გეჩქარება? — ვეკითხები ბლუკუნით.

— მე არა, ლანას.

ლანა? ჩტო ზა ლანა? ზაჩემ ლანა? ი ზაჩემ რუსკი? თავს ვაქნევ, რომ სიმთვრალე განვდევნო ჩემგან. სანდროს მაღალი, წითური, გრძელფეხება, ცისფერთვალა გოგო ეხვევა და ლოყაზე კოცნის. ვოტ ი ლანა! ვეჭვიანობ? არა, ალკოჰოლი მირევს გონებას, თუმცა ცოტა კი მწყდება გული. მსიამოვნებდა ის ფაქტი, რომ სანდროს მუდამ ვუნდოდი. ახლი კიდევ ისე ვგრძნობ თავს, გეგონება, ჩემი ბიძაშვილია.

— ბუსკუ, რაღაც დავიღალეეე, — ლანა იზმაზნება და სანდროს უფრო ეკიდება.

— წავიდეთ მერე. შესანიშნავი ივენთი იყო, ლენ, მიხედე თავს, — სანდრო თვალს მიკრავს და ლანას წელზე ხვევს ხელს.

— მადლობა, რომ მოდით, — ვამბობ და ვოგნდები. მოდით? სერიოზულად? „მოდით“ რამ მათქმევინა?

ლანა და სანდრო აღარ ჩანან და მე ისევ ისე ვდგავარ. ვიღაც მანჯღრევს.

— ნუ გძინავს! — მზია ჩამყვირის ყურში.

— არ მძინავს.

მზიაც კაი ბუხოია. მომეკიდა. მამაჩემის ტერმინებით ვესაუბრები საკუთარ თავს.

— ოპა განგნამ სთაილ! — ბოლო ხმაზე ყვირის მზია.

ირთვება „განგნა სთაილი“ და მთელი ოთახი იწყებს უაზრო მოძრაობების კეთებას. მეც მათ შორის. რა სენია ეს „განგნამ სთაილი“. რაღაც გაასწორა. მაქსიმალურად ვხტი. მიცურდება ფეხი და ვეცემი. სიბნელე.

ვახელ თვალებს. მისკდება თავი. სად ვარ? საავადმყოფოში? დედაჩემს სკამზე სძინავს. ამხელა ქალი ვარ და როგორ ვიქცევი. ვცდილობ, წამოვდგე, მაგრამ ვეშვები უკან. დედას ეღვიძება.

— დედა, კიდევ კარგი, გაიღვიძე, — დედა თავზე მეფერება.

— რა დამემართა?

— მოიწამლე ალკოჰოლით და თავიც კარგად დაარტყი. გადარჩენილი ხარ, რომ ტვინის შერყევა არ მიიღე!

Cyan Magenta Yellow Black

— ცხოვრებაში აღარ დავლევ, — ვიმანჭები და თავი უფრო მტკივდება.

— კაი, დაისვენე, — დედა თავზე მკოცნის და თვალებს ვხუჭავ.

ნეტა, ენდიმ იცის, რა დამემართა? ალბათ ეწყინებოდა, თუ იცის. ან შეიძლება მისთვის სულ ერთია. მეილზე რომ არ ვუპასუხე, არ უნდა დაერეკა? ვიძინებ.

ვზივარ სამსახურში და ვჭამ ნანუკას გამომცხვარ ალუბლის ნამცხვარს. დამნაშავედ გრძნობს თავს და ფეხქვეშ მეგება. ენდის არ დაურეკავს და არც მოუწერია. ვნერვიულობ. მე არ ვურეკავ. არ მინდა, შევუშალო ნეკას და მის იდილიას. ენდიმ დამიქნია, სანდრომ დამიქნია, დათომ ბიძა გამაცნო და პრინციპში მაგან დამიქნია, თუ დამიქნია. შუბლზე უნდა ამოვისვირინგო „ლუზერ“, ყველამ რომ თავიდანვე იცოდეს, რა უვარგისიც ვარ.

ძალიან გემრიელი ნამცხვარია. მაგიდაზე მიდევს ერიკ ბერნის წიგნი, სახელად „თამაშები, რომლებსაც ადამიანები თამაშობენ“. ვიღაცამ აჩუქა ირას და იმან, მგონი, კითხვა საერთოდ არ იცის, ხოდა, შემრჩა მე. ძალიან საინტერესოა. ორი სიტყვით, ადამიანის ეგოზეა, ურთიერთობებში ვინ რა როლს თამაშობს და რა უნდა ქნა, რომ კონფლიქტი აირიდო. მაგალითად, თუ ვინმე გესაუბრება მშობლის ეგოს მდგომარეობაში, უნდა უპასუხო ბავშვის ეგოს მდგომარეობაში და შემდგომ გადაიტანო საუბარი ზრდასრულის ეგოში. ზრდასრულის ეგო ერთადერთი მდგომარეობა, როდესაც ადამიანებს შეუძლიათ რაციონალურ გადაწყვეტილებამდე მისვლა. მოკლედ, ძალიან ჩამითრია ამ წიგნმა და ახლა ყველას ვაანალიზებ.

აი, წინაზე ბატონი ჰამლეტი იყო შემოსული და აშკარად მშობელივით მარიგა ჭკუა. მეც ბავშვივით დავეთანხმე და მერე შევუყვანე საუბარი იმაზე, რაც გადასაწყვეტი იყო და მშვენიერი შედეგი მივიღე. ყველაფერს მოაწერა ხელი. ენდი მახსენდება. კი იძახის, რომ ვუყვარვარ და ჩემს მეტი არავინ უნდა, მაგრამ ნეკა მთელი ცხოვრება უყვარდა და რომ გაცოცხლდეს ეს გრძნობები? ბავშვმა რომ უფრო დააახლოვოს მასთან? ყელში მიჭერს. რამე სხვაზე ჯობია ვიფიქრო. ვუყურებ ჟალუზს. საშინელი ჟალუზი მაქვს კაბინეტში. ქაქის ფერია. თანაც ერთი ცალი მოწყვეტილა და იქიდან მუდამ მზე მიჭყიტინებს. უნდა მოვითხოვო გამოცვლა.

ნეტა, საშკა რას შვრება? დავუძახებ და ვთხოვ, ენდის ფოსტა გაჩხრიკოს. იქნებ გავარკვიო, რა ხდება. ვხსნი მეილს. საშკასთვის მიწერია სახიფათოა მაინც. ვხურავ მეილს. ვურეკავ საშკას და ვთხოვ, შემოვიდეს. თუ რამეს მიმალავს ენდი, მირჩევნია, ახლავე ვიცოდე. აი, დავიფიცებ რა, რომ თუ ენდიც ნაგავი გამოდგა, აღარ გავიხედავ კაცებისკენ! ბინის გაყიდვისთვისაც ვერ მოვიცალე რაღაც. მოკლედ, თავმოუბმელი ქალი ვარ მე. შემოდის საშკა და სავარძელში ჯდება.

— აბა, რა ხდება?

— გეხვეწები, ჩემი ბიჭი, ენდის ფოსტაში ჩაიხედე, რა, — ვეუბნები და თვალებს ვაფახულებ.

— და რას ვეძებ?

— ყველაფერს, რაც მას და ნეკას ეხება.

— კაი, — საშკა დგება და გადის.

რა მშვიდი ბიჭია. თანაც როგორ არღვევს ყველანაირ კანონს. მე მჯერა, რომ ამას აკეთებს, რათა ამ ისტორიაში სიყვარულმა გაიმარჯვოს.

ვზივარ და ვუყურებ ტელევიზორს. გოგოები არ არიან. ზოსი მიზის კალთაში და თმაზე მექაჩება. ტელევიზორში არაფერია. კარზე ზარია. მივიზლაზნები, რომ გავაღო. ორივეს აქვს გასაღები, მაგრამ მუდამ ავიწყდებათ, რომ თან უნდა ატარონ. ვაღებ. დგას საოცრად შეწუხებული საშკა. პრობლემის სუნი მცემს. შემოდის, ძირს აგდებს ჩანთას და ეხეთქება სკამზე.

— ლენა, გაემზადე!

აკანკალებული ვეშვები სავარძელში. დავიღუპე ალბათ და ვერ გამიგია. საშკა ჩანთიდან ფურცლებს იღებს და მაწვდის.

— ძირითადად სისულელეებია, მაგრამ ბოლოში არის უფროსი დევინსის წერილი.

— და რას ამბობს? — გული ყელში მაქვს.

— თვითონ ნახე, — საშკა ფურცლებს მაწვდის.

კანკალით ვართმევ და თვალებით ვეძებ წერილს, რომელზეც მელაპარაკებოდა. ვპოულობ და ვკითხულობ. ენდის უფროსი ძმა წერს, რომ მათი მოხუცი დეიდა (რომლის არსებობაზეც მე არაფერი ვიცი!) ჩადის ენდის საცოლეს გასაცნობად. თავიდან ვკითხულობ იმის იმედით, რომ რაღაც ვერ გავიგე. ყველაფერიც გავიგე. ენდის ნეკა ოჯახში შეჰყავს. ჩემთვის ყველაფერი დასრულდა. ძირს ვყრი ფურცლებს და ჯღავილს ვიწყებ. საშკა გვერდით მიჯდება, ვეხუტები და ვტირი. უბრალოდ ამოვანთხევ დაგროვილ ემოციებს და იყოს, რაც იქნება.

To be with others — ეროვნული თეორია

ენდი არც წერილებზე მპასუხობს და არც ტელეფონზე. მე კი მაინც იმედი მაქვს, რომ ამას ძალიან ლოგიკური ახსნა მოეძებნება. ვუსმენ „ჩაინავუმენის“ „To be with others“ („სხვებთან ყოფნა“) და ვიგრუზავ თავს. ტექსტი დაახლოებით ასეთია: „წელიწადში ორჯერ, ჩემი აზრით, მისაღებია, რომ ადამიანმა ის მოთხოვნები დაიკმაყოფილოს, რომელსაც ოჯახში ვერ იკმაყოფილებს. სურვილი, რომ იყო სხვებთან. შენ ხარ ის, ვისაც ვირჩევ, საუკეთესო, ვისაც კი შევხვედრივარ. ჩვენ შეგვიძლია, გავტეხოთ ფორმულა. ყოველთვის მინდოდა, ვყოფილიყავი გახსნილი. სურვილი, რომ იყო სხვებთან, სულ რამდენიმე საათი, ისე, რომ ჩვენი ურთიერთობა არ დაინგრეს“.

რატომ არის ადამიანი მუდამ იმის ძიებაში, რაც არ შეუძლია, რომ ჰქონდეს? რატომ არ შეგვიძლია შევირგოთ ის, რაც გვაქვს? რატომ გვინდა ყველაფერი ერთად? დიეტაზე ყოფნისას ტკბილეული გინდა, ალერგია რომ გაქვს, აკრძალული ციტრუსისკენ მიგიწევს გული, ორსულობისას ალკოჰოლის გახსენებაზე გბურძგლავს. ერთ-ერთ ფორუმზე ვკითხულობდი წყვილების შესახებ, რომლებსაც სექსი სხვა პარტნიორებთანაც აქვთ და მშვენივრად გრძნობენ თავს. თუმცა რა მიკვირს, საქართველოში რამდენი ქალია, ვისაც ქმარი ღალატობს და ამას მშვიდად იღებენ. საყვარლის არსებობაც იციან და უხარიათ, რომ ქმარი მათთან ცხოვრობს. რატომღაც ეს მხოლოდ კაცების თავისუფლებას ეხება. საკმარისია ქალმა გაიხედოს გვერდით, ის უკვე ბოზია და დედობის ჩამორთმევა ემუქრება. მე მიმაჩნია, რომ თუ ორ ადამიანს მართლა უყვარს ერთმანეთი, ოჯახი აქვთ და, მით უმეტეს, შვილები ჰყავთ, იქ მეტი არავის ადგილი უნდა რჩებოდეს.

საკითხი მეორე — შეიძლება თუ არა გიყვარდეს ორი კაცი ერთდროულად? აი, ჩემი თავი ავიღოთ. დათოზე ლაპარაკი ზედმეტია, მის მიმართ არაფერი აღარ მაქვს. სანდროს დანახვაზე კი ჩემში რაღაც ტოკდება. თითქოს მუცელი მეჭიმება, აი, სულ ოდნავ. და ენდის დანახვაზე საერთოდ გონება მებინდება, ისე მიყვარს. მაშინ რატომ არ შეიძლება, რომ ენდის მე და ნეკა ვუყვარდეთ? მე რაღაც ახალი და განსხვავებული ვარ მისთვის, ნეკა კი — მთელი ცხოვრების სიყვარული. თუ ორივეს მიმართ რაღაც აქვს, ის კი მისი შვილის დედა იქნება, რა შანსები მაქვს მე? ვიყო საყვარელი? რამდენადაც უნდა მრცხვენოდეს ამის აღიარება, თანახმა ვარ. მოვითმენ, ავიტან, დაველოდები. თუ მეცოდინება, რომ მის გულში მეც მაქვს სულ პაწაწუნა ადგილი, რომ ზოგჯერ მაინც ფიქრობს ჩემზე, ყველაფერს ავიტან. თუ ის ას წელიწადში ერთხელ მაინც დამითმობს დროს, მე ყველაფერს დავივიწყებ და მისი ვიქნები. ამას ვერავის ავუხსნი. ეს სიამოვნებანარევი ტკივილია. იცოდე, რომ შენი კაცი ვიღაცა სხვას ეკუთვნის და ვერ ივიწყებდე იმიტომ, რომ ისიც ვერ გივიწყებს. მისი გტკიოდეს და გიხაროდეს, ხედავდე, როგორ იზრდებიან მისი შვილები და მათი დედა შენ არ ხარ.

ვინ ვარ მე ამის მერე? უთავმოყვარეო? უიმედო? საცოდავი? დაე, ვიყო ზნედაცემული და უვარგისი, მე მაინც ის მინდა. ვიცი, რომ ეს არის ნამდვილი სიყვარული, იმიტომ, რომ მის შესანარჩუნებლად მე მზად ვარ, წავიდე ყველაზე უზნეო ქმედებებზე. გავჩუმდე და თავმოყვარეობა გადავყლაპო. თუ ასე ვფიქრობ, ნეკას რატომ არ ვაცილებ? იმიტომ, რომ მე მსურს, ის ბედნიერი იყოს და შვილისგან შორს ის ბედნიერი ვერ იქნება. მათი დაშორების ერთადერთი შანსია, რომ ბავშვი ენდისი არ იყოს, რაც ზღაპრის დონეზეა. ნეკა საკმარისად ჭკვიანია, რომ ენდისგან დაორსულებულიყო. ეს მე ვარ უტვინო, მე! და ეს ძალიან კარგად ვიცი. ვხუჭავ თვალებს და ვაგრძელებ სიმღერის მოსმენას, რომელიც გაუთავებლად →66

Cyan Magenta Yellow Black

მეორდება. რამეზე უნდა გადავიტანო ყურადღება. საუკუნეა, რაც „50 Shades of grey“ ვიყიდე და ვერ დავადგი წაკითხვას საშველი. ისეთი ამბავია ამ ტრილოგიაზე ატეხილი, რომ არ შემეძლო არ მეყიდა. ამერიკიდან რომ მოვფრინავდი, აეროპორტში ვიყიდე. ვნახოთ, რა არის ამისთანა. ვშლი წიგნს და კომფორტულად ვთავსდები საწოლზე. ვიწყებ კითხვას, იგივე სიმღერა კი უკრავს და უკრავს. ძალიან უხდება. ვერთვები წიგნში.

საშინლად მეწვის თვალები. ოთხ საათზე მეტია, რაც ვკითხულობ. ვინ თქვა, ეროტიკული რომანიაო? სუფთა წყლის პორნოა, მაგრამ ძალიან ლამაზად დაწერილი. ისეთი ემოციები მოდის მთავარი გმირებისგან, რომ ხელს ვერ ვუშვებ წიგნს. ნეტავ, მეც რომ ვიყო რამე ასეთი წიგნის გმირი, მოვეწონებოდი მკითხველს? თუმცა რითია ჩემი ცხოვრება ამაზე ნაკლები? სადო-მაზო აკლია და ეგაა, რა. არ ვარ მაგ ამბების მოყვარული მე და ასე რომ, მსუბუქ ეროტიკასაც დავჯერდებოდი. რა ერქმეოდა იმ წიგნს, რომელიც ჩემს ცხოვრებაზე იქნებოდა? „ლენა და მისი უიმედობა“. არა. „ლენა და სამი კაცი“. უკეთესი, „ბედნაია ლენა“. მეღიმება. ქრისტიან გრეიზე ვფიქრობ. საოცრად სექსუალური პერსონაჟია შექმნილი, საოცრად. საინტერესოა, ავტორი თუ ფიქრობდა ვინმეზე, როცა ამ წიგნს წერდა. მგონი, კინოსაც იღებენ და მეტ ბომერი უნდათ მთავარ როლზე. მე მომხრე ვარ, დაახლოებით მასეთი წარმომიდგენია.

ვდებ წიგნს საწოლზე და ვდგები. რატომ ვარ სულ მარტო და ქრონიკულად რატომ სძინავს ამ ძაღლს? ისევ წიგნზე მეფიქრება. ქრისტიან გრეის ტიპაჟი რომ მოვარგო ჩემს რომელიმე მამაკაცს, ვის მოერგებოდა? ალბათ არც ერთს. ის სულ სხვანაირია.

წავალ, შევჭამ რამეს. მივბოდიალებ სამზარეულოში. ვაღებ მაცივარს. გვაქვს მაწვნის სუპი. ირამ გააკეთა. ვანთებ გაზქურას და ვდგამ ქვაბს. საინტერესოა, მე რომ შემხვედროდა გრეისნაირი კაცი, რას ვიზამდი? ანუ გიუდები კაცზე, რომლის სექსუალური გემოვნება, ასე ვთქვათ, უაღრესად სპეციფიკურია. შეიძლება კაცი გყავდეს, რომელსაც მუდამ აცვია წინდები, აი, მაგას დაიკიდებ, მაგრამ კაცი, რომელსაც უნდა, რომ საყელური და ხელბორკილი გეკეთოს, სულ სხვა თემაა. თანაც, ამითაც არ შემოიფარგლება და ერთიმეორეზე სასტიკ თამაშებს იგონებს. მაგრამ კაცი, რომელზე სასურველი არც შეგხვედრია და ტკივილამდე გინდა მასთან ყოფნა. რა რთულია.

ვდგავარ ჩაფიქრებული და ვურევ მაწვნის სუპს. შემორბის ზოსი და ჩემი ფეხების გარშემო დარბის. ვთიშავ გაზს, ვდებ კოვზს ნიჟარაში და იატაკზე ვჯდები. ზოსი კალთაში მიხტება და მცდელობა აქვს, ცხვირზე მომტლიკოს. გიუივით ვიცინი და ვწვალობ, ეს „ისტერიჩკა“ ძაღლი გავაკავო. ზოსი მნებდება და ერთვება ჩემს თასმებზე. ვზივარ ცივ იატაკზე კარადას მიყუდებული და ვიყურები უსასრულობაში. გრეი. ნეტა, როგორ მთავრდება პირველი წიგნი. მგონია, რომ ჩემს თავს ხდება ეგ ყველაფერი და ამიტომაც ენდიზე იმდენად ვერ ვფიქრობ, თუმცა რეალობას სად გაექცევი. დიდი ნერვიულობა მაქვს წინ. ვიღებ მობილურს და ვკრეფ ენდის ნომერს. ახლაც თუ არ აიღო, აღარ დავურეკავ. ვკრეფ ნომერს და ველოდები.

— ლენა? — მესმის მისი ხმა და გული ყელში მიხტება.

— ენდი, რატომ არ მპასუხობდი? — ვეკითხები და ცრემლებს ვყლაპავ.

— მაპატიე, მარტო მინდოდა ყოფნა. მალიბუში ვარ.

— ნეკაც?

— არა, ნეკა სახლშია.

— რა ხდება, ენდი?

— რომ გნახავ, აგიხსნი.

— ენდი, ვერ მოვითმენ, აღარ შემიძლია.

— ლენა, ძალიან არეული ვარ.

— ასეც ვიცოდი.

— არა, არაფერი მომხდარა. უბრალოდ გავაანალიზე, რომ ბავშვი ჩემია და მე მას ვერ მივატოვებ.

— გინდა, მითხრა, რომ ნეკას მიმართაც გაქვს გრძნობა?

— ყველაფერი ძალიან რთულადაა.

— მაინც როგორ, ენდი?

— ჩამოვალ და დაგელაპარაკები!

— რა აზრი აქვს, ენდი? ჩამოხვალ და მეტყვი, რომ სხვა ქალი მოგყავს ცოლად და მე სამსახურს მინარჩუნებ?

— შენ გგონია, ჩემთვის ეს ადვილია, ლენა? არ იცი, რას ვგრძნობ შენ მიმართ?

— საკმარისად ვერ გრძნობ, მაგაშია მთელი პრობლემა.

— მივატოვებ ყველაფერს და ჩამოვალ.

— ნუ შეწუხდები. ის, რომ ყოყმანობ, უკვე ბევრს ნიშნავს, თანაც შენი შვილი, რადგან დარწმუნებული ხარ, რომ შენია, იმსახურებს მამას. აღარ დამირეკო!

ვახეთქებ ტელეფონს იატაკზე, მაგრამ ვერ ვტირი. იმდენად ცუდად ვარ, რომ ვერ ვტირი. მობილური ისევ რეკავს. არ ვპასუხობ. ითიშება. ხომ არ ვიჩქარე? იქნება სულაც არ წყვეტდა იმასთან დარჩენას? მობილური ისევ რეკავს. ამჯერად ვპასუხობ.

— ლენა, stop it! — ენდი ძალიან მკაცრია.

— თვითონ stop it!

— რომ იცოდე, როგორ მინდა შენთან, არ მეჩხუბებოდი.

ხმას ვერ ვიღებ. რა ვუთხრა? რომ სიგიჟემდე მინდა, შემეხოს?

— არ მჯერა, — ვეუბნები მშრალად.

— მე კი მინდა, შენი რბილი კანი მეხებოდეს.

— ენდი, რას მიკეთებ?

— გულახდილად გეუბნები, რასაც ვგრძნობ.

— გინდა ჩემთან, მაგრამ ნეკა მოგყავს ცოლად?

— მე არავინ მომყავს ცოლად. კი, აქ ჩემი საცოლის სტატუსითაა. აბა, რა დავარქვა? ორსული მეგობარი ქალი?

— გამაგებინე, რას მოითხოვ ჩემგან?

— იმას, რომ მოითმინო ცოტაც.

— და მერე?

— რატომ მამეორებინებ? ბავშვი რომ გაჩნდება, ყველაფერი დალაგდება.

— ენდი, ბავშვი რომ გაჩნდება, ვეღარაფერს იზამ. გესმის? თანაც ჯერ ახალი ნამშობიარევი იქნება. მერე ბავშვი იქნება ჩვილი. მერე მე უკბილო ბებერი ვიქნები უკვე. მინდა, რომ შენ კარგი მამა იყო, ძალიან მინდა, მაგრამ ჩემიც გაიგე, ძალიან მიჭირს.

— ლენ, მიყვარხარ, — მეუბნება ჩუმად.

— მეც, — ვპასუხობ და კაი ბუთქუჩა ცრემლს ვყლაპავ.

რა აზრი აქვს აწი რამეს? წამოვალ სამსახურიდან. ვერ გადავიტან მე მათ ერთად ნახვას. ვერც იმას გადავიტან, ყველა ჟურნალში რომ მათი ოჯახური ფოტო იქნება. შეიძლება მუდამ დატანჯული ვიყო? თარს ვარსკვლავზე დავიბადე ალბათ. ვდგები იატაკიდან, ვუყრი ზოსი საჭმელს და სააბაზანოში შევდივარ. მოვწესრიგდები და გავალ სადმე. აღარ შემიძლია.

შევდივარ კაფეში. ვკოცნი ყველას, ვინც გზად მხვდება. რატომაა, რომ თბილისში სულ ნაცნობები გხვდება ადამიანს? აი, სად უნდა წახვიდე, რომ ვიღაცამ არ მოგდორბლოს? ვუკვეთავ ბერძნულ სალათს, 15 ხინკალს, მექსიკურ კარტოფილს, მწვადს და ხაჭაპურს. დასალევად მინდა არაყი კოკა კოლათი. ოფიციანტი მოწიწებით მეკითხება, რამდენი ვიქნებით. ამაყად ვეუბნები, რომ მარტო ვარ და ისიც აღარ მაწუხებს შეკითხვებით. აი, დარდი! იჭორაოს მთელმა თბილისმა, რომ ლენა დვალი მარტო დადის რესტორნებში და სკდება ღორივით.

— შეიძლება? — მესმის ნაცნობი ხმა.

— არა, — ვამბობ მკაცრად.

— რამ გაგამწარა? — დათო მაინც ჯდება.

— შენ აქ რა გინდა?

— საჭმელად შემოვედით, — მანიშნებს დარბაზის ბოლოს მჯდომი მამაკაცებისკენ.

— განაგრძეთ მერე ჭამა.

— დავინახე, რომ მარტო ხარ და მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ ყველაფერი რიგზეა.

— დათო, ჩემს ცხოვრებაში არასდროს არაფერი არაა რიგზე! არასდროს!

— მე რას მეჩხუბები?

— და რას მომიკოსდი?

— ნაცნობი აუტანელი ხასიათი, — დათოს ეღიმება.

— იცი, ბევრი ჩემს ადგილას ასე კარგად არ მოგექცეოდა. ძალიან მაწყენინე და გამიჭირდა ჩვენი დაშორების გადატანა და ახლა მიზიხარ გვერდით და ცანცარებ, ვითომ არაფერი, — ამოვიდა რა ყელში!

— მე მოვიხადე ბოდიში და აგიხსენი, რომ შევიცვალე, — დათო სერიოზულდება.

— და მე რა?

— გააჩნია, შენ რა გინდა, — ამბობს და თვალებში მიყურებს.

ვუყურებ გაოცებული. რა უნდა მინდოდეს, დათო? მეღადავები? ამხელა დამცირების მერე რა უნდა მინდოდეს შენგან?

— დათო, გადაჯექი! — ვეუბნები მკაცრად.

უსიტყვოდ მემორჩილება. ვიღებ ტელეფონს და ტექსტურ შეტყობინებას ვუგზავნი გოგოებს: მოდით „სტელაში“, არაყში უნდა ჩავწვეთ.

საჭმელ-სასმელი კოხტად აალაგია მაგიდაზე. ირა და ნანუკა შეექცევიან მწვადს. მე კი ვცდილობ, ხინკლის წვენი ისე გამოვწოვო, რომ არ დავითხვარო.

— აუ, რა გემრიელია, — განაბული სახით ამბობს ირა.

— ისე, ლენა, თქვი რა, ყველა კაცს აკლია.

— ენდის არ აკლია, — ვამბობ განაწყენებული.

Cyan Magenta Yellow Black

— კარგი, ენდის არ აკლია, მაგრამ მაინც! — ნანუკა ხაჭაპურის ნაჭერს იდებს თეფშზე.

— ხოდა, გაგვიმარჯოს ქალებს! — ირა ჭიქას წევს და ჩვენც ომახიანად ვუჭახუნებთ.

— თქვენი გადახდილია, — ამბობს დათო და ხელს გვიქნევს.

— ეს გამდიდრდა თუ დაკაცდა? — ამბობს ნანუკა და გვიტყდება ისტერიული სიცილი.

— არც ერთი! — ვამბობ და უფრო გვეცინება.

მოგვეკიდა და უაზროდ ვხვანცალებთ. რეკავს მობილური. ენდია.

— ენდია, — ვაცხადებ ხმამაღლა და დავცქერი მობილურს.

— აიღე! — ერთ ხმაში ამბობენ გოგოები.

— გისმენთ, — ვპასუხობ და ვცდილობ, ვაკონტროლო სიმთვრალის ჩლიფინი.

— მთვრალი ხარ? — მეუბნება ენდი.

საიდან მიხვდა? ერთი სიტყვა ვთქვი.

— ცოტა, — ვამბობ და ვხვდები, რომ „სოტა“ ვთქვი.

— სად ხარ?

— გოგოებთან ერთად.

— ლენა, გირეკავდი მანამდეც და არ მპასუხობდი. მეორედ არ ქნა მასე.

— თორე რა? სხვას მოიყვან ცოლად? ეგ უკვე გავიარეთ.

— კედლებზე გავდივარ, ხომ იცი. აიყვანე თავი ხელში.

— ხო, — ვეუბნები და არყის ჭიქას ვცლი.

— კარგი.

— ამისთვის დამირეკე?

— მომენატრე და მაგიტომ დაგირეკე.

— კაი, მიხედე ცხოვრებას, აღარ გაგაცდენ, — და ჩემი „გაგაცდენ“, ისევ ჟღერს, როგორც „გაგასდენ“. ასე მომეკიდა, კაცო?

— სისულელეები არ ჩაიდინო!

— რაზეა ლაპარაკი. პააკა�ა, — ვკიდებ ყურმილს.

გოგოები ვეღარც ჭამენ. ეტყობა, ეშინიათ, რომ თეფშების ლეწვას დავიწყებ.

— გოგოებო, რა ვქნა? მოდი, ერთხელ მაინც წყნარად განვიხილოთ.

— გისმენთ, — მეუბნება შეშინებული ირა.

— ენდის ჩემთან უნდა, მაგრამ კაცურად იქცევა და ნეკას არ ტოვებს. მე მასთან მინდა და მზად ვარ, ველოდო, მაგრამ თან მეშინია, რომ ნეკას მიმართ ისევ აქვს გრძნობები.

— ჩააკითხე, — ამბობს ნანუკა და თვალებს ჭუტავს მფრინავი ჭიქის მოლოდინში.

— გენიოსი ხარ! — ირა ცერა თითს შტრინკავს.

— ვიზა კი მაქვს, ფულიც მაქვს, — ვფიქრობ, რა გავაკეთო.

— ავდექით, — ნანუკა ფეხზე დგება.

ჩვენც ვდგებით, ანუ ვცდილობთ, რომ ავდგეთ.

— ტაქსი და აეროპორტი სასწრაფოდ, — ამბობს გენერალი ნანა.

— პასპორტი მერე? — კიდევ კაი, გონს მოვეგე.

— გავიაროთ სახლში და ავიღოთ, — ნანუკა უკან არ იხევს.

— კარგი!

გავდივართ და ვაჩერებთ ტაქსს. ნანუკა წინ ჯდება, ის ხომ ჩვენი ღიდერია დღეს. ჩავალ ენდისთან და იქ გადაწყდება ყველაფერი. ტფუ, ტფუ, ტფუ! ნეტა ყველაფერი გამოვიდეს.

ვზიავარ თვითმფრინავში. გამოფხიზლებული ვარ. გვერდით მიზის სუნიანი ძია, რომელიც ფეხებს ანიავებს. აი, ისევ ცხელი პლასტიკატის სუნი. არ ვეკარები საჭმელს, მარტო ლუდს ვსვამ. ძია თავისას ჭამს წამში და მერე ჩემსასაც აყოლებს. რა კარგია. ყველა გიჟი მე უნდა შემხვდეს.

ვალაგებ ბარგს სასტუმროს ოთახში. შხაპს გადავივლებ და გავვარდები ენდისთან. მალიბუს სახლშია და კარგად მახსოვს, როგორ უნდა მივაგნო.

ვდგავარ სანაპიროზე და პირდაპირ ვუყურებ ენდის აივანს. ნეტა სახლშია? იქნებ უნდა დამერეკა? ვხედავ, რომ ფარდა ირხევა. ენდი გამოდის გარეთ და იზმორება. თმა აქვს გაჩეჩილი და წვერი გასაპარსი. მეღიმება. როგორ მომნატრებია. ახლა ავალ და ჩავეხუტები. ფარდა ისევ ირხევა და გამოდის ნეკა. ადგილზე ვიყინები. მუცელი დატყობია. ნეკა სავარძელში ჯდება და ენდი ოთახში ბრუნდება. ღრმად ვისუნთქავ ჰაერს. რა ვქნა? ღმერთო, რა

ვქნა? ენდი აივანზე ბრუნდება და წვენით სავსე ჭიქას აწვდის ნეკას. არ მესმის, რაზე საუბრობენ, მაგრამ მშვენივრად არიან ერთად. ენდი მოაჯირს ეყრდნობა და ჩემკენ იყურება. ვერ მცნობს ან ვერ მხედავს. ნეკა დგება, წვენის ჭიქას მოაჯირზე ათავსებს და ენდის გვერდით დგება. რაღაცას ეუბნება, რაზეც ენდი საყვარლად იცინის. ნეკასაც ეცინება და თავს ადებს ენდის ბეჭზე. მე მივდივარ.

ვზივარ სასტუმროში. ბილეთი გადავცვალე და ხვალ მივფრინავ უკან. თუ მიყვარს, უნდა გავუშვა. მე ვურჩიე, ნეკა მოეძებნა, მე წავაქეზე და მოვიმკე კიდევაც შედეგი. ვხსნი ელექტრონულ ფოსტას და ვიწყებ ბეჭდვას.

„გამარჯობა ენდი. ბევრი ვიფიქრე ჩვენზე და გადაწყვეტილებაც მივიღე. არარეალურია, რომ ჩვენ ვმალოთ ურთიერთობა ცხრა თვე და მერე კაცმა არ იცის, რა იქნება. მინდა, რომ შენ ბედნიერი იყო, მაგრამ ამიტომ არ ვაკეთებ ამას. მე არ მეყოფა მოთმინება, — კიდევ უნდა რაღაც, ისეთი რამე, რაც ჩემს თავს შეაძულებს. ერთად რაც ვნახე, ვერ ვხვდები, მართლა იკლავდა ნეკა თავს თუ არა. ორსულადაა, უყვარს, რას გაიგებ. ენდიც ბედნიერი ჩანდა და თუ ნამდვილად მიყვარს, უნდა გავუშვა. არ მინდა, მთელი ცხოვრება იხლიჩებოდეს. დამივიწყებს. დრო გავა და დამივიწყებს. უნდა ვიყო მედგრად, — ეტყობა, საკმარისად არ მყვარებიხარ“. ტოპკაც ჩავურტყი. კარგად, ჩემო სიყვარულო. შენ ბედნიერებას იმსახურებ.

ბაბრაილია შიდლიგ ნომერი

ეს იცოდით?

❖ ანდრონიკების სექტა ქადაგებდა, რომ ქალის სხეულის ზედა ნაწილი ღმერთის მიერ იყო შექმნილი, ხოლო ქვედა — ეშმაკის მიერ.

❖ პირველი მონოთეისტური რელიგია ძველ ეგვიპტეში წარმოიშვა.

❖ სოლომონ ბრძენს ხელზე ეკეთა ბეჭედი წარწერით: „ესეც გაივლის“. როცა ბრძენი ცუდ ხასიათზე იყო, ბეჭედს დახედავდა და კარგ ხასიათზე დგებოდა. როცა კარგ ხასიათზე გახლდათ — პირიქით.

❖ ცნობილი ფრანგი ალქიმიკოსის, ექიმის, პოეტისა და წინასწარმეტყველის მიშელ დე ნოტრდამის, იგივე ნოსტრადამუსის, მიერ ნაწინასწარმეტყველევ ტექსტებში სიტყვა სიკვდილი 139-ჯერ არის ნახსენები, ბრძოლა — 111-ჯერ, სისხლი — 89-ჯერ, ცეცხლი — 78-ჯერ, ჭირი — 42-ჯერ, ხოლო შიმშილი — 38-ჯერ.

❖ იულიუს კეისარმა ახალი წლის აღნიშნა 1 იანვარს იმიტომ გადმოიტანა, რომ ამ დღეს იწყებდნენ არჩეული კონსულები მოვალეობის შესრულებას.

❖ ყველაზე ხანგრძლივი მიწისძვრა ისტორიაში ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალასკაზე დაფიქსირდა. 1964 წლის 27 მარტს ალასკაზე მიწისქვეშა ბიძგები უწყვეტად 4 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

❖ მძღოლს რომ არ ჩაეძინოს, ამერიკის ბევრ ქალაქში ასფალტს ისე აგებენ, რომ ყოველ 5 კილომეტრში მანქანის სალონში მცირე ხმაური შეიჭრას.

❖ „მეორე ქუჩა“ აშშ-ში ქუჩის ყველაზე გავრცელებული დასახელებაა, „პირველი ქუჩა“ კი მე-6 ადგილზეა.

Cyan Magenta Yellow Black

დიეტა

ლელა ცუცქირიძე

კარგა ხანია, ის პრობლემა მაწუხებს, რომლის გადაჭრასაც ჩემნაირების უმეტესობა ორშაბათიდან იწყებს ფიცით და სიტყვებით: „მორჩა, ორშაბათიდან აუცილებლად დიეტაზე გადავდივარ!“. ვატყობ, რომ ძალიან დავემსგავსე ბავშვობის მეგობარ კარლსონს. ერთი, რომ ფაქტობრივად სახურავზე ვცხოვრობ, მანსარდაში და მეორეც: ზომიერად ფერხორციანი და ზომიერადვე მოწიფული ვარ. ჰო, კიდევ, ტკბილეულიც მიყვარს და, რაღა დავმალო და, ფრენითაც სიამოვნებით ვიფრენდი, პროპელერი რომ მქონდეს.

მოკლედ, დასაკლები მაქვს მთელი... არა, არა, ამას ხმამაღლა როგორ ვიტყვი, საკუთარ თავსაც ვერ ვუმხელ, რამდენი მაქვს დასაკლები. სასწორზეც კი თვალდახუჭული ვდგები, ისიც დილას, უზმოზე, მერე ნელ-ნელა ვახელ ცალ თვალს და ისრებს ვუყურებ. ჯერჯერობით 2 კილო და 490 გრამი დავიკელი, მაგრამ, რადგან დიეტა დავიწყე, ბოლომდე უნდა მივიყვანო.

დიეტას ცურვაზე სიარულიც შევუთავსე. კიდევ კარგი, კუსა შემიჩნდა, თორემ რადგან ჩემთვის ცურვაც დიეტასავითაა, დღემდე გამუდმებით ვიქოთქოთებდი: ორშაბათიდან ცურვაზეც ვიწყებ სიარულს, ორშაბათიდან ცურვაზეც ვიწყებ სიარულს, ორშაბათიდან ცურვაზეც ვიწყებ სიარ...

— გეყოფა! — გამაჩერა ერთხელაც კუსამ.

ჩემი გადამკიდე, შუქნიშანს ჰგავდა. ამ შუქნიშანში ყველაზე ხშირად ენთო ჩემთვის მწვანე ფერი, ხანდახან ყვითელი და იშვიათად, ათასში ერთხელ წითელი. აი, ახლა, ჩემგან გაბეზრებულმა, წითელი ამინთო. მეც კანონმორჩილი მძღოლივით უცებ დავამუხრუჭე.

— კარგი, — ვუთხარი, მაგრამ მივხვდი, რომ მხოლოდ ამის თქმა ჩემს დაქოქილ გონებას ვერ გააჩერებდა და ცოტა წინ მივიწიე, — რა იყო, რა, ერთხელ ამიტანო, არ შეგიძლია?

— ერთხელ? — სამივე ფერი წითლად ამინთო კუსამ, — დავიღალე, აი, და-ვიღალე! ან გახდი, ან გაჩუმდი, ან სულაც, უფრო მეტად გასუქდი, მე თავი დამანებე.

— ჩემი ატანა?! — ისევ წინ წავიწიე და საბოლოოდ დავარღვიე მოძრაობის წესები.

— მორჩა, დღეიდან ან სპა-სალონში ივლი, ან სამეჯლისო ცეკვებზე, ან ცურვაზე, ან დილაობით იძუნძულებ. მოკლედ, რაც გინდა, ის ქენი, ოღონდ ენერგოვამპირობას გადაეჩვიე, — ფაქტობრივად ჯარიმის ქვითარი გამომიწერა კუსამ.

„პატრულის ფორმაღა აკლია და ეგაა“, — გავიფიქრე უკმაყოფილოდ.

ისე, კი მოუხდება. უნდა ვუთხრა, იქნებ ჭკუაში დაუჯდეს და ერთ მშვენიერ დღეს ბარემ ოფიციალურ პატრულად მომევლინოს.

— რას მერჩი, რას? — მაინც არ დავიხიე უკან და დიდის ამბით შევუტიე.

— მოკლედ, ან სპორტი, ან სიკვდილი, — ახლა იარაღი მომადო შუბლზე.

ერთადერთი დეიდაშვილი მყავდეს და ასეთი? ნამდვილი ტერორისტი, დეიდაშვილის მკვლელი ტერორისტი! სანამ საკუთარ დეიდაშვილს ტერორისტობაში და ჩემს შანტაჟ-მკვლელობაში ვდებდი ბრალს, რამდენიმე დღე გავიდა. ამასობაში კუსამ ჩემგან დამოუკიდებლად მოძებნა ორი ვარიანტი: ერთი სპა-სალონი და ერთი საცურაო აუზი. მომადგა მანქანით, მძევლად ამიყვანა და ორივე ვარიანტზე განსახილველად წარმადგინა.

სპა-სალონი უფრო მომეწონა, ვიდრე აუზი. რაც უნდა იყოს, აქ შენ გემსახურებიან, ცურვაზე კი საკუთარ თავს თავად უნდა მოემსახურო.

ვიფიქრე, ვიფიქრე და მაინც ცურვა ავირჩიე.

ასე ვიცი, ყოველთვის იმას ვირჩევ, რაც ნაკლებად მხიბლავს. ცურვას ვინ ჩივის, ქმარიც ასე შევარჩიე თავის დროზე. ორი თაყვანისმცემლიდან მაინცდამაინც ის, რომელიც ნაკლებად მხიბლავდა. აი, ეს რატომ გავაკეთე, დღემდე არ ვიცი.

ალბათ ამის გამოცაა, ახლა მარტო რომ ვზივარ ჩემს მანსარდაში და თანდათან ისე ვფუვდები, სადაცაა, ცომივით გადმოვალ ფანჯრებიდან.

— აკეთე ნაირ-ნაირი საჭმელი და უკეთესი დაგემართება, — ნიშნს მიგებს კუსა.

თავად რა ენაღვლება, პარამეტრში ჯდება: 90/60/90. ნებისყოფა აქვს, ბატონო, და მთელი ცხოვრება დიეტას იცავს. მე კი რა ვქნა, გურმანი ვარ, თანაც ზარმაცი. ერთადერთი, რასაც სიამოვნებით ვაკეთებ, სამზარეულოში ფუსფუსი და მერე ჩემი შემოქმედებით ტკბობაა, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

დიეტამდე სერიოზულად ვიყავი გატაცებული კულინარიით: რეცეპტებს ვაგროვებდი და მერე რვეულში ლამაზად ვაწებებდი. ამაზე ხომ კუსა სიცილით კვდებოდა: ამ ინტერნეტის ეპოქაში რაღა დროს რეცეპტების რვეულში ჩაკვრაააო, მაგრამ ეს ჩემი ჰობი იყო. ვაწებებდი აუცილებლად სუფთად, აკურატულად, გაფორმებით, ყველაფერი დახარისხებული მქონდა პუნქტებად და ქვეპუნქტებად: წვნიანები გნებავთ? კი, ბატონო, ინებეთ, რომელი გირჩევნიათ? სოკოს წვნიანი, უკრაინული ბორშჩი, გოგრის შეჭამანდი თუ ბარდის? სალათები გნებავთ? კი, ბატონო, რომელი? ცეზარი, ოლივიე, სამარხვო, ზეითუნის ზეთით, ბეკონით, ძეხვით, ქათმით, ბოლოკით...

ახლა ხორცეული? ხორცის რულეტი გნებავთ? ახლავე იქნება, ღმერთო ჩემო, ისე როგორ გაგიშვებთ... მაშინ ხაჭაპური მიირთვით, აა, პიცაც გეყვარებათ, ახლავე, ახლავე...

და სასმელი? ერთი წუთით, მოვძებნო, სასმელი, სასმელი, აი, მეცხრამეტე გვერდზე ყოფილა, დესერტამდე...

მოკლედ, დიდი ფუსფუსი მქონდა, ვამზადებდი და ვამზადებდი, ხან ბებიაჩემის რეცეპტებს ამოვალაგებდი და გაცრეცილი ფურცლებიდან ათასნაირი გემო-სურნელი იშლებოდა სამზარეულოში, ხან ჟურნალების პრიალა ფურცლებზე დაბეჭდილი უცხო რეცეპტებით ვექსპერიმენტობდი.

მერე კი „ჭრელ ბაღდადზე გაშლილ სუფრასთან“ მეც სიამოვნებით დავსუნსულებდი. ამ სუნსულ-სუნსულში გავფუვდი და დავმშვენდი. რა თქმა უნდა, ჩემი თავი სარკეში სულაც არ მეჩვენებოდა დიდი და ვეებერთელა, მაგრამ ერთხელ ჩემმა შორეულმა ნათესავმა თვალი ისე ამიხილა, რომ სულაც მან მიმაღებინა გადწყვეტილება.

— დედა, როგორ მოფერიანებულხარ, გენაცვალე! — მარტოები ვიყავით, მაგრამ მაინც აქეთ-იქით მიმოიხედა, ჩემკენ გადმოიწია და საიდუმლოდ მითხრა, — რომ მოინდომო, ისეთ ბიჭს გაგაცნობდი სოფელში, მისი მსგავსი რომ არავინაა. შენნაირი ბარდღალა და ჯანმრთელი გოგოები უჭირს ზუსტად ჩვენს სოფელს, — მერე ისევ უკან გადაიწია, თვალმოჭუტულმა კიდევ ერთხელ შემომხედა და უკვე მტკიცედ თქვა, — არა, ამისთანა ჯანმრთელ და საჯიშე ქალს ხელიდან ვერ გაგიშვებ, უნდა ვითავო ეს საქმე.

პირველი, რაც გავიფიქრე: „ჰმ, ახლა მე მკითხოს, რა! სოფლიდან ქალაქში ჩამორბიან და მე, ხოხბის ხნის თბილისელი რატომ უნდა წავიდე იქით, ქმრის საძებნელად და ძროხების საწველად?“ და იქვე მეორე ფიქრი მოვიდა: „ვაიმე, დავიღუპე! ამას რომ საჯიშედ მოვეწონე, ესე იგი, ძალიან ცუდადაა ჩემი საქმე“.

და ეგ დღე იყო სწორედ, დიეტაზე რომ დავიწყე ფიქრი. ჯერ მარტომ ვიფიქრე, ვიწუწუნე, ვიქოთქოთე, მერე კუსასთან და, სიმართლე რომ ითქვას, მაინცდამაინც არც მინანია. კუსა რომ არ ყოფილიყო, ჯერ ისევ „ორშაბათის“ ლოდინში ვიქნებოდი.

ახლა ცურვაზე ერთად დავდივართ, მე — გასახდომად, კუსა — ფორმის შესანარჩუნებლად, ორივე ერთად კი იმის იმედითაც, რომ იქნებ გამოჩნდეს ვინმე, ვინც ჩვენს ცხოვრებას თანამგზავრად აედევნება და მუდმივად ჩვენი ორბიტის გარშემო ივლის.

ამას ერთმანეთს არ ვუმხელთ, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ასეა და კუსამაც ხომ იცის, რომ ასეა.

— კაი ტიპია, არა? — ვანიშნე ამას წინათ ერთ ტიპზე.

ვანიშნე რა, სათვალეებშიც კი შემოაღწია მისი ათლეტური ტანის მშვენიერებამ.

— შენ აქ ამისთვის დადიხარ თუ გასახდომად? — მკითხა კუსამ და იმ წუთასვე მიაჩერდა ათლეტს, — უჰ, — მხოლოდ ეს წამოიძახა. როგორც ჩანს, მშვენიერებით აღტაცებულმა მეტი ველარაფერი მოახერხა.

— იცოდე, პირველი მე დავინახე, — გავაფრთხილე და როგორც კი ათლეტი წყალში ათლეტურად ჩამოხტა, მაშინვე მისკენ გავცურე ქალთევზასავით ნარნარი რხევით. კუსამაც მაშინვე ამოყვინთა ჩემ გვერდით.

— მართლა კარგი ტიპია, — მითხრა და სათვალე მოიხსნა, — ერთი კარგად უნდა დავაკვირდე, — და დააკვირდა.

— კი, ნამდვილად კარგი ტიპია, — დავემოწმე მეც.

ახლა ორივემ სინქრონში დავიწყეთ ათლეტის სიახლოვეს ნარნარი და იმდენი ვუნარნარეთ, რომ ტიპ-ათლეტმა ყურადღება მოგვაქცია.

Cyan Magenta Yellow Black

მოგვაქცია რა, ჯერ ჩვეულებრივად გავიცანით ერთმანეთი:

— სოსო.

— კუსა.

— მანჩო.

მეორე მისვლაზე უკვე ღიმილით ვესალმებოდით ერთმანეთს:

— როგორ ხართ?

— დღეს წყალს ზედმეტი ქლორი ხომ არ აქვს?

— მუშაობ?

მესამე მისვლაზე უფრო მეტი ღიმილით:

— გუშინ „ფრენდრექვესტი“ გამოგიგზავნეთ ფეისბუქზე, არ გინახავთ?

— აუ, მაგარი დაღლილი ვარ, მთელი ღამე ფეხბურთს ვუყურებდით ბიჭები.

— ვაიმე, მეც მიყვარს ფეხბურთი...

მეოთხე მისვლაზე კი:

— საღამოს სადმე დავსხდეთ, არ გინდათ?

— რატომაც არა.

— ჩემთან ავიდეთ, — წამოვისროლე.

— შენთან? რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა სოსომ.

— რა პრობლემაა, მარტო ვცხოვრობ, — ამაყად გამოვუცხადე და კუსასაც ამაყად გადავხედე: „ჰმ, შენსავით კი არ ვარ, ოჯახში ათნი რომ ხართ ერთად“.

— კარგი, ახლა საქმეები მაქვს, მოვაგვარებ, მერე ავიღებ რაღაცეებს და ამოვალ, — დამთანხმდა სოსო.

— რა უნდა აიღო? — შევიცხადე მე, — მოდი და რაც საჭიროა, ყველაფერი დაგხვდება!

გაიღვიძა ჩემში ძალით მიძინებულმა კულინარიის სიყვარულმა, შეიძლება ქვეცნობიერად თავის მოწონებაც მინდოდა, თუმცა რა ქვეცნობიერად, ძალიანაც ცნობიერად.

— სალონში უნდა გავიარო და საღამოს მოვალ, კარგი? — მითხრა კუსამაც, როცა სოსოს დავშორდით და მანქანიდან ღიღინით გადავიდა.

სახლში პროდუქტით სავსე პარკებით რომ შევედი, მერე ვიგრძენი, რომ რაღაცნაირად გული დამწყდა: მოვლენ საღამოს გამზადებულ სუფრაზე დასვენებულები, გაპრანჭულები, დავარცხნილები... მე კი სამზარეულოში უნდა ვიტრიალო და რა მერე?

სასწორზე შევდექი, არაფერი სასიხარულო...

ნეტავ, რა ძალა მედგა, ვინ მექაჩებოდა ენაზე, რა აზრი აქვს? ისე ვარ გაფუებული, მაინც არ მოვეწონები...

უფრო შემეცოდა ჩემი თავი, მაგრამ რაღა დროსი იყო? ამიტომ ხელი ჩავიქნიე, თავიდან ამოვიგდე სოსოზე ფიქრი, ჩავრთე ტელევიზორი და საქმეს შევუდექი.

როცა კუსა მოვიდა და ხუთიოდე წუთში სოსოც მოჰყვა უკან, ფაქტობრივად ყველაფერი გამზადებული მქონდა: „ჭრელ ბაღდადზე გაშლილი სუფრაც“ ცხელი პიცით, ხაჭაპურით, მადამ ბოვარით, ბიფსტროგანოვით, ღუმელში კი ბრინჯით, თაფლით, ნიგვზით, ჩირებითა და ცუკატებით ამოვსებული გოგრაც მელოდებოდა.

— ვა, — გაუკვირდა სოსოს, — ეს ყველაფერი შენ გააკეთე თუ მარკეტში იყიდე?

— არა, რა მარკეტი, ჩვენი მანჩო ცნობილი კულინარია, — უთხრა კუსამ და მოწყალედ გადმომხედა, ნახე, როგორ გაქებო, — და გურმანიც, სხვათა შორის, მაგრამ ახლა დიეტაზეა.

„ვინ ეკითხებოდა, ამას რომ ამბობდა?! — გავიფიქრე გაბრაზებულმა, — იქნებ სულაც არ ვამხელ, დიეტაზე რომ ვარ“, — გული კიდევ ერთხელ დამწყდა.

სამზარეულოში გავედი მორიგი ხაჭაპურის გამოსატანად. სარკეში ჩემს თავს მოვკარი თვალი — ისეთ პინგვინს ვგავდი, გაფრენა რომ უნდოდა და არაფერი გამოუვიდა.

„ეჰ, — ამოვიოხრე კიდევ ერთხელ, — მშვიდობით, დიეტავ და ცურვავ, თქვენ თქვენთვის, მე ჩემთვის, მაინც არაფერი გამომდის, დღეიდან ისევ ჩემს ძველ რეჟიმს ვუბრუნდები. რაც უნდათ, ის უქნიათ!“.

ხაჭაპურს მოზრდილი ნაწილი ჩამოვაჭერი, იქვე, სამზარეულოში მივირთვი, მერე გამოვედი და სუფრასაც ძველებურად შევუტიე.

— რას აკეთებ, გაგიჟდი? — ჩამჩურჩულა კუსამ, — დიეტა აღარ გახსოვს? მოგკლავ, იცოდე, დადე ეგ პიცა.

— ყველამ თავის ტანწერწეტა თავს მიხედოს, — ვუთხარი აუღელვებლად და პიცას მადამ ბოვარის მოზრდილი ულუფაც მივაყოლე.

ღმერთო, რა ბედნიერებაა, როცა დიეტაზე აღარ ხარ და თავს ყველაფრის ჭამის უფლებას აძლევ! როგორ მომნატრებია ჩემი მომზადებული კერძები ან აქამდე რა ძალა მედგა, რა თავს ვიკლავდი?! აი, დარდი, თუ ეს შეგრძნება იმდენად მონატრებული მქონდა, რომ ვეღარ შეველიე და ცურვასაც თავი დავანებე, რომელი მოცურევე მე ვიყავი?! კუსამ კი მიტრიალა აქეთ-იქიდან, დამემუქრა, შემარცხვინა, დამამუნათა, მაგრამ მისი ყველა შემოტევა მშვიდად მოვიგერიე:

— იცი, რა? სულაც არ მჭირდება დიეტა, მშვენიერი ფუმფულა და ნუგბარი ქალი ვარ.

რაღა უნდა ექნა? ეგ კი არა, ცოტა ხანში თავადაც დაანება ცურვას თავი, ცეკვაზე გადაერთო და იქ მშვენიერი ფლირტი გააბა თავის პარტნიორთან.

ცოტა ხნის წინ სოსომ დამირეკა.

— სად დაიკარგე? — მკითხა მოკითხვის შემდეგ.

— რა ვიცი, არსად, — ვუთხარი გაოცებულმა.

რამ გაახსენა ჩემი თავი? ალბათ კუსაზე უნდა მკითხოს რამე.

— ერთმანეთი ხომ არ გვენახა? — მკითხა ისევ.

— კი, ბატონო, — ჩემთვის მხრები ავიჩეჩე, — დავურეკავ კუსას და გამოდით, თუ გინდა.

— და მარტო რომ გამოვიდე? ის საღამო მიტრიალებს ისევ თავში, არაჩვეულებრივი კერძები იყო.

ჰმ, კერძები! ამას მე მართლა კულინარი ხომ არ ვგონივარ?!

— და მაგას თავი დავანებოთ, მთავარი

ამ ათლეტს არ მოვეწონები. ჰყავდეს აგერ კუსა, მშვენიერი გოგოა. მართლა, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ ერთმანეთი.

— მანჩო, — წითელი ამინთო კუსამ, — იცოდე, მართლა მოგკლავ.

— კარგი ერთი, რა, — ვუთხარი უკვე უდარდელად, — შენ იმაზე იფიქრე, ეს ბიჭი როგორმე ხელიდან არ გაუშვა.

როგორც ჩანს, კარგა ხნით მივიწყებული საჭმლის მიღებამ ჩემზე ნარკოტიკივით იმოქმედა: აღარც სიმსუქნეზე ვფიქრობდი, აღარც ათლეტზე...

ისაა, რომ... ისაა, რომ არაჩვეულებრივი გოგო ხარ, მანჩო! მოკლედ, შენი ნახვა მინდა.

— ვაიმე! — ლამის გამივარდა მობილური, — კი, ბატონო, დღეს სახლში ვარ და გამოდი.

სულ რომ არ მდომებოდა ამ სიტყვების თქმა, ისეთი ხმა ჰქონდა, ისეთი ხავერდი და ატლასი...

სასწრაფოდ გამოვვარდი სახლიდან. სალონში უნდა შემერბინა და მერე პროდუქტებიც მეყიდა. დრო ცოტა მქონდა, ყველაფერი უნდა მომესწრო.

Cyan Magenta Yellow Black

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადა ორშაბათი, 2 მარტი 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 28 წლის, ბათუმელი ბიჭი, ფინანსურად უზრუნველოფილი, ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ 50 წლამდე ბათუმელ ქალს. 555471160. გიო

2. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ქალს, ვარ 32 წლის, დასაქმებული, მოსიყვარულე მამაკაცი. 588361382

3. გავიცნობ 38 წლამდე თბილისელ ქალს, ვისაც არ გაუმართლა, ვისაც გული ატკინეს. 598857370

4. ვარ ქუთაისელი ბიჭი, მყავს ოჯახი, შეხვედრებისთვის გავიცნობ მხოლოდ ქუთაისელ ქალს. 555369189

5. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ქალს. 574070310

6. ვარ 33 წლის თბილისელი ბიჭი, გავიცნობ თბილისელ ლამაზ და მომხიბვლელ გოგოს 30-40 წლამდე. 599902316

7. გავიცნობ სასიამოვნო ქალს შეხვედრებისთვის. 551162118

8. გავიცნობ ნორმალურ გოგონას. 591696160

9. ურთიერთობისთვის გავიცნობ 25-35 წლამდე მომხიბვლელ ქალს. ვარ 31 წლის, მაღალი, სპორტული აღნაგობის მამაკაცი, ვცხოვრობ სამტრედიაში. 557785889. ბუბა

10. ვარ 39 წლის მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 591915356

11. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. 551531182

12. გავიცნობ 33 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის ქალს, გათხოვილს ან განათხოვარს, თბილისში მცხოვრებს, ვცხოვრობ მარტო. 555150300

13. სურვილი მაქვს ვიპოვო განათხოვარი, გარეგნობით სექსუალური გოგო. 596300996

14. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. 598700796. გიო

15. გავიცნობ ზესტაფონელ ან ქუთაისში მცხოვრებ ქალს შეხვედრებისთვის, ვარ დასაქმებული ბიჭი. 555202453. იკა

16. უფულო, თანამედროვე, თბილისელი ბიჭი გაიცნობს უკომპლექსო, თბილისელ, არამსუქან გოგოს. 555139796

17. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 558278633

18. გავიცნობ 28 წლამდე ლამაზ, ჭკვიან, დედისერთა ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 25 წლის, თბილისელი, ჩვეულებრივი მამაკაცი. 555520197

19. გავიცნობ მარტოხელა, ბინიან ქალს. 599207289

20. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ნორმალურ, ჰიგიენურ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის, თბილი, ზრდილობიანი მამაკაცი, ვიცი ქალის ფასი. 557167594

21. გავიცნობ თბილისელ, თბილ და მოსიყვარულე, ლამაზ ქალს შეხვედრებისთვის, დავეხმარები მატერიალურადაც, მაქვს ბინა. 593050806

22. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, მოსიყვარულე ქალს. ვარ მოსიყვარულე, დასაქმებული, მოწესრიგებული, 32 წლის ჩვეულებრივი ადამიანი. 599361382

23. ვარ 35 წლის, თბილისელი, წყნარი, შევხედრებისთვის გავიცნობ თბილი გულის მქონე ქალს, 557760643. დემე

24. ვარ 35 წლის, ქერა მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ სითბოსმოკლებულ ქალს. 558235113. გიო. თბილისი.

25. ვარ თბილისელი, სიმპათიური, მყავს მანქანა, გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის გოგოს ხანგრძლივი შეხვედრებისთვის. სკაიპი: dato-gvencadze. 593135572. დათო

26. გავიცნობ 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, მხოლოდ თბილისში მცხოვრებს. 593622326. გიო

27. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე სიმპათიურ გოგოს. ვარ 25 წლის. 551162118

28. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-30 წლამდე თბილისელ, სერიოზულ ქალს. 593584580

29. გავიცნობ 20-40 წლამდე მხიარულ და კარგი ხასიათის ქალს, ქვრივს ან გაცილებულს, თბილისში მცხოვრებს. 558654559

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ მაღალი, მოსიყვარულე ბიჭი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ გოგოს. ვარ 23 წლის, ვცხოვრობ თბილისში. 555474429. დათო

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალიშვილ გოგოს. ვარ 31 წლის, ზუგდიდელი ბიჭი. 599184390

3. ვარ 46 წლის, თბილისელი, სიმპათიური მამაკაცი, ცოლს გაცილებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 52 წლამდე ქალს. 557626513

4. ვარ 63 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქართველ ქალს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 595469342

5. ვარ დასაქმებული, 29 წლის, სუფთა წარსულის მქონე მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დედისერთა ან მარტოხელა გოგოს. 599192305

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-40 წლამდე ქალს, ვარ 42 წლის მამაკაცი. 551181206

7. ოჯახმის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში ბინით უზრუნველყოფილ, 40 წლამდე ქალს, შესაძლებელია განათხოვარიც, ოღონდ შვილების გარეშე. 599701501

8. ვარ 32 წლის, სიმპათიური მამაკაცი, დასაქმებული, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ კეთილშობილ, სერიოზულ, თბილისში მცხოვრებ ქალს. 555684079. გიო

9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მხოლოდ თბილისელ, გაუთხოვარ, გამხდარ, მარტო მცხოვრებ, 34 წლამდე მორწმუნე გოგოს. ვარ 38 წლის, თბილისელი 180/80, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული მამაკაცი. 555139571

10. გავიცნობ 35 წლამდე ქალს ოჯახის შექმნის მიზნით, გასათხოვარს ან განათხოვარს. 555219540

11. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ განათხოვარ, თბილისელ ან რუსთაველ ქალს 30-45 წლამდე, ვარ 32 წლის, დასაქმებული მამაკაცი. 599103930. ვანიკო

12. ვარ 45 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე პატიოსან გოგოს, ვარ კახეთიდან. 5895531721

13. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე კარგი გარგნობის ქალს, ვარ 48 წლის, ცოლს გაცილებული. 595209488

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-დან 35 წლამდე მამაკაცს. 558152192

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 46 წლამდე სიმპათიურ და ჩამოყალიბებულ მამაკაცს. ვარ 42 წლის, მშვენიერი ქალი ბათუმიდან. მხოლოდ დარეკვით. 558680212

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. სამეგობროდ გავიცნობ სანდო, შეძლებულ მამაკაცს, ვინც მარტომყოფ ქალს დამიდგება გვერდით. ვარ სიმპათიური ქალი. 555613568. ნანა

სხვადასხვა

1. გავიცნობ მხიარულ მეგობარ ადამიანს სამეგობროდ, 42 წლიდან. 598386839

2. გავიცნობ ჭიათურელ ან საჩხერედ მეგობარ ადამიანს სამეგობროდ, 42 წლიდან. 598822639

გილოცავ

როგორ ხარ, ილო? გილოცავ, მეგობარო, დაბადების დღეს. ვიცი, რომ გულნატკენი ხარ, რამდენი საყვარელი ადამიანი დაკარგე. გითანაგრძნობ დედის გარდაცვალებას.

მიყვარხარ, მენატრები

ალეკო, ჩემო დახატულო, მიყვარხარ და მენატრები, ნერვებს გაუფრთხილდი, მშვიდად იყავი, არ მოიწყინო, უფლის ნებით, მალე ყველაფერი კარგად იქნება, გეფერები. გაკოცე გულში. ნინო

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ჩაიმე ან გაუმხიაროთ თქვენი გრძნობები ფურცელ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 2 მარტის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნერვიული, ორმეოცზე 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისადმი მინერვიული ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

7 ღირსეული შვილი იქნება.

სანდრო: სურვილი მაქვს, მამაჩემის საქმე ობიექტურად გამოიძიონ.

ვახო: სანდროს უნდა, გაიგოს, რა როგორ იყო და მე ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. არ გვინდა, იურიდიული საკითხებით დავტვირთოთ. ამაზე უნდა იფიქროს, მაგრამ ეს მას არ უნდა ამძიმებდეს. ჰქონდა და უნდა ჰქონდეს ისეთი ბავშვობა და ახალგაზრდობა, როგორიც საჭიროა. მთელი წლები ამ საქმეს შევწირე და რაც დამრჩენია, იმასაც შევწირავ, მაგრამ არ არის საჭირო, სანდრომაც იგივე გზა გაიაროს. სიმართლე კი აუცილებლად უნდა გაიგოს.

■ გიორგი სანაია

■ სანდრო სანაია

— ვახო, ბოლო დროს თქვენს კარიერაში მკვეთრი ცვლილება მოხდა. საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაცემა დაგიხურეს, ახლახან კი „იმედში“ დაბრუნდით. შეთავაზება ტელეკომპანიისგან მიიღეთ თუ თავად შესთავაზეთ პროექტი?

ვახო: შემოთავაზება მივიღე არხის საინფორმაციო სამსახურისგან. ეს პროექტი ჩემთვის საინტერესო იყო და, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. გადაცემის სახელი — „ღია ეთერი“ — „იმედის“ ბრენდია. ისევ ამ სახელით გადის გადაცემა ეთერში, ოღონდ ეს არის დიდი ტოქ შოუ.

— რა სირთულე ახლავს თან ასეთი დიდი ტოქ შოუს წაყვანას?

ვახო: ის, რომ პარასკევ საღამოს თითქმის ყველა ტელეარხის ეთერში გადის პოლიტიკური ტოქ შოუ და სტუმრებზე ნამდვილი ნადირობა მიდის ყველა მეთოდით. პირველი ეტაპი სტუმრის შეთანხმებაა და მეორე ის, რომ სხვა არხზე არ წავიდეს, სანამ ჩემთან არ მოვა. პარასკევ საღამოს 5 სატელევიზიო ტოქ შოუა ეთერში და ერთი ამბავია, ვინ მოასწრებს ამა თუ იმ რესპონდენტის დათანხმებას, ვის უფრო მაგარი შეკითხვები ექნება და ვინ უფრო აქტუალურ თემას გაარჩევს. ეს არის ჩვენი პროფესიის ხიბლი. კარგია, რომ კონკურენციაა. ეს უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო. კარგია, რომ ასეთი გახსნილი დებატები და დიდი ტოქ შოუებია.

— სამი ტოქ შოუ ამ დროს ისედაც გადიოდა. თქვენ და ნინო შუბლაძემ რატომ დაამთხვიეთ ერთმანეთს?

ვახო: მე იმიტომ ავირჩიე, რომ კვირის ბოლო დღეა და საღამოს პრაიმტაიმია. ყველაზე კომფორტული და საინტერესოა კვირის ბოლოს შემაჯამებელი ტოქ შოუ და „რუსთავი 2“-მაც ამიტომ გადაწყვიტა ასე. ერთი-ორი კვირით ადრე ვითანხმებთ სტუმრებს და უნდა გათვალო, რომ ის სტუმარი არააქტუალური არ იყოს. თუ არასწორად გათვლი რაღაცეებს

სანდრო:
„ვამაყობ, როცა მამაჩემის გადაცემების ვიდეოჩანაწერებს ვუყურებ“.

და ვერ მიჰყვები პროცესებს, ვერ აკეთებ პროგნოზს სწორად, არც გადაცემა გამოვა აქტუალური. საბედნიეროდ, ჩვენ ყველაფერს ზუსტად „ვარტყამთ“ და ვხვდებით, ვინ შეიძლება იყოს საინტერესო სტუმარი. კონკურენცია ზრდის ხარისხს და საბოლოოდ მაყურებელი კარგ პროდუქტს იღებს. რეიტინგებიც აჩვენებს, რომ ხალხს პოლიტიკური ტოქ შოუები აინტერესებს.

ვახო:
„სანდრო ფიზიკურად გიორგის ასლია“.

— მალე ანგა გრიგოლიაც შემოგიერთდებათ კონკურენტის რანგში.

ვახო: წარმატებებს ვუსურვებ. მოიმატებს კონკურენცია და მაყურებელი უფრო მოგებული დარჩება.

— რამდენად რეალიზებული იყავით, როგორც ჟურნალისტი მაშინ, როცა ტელევიზიაში არსებობდა ცენზურა და შაკი სიები?

ვახო: ტოქ შოუები ადრეც მიმყავდა, მაგრამ მერე სხვა პროექტი მოვიფიქრე. „ევროპული არჩევანი“, რომელიც „პირველ არხზე“ მიმყავდა, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა დააფინანსა და თემატური ტოქ შოუ იყო. ერთ თემას ვშლიდით. საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ გადაცემაში ბევრიც რომ მოენდომებინათ ვიღაც-ვიღაცეებს, სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევას ვერ მოახერხებდნენ. ჩვენ კი ყველა თემას ვაშუქებდით და ნებისმიერი ჩვენთვის სასურველი სტუმარი მოგვყავდა. წლის ბოლოს საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩაატარეს კვლევა და „ევროპული არჩევანი“ ყველაზე დაბალანსებულ გადაცემად დასახელდა. მერე კი კანონის სრული დარღვევით დაგვიხურეს გადაცემა. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ პროტესტი გამოთქვა.

ვახო: „სანდროს დედამისი, ჩვენ ყველა, მედამ ვუყვებოდით მამამისზე და თითქმის ყველაფერი იცის. მთავარია ბავშვს მამაზე მედმივად ელაპარაკებოდნენ. ჩანაწერებიც ნანახი აქვს, გაზეთებიც ნაკითხული აქვს“.

იმის გამო, რომ სიმართლის დეფიციტი იყო, სამჯერ დავტოვე საკმაოდ მაღალრეიტინგული გადაცემები, მაგრამ არ მიყვირია და ტრანსპარანტებით არ გამოვსულვარ. როცა ჩემი და ხელმძღვანელობის შეხედულებები არ ემთხვეოდა ერთმანეთს, იქიდან წამოსვლის გადაწყვეტილებას ვიღებდი. ჩემს აზრს ყოველთვის ღიად ვაფიქსირებდი. შეიძლება უკვირდათ კიდეც, როცა რეიტინგულ და მაღალანაზღაურებად გადაცემას ვტოვებდი და ბევრად დაბალ ანაზღაურებაზე მივდიოდი, მაგრამ ასე იყო. როცა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა, გია ჭანტურიამ, ჩემი გადაცემის დახურვა გადაწყვიტა, მაშინაც კი არ მოვდიოდი იქიდან. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ სხვაგვარი მიდგომა მაქვს. მიმაჩნია, რომ ეს ხალხის ტელევიზიაა და მეც ამ ხალხის ნაწილად მივიჩნევ თავს. მეც ვაფინანსებ ამ არხს ჩემი გადასახადებიდან. ერთს კი გეტყვით, რომ გია ჭანტურია ჩემი გადაცემის პოლიტიკაში არასოდეს ჩარეულა. ტყუილს ვერ ვიტყვი. არადა ახლა შეიძლება მომგებიანიც იყოს, მასზე ასე რომ ვილაპარაკო.

— სასამართლოში ჩაყილს აპირებდით. რა ეტაპზეა ეს ამბავი?

ვახო: ვიჩივლეთ და პროცესი მიმდინარეობს. როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი, ვნახავთ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს მოსამართლე. გავაკეთე განცხადება, რომ ჩემი უფლებები დაირღვა. მე არჩევანი გავაკეთე — „იმედში“ ვმუშაობ და სამსახურის შეცვლას არ ვაპირებ, მაგრამ მნიშვნელოვანია ეს ჩივილი, რომ ჩვენი უფლებები დავიცვათ.

— რას ითხოვთ სასამართლოსგან?

ვახო: მე მოვითხოვე კომპენსაციად სიმბოლური თანხა — 1 ლარი. ჩემი გუნდის წევრები კი ითხოვენ სამსახურში აღდგენას. მე არ ვაპირებ ამ არხზე დაბრუნებას, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია, სასამართლომ დაადასტუროს, რომ მე მართალი ვიყავი. კოლექტიურად გაგვათავისუფლა და ეს ვერაფრით დაასაბუთა. მას ან მის არაფორმალურ უფროსებს ჰქონდათ კონკრეტული მიზანი — ჩვენი გადაცემები არ გასულიყო ეთერში. ჩაგვიშალა გადაცემა, რომელიც მომზადებული გვქონდა იმაზე, თუ როგორ მუშაობს საზოგადოებრივი მაუწყებელი. ვთვლიდი, რომ „პირველმა არხმა“ სრული ინერტულობა გამოიჩინა, როცა ციხეში ადამიანთა წამების ერთი კადრიც კი არ აჩვენა. მე ეს ამბავი გავაპროტესტე. ჭანტურია კი ადგა და გადაცემა დახურა.

✓ **რუსუდან ადვაძე**

Cyan Magenta Yellow Black

საკუთარი ვნებების შეცნობა — ეს არის გზა სრულყოფილებისკენ

ცხოვრება ღიხსისა ბარსანოფი დიდისა და იოანე წინასწარმეტყველისა მისივე თანამოღვაწისა

ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი ამ უდიდესი მოღვაწეების შესახებ, რომელთაც მთელ ქრისტიანულ სამყაროს მისცეს მოღვაწეობის, მოსაგრეობის მაგალითი. როცა მათ ცხოვრებას ეცნობა, საკუთარი თავი უზომოდ უსუსური შეიძლება წარმოიდგინოს ჩვენი დროის ქრისტიანმა და ალბათ ამაში გასაკვირიც არაფერია. იმ მწირი მონაცემებიდან, რაც მათ შესახებ ვიცით და რომელიც შეაგროვა და მოგვაწოდა ასევე უდიდესმა მოღვაწემ წმინდა ნიკოდიმოს ათონელმა, ალბათ ადვილი წარმოსადგენია, თუ სინამდვილეში რა ფენომენთან გვაქვს საქმე.

წმინდა ბარსანოფი დიდი წარმოშობით ეგვიპტიდან ყოფილა. ძნელია იმის მტკიცება, როგორ მოხვდა პალესტინაში, ქალაქ ღაზაში, აბბა სერიდოსის გვერდით. როცა წმინდა ბარსანოფი დიდზე და მის მოწაფეზე, იოანე წინასწარმეტყველად წოდებულზე ვლაპარაკობთ, არასოდეს უნდა დავიწყოთ მათი დიდი მოძღვარი, წმინდა აბბა სერიდოსი, რომლის ხსენებასაც ეკლესია აგვისტოს თვეში დღესასწაულობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ აბბა სერიდოსის მითითებით და სულიერი პატრონაჟით ჩამოყალიბდნენ ჯერ წმინდა ბარსანოფი დიდი, ხოლო შემდეგ იოანე წინასწარმეტყველი ისეთებად, როგორებადაც იცნობს და აღიარებს მათ დღეს ეკლესია.

მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილი გახდა, რომ წმინდა ბარსანოფი თავისი სამშობლოდან, ეგვიპტიდან წმინდა მიწაზე გაემგზავრა წმინდა ადგილების მოსალოცად. როცა მოულოცავს მაცხოვრის ყოვლადწმინდა საფლავი და ამასთან ერთად სხვა სიწმინდეებიც, შეხვედრია ღვთისნიერ მონაზონს, სახელად მარკელოსს, რომელიც წმინდა მიწაზე მოსაგრეობდა.

წმინდა ბარსანოფს მოწონებია მამა მარკელოსის გვერდით ყოფნა და როგორც მემატიანე აღწერს, მამა მარკელოსის სამოღვაწეოშიც გაუტარებია რამდენიმე წელი, როგორც დამწყებ ქრისტიანს. აქვე გადაუწყვეტია, რომ მონაზვნურ ღვაწლს შესდგომოდა. უსიტყვო მორჩილებით აღასრულებდა, უამრავი ვნება ჩამოიშორა მამა მარკელოსის გვერდით.

როცა სამოღვაწეო დაქვრივდა მამა მარკელოსის გარდაცვალების შემდგომ, წმინდა ბარსანოფი მოგზაურობას შეუდგა, უდაბნოში სამოღვაწეოების და მოღვაწეების უმრავლესობა მოინახულა, რის შემდგომაც უამრავი გამოცდილება დაუგროვდა. ამ ყოველივემ განაპირობა მისი სულიერად კიდევ უფრო განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ არ იყო მოძღვარი, უამრავი სასულიერო პირი ცდილობდა, მისი მოძღვრების შესაბამისად ეცხოვრა. უბრალოების და თავმდაბლობის ნამდვილი სახე იყო, შეიქმნა წმინდა სულის სავანე, როგორც ახასიათებს მემატიანე.

უამრავი მონასტრის წინამძღვარი სთხოვდა, წასულიყო მათთან მონასტერში წინამძღვრად ან სულიერ მოძღვრად მაინც, რაზეც წმინდა მამა, ბუნებრივია, თავს იკავებდა და ყოველთვის ცდილობდა, შორს ყოფილიყო პატივისაგან. როგორც თავის მოგონებებში მოგვიანებით აღწერს, თვითონ გადაწყვიტა მამა სერიდოსთან მისვლა და მის გვერდით მოსაგრეობა ისე, რომ ამის შესახებ მამა სერიდოსს არაფერი უთქვამს. მივიდა და დასახლდა მამა სერიდოსის გამოქვაბულთან ახლოს და არავინ არაფერი იცოდა მის შესახებ.

ასე განმარტოებით გაატარა თვრამეტი წელიწადი ისე, რომ არავისთან ჰქონდა ურთიერთობა. მოგვიანებით მხოლოდ მამა სერიდოსი მოდიოდა მასთან და ეზიარებოდა მისი ხელიდან იესო ქრისტეს ხორცსა და სისხლს. სულ ეს იყო, ვისთანაც წმინდა ბარსანოფს შეხება ჰქონდა. თვით მამა სერიდოსი აწვდიდა სეფისკვერს და წყალს, მხოლოდ მამა სერიდოსს პასუხობდა წერილობით იმ კითხვებზე, რომლებითაც მიმართავდნენ წმინდანს.

არც მაშინ გამოდიოდა ვინმესთან შესახვედრად, როცა ავადმყოფობდა, მისთვის ექიმიც უცხო იყო. მისთვის მკურნალობა იყო ლოცვა და ზიარება, შორს იყო ყველაფრისგან, იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი სკანდალებისგანაც კი. იყო მამა ბარსანოფი და დანარჩენი სამყარო, მისი საზრუნავი იყო საკუთარი ვნება, გულისთქმა და მათი მკურნალობა, რისთვისაც ღმერთმა მიჰმადლა მადლმოსილება. ყოველთვის გაიძახოდა, ვიშრომოთ, რომ მოვიპოვოთ მადლი ღვთისა, მოპოვების შემდეგ უთქმელადაც გვტოვებს და განგვეშორება ყველანაირი ერესი და ცდომილება და გულის სიღრმეში ისადგურებს მშვიდობაო.

სწორედ ამგვარი ღვთიური ცხოვრების, მოღვაწეობის სანაცვლოდ ღმერთმა წმინდანს მიჰმადლა სასწაულთმოქმედების მადლი, მის მიერ განიკურნა თვით აბბა სერიდოსიც და არა მარტო. ხშირად მის მიერ გაგზავნილი სეფისკვერით, წყლით იკურნებოდნენ სნეულები.

რადგან ესმოდა ამ ყველაფრის შესახებ, იოანემაც, წმინდა ბარსანოფის თანამოღვაწემ, გადაწყვიტა, მის გვერდით დასახლებულიყო და გაეგრძელებინა მოღვაწეობა. ამის შესახებ წინასწარ იგრძნო წმინდანმა და თავის გამოქვაბულთან ახლოს გამოუყო სენაკი თანამოღვაწეს. თვრამეტი წლის განმავლობაში იმოღვაწევა წმინდა იოანემ მამა ბარსანოფის გვერდით, რისთვისაც ეკლესია ერთად აღნიშნავს მათ ხსენებას.

ამ ხნის განმავლობაში არავის უნახავს მამა იოანე ან გაღიმებული, ან შეწუხებული, ან ცრემლის გარეშე წმინდა სისხლის და ხორცის მიღებისას. უფალმა მიჰმადლა წინასწარმეტყველების და წინასწარჭვრეტის ნიჭი. მამა ბარსანოფის გარდაცვალების შემდეგ არა ერთი სასნაული აღსრულდა მისი ხელით, ბევრს უწინასწარმეტყველა, გამხდარიყვნენ თუ არა სასულიერო პირები, ამიტომაც მამა ნიკონმა მოგვიანებით გამოსცა ორტომეული, რომელშიც ბევრის მსგავსად მამა იოანეს მოიხსენიებს, როგორც იოანე წინასწარმეტყველს.

მიუხედავად ამდენი წლის თანაცხოვრებისა, ერთმანეთს თითქმის არ ეკონტაქტებოდნენ წერილობით და ეს მდგომარეობა ორივესთვის დამაკმაყოფილებელი იყო. უფრო მეტიც, მამა იოანე თავს მამა ბარსანოფის მოსწავლედ თვლიდა და სრულყოფილ მორჩილებასაც უცხადებდა, ამიტომაც არის მათი ურთიერთობა სულიერი ადამიანებისთვის, ქრისტიანებისთვის სამაგალითო, დღემდე სათუთად ინახავს ეკლესია მათ ცხოვრებას.

კიდევ უფრო საინტერესო არის მათი ცხოვრება იმიტომაც, რომ მოყვასი იყო მათთვის უმთავრესი საზრუნავი, თუ ფიზიკურად არა, სულიერად ყოველთვის ახლოს იყვნენ მორწმუნე ქრისტიანებთან. არა მარტო მათ სიცოცხლეში, არამედ მათი მიძინების შემდგომაც უამრავი ქრისტიანი გრძნობდა წმინდანთა მეოხებას და მფარველობას.

ცნობილია წმინდა ბარსანოფის მიერ კითხვა-პასუხის რეჟიმში დაწერილი წიგნი სულიერ საკითხებზე გაცემულ პასუხებზე, რომელიც 838 გვერდისგან შედგება და წმინდა სულის კარნახით იწერებოდა. როცა მონასტრის წინამძღვარი აბბა სერიდოსი გარდაიცვალა, მონასტრის იღუმენი მამა გლიანოსი გახდა და მამა იოანეს სთხოვა, იქნებ ორი კვირით მონასტრის მართვაში გამიწიო დახმარება, რაზეც თანხმობა განუცხადებია წმინდანს. ორი კვირის შემდეგ მიუმართავს იღუმენისთვის და პირობა შეუხსენებია: „ხედავ, წინამძღვარო, უკვე ორი კვირაა, გვერდში გყავარ. ამით იმას გაუსვა ხაზი, რომ მისი განმარტოების დრო დადგა.

სამწუხაროდ, გარდა იმისა, რაც ახლა გიამბეთ, დეტალები თითქმის არსად არის შემორჩენილი. რაც არის, ესეც ისე მცირე, რომელიც წმინდა ბარსანოფის კითხვა-პასუხზე გამოცემული წიგნიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ.

ვისურვებდი, ჩვენც მოგვანიჭოს გამჩენმა ღმერთმა ძალა, რომ მივემსგავსოთ მამა ბარსანოფს და მამა იოანეს, აგრეთვე მათ მოძღვარ აბბა სერიდოსს, რადგან ეს ადამიანები ქრისტიანული სრულყოფილების ნამდვილი სახეები არიან და მათი მიმსგავსება არასდროს იქნება ურიგო მართლმორწმუნე ქრისტიანისთვის.

ქრისტესმიერი სიყვარულით პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!

„ხიბლმა ადამიანი შეიძლება თვითმკვლელობამდე მიიყვანოს“

ერთლმადიდებელი მორწმუნის გზა მრავალ ხაფანგს და საცდურს მოიცავს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ნომერი პირველი, მომაკვდინებელი ვნების, ამპარტავნების ნაყოფი — ხიბლი, რომელმაც შესაძლოა სასულიერო პირებიც კი დასცეს სულიერად, არათუ უბრალო მორწმუნე, რომელიც ღვთის გზას შეუდგება. ხიბლი — ეს საკუთარი თავით კმაყოფილებაა, მხოლოდ საკუთარი იდეების რწმენა, მოძღვრის რჩევის უგულებელყოფა, საკუთარი თავის დაყენება სულიერ მამებზე წინ და ფიქრი, რომ ღვთის რჩეული ხარ. საბოლოოდ კი ხიბლში მყოფის გზა დაცემისკენ მიდის. რა არის ხიბლი, რა ნიშნები აქვს მას და როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ ცოდვას, ამის შესახებ გვესაუბრება წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე).

— მამაო, განგვიმარტეთ ხიბლის არსი.

— იგი მეტად საშიშ რელიგიურ მდგომარეობად ითვლება, როცა დიდ წარმოდგენას იქმნიან საკუთარ თავზე. თვლიან, რომ სულიერების ისეთ დონეს მიაღწიეს, იმდენი ცოდნა, გამოცდილება დააგროვეს რელიგიურ სფეროში, რომ საკუთარ თავზე დიდი ღვაწლის აღება ხელეწიფებათ. მიიჩნევენ, რომ უფლის განსაკუთრებული წყალობაა მათთან, მეტად მნიშვნელოვანი, საპასუხისმგებლო მისია დააკისრა უზენაესმა და ადრე თუ გვიან ეს ხალხმა უნდა გაიგოს.

— ხიბლის რა ფორმები არსებობს?

— გამოსაყოფია ხიბლის ორი ფორმა: ერთი — ჩვეულებრივი, არაშორსწასული, რომელიც ყვე-

Cyan Magenta Yellow Black

ლა მორწმუნესთან გვხვდება და მეორე — ამ მდგომარეობის მეტად საშიში, მკვეთრი გამოვლინების სახე. პირველი ერთგვარი სენივითაა, რომლისგანაც სიცოცხლის ბოლომდე არავინაა დაზღვეული, გათავისუფლებული. სულიერების, რელიგიური გამოცდილების ზრდასთან ერთად უფრო ადვილად ატყობენ ამპარტავნულ გამოვლინებებს საკუთარ თავში, გრძნობენ, ვარდებიან თუ არა ხიბლის მდგომარეობაში, უახლოვდებიან თუ არა ამ მხრივ კრიტიკულ ზღვარს.

მაგგან, ვინც ეკლესიურად ცხოვრობს, ან თუნდაც უბრალო მორწმუნეს, ვისაც სწამს ღმერთი, რომელს არ წარმოუდგენია, რომ მან უკვე გარკვეული სარწმუნოებრივი ცოდნა, გამოცდილება შეიძინა? ფიქრობს, რომ ახლა სხვასაც შეუძლია ასწავლოს, დაარიგოს რაღაც, მოაქციოს ეკლესიისკენ. თვლის, რომ მის ლოცვას უკვე ძალა აქვს და უფალი უსმენს მას. ჰგონია, რომ ეკლესიისთვის მნიშვნელოვან საქმეებთან შეჭიდება ხელეწიფება. თავისთავად შეიძლება ისიც დაუშვა, რომ უბრალოდ ყოველგვარი შეფარული მიზნის, საკუთარი თავის განდიდების გარეშე მოინდომო სხვისი დახმარება, რწმენისკენ შემობრუნება, ეკლესიისთვის სამსახურის გაწევა, მაგრამ ხშირად ამ განცდებს მაინც ამპარტავნული მომენტი ერევა. მოწყალება გავიღე, კეთილშობილება გამოვიჩინე, ღვთისთვის სათნო საქმე გავაკეთე, უფალი დამიფასებს, ალბათ სხვაც შეამჩნევს — გლრღნის სიამაყის ჭია და საკუთარი ღირსების შეგრძნებას გიმახვილებს.

ერთ-ერთი გამორჩეული სქემოსანი ბერის, სულიერი შვილის აღსარებაში ვხვდებით ასეთ სიტყვებს: „მე სავსე ვარ ამპარტავნებით, გულში ჩემ გარშემო მყოფ ყველა ადამიანზე მაღლა ვაყენებ თავს, რჩეული მგონია იგი“. ეს სიტყვები ძალიან ბევრს მიესადაგება. მართალია, მალავენ თავიანთ გულში ნაფიქრს, ესმით, რა სასაცილო, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ხაზი რომ გაუსვან თავიანთ რჩეულობას, როგორი ულამაზო გამოვა სხვის თვალში. ამიტომ ამბობენ, მე ვინ ვარ, ერთი ცოდვილი, უძლური არსებაო, სინამდვილეში კი ეს სიტყვები მათ შინაგან მდგომარეობას სულაც არ ასახავს. თავისთვის ფიქრობენ, რომ განსაკუთრებული მისია დააკისრა უზენაესმა და ადრე თუ გვიან მართლმადიდებლურ სამყაროში მათი სახელი დაიგრგვინებს. ამგვარი აზრები, შინაგანი განწყობა უფრო მეტად ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებით კაცებისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ გამონაკლისს არც ქალები წარმოადგენენ, ზოგჯერ ასაკოვნებიც.

ცალკეა გამოსაყოფი ხიბლის შორსწასული, შეიძლება ითქვას, მკვეთრი გამოვლინების ფორმები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში მეტად სავალალოდ თავდება ადამიანისთვის. წმინდა მამები ამგვარი ხიბლის ორ სახეს გამოყოფენ. პირველი, როცა იწყებენ წარმოსახვას, რომ ხედავენ მაცხოვარს, ღვთისმშობელს, ანგელოზებს, ცის გახსნას, ზეციური სამყაროს სურათებს, ესმით რაღაც ხმები, აქვთ ნარკომანების მსგავსი მოლანდებები, თავში მოსდით, ერთი შეხედვით, ბრწყინვალე, შთამბეჭდავი იდეები და ჭგონიათ, უფალი კარნახობს მათ. მიიჩნევენ, რომ უზენაესმა აირჩია ისინი, რათა კაცობრიობას მათი პირით ამცნონ ჯერ უთქმელ აღმოჩენათა, სიბრძნეთა შესახებ, აუწყოს, რა ელით, თუ იმას არ გააკეთებენ, რასაც მისი „რჩეული“ ეუბნება.

ხიბლში მყოფის აზრები, იდეები უმთავრესად მხოლოდ მისთვის არის შთამბეჭდავი, ძალიან საყურადღებო, ბრძნული, სხვის თვალში კი ხშირად ისინი აბსურდულად, სასაცილოდ, გაზვიადებულად მოჩანს. მათი საუბარი არცთუ იშვიათად გაუგებარია, იყენებენ რაღაც განყენებულ, აბსტრაქტულ ტერმინებს, ლაპარაკობენ ქარაგმებით, ზოგჯერ მოჰყავთ ადგილები წმინდა წერილიდან, ქრისტიან მამათა გამონათქვამებს იმეორებენ... მსმენელს სურვილი უჩნდება, მალე განერიდოს მას. ცდუნებულის საუბარს ისეთი დაღი აზის თავდაჯერების, ამპარტავნების, საკუთარ სიმართლეში დარწმუნების, რომ საღად მოაზროვნე კაცისთვის შემაძრწუნებელი სურათი იქმნება.

— ასეთი ადამიანები რელიგიურ წესებს მკაცრად იცავენ და შეიძლება გვეგონოს, რომ ის დიდი მორწმუნეა.

— გეთანხმებით. ზოგჯერ ხიბლში მყოფნი გარეგნულად დიდ ღვაწლს იღებენ საკუთარ თავზე, გაძლიერებულად მარხულობენ, ლოცულობენ, ზამთარში ფეხშიშველნი დადიან, ყოველმხრივ აუძლურებენ სხეულს. ბოროტი აძლევს მათ ისეთ ძალას, რომ ამ მხრივ დიდი შეუპოვრობა, გამძლეობა გამოიჩინონ.

■ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ

ეპისკოპოს ეგნატე ბრიანჩანინოვს ხიბლის ასეთი შემთხვევა მოჰყავს: ერთ-ერთი პეტერბურგელი ჩინოსანი არასწორი გაძლიერებული ლოცვით იყო დაკავებული. ამის გამო განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ლოცვის დროს სხვადასხვა ზეციურ სურათს, წმინდანს, ანგელოზს წარმოიდგენდა, რაც მეტად საშიშად ითვლება. ჩინოსანს გარკვეული ხნის შემდეგ სხვადასხვა ჩვენებები დაეწყო. ლოცვისას გრძნობდა წარმტაც სურნელს, პირში ჰქონდა არაჩვეულებრივი სიტკბოების შეგრძნება...რჩევისთვის მონასტერში მივიდა და ერთ-ერთ ბერს თავის შეგრძნებათა შესახებ მოუთხრო. ბერმა აუხსნა, რომ ეს დემონური გათამაშების შედეგი იყო და ურჩია, თავი დაენებებინა არასწორი ლოცვისთვის, რაზეც ცდუნებულმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. „განა შემიძლია უარი ვთქვა ასეთ მადლზე?“, — მიუგო მან. ბერმა, ერთი შეხედვით, უცნაური კითხვა დაუსვა — თავის მოკვლის სურვილი ხომ არ გიჩნდებაო. ჩინოსანმა უთხრა, როგორ არა, დავაპირე კიდეც, მაგრამ გადამარჩინესო.

როცა ცდუნებული წავიდა, მონასტრის ძმებმა ბერს ჰკითხეს, თუ საიდან მოუვიდა ასეთი კითხვის დასმა აზრად, რაზეც მან უპასუხა: „როგორც უფლისთვის მოთქმის დროს დგება სინდისის დამშვიდების წუთებიც, რომელიც აწყნარებს მონანულთ, ასევე დემონური ხიბლის ყალბი სიასნით გონებას და რაში სჭირდებათ უბრალო ადამიანისგან, თუნდაც მოძღვრისგან რჩევების მიღება. თუ ცდუნებულის გამონათქვამებს, სწავლებას ვერ იგებენ და სასაცილოდ იგდებენ, ამას იმით ხსნიან, რომ იმდენად გაუსწრეს დროს, ისე დიდია მათი სიბრძნე, უბრალო მოკვდავნი ვერ ხვდებიან, თუ რას ამბობენ. მათაც ისევე ავიწროებს ხალხი, როგორც დევნიდნენ წმინდანებს, წინასწარმეტყველებს და უფლის რჩეულებს.

— როგორ უნდა ვებრძოლოთ ხიბლს?

— მეტად ძნელია ამპარტავნებასთან, ანუ ხიბლთან ბრძოლა. შეიძლება მთელი ცხოვრება წერდე მის შესახებ, ტომები გქონდეს შექმნილი, სხვას მოუწოდებდე ამ ვნების საშიშროების შესახებ და თავად ისე ჩავარდე ხიბლის მდგომარეობაში, რომ ვერც კი შეატყო. არავინ არის ამ მხრივ დაზღვეული, მრავალ სასულიერო პირს მოსვლია ასე.

ერთი რამ მაინც გამოსაყოფია — სულიერი გამოცდილება ეხმაურება ადამიანს, დროულად შეამჩნიოს და ებრძოლოს საკუთარ თავში ხიბლის გამოვლენას და, თუ საჭიროა, სხვასაც შეეშველოს ამ მხრივ. ხიბლში მყოფის გამოფხიზლება, მორჩილებისკენ დაბრუნება, უფალთან კავშირის აღდგენა მხოლოდ ღვთის განსაკუთრებულ მადლს შეუძლია, მარტოოდენ რაღაც მძლავრ, საშინელ შემთხვევას, ტრავმას. ხიბლისგან განკურნების შემთხვევები დიდი ტანჯვის, ხანგრძლივი ავადმყოფობის ან ღვთის განსაკუთრებული ჩარევის შედეგია. ამასთან, აუცილებელია კავშირი გამოცდილ მოძღვართან, სულიერებით გამორჩეულ ხალხთან, რომელთა რჩევებსაც საჭიროების შემთხვევაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ.

✓ **ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲓᲘᲐ**

„ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲛᲔ ᲕᲘᲜ ᲕᲐᲠ, ᲔᲘᲗᲘ ᲪᲝᲓᲕᲘᲚᲘ, ᲣᲫᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲝ, ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲯᲘ ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲛᲐᲗ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ. ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ, ᲰᲝᲛ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲓᲐᲐᲙᲘᲡᲘᲠᲐ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲛᲐ“.

„ᲮᲘᲑᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲡ, ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲐ“.

Cyan Magenta Yellow Black

← 9 გერმანელების ძაღლებს ასეირნებდა...

— ერთხელ მოიწერა, მანქანის საბურავებს ვაგორებ, ჩემი სიმაღლის არისო. ერთი ადგილიდან მეორეზე უნდა გადაეტანა. მერე ვეღარ გაუძლო. იფიქრა, უკვე კარგად ვისწავლე გერმანული ენა და სახლში დავბრუნდებიო, — იხსენებს გიგის მამა „სარკეში“.

დედას კი შვილი უფრო მეცნიერად წარმოედგინა, ვიდრე დედაქალაქის მერად.

■ გიგი უგულავა პირველ ოჯახთან ერთად

გერმანიიდან დაბრუნებულმა ასპირანტურაში გააგრძელა სწავლა. თან ჟურნალისტად მუშაობდა ჯერ ტელეკომპანია „იბერიაში“, მერე — „ინტერნიუსში“. ჟურნალისტიკიდან არასამთავრობო ორგანიზაციაში გადაინაცვლა და ასოციაცია „ალტას“ დირექტორი გახდა. ეს ასოციაცია მსოფლიო ბანკის სასამართლო რეფორმის ერთ-ერთ პროექტს ახორციელებდა. შემდგომში გიგი უგულავა „კმარას“ წევრობით გახდა ცნობილი. ვარდების რევოლუციის შემდეგ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, მერე — უშიშროების მინისტრის მოადგილე გახდა. მოგვიანებით სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი იყო.

უშიშროების მინისტრის მოადგილედ მუშაობის დროს მინისტრი ჯერ ზურაბ ადეიშვილი გახლდათ, მერე — ვანო მერაბიშვილი. ადეიშვილს მაშინ ხალხმა ხუმრობით ჰარი პოტერი შეარქვა. ხალხისთვის ის თავიდანვე იდუმალი პერსონა იყო, რადგან თითქმის არ ჩნდებოდა საზოგადოებაში. პრესკონფერენციებს, ინტერვიუებს, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ კომენტარებს გიგი უგულავა აკეთებდა. მაშინ ამბობდა, მე ამ სამსახურისთვის შეუფერებლად არაქვეშქვეშა ვარო.

— ზურა ჩემი მეგობარია. შემიძლია ვთქვა, რომ მასთან მუშაობით დიდი გამოცდილება მივიღე, რადგან ისეთი ადამიანია, ვისგანაც ბევრის სწავლა შეიძლება. ვშაყირობთ და ბიბლიურ ისტორიას ვიხსენებთ. ადეიშვილი იყო მოსე და მე — აარონი. პირველი პირი მოსე იყო, მაგრამ საზოგადოებასთან აარონი ურთიერთობდა. ვშაყირობდი ხოლმე, შენ ქართული უშიშროების მოსე ხარ და მე აარონი-მეთქი, — ყვებოდა მინისტრის მოადგილე „სარკეში“. მაშინ ის მართლაც გახსნილი პერსონა იყო პრესისთვის.

გიგი უგულავას ისეთი მეგობრებიც ჰყავდა, რომლებსაც „ქუჩის აკადემია“ ჰქონდათ გავლილი. ამბობდა, რომ ის ყოველთვის დასაცინოდა მათ მორალს: „მაგ სამყაროსთვის მისაღები ვიყავი, მაგრამ მათი ნაწილი არასოდეს ვყოფილვარ“.

■

ზუგდიდში გუბერნატორად 6 თვე გაატარა. შემდეგ კი თბილისში დაბრუნდა და პრეზიდენტის ადმინისტრაციული სამსახური ჩაიბარა. პარალელურად გუბერნატორებს უწევდა კოორდინირებას.

2005 წლის ზაფხულში დედაქალაქის მერი გახდა. სწორედ ამის შემდეგ წყდება მისი კავშირი პრესასთან. მხოლოდ ე.წ. ნაციონალების ტელეარხებს სწყალობდა, რომელთა საინფორმაციო პოლიტიკასაც, როგორც ცნობილია, თავადვე გეგმავდა.

მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, მერად დანიშვნის შემდეგ გიგი უგულავასთან ინტერვიუს ჩაწერა ვეღარაფრით მოვახერხეთ. ერთხელ, პირისპირ შეხვედრისას, საკმაოდ უხეშად მიპასუხა და მიმანიშნა, რომ ბატონ მერს აღარ უნდა გავკარებოდი. როგორც ჩანს, კარგად იცოდა, რომ მის მიერ მართული ტელევიზიის ჟურნალისტებისგან განსხვავებული კითხვები გვექნებოდა.

■

ქალბატონი **მანანა ქართველიშვილი** ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში გვიამბობს:

— საწყალი ჩემი დედამთილი სამსახურიდან გადაღლილი მოდიოდა და გიგი დამჯდარს რომ დაინახავდა, აუცილებლად რამეს დაავალებდა, მაგალითად, ეტყოდა, ჩაი დამიდგიო. თუ რამე წიგნს ვერ ნახავდა, ყველას მისი ძებნით გვხოცავდა...

ბატონმა არჩილმა კი გაიხსენა:

— საოცარი უნარი აქვს, აგამუშავებს. სავარძელი იყო ჩამტვრეული. ჩვენ კიდევ დიდხანს ვისხდებოდით ასე. როგორც კი დაინახა, თქვა, ახლავე გააკეთეთო. თვითონ არ გააკეთებს, სხვას დაავალებს. ეს ქვედა სართული გიგის ინიციატივით გაკეთდა. ისე გავამაგრეთ საუკუნოვანი სახლი, რომ მიწისძვრას გაუძლო და არაფერი მოსვლია. გიგიმ დამანგრევინა და თავიდან ამაშენებინა. ერთად ვაშენებდით, ჩემთან ერთად შრომობდა. იატაკი რომ ავყარეთ, მთელი მიწა მან გაიტანა ურიკით გარეთ. მე ვთხრიდი, მას გაჰქონდა... საოცარი ფანტაზიის უნარი აქვს. დაბლა ბნელი სართული იყო და ისე მოაწყო, რომ გაანათა.

— რაც თავი მახსოვს, პირველ სართულზე სულ მდგმურები გვყავდა. სკოლას ვამთავრებდი, ბოლო მდგმური რომ წავიდა. ცოლი რომ მოვიყვანე, რემონტი მაშინ დავასრულეთ და მას მერე აღარაფერი შეგვიცვლია, — იხსენებდა „სარკესთან“ გიგი უგულავა.

დედაქალაქის მმართველობა რომ ჩაიბარა, გიგი უგულავას ცოლად პროფესიით ექიმი თაკო ცაგურია და ორი გოგონა ჰყავდა.

თაკო ასე იხსენებდა „სარკესთან“ მათი სიყვარულის ისტორიას:

— გიგი გუდაურში გავიცანი. მის ძმასთან ვმეგობრობდი და ერთად ვიყავით გუდაურში. გიგიმ ძმას ჩამოაკითხა მეგობართან ერთად. მერე ნელ-ნელა დაიწყო ჩვენი ურთიერთობა და ქორწინებით დამთავრდა... ყველაფერი ძალიან მალე მოხდა. გაცნობიდან ნახევარ თვეში უკვე ყველაფერი გარკვეული გვქონდა. სიყვარული სიმთვრალეში ამიხსნა. მერე დილით დამირეკა და მითხრა, ყველაფერი მახსოვს და არ გეგონოს, ეს სიმთვრალით მომივიდაო. ისედაც ვხვდებოდი, რომ ჩემ მიმართ გულგრილი არ იყო.

გიგი უგულავა:

— მთვრალი — არა, ნასვამი ვიყავი. სასმელი დამხმარე საშუალებაა და არა — განმსაზღვრელი. თაკო ძალიან პატარა მახსოვს. მის ძმასაც ვიცნობ სკოლიდან და თაკო, როგორც ჩემი სკოლელის პატარა და, ისე მახსოვდა. გუდაურში შეხვედრამდე ალბათ 5 წელი არ მყავდა ნანახი. იმ დღეს მაგარი ნაბახუსევი ვიყავი, რადგან წინა დღეს დაბადების დღეზე ვითამადე. ამიტომ მაშინვე სიყვარულის ბუშტი არ გამსკდომია, თავი უფრო მისკდებოდა, თუმცა სწორედ იმ დღეს იყო პირველი გაელვება, რაც მერე გაღრმავდა. წელიწადზე ცოტა მეტი დრო გავიდა და ვიქორწინეთ.

ახალდაქორწინებული გიგი უგულავა და თაკო ცაგურია საქორწინო მოგზაურობაში ბულგარეთში გაემგზავრნენ. იქ თაკომ კატერზე გამობმული პარაშუტით იფრინა და ახალშერთული ქმარი ძალიან ანერვიულა. „მთელი ფირი გადაიღო, პარაშუტით ჩემი „მოგზაურობის“ ყველა წამი აქვს დაფიქსირებული“, — გვიყვებოდა თაკო.

„ვამბობდი, გაფრინდა ჩემი მარგარიტა-მეთქი. მერე, როგორც იქნა, დაბრუნდა. დაბმული იყო და სად წავიდოდა?!“ — პასუხად ხუმრობდა გიგი.

„აღიზიანებს არეულობა. რაც უნდა დაღლილი იყოს, გაშლილ სუფრას არაფრით დატოვებს, თვითონ აალაგებს. ბავშვები დაჰყავს საბავშვო ბაღში და ძალიან უყვარს მათთან ურთიერთობა. კვერცხის შეწვა იცის, მაგრამ სადილს ვერ გააკეთებს. თუ ცუდ ხასიათზეა, ყვირის. დილით თუ ეჩქარება და რაღაცას ვერ ასწრებს, ცუდ ხასიათზე დგება. ნერვიულობს და ხმასაც უწევს. ასეთი ტიპია, სულ ხმამაღლა ლაპარაკობს და ზოგს ეჩვენება, რომ ყვირის, ჩხუბობს. თავიდან ვერ ვხვდებოდი, რატომ ყვიროდა, რატომ ბრაზდებოდა, მერე მივხვდი, რომ ასეთი იყო და ასე ლაპარაკობდა, ახლა ჩემთვის ძალიან ადვილია იმის გარჩევა, როდის ბრაზდება და როდისაა ჩვეულებრივად“, — ასე ახასიათებდა ქმარს წლების წინ თაკო ცაგურია.

უყვარს რისკზე წასვლა და ინტუიცია არასოდეს ღალატობს. დადიოდა წყალბურთზე და კარგად ცურავს. თამაშობდა ფეხბურთს, იცის თხილამურებზე დგომაც, მაგრამ ერთხელ თოვლში თავით ჩაერჭო და კუდუსუნის ძვალი ისე იტკინა, კარგა ხანს მდგომარეობიდან ვერ გამოვიდა. უყვარს ფეხით სიარული და ბორდიურებზე ჯდომა. ვერ იტანს პიჯაკებს და ძლივს ისწავლა ჰალსტუხის შეკვრა — ასე გიგი საკუთარ თავს ახასიათებდა.

„ყვირილიც მახასიათებს და თან უმიზეზოდაც. ყველა მეუბნება, ხმამაღალზე ხარ აწყობილიო. ხმამაღალი და ემოციური ლაპარაკი მიყვარს. რაღაც ტესტი ჩამიტარეს, რომელიც ასკვნის, ინტრავერტური ხარ თუ ექსტრავერტური. მე უკიდურესად ექსტრავერტური გამოვდექი. უშიშროების მუშაკისთვის ეს მთლად კარგი არ არის, რადგან, ტრადიციულად, ამ უწყების თანამშრომელი ყველაზე ჩუმი, წყნარი და ქვეშქვეშა უნდა იყოს“, — ამბობდა უშიშროების მინისტრის მოადგილეობისას.

ამ პერიოდისთვის გიგი უგულავას სახელ-

Cyan Magenta Yellow Black

ზე არ ფიქსირდებოდა ავტომანქანა. ამბობდა, ხან მამაჩემის „ჟიგულით“ დავდივარ და ხან სამსახურის მანქანითო. ამ სიტყვებიდან ძალიან მალე კი უგულავას მამაც და ცოლიც ძვირადღირებული ავტომანქანების მფლობელები გახდნენ.

■

თბილისის მერმა თბილისელებსა და მთელ საქართველოს თავი კიდევ ერთი რამით დაამახსოვრა. გიგი უგულავას დიეტა ახლა ყველამ იცის. სანამ თანამდებობის პირი გახდებოდა, წონას არ უჩიოდა. გასუქება სამეგრელოს გუბერნატორობის დროს დაიწყო. წარმოშობით მეგრელმა ჩინოსანმა ამ მხარეში მხოლოდ 6 თვე დაჰყო. მანამდე კი სამეგრელოში

■ გართობა სტრიპტიზკლუბში

გავლით თუ იყო ნამყოფი. გუბერნატორი გიგი უგულავა სოფლებში დადიოდა და ხან ვის კარს შეაღებდა, ხან — ვისას. სტუმარ-თმოყვარეობით განთქმული მეგრელები უგემრიელესი კერძებით უმასპინძლდებოდნენ. სამეგრელოდან დაბრუნებულმა გიგი უგულავამ „სარკეს“ უამბო:

— ოაზისში ვიყავი და ეს გარეგნულადაც მეტყობა. ხობის რაიონში, ძველ ხიბულაში, ჩემს მეგობართან ვიყავით და ისეთი ელარჯი გეახელით, მსგავსი არსად მიჭამია. ყველი იწელებოდა, სასწაული იყო!

ზუგდიდში ორსართულიან კეთილმოწყობილ ეზოიან სახლში ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა. თაკო ცაგურია სამეგრელოში წასვლამდე თბილისში, რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიის განყოფილების უმცროსი ექიმი ფსიქოთერაპევტი გახლდათ. ზუგდიდშიც იშოვა სამსახური — ფსიქონარკოლოგიურ დისპანსერში ფსიქოლოგად. სამეგრელოს გუბერნატორმა მეგრული არ იცოდა, რის გამოც კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. მეგრულის შესწავლისას ერთი სიტყვა აეკვიატა, რომელიც ახლა, ბედის ირონიით, ძალიან აქტუალურია მის ცხოვრებაში.

— ვისწავლე სიტყვა „ორჭოფუნქ“, რაც ნიშნავს „დაგაპატიმრებ“. ერთ დღესაც ეს სიტყვა ამეკვიატა. ხომ ხდება, როცა ადამიანს სიტყვა ან მელოდია აგეკვიატება და მთელი დღე იმას ღიღინებ. წარმომადგენლობითი თათბირი იყო და უცებ ეს სიტყვა ხმამაღლა ვთქვი. ყველა გაშეშდა. ალბათ იფიქრეს, ახლა კი დაგვაჯდა სიკვდილის ბუზი, შემოვარდება ნიღბიანი ხალხი და დაგვაპატიმრებენო. სახეებს რომ გადავხედე, ყველა გაფითრებული იყო. მივხვდი, რაც ჩავიდინე. ისე შევაშინე მეგრელები, ხალხს ლამის გულები გაუსკდა. მერე დაიწყო უხერხული სიცილი. კინოს სცენას ჰგავდა, — იხსენებდა „სარკეში“ გიგი უგულავა.

■

მაშინ, როცა გიგი უგულავას ორი ქალიშვილი ჰყავდა, გვითხრა, მესამე ნამდვილად ბიჭი მინდაო. მესამე მართლაც ბიჭი გაუჩნდა, მაგრამ ის სხვა ქალმა, მეორე ცოლმა გაუჩინა და არა — თაკო ცაგურიამ.

ქალაქის თავად დანიშვნიდან ძალიან მალე თაკოსა და გიგის შორის ქალი ჩადგა. ისეთი სამსახური მაქვს, სულ ერთსა და იმავე ხალხთან მიწევს ურთიერთობა და ნამეტანი თვალების ცეცების საშუალება არ მაქვსო, გვიყვებოდა თაკო ცაგურიას თანხლებით ჩაწერილ ინტერვიუში უგულავა. ახალი სიყვარული სამსახურშივე იპოვა — მერიის ადმინისტრაციის უფროსის ყოფილი მოადგილე, ლელა კილაძე. ლელას გიგისთან შეხვედრამდე ოჯახი ჰქონდა და ორი ვაჟი ჰყავდა.

■

„უგულავა კი არა, იგულავა ყოფილა“ — წერდნენ სოციალურ ქსელებში დედაქალაქის მერზე მას შემდეგ, რაც ბოლო დროს მის გარშემო კიდევ ერთი სკანდალი აგორდა. ინტერნეტში 2009 წლის 17 მაისს გადაღებული ფოტოები გავრცელდა, სადაც გიგი უგულავა თავის ამჟამინდელ ცოლთან, ლელა კილაძესა და მის მეგობრებთან ერთად სტრიპტიზკლუბში ერთობა. ფოტოებზე ჩანან აგრეთვე თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის მეუღლე, სოფიო ჩიქოვანი და გიგა ბოკერიას მეუღლე, თამარ ჩორგოლეიშვილი, აგრეთვე — ვიზაჟისტი მარი გოშხეთელიანი.

ნაციონალთა მაღალჩინოსნები და მათი ცოლები ფოტოებზე თავად პოზირებენ, ანუ კარგად იციან, ვინ გადაუღო მათ

■ გიგი უგულავა ვაჟთან ერთად

ეს კადრები და, სავარაუდოდ, ისიც კარგად უწყიან, ვინ განათავსა ისინი ინტერნეტში. ეს ის კადრებია — ნახევრად შიშველ, ბიუსტჰალტერში დოლარებჩალაგებულ ქალებთან ერთად, რომელთა გავრცელებაც ავტომატურად ნიშნავს მაღაჩინოსნის თუ პოლიტიკოსის დისკრეტიდაციასა და საქვეყნო თავისმოჭრას ცივილიზებულ დასავლურ სამყაროში, საითაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, მათ შორის ნაციონალებიც, ასე მივისწრაფით.

იმ დროს, როცა ეს ფოტოებია გადაღებული, უგულავა და კილაძე დაოჯახებული ჯერ არ იყვნენ. იმავე პერიოდში ვრცელდებოდა ჭორი, რომ სანამ ცოლად მოიყვანდა, ლელა კილაძეს დედაქალაქის მერი ძვირადღირებული საჩუქრებით ანებივრებდა. კილაძე საკაშვილის პირადი ვიზაჟისტიც იყო და პრეზიდენტს ხშირად დაჰყვებოდა უცხოეთში. არც ლელა კილაძე სწყალობდა პრესას, მაგრამ მოდის კვირეულებსა თუ სხვა ბომონდურ საღამოებს არასოდეს აკლდებოდა.

■

გიგი უგულავას ყოფილი ცოლი, თაკო ცაგურია, მეორედ გათხოვდა. მისი ახლანდელი მეუღლე ცნობილი პიანისტის, მანანა დოიჯაშვილის ვაჟი, ლევან გოთუა გახლავთ. ლევანს თაკო ბავშვობიდან ჰყვარებია.

■

გიგი უგულავას მერობის დასაწყისში ამბობდნენ, რომ ჩვენს დედაქალაქს სათნო და საყვარელი ადამიანი ჰყავდა თავკაცად. სამწუხაროდ, მერე ეს იმიჯი შეიცვალა და ჯიუტი და დაუნდობელი ჩინოსნის სახელით გახდა ცნობილი. მალე მის სახელს ათასი უკანონობა დაუკავშირდა. გახმაურებული ნგრევა თაბუკაშვილის ქუჩაზე, „რუსთავი 2“-ის შენობის ჩამონგრევა და ადამიანების

■ ლელა კილაძე

დაღუპვა, ქონების ჩამორთმევათა კასკადი, კადნიერი ქცევა ეკლესიაში და წმინდა სინოდის კრებაზე, პატრიარქის მოწოდების უგულებელყოფა... იმასაც კი ამბობდნენ, მიხეილ საკაშვილის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი გიგი უგულავა იქნებაო.

■

„სულ რისკის ზღვარზე ვარ. კრიტიკულ მომენტში ინტენსიურად ვმოქმედებ ხოლმე. ინტუიცია კი, საბოლოო ჯამში, არასოდეს მღალატობს. ყოველთვის გამოდის, რომ საკმაოდ რისკიანი ქმედება იყო, რომელიც კარგად დამთავრდა“, — ამბობდა წლების წინ უგულავა, რომელსაც ინტუიციამ აშკარად უღალატა ან გარისკვა მეტისმეტი მოუვიდა. თავად აღიარა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ბრალდებული აღმოვჩნდებოდიო.

✓ რუსუდან ადეიშ

Cyan Magenta Yellow Black

ლაბირინთი



გააფერადეთ

Cyan Magenta Yellow Black

საგაზაფხულო სალათა

მასალა:
დაკონსერვებული თინუსი — 100 გ
პომიდორი — 250 გ
კიტრი — 100 გ
ბულგარული წიწაკა — 2 ცალი
ნიორი — 2 კბილი
რეჰანი — 1 კონა
ზეითუნის ზეთი — 2-3 ს.კ.
სალათის ფურცლები — 3 ცალი
მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: დაკონსერვებულ თინუსს წვენი გადაწურეთ. ბოსტნეული და მწვანილი გარეცხეთ და ქაღალდის ხელსახოცზე შეაშრეთ. კიტრი რგოლებად დაჭერით, პომიდორი — კუბიკებად. ბულგარულ წიწაკას გულები ამოაცალეთ და კუბიკებად დაჭერით. ნიორი და რეჰანი (1-2 ღერი მოსართავად შეინახეთ) აკეპეთ.

სასალათეში მოათავსეთ კიტრი, ბულგარული წიწაკა, თინუსი, პომიდორი, დაუმატეთ ნიორი და რეჰანი, შეაზავეთ მარილითა და პილპილით, მოასხით ზეითუნის ზეთი და მოურიეთ. სუფრასთან მიტანის წინ რეჰანის ფოთლებით მორთეთ.

ჩიზკეიქი ვანილითა და შოკოლადით

მასალა ფუძისათვის:
ფხვიერი ნამცხვარი — 400 გ
კარაქი — 200 გ
გულსართისათვის:
ყველი — 600 გ
ნაღები — 200 მლ
კვერცხი — 3 ცალი
შაქარი — 150 გ
ვანილი — 2 ჩ.კ.
შავი შოკოლადი — 200 გ

მომზადება: კარაქი გაადნეთ, ფხვიერი ნამცხვარი ბლენდერში დააქუცმაცეთ, შეურიეთ კარაქი და მოურიეთ (უნდა მიიღოთ ფხვიერი მასა). ჩადეთ 24-25 სმ დიამეტრის ფორმაში, კარგად დატკეპნეთ, გაუკეთეთ გვერდები და მაცივარში შედგით, სანამ გულსართს მოამზადებთ.

ყველი და შაქარი ბლენდერით გათქვიფეთ, დაუმატეთ ნაღები, მოურიეთ, ჩაახალეთ კვერცხი და ცომივით მოზილეთ. ჩაუმატეთ ვანილი. მაცივრიდან ფორმა გამოიღეთ და გულსართი ზემოდან გადაანაწილეთ.

შოკოლადი გაადნეთ და გულსართს ზემოდან მოასხით. ხის ჩხირის დახმარებით ზემოდან ორნამენტებით მოხატეთ. ფორმას ფოლგა შემოახვიეთ ისე, რომ გვერდები მჭიდროდ შეიკრას. ეს ფორმა უფრო დიდ ფორმაში ან გვერდებიან გამოსაცხობ ფირფიტაზე დადეთ, მასში წყალი ჩაასხით ისე, რომ ჩიზკეიქიანი ფორმის ნახევარი დაფაროს. შედგით წინასწარ 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში და 1 საათის განმავლობაში გამოაცხვეთ. როცა გამოცხვება, გადმოიღეთ, გააცივეთ და მხოლოდ ამის შემდეგ დაჭერით ულუფებდ (სასურველია, სუფრასთან მიტანის წინ ცოტა ხნით მაცივარში შედგათ).

ღორღი ბანანით, ფორთოხლითა და გარგარით

მასალა ბისკვიტისათვის:
შაქარი — 2/3 ჭიქა
ბანანი — 2 ცალი
მაგარი შავი ჩაი — 1 ჭიქა
თაფლი — 2 ს.კ.
ფქვილი — 2 ჭიქა
მცენარეული ზეთი — 2 ს.კ.
მარილი — მწიკვი
სოდა — 1 ს.კ.
გულსართისათვის:
ფორთოხალი — 1 ცალი
გარგარი — 300 გ

მომზადება: დააყენეთ ერთი ჭიქა მაგარი ჩაი. ბლენდერში გათქვიფეთ ბანანი, შაქარი, თაფლი, ცხელი ჩაი, მცენარეული ზეთი და 1 ჭიქა ფქვილი.

მეორე ჭიქა ფქვილს დაუმატეთ სოდა და მარილი, მიღებული მასა ჩაუმატეთ ბანანის და ჩაის ნარევს და კარგად გათქვიფეთ. ცომი ფორმაში გადაიტანეთ და წინასწარ 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში 40 წუთი გამოაცხვეთ.

გულსართისათვის: ფორთოხალი გაფცქვენით, კანი გახეხეთ, რბილობი — დაჭერით. გარგარს დაასხით ცხელი წყალი და ადუღეთ დარბილებამდე. გარგარი, ფორთოხლის რბილობი და ფორთოხლის ცედრა ბლენდერში გათქვიფეთ.

ბისკვიტი ორ ნაწილად გაჭერით. შუაში წაუსვით გულსართი, დაადეთ მეორე ფენა და ისევ გარგარიანი მასა გადაუსვით. ზემოდანაც წავუსვათ გულსართი (შეგიძლიათ ზემოდან ნიგვზები დაალაგოთ).

სოკოს რაგუ

მასალა:
სოკო — 500 გ
კარტოფილი — 500 გ
არაჟანი — 200 მლ
ხახვი — 200 გ
მარილი, მწვანილი, ზეთი — გემოვნებით

მომზადება: ხახვი აკეპეთ, სოკო კუბიკებად დაჭერით. ტაფაში ზეთი გააცხელეთ და სოკო და ხახვი მოშუშეთ. დაუმატეთ 50 მლ წყალი, შეაზავეთ მარილით, დაადაფარეთ სახურავი და 30 წუთი შუშეთ.

კარტოფილი გათალეთ და კუბიკებად დაჭერით. შემდეგ ტაფას ჩაუმატეთ და ცეცხლზე მანამ გააჩერეთ, სანამ კარტოფილი მზად არ იქნება.

მწვანილი აკეპეთ და როცა კერძს ცეცხლიდან გადმოდგამთ, მოაყარეთ, მოასხით არაჟანი და თუ საჭიროა, მარილით შეაზავეთ.

Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

დეკორატიული კალათი

ამ დეკორატიული, მინიატურული კალათის დასამზადებლად დიდი დრო ნამდვილად არ დაგჭირდებათ. მისი დამზადება შეგიძლიათ კანაფის ან თქვენთვის სასურველი ფაქტურის თოკისგან.

დაგჭირდებათ: წებო (სასურველია სილიკონის), მაგიდის ჩოგბურთის ბურთი, ხელსახოცი, კანაფის თოკი, მაკრატელი.

გავახვიოთ ბურთი ხელსახოცში, ისე, როგორც მე-2 და მე-3 ფოტოზეა ნაჩვენები. ხელსახოცს წავუსვათ წებო და თოკი სპირალისებურად დავახვიოთ ბურთის შუა ნაწილამდე.

თოკისგან დავწნათ სასურველი ზომის სახელური და კალათზე სამაგრების საშუალებით დავამაგროთ მანამ, სანამ წებო ბოლომდე არ შეშრება.

მზა კალათი გავაფორმოთ პატარა, ხელოვნური ყვავილებით. ყვავილების ნაცვლად კალათში მძივების ჩამაგრებაც შეიძლება.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე





წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

3	4	8	6	7	1	5	9	2
6	9	2	5	3	4	7	1	8
7	1	5	2	9	8	3	4	6
9	7	6	8	2	5	4	3	1
2	3	4	9	1	6	8	5	7
5	8	1	7	4	3	2	6	9
1	2	7	3	5	9	6	8	4
8	5	9	4	6	2	1	7	3
4	6	3	1	8	7	9	2	5

№ 2

7	4	1	8	3	6	5	2	9
5	8	2	1	9	7	3	4	6
3	6	9	5	4	2	7	8	1
4	5	3	6	2	9	1	7	8
1	2	8	4	7	5	6	9	3
9	7	6	3	1	8	4	5	2
2	1	7	9	5	3	8	6	4
8	3	5	2	6	4	9	1	7
6	9	4	7	8	1	2	3	5

იმუნიტეტისა და ახალგაზრდობისთვის

თუ ყოველდღიურად დალევთ ახალგამოწურულ წვენს, არამხოლოდ ორგანიზმის დამცავ ძალებს აიმაღლებთ, ასევე დაბერების პროცესს შეანელებთ. წვენების დახმარებით გამოჯანმრთელება რომ უფრო სასიამოვნო იყოს, ხოლო გემო — მრავალფეროვანი, ფანტაზია გამოავლინეთ და წვენსაწურში სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის კოქტეილი მოამზადეთ.

ხილისა და თაფლის. 1 მწვანე ვაშლი, 2 კივი, 2 გრეიპფრუტი, 1 ჩაის კოვზი თაფლი.

გაციების საწინააღმდეგო. 1 დიდი ფორთოხალი, 4 საშუალო ზომის სტაფილო, 2-4 კბილი ნიორი.

ვიტამინების საკუჭნაო. 4 პომიდორი, 2 კიტრი, 4 თავი ბროკოლი, 5 ფოთოლი ისპანახი.

ანტიმეანგავური. 1 ფორთოხალი, 1/2 ჭიქა მოცვი, ამდენივე შტოში, შავი მოცხარი, 1 კარტოფილი, 3 თავი ბროკოლი.

გამაახალგაზრდავებელი. 1 სტაფილო, 1 ვაშლი, 1 ატამი, 1 ქორფა კიტრი, 3 ქლიავი, 1 ჭიქა წვრილად დაჭრილი თავხვეული კომბოსტო.

Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავთსიახლენი

85-ე „ოსკარის“ ფავორიტები, ლამაზმანები და უბრალოდ სტუმრები

ლოს ანჯელესში, კინოთეატრ „დოლბიში“, წლის მთავარი კინომოვლენა, „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიალი, 85-ედ შედგა. ცერემონია ყოველგვარი დრამატიზმის გარეშე ჩატარდა, თუმცა წითელ ხალიჩაზე და კინოთეატრში ტრავმირების აშკარად მაღალი რისკი იყო. სხვათა შორის, დაჯილდოებას ჩაშლის ან გადადების სერიოზული საფრთხე შეექმნა. საქმე ის გახლდათ, რომ ერთი საათით ადრე კინოთეატრში წყლის მილი გასკდა, მაგრამ, 12 თანამშრომლის სწრაფი რეაქციის წყალობით, პრობლემა აღიკვეთა.

ჯენიფერ ლოურენსი

ერთ-ერთი პირველი წითელ ხალიჩაზე ჯესიკა ჩესტეინი და ემი ადამსი გამოჩნდნენ. ჯესიკას „არმანი პრაივის“ კაბა ეცვა, ხოლო ემის — ოსკარ დე ლა რენტასი. ბოლო დროის სექსსიმბოლოდ აღიარებული ბრედლი კუპერი წითელ ხალიჩაზე დედის თანხლებით პოზირებდა. მისი პარტნიორი ჯენიფერ ლოურენსი ფილმიდან „ჩემი შეყვარებული ფსიქოპათია“ წითელ ხალიჩაზე პატარძალივით უფრო იყო გამოწყობილი, ვიდრე ვარსკვლავივით. მან დიორის თეთრი კაბა აირჩია.

ჯენიფერ ენისტონი ცერემონიალზე საქმროსთან, ჯასტინ ტეროსთან ერთად მივიდა. შეგახსენებთ: გასულ წელს ოსკარის ცერემონიალზე მსახიობი იმ მიზეზით არ მივიდა, რომ არ სურდა, ყოფილ ქმარს, ბრედ პიტს გადაჰყროდა, წელს კი ეს ფობია დაძლია. ალბათ იცოდა კიდეც, რომ პიტი ამ საღამოზე არ იქნებოდა. ჯენიფერმა ვალენტინოს წითელ კაბაზე შეაჩერა არჩევანი, რომელსაც კრიტიკოსებმა ჩვეულებრივი უნოდეს.

კრისტენ სტიუარტი

ელეგანტურად გამოიყურებოდა სამი შვილის დედა რიზ უიზერსპუნი, რომელმაც ამ საღამოსათვის ლუი უიტონის ლურჯი კაბა აირჩია, უფრო სწორად, მას კაბა 3 წლის ქალიშვილმა, ავამ შეურჩია, რომელიც დედას ამ საღამოზეც ახლდა. მსახიობმა თავისი ლამაზი თმის საიდუმლოც გასცა — ის ჰორმონალურ ცვლილებებს უკავშირებს მის სიჯანსაღეს და ყველას მოუწოდა, სამი შვილი გააჩინონ.

ენი ჰეტეუეი ერთობ სადღესასწაულოდ იყო გამოპრანჭული. მან ტრადიციას არ უღალატა და ამ საღამოსაც პრადას მიანიჭა უპირატესობა. როგორც გაირკვა, ოსკარის ცერემონიალზე ვალენტინოს კაბით უნდა მისულიყო, მაგრამ კინოდაჯილდოების დაწყებამდე 3 საათით ადრე გადაწყვეტილება შეცვალა. ენიმ ჟურნალისტებს თავისი ბედნიერება გაუზიარა. როგორც მსახიობი აცხადებს, მისი ცხოვრება საუკეთესოდ მიდის და ძალიან ბედნიერია ქორწინებით.

დენიელ დეი ლუისი მეუღლესთან ერთად

სამაგიეროდ, კრისტენ სტიუარტს ნამდვილად არ ჰქონდა ბედნიერი სახე. ცერემონიალზე ის ხელჯოხით გამოცხადდა, ფოტოობიექტივების წინ კი ცდილობდა, მის გარეშე ეპოზიორა. როგორც აღმოჩნდა, მსახიობმა გადასაღებ მოედანზე ფეხის ტრავმა მიიღო.

ფეხის ტრავმას ბეწვზე გადაურჩა მსახიობი ჯენიფერ ლოურენსიც, რომელმაც ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის ფილმში „ჩემი შეყვარებული ფსიქოპათია“ ოსკარი მიიღო. ის სცენაზე ასვლისას მილიონობით მაყურებლის თვალწინ წაიქცა, მაგრამ, საბედნიეროდ, იოლად გადარჩა.

ოსკარების 85-ე ცერემონიალის ფავორიტები გახდნენ:

საუკეთესო ფილმი— „ოპერაცია არგო“ (რეჟისორი ბენ აფლეკი).

საუკეთესო რეჟისორი— ენგლი „პის ცხოვრება“.

ენი ჰეტეუეი

საუკეთესო მსახიობი მამაკაცი — დენიელ დეი ლუისი ფილმით „ლინკოლნი“.

საუკეთესო მსახიობი ქალი — ჯენიფერ ლოურენსი.

საუკეთესო მეორეხარისხოვანი მამაკაცის როლი — კრისტოფერ ვალცი ფილმით „ჯანგო“.

საუკეთესო მეორეხარისხოვანი ქალის როლი — ენი ჰეტეუეი ფილმით „საბრალონი“.

საუკეთესო ორიგინალური სცენარისათვის — კვენტინ ტარანტინო ფილმით „ჯანგო“.

საუკეთესო ანიმაციური ფილმი — „მამაცი გული“.

საუკეთესო საზღვარგარეთული ფილმი — ავსტრიული სურათი „სიყვარული“.

საუკეთესო კოსტიუმებისათვის — ფილმი „ანა კარენინა“.

საუკეთესო მუსიკისათვის — ადელი, სიმღერით ფილმისათვის „სკაიფოლი“.

ჯასტინ ტერო და ჯენიფერ ენისტონი

კვენტინ ტარანტინო

მაიკლ დუგლასი და კეტრინ ზეტა ჯონსი

ადელი

შარლიზ თერონი

ჯანეტ ქერდიყოშვილი: „მანქანა ჩემთვის დაქალივითაა“

„თუ ბიჭს ჩემი გულის დაპყრობა უნდა, მექანიკური მართვის მანქანას ძალიან მაგრად უნდა ატარებდეს“

გვ.38